


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

10 დეკემბერი 2010

№25(129)



ნოველები კარლო ფაჩულიას მატინიდან
გენო კალანდიას მეგრული რვეულიდან
მაია ჯალიაშვილი ქეთევან შენგელიაზე
ზვიად კვარაცხელიას ხარო ხანისთვის
პიერ გამარას ოქროს მიხაკისათვის
მწერლის ენობრივი თავისუფლება
მარინე ტურავა ოლესია თავაძეზე
გურამ ქართველიშვილის ნოველა
დავით წერედიანის ჩანაწერები
დროზე ხნიერი იეიფსი
რობერტ საუთის ესეი

შინაარსი

ჩვენი ყოფა, წუთისყოფილი	2	დავით წერეთლიანი თემა და ვარიაციები — „სადაც ვმოვიღვარ“...
ლიბერალური სხოვრება	5	„ბალაკტიონოლოგიის“ ახალი კრებული
მესარეს-ინტერვიუ	6	ქეთევან დიდიშვილი „მოძრაობა და მსოფლმ მოძრაობა“
პროზა	7	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
	14	გურამ ქართველიშვილი ათოვდა...
	16	ზვიად კვარაცხელია ხარი ხანისთვის
პოეზია	18	გენო კალანდია მებრული რვეულიდან
ანისტიკა	22	რობერტ საუთი მანჩესტერის ცოდვები
კლასიკური მემკვიდრეობა	24	გია ჯოხაძე ღრუბი ხნიერი იქითსი („კულტური მიმწეხრის“ გამოცემის გამო)
პროზის გზაგზა	28	ნიკო ჯავახიშვილი ლატვიური დღიური — 2010
ახალგაზრდადო, აწ კი თქვენ	32	ცირა ბარბაქაძე ცხრა მუხის დარად
გურჯი პროვინცია	33	გიორგი გოგოლაშვილი მწარლის ენობრივი თავისუფლება და სალიტერატურო ენის ნორმა
დაუნიწარი სახელები	34	როსტომ ჩხეიძე მქაპვირად — დიდ ეპოქასთან (სარგის ცაიშვილის სიუჟეტი)
რეპორაჟი	36	ეკა ბუჯიაშვილი ნოველები მხატვრის მათიანადან (კარლო ფაჩულიას გამოფენა დუშეთში)
კრიტიკა	38	მაია ჯალიაშვილი „შენ არ მომწყინდი, კალამო“ (ქეთევან შენგელიას ახალი პოეტური კრებული)
ლიბერალური სხოვრება	41	თეკლე ჯანელიძე „ბადავინვინი მკლავზე შვილივით“
ნავსაყუდელი სულისა	42	ანა გელაშვილი ხევის ორი გზილიკა — სიონი და ახალციხა
კრიტიკა	44	მარინე ტურავა სიბრალული და სიყვარული ერთია (ოლესია თავაძის მინიატურები)
გამოხეობა	46	საბა სულხანიშვილი რაც ჩვენზე მაღლა დგას
მარადი ხალოვნება	46	რეზო ემელიანე ადამია მზის სახსეობა მოდილიანში
დღიურის ფრესკაიდან	49	თათია ჯგუშია ლოქქეშ მოყოლილი ყვავილივით (ვაჟა ხორნაულის ლირიკული ნამცერევეები)
გადი კაცისა	50	გვანცა შუბითიძე ბედნიერია, ვისაც სამოგლოსათვის შქმარს ბული (მონოგრაფია გიორგი დეკანოზიშვილზე)
ახალი წიგნები	51	ვახტანგ ბახტაძე პიესა ამოწურავ თემაზე (როსტომ ჩხეიძის პიესის „ლეგენდა ისკანდერისა“ გამო)
პოეზიის მერიდიანები	54	თომას ტრანსტრომერი პრელუდია
ლიბერალური სხოვრება	56	ლიტერატურული პრემიები შოთაოგაზე
უსხოური მოველა	57	პიერ გამარა ოძროს მიხაკისათვის
აინსტოლა	60	პაატა ჩიქოვანი ჩუბინიშვილის №41
ნაქვსები	61	მანვილსიტყვაობის ნიშუები
მოზაიკა	63	რომს რომ მოვიდა

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
 რეკლამა – (995 93) 65_93_68
 გავრცელება – (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჩილია საბეაჟი „ომეგა თეგი“ PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
 საბეოთეპო, თბილისი, საბეოთეპო 17 Tbilisi, Georgia, 17 Sarajshvili Street
 აბეოფონი: +995 32 53 03 62 ტელეფონი: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ანა გელაშვილი

ბაბუა ალუდაურის ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 24 დეკემბერს

დავით წერეთლიანი

თემა და პარიაციები — „სადაც ვმოხილვარ“...

„ხალხი ბრძენია“

— ხალხი ბრძენია, მისი მოტყუება შეუძლებელია, — ამბობენ დემაგოგები, როცა არჩევანი მათ სასარგებლოდ კეთდება.

— ხალხი მოატყუეს, — ამბობენ იგივე დემაგოგები, როცა არჩევანი მათ სასარგებლოდ არ კეთდება. ხოლო თუ დამარცხება საბოლოოა და მეტისმეტად გაცხარებულნიც არიან, — ხალხი ნახირია, — ამბობენ ისინი.

ჩემთვის პირადად, სხვამ თავისი იცოდეს, პირველი განმარტება ბევრად უფრო გულსამრევია, ვიდრე მეორე.

ხალხის მმართველობა

სიტყვა „დემოკრატია“ ანუ „ხალხის მმართველობა“ იმ-თავითვე შეიცავს რაღაც დემაგოგიურს. ხალხი, რომელიც თავის თავს თვითონვე მართავს? თითქოს გველაქუცებიან, თავს გვიქონავენ.

დემოკრატიაზე ავიც ბევრი დანერვილა და კარგიც-ორივე მხარის არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ კონტრარგუმენტებს ვერ აბათილებენ.

დემოკრატიული წყობის ერთ მთავარ ნაკლად ისიც მიიჩნევა, რომ დემაგოგებსა და, შესაბამისად, კორუფციას, კარს არ უხშობს. „მობრძანდით, ბატონებო, თქვენთვის ყველა გზა ხსნილია“! ბატონებმა კი ყველაფერი შეუცდომლად იციან, ამქვეყნიურია და იმქვეყნიურიც, — ცხადია, სანამ საქმეს შეებმებოდნენ...

ამერიკანიზმის მონინააღმდეგენი დღევანდელ დემოკრატიაზე საერთოდ ფიქციად მოიხსენიებენ. მაგრამ, როცა ჩაჰკითხავენ, რითი უნდა შეიცვალოს, ძალიან აზრიანსაც ვერაფერს გვეუბნებიან.

რაც შეეხება ანტიკური დროის დემოკრატებს, ისინი ყველანი დიდი მონათმფლობელები იყვნენ. მათი დემოკრატია მთელ ხალხზე, მით უმეტეს, სხვა ხალხებზე, არ ვრცელდებოდა.

ვინ დაამტკიცა, რომ დღესაც ასე არ არის?

პარტიების ზაღწოდება

ამერიკული ორი საარჩევნო პარტიის სახელწოდებათა შეპირისპირება ოდნავ კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, — დემოკრატიული და რესპუბლიკური. დემოკრატია ძველი ბერძნული სიტყვაა, რესპუბლიკა — ლათინური. ერთიც ხალხის მმართველობას ნიშნავს და მეორეც. არსებითი არაფრით განიჩნევა, არჩევანი კი, როგორც მოგვეხსენება, ხალხს ეკუთვნის. „ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის“...

საქართველოში უამრავი პარტიაა, უხალხო და ძირითადად უმრწამსო. უცხოური სახელწოდებები, რაზანია, ამონურეს. რა ნიშნით უნდა განასხვავო, აგრეთვე გაუგებარია.

დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი

ამკარად მხოლოდ მონარქისტები განიჩნევიან, გვარნ-მუნებენ, რომ საქართველოს თუ რამე უშველის, კანონიერი მეფე უშველის, ამიტომ ისევ და ისევ ბაგრატიონები უნდა მოვიწვიოთ, ტრადიციას არ ელაღატება.

ბაგრატიონებმა თავის დროზე მართლაც უდიდესი ღვაწლი გასწიეს, მაგრამ ერთხელაც იყო, დადგა ჟამი, როცა დინასტიათა თავი ამოწურა. მას შემდეგ, რაც ისინი სოსლანიდებად იქცნენ, მათი ხელით კარგი ბევრიც არაფერი გაკეთებულა, სახელმწიფოს მშენებლობისთვის — საერთოდ აღარაფერი. ქვეყნის დაქუცმაცებაში, ერთმანეთზე განეგ-გამონევისა და შინაომებში, თვისტომთა დარბევა-დანოკებაში, უცხო ლაშქართა შემოძლოლაში დიას გამოჩინებულნი ბრძანდებოდნენ. ზღვარდაუდებელი კვებნა-ამპარტანება კიდევ სხვა თემაა. „ალექსანდრე დიდი“, „სოლომონ დიდი“... თითქოს მინის ერთი პატარა ნაკუნს კი არა, ვრცელი იმპერიები ებარათ.

ის, რაც განგებამ დაამთავრა, ხელოვნურად გავიხანგრძლივეთ. ფატალისტი რომ ვიყო, სრული თავდაჯერებით ვიტყვოდი, — ქვეყანა იმის გამო დაისაჯა, რომ განგების ამკარა მინიშნება ყურად არ ილო, ახალი დინასტია ვერ მოიროგო, რის შედეგსაც დღემდე ვიმკით დიდიან-პატარაინად.

მეთორმეტე საუკუნის შემდეგ საქართველოს, ერთიან საქართველოს, ნამდვილი ხელისუფალი და პატრონი აღარ ჰყოლია.

გიორგი ბრწყინვალეს დამისახელებენ ამ აზრის გასაბათილებლად. ის მწირი ცნობები, რომლებიც მასზე შემოგვრჩა, ამ ხელმწიფის განსაზღვრულ ბევრს ვერაფერს ამბობენ, მხოლოდ სიტყვა „ბრწყინვალე“ ნუსხავს ჩვენს ცნობიერებას. ეს მოჩანჩახე სახელი, დიდი ალბათობით, უფრო იმის გამო დაერქვა თუ დაირქვა, რომ მონღოლები საქართველოდანაც, ისევე როგორც ყველა ახლომახლო რეგიონიდან, უბრძოლველად აიყარნენ, — დიდი ხნის შემდეგ პირველი უბატონო მეფე გამოგვიჩნდა, ქვეყანა დამპყრობელ-თავან განთავისუფლდა. მაგრამ ცალკეული კუთხეების შემოსამტკიცებლად მეფემ ვერაფერი ილონა, საამისო ძალები, ეტყობა, ძნელი მოსაძიებელი იყო, ყვიჩალური ექსპერიმენტის გამეორებაც, გასაგებია, ველარ მოხერხდებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა მთელი საქართველოს მსხვილი ფეოდალები სათათბიროდ დაიბარა და თავები დააყრვეინა. ამ ქმედების ზნეობრივ მხარეზე არაფერს ვიტყვი, პოლიტიკა და ზნეობა მხარდამხარ ძალიან იშვიათად მიდიან, მაგრამ მოსალოდნელი ვარიანტების განჭვრეტას დიდი სიბრძნეც, ვფიქრობ, არ სჭირდებოდა. როცა შედეგს ებრძვი, ხოლო გამომწვევ მიზეზებს ხელუხლებლად ტოვებ, უკეთესის ნაცვლად უნდა უარესს მოელოდე. ყველა კუთხეში მტრობა და სიმწარე, შეურაცხყოფისა და შურის-

ძიების განცდა დაითესა. თავმოკვეთილმა გველშაპმა უმაღლე ახალი თავები ამოიყარა, არც ეს იყო ძნელი გამოსათვლელი. ორიოდ წელიწადში საქართველო ისე დაიშალა, გამოთლიანების მცდელობაც აღარ ჰქონია.

„ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხიდან მხოლოდ მასზე დანერვილი გვერდები

ამოკვეთილა, უკლებლივ ყველა ნუსხიდან. გაგიკვირდება და არც გაგიკვირდება...

ფაქტორები

ადამიანის სენია — მეტ-ნაკლებად, ცხადია — საკუთარი მარცხი სხვას გადააბრალოს, გარეშე ფაქტორებით ახსნას. ჩვენს ისტორიაში ეგ სენი ძალზე თვალნათლივ არის გამოხატული, ყველა ეროვნულ უბედურებას მხოლოდ გარეშე ფაქტორებს ვაბრალებთ, ანდა, რაც კიდევ უფრო ხშირია, მოულოდნელ ღალატს. ეს მოღალატეები ხომ არა და არ გამოგველია. აგერ, სულ ახლახან, სოხუმიც ღალატის გამო დაგვიკარგავს, ოღონდ ვინ ჩაიდინა და რაში გამოიხატებოდა ეს ღალატი, დღემდე სათუთად, სულის ბერვით ინახავენ, შეუღწეველ საიდუმლოდ დარჩა.

გარეშე ფაქტორები, თქმა არ უნდა, მართლაც უამრავი იყო, ისინი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ სულ მცირედენი ბრალი ჩვენს მრავალსაუკუნოვან კატასტროფაში იქნებ შინაფაქტორებსაც მიუძღოდა?

პატრიარქული მამაშვილობა

ქართული ბატონყმობა, ლამის მამაშვილობადაც რომ ნათლავდნენ, ადამიანური არსებობის ერთ-ერთი ყველაზე სტატიკური ფორმაა. ქვეყანაში სისხლი არ მოძრაობს. გლეხიცა და ბატონიც მინას არიან მიკრულნი. ფული ხელის ჭუჭყია, არაფრად მოსახმარისი: ყოველგვარი პროდუქტი, ჩასაცმელ-დასახურავიც, სამუშაო იარაღებიც, უკლებლივ ყველაფერი, ადგილზევე მზადდება. სტუმარი ღვთისაა: წელიწადში ერთხელ თუ ჩამოივლის. მეზობელ სოფელს იქით ვინ არისთვისლა უნდა წაეხეტოს, თუ რაღაც განსაკუთრებული არ შეემთხვა, — საჭიროება ამას იშვიათად მოითხოვს, მგზავრობა კი ძალიან საშიშია, თუ გადარჩი, შეიძლება ერთი ჩაყვინთო და სადმე ალექოში ამოყვინთო.

ვაჭართა და ხელოსანთა ამქარი ძირითადად უცხოტომელია. თავადი არ იკადრებს, გლეხი ვერ აიძრება. თუ აიძრა, მათრახით დააბრუნებენ. კუთხე კუთხეს არ იცნობს, გზაჯვარედინები უხალხოა, ქალაქები არ შენდება, ურბანული კულტურა მწირზე მწირია.

თბილისი, რასაკვირველია არსებობს, თავისთავად უნიკალური მოვლენაა, უცნაურ ფერთა ნაზავი, მაგრამ ძველი ქართული კულტურის მკვლევარს თბილისისაგან არც სცივა და არც სცხელა.

თბილისელობა სრულიად განკერძოებული ეთნიკური სტატუსი გახლდათ. მოქალაქენი ოთხ თუ ხუთ ენაზე მეტყველებდნენ, ყველა მათგანზე — ჩიქორთულად. ქართველი, თათარი, სომეხი, ქურთი თუ აისორი, ყველანი არსებითად ერთ ეროვნებას შეადგენდნენ, მხოლოდ აღმსარებლობა

განასხვავებდათ. ეთნოკონფლიქტებზე სიტყვაც არ სმენილა, რაც იმის მაუწყებელია, რომ აღმსარებლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც არ ანიჭებდნენ. არათბილისელებს, რა დიდი მიხვედრა სჭირდება, ზემოდან გადმოსცქეროდნენ.

უთუოდ ამის გამოძახილია, დღესაც რომ კვებნით ვიტყვი ხოლმე: „ნაღდი თბილისელი კაცი ვარ“. ცოტა ყარაჩოლელი, ცოტა კინტო, უფრო კი შუაბაზრელი.

ეროვნული სულიერება, პირველ რიგში, მაღალმა სოფლურმა კულტურამ გადაარჩინა.

განდგომა

ქართლის მეფეს, რომელიც ალექსანდრეს, თავი თურმე ისევე მთელი საქართველოს მეფე ეგონა. როცა განუმარტეს, რომ ქართლს იქით მისი ძალა-უფლება არ ვრცელდებოდა, იწყინა და გამდგარი კუთხეების ძალით შემოერთება ბრძანა. შეუძლებელიაო, — მოახსენეს, — კი, ერთ რომელიმე ცალკე კუთხეს როგორმე მოვერევი, მაგრამ მეორის შემოსაერთებლად დავიძრებით თუ არა, ის პირველი ისევე განგვიდგება.

უფრო ალბათ ნაკვესია, გამოგონილი შემთხვევაა, მაგრამ ვითარებას მართლად ასახავს.

როცა ეს ცნობა პირველად წავიკითხე, ყველაზე მეტად ერთმა რამემ გამაკვირვა: ქართველებით დასახლებულ ყველა კუთხეში მორონცხებულ ხელმწიფეს ნუთუ მოღალატე ფეოდალი ერჩიათ? როგორც ირკვევა, აუცილებლად გვერდში დაუდგებოდნენ.

მიზეზი? მიზეზი რა უნდა ყოფილიყო? ის, რომ ქართველი თითქოს „ორგულ-ბუნება არს“, არაადეკვატური, უგვანო ახსნაა. ფეოდალთა განდგომის ტენდენცია ყველგან და ყოველთვის იდენტური იყო. ადეკვატური ახსნა სულ სხვა მოვლენებშია საძებარი. მოვსინჯოთ ერთი მათგანი.

„ორხმლიანი სპარაჯენი“

„მეფეს ხალხისაგან ორი ხმალი აქვს ჩაბარებული, მეომრისა და ჯალათისა. მეფის ყველა პრივილეგია ამ ორი ხმლის საზღაურია“, გვეუბნებოდა ვერის პარკში ერთი ძველი პენსიონერი. ისტორიული დრამა ჩაფიქრებინა, გაგენდობოდა, ცალკე დაგისვამდა, წვრილად მოგიყვებოდა. მორიდებული ყმანვილები ვიყავით, ადვილად ველარ გამოვეხსნებოდით. ორი ხმლის მეტაფორაც იმ დაუნერვლი პიესიდან გახლდათ. ეჭვი მაქვს, საიდანაც ჰქონდა ამოკენკილი.

არადა, საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს ცენტრალური ხელისუფლების არსსა და დანიშნულებას, — საზღვრების დაცვა, ქვეყნის შიგნით კანონიერებისა და სიმშვიდის დამყარება.

საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია ის წლები, როცა მეფე სამართალსაც ჭრიდა და საზღვრებსაც იცავდა. ორი ხმლის ფუნქციას, ავად იყო თუ კარგად, თავ-თავიანთ კუთხეებში ფეოდალები ასრულებდნენ. ხალხიც, სავარაუდოა, მათ სწორედ ამ მიზეზით მიჰყვებოდა. სხვა არავინ ჩანდა დამცველი და ხელის გამომწოდებელი. ასეთ პირო-

ბებში რა იყო გლეხისა თუ წვრილი აზნაურისთვის ცენტრალური ხელისუფლება? ზედმეტი ბეგარა და მისთვის გაუგებარი ომებიდან ახლობელთა ჩამოსვენებული გვამები. სიკეთე — არავითარი. მხოლოდ ზოგადდეროვნული ლოზუნგებით ვერც დაქცეული ქვეყანა აშენდებოდა და ვერც დამშეული ხალხი დაპურდებოდა.

როცა ხალხს იმედი მიეცემა, რომ მეფე მის გასაჭირს მოისმენს და ქმედითად განსჯის, ანუ ძალაც ერჩის, ყველასაგან, მათ შორის მომძლავრებული ფეოდალებისგანაც, დაიცავს, ხალხი ასეთი მეფის წინააღმდეგ ფეოდალს არ გაჰყვება. მაგრამ ამისთვის ყოვლად აუცილებელია, რომ ცენტრალური ხელისუფლების ორივე ხმალი წარმატებით მოქმედებდეს. ეს კი ჩვენში, როგორც ჩანს, ერთიანი სამეფოს დროსაც იშვიათად ხორციელდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე ადვილად არ დაეჭუცმაცდებოდა.

ერთიანობის განცდა

სრული დაქსაქსულობის მიუხედავად ეროვნული ერთიანობის განცდა ბოლომდე არასოდეს დაგვიკარგავს. ამას რაღაც მითოლოგიური ფესვების ხსოვნითა და სხვა მალაღფარდოვანი მიზეზებით ხსნიან. ერთობ ბუნდოვანი თეზისია ან, უფრო სწორად, პატრიოტული რიტორიკის ნიმუში. ეროვნული ერთიანობის განცდა უპირატესად ქართულმა ეკლესიამ შეგვიწარმოა, მისმა განუყოფლობამ. ნიშანდობლივია, რომ რჯულისათვის ყველა კუთხეში თავს ერთნაირად წირავდნენ. არავითარი პარტიკულარიზმი აქ არასოდეს გამოხატულა.

ივერია

ქართი, ზანი, სვანი — სამი შტო და ისტორიულ-სულიერი ერთშტოვანება. და კიდევ უამრავი კუთხე (ასეთი მცირე ქვეყნისთვის შემაკრთობლად მრავალი), რომელთა ძველი მკვიდრნი ქართლები არ არიან, ვისგანაც ჩვენი ეთნოსის დღევანდელი სახელი მომდინარეობს. სანამ საქართველო ერთიანი სამეფო იყო, როგორც ჩანს, ეს პრობლემა გონიერთა ფიქრის საგანს წარმოადგენდა. ცდილობდნენ, სამეფოს საერთო სახელად „ივერია“ თუ „ივერი“ დაემკვიდრებინათ. ათონის მთაზე ჩვენს მონასტერს „ივერონი“ ერქვა. რუსულ ფოლკლორში ჩვენი მეფე ქალი „ივერსკაია ცარიცად“ მოიხსენიება, მოსკოვის გამორჩეულად ცნობილ ხატს „ივერსკაია ბოგოროდიცა“ ჰქვია, უთუოდ ქართული წარმომავლობის გამო. ალბათ ასეთი მონაცემები გაცილებით მეტია. მაგრამ ეს მცირედიც, ვფიქრობ, საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს, რომ საზღვრებს იქით უფრო ივერილებად გვიცნობდნენ, ვიდრე გეორგიანებად. შემდეგ საუკუნეებში, როცა ერთიანი სამეფო დაიშალა, საერთო სახელწოდება აკი აღარც იყო საჭირო, მაგაზე რა გუნებას აიმღვრევდნენ.

არადა, ივერთა სახელით გაერთიანებულ ქვეყანას ზოგიერთი წვრილმანი პრობლემა აშკარად მოეხსნებოდა. მაგალითად, „ქორთუ“, „მარგალი“ თუ „შონი“ მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია იქნებოდა, ახლა რომ სამშობლოს რღვევად და ეროვნულ გადაშენებად გვესახება.

ისე, არც დღეს იქნებოდა ურიგო, „ივერია“ ან „ივერი“ გვრქმეოდა და არა ჩვენი ტრადიციისათვის ყოვლად გაუგებარი „გეორგია“ მისი უსიამო ვარიანტებითურთ — „ჯორჯია—ხორხია—ჟეორჟია“.

„ქართუ“

წურავის ეგონება, რომ რაღაც მითოსური „ქარდუ“ თუ „ქართუ“ მართლა არსებობდა და „ქართულიც“ ამიტომ გვექვია. არსებობდა „ქართველი“, სწორედ ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე უწოდებს. „ქართლელში“ „ვ“ ამოვარდა, „ქართველში“ „ლ“ ამოვარდა — ალბათ ერთმანეთისაგან გასარჩევად. გურამიშვილისთვის და, ვგონებ, ბარათაშვილისთვისაც ქართველი და ქართლელი ჯერ ისევე ერთი და იგივე იყო.

ცნობისათვის ისიც მინდა აღვნიშნო, რომ არაერთ სახელმწიფოს, მაგალითად საფრანგეთს, ისტორიულად დანიშნურებული კუთხის სახელი ჰქვია. ამდენად, თუ ეს მოვლენა ჩვენს შიდაკუთხურ გრძნობებს შეურაცხყოფს, მართლანი არა ვართ.

ახლა კი ისევ ჩვენს სათქმელს ვენიოთ.

არსებობს ორი უცნაური შედეგნილობის სიტყვა — „საქართველო“ და „სამეგრელო“. სუფიქსების გრამატიკულ დამლა-გამოყოფას არ შევუდგები, ანალოგიის საშუალებით თქმული უფრო მარტივი და გასაგები იქნება. გვაქვს ტოპონიმი „რაჭა“ და მისგან მომდინარე სიტყვა — „რაჭველი“. მაგრამ სიტყვა „სარაჭველო“ არა გვაქვს, რაც სავესებით ბუნებრივია. არსებობდა „ეგრისი“ და მის მკვიდრს ძველი ქართულის ყველა გრამატიკული წესის დაცვით „მეგრელი“ ჰქვია. შესაბამისად, „ქართველი“ და „ქართველი“ (გნებავთ „ქართუ“ იყოს, თუ მაინცდამაინც ასე დავიყინებთ). რაკი „სარაჭველო“ და „საფშავლო“ არ შეიქნა საჭირო, ხოლო „საქართველო“ და „სამეგრელო“ საჭირო შეიქნა, მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ენამ რაღაც პრობლემა ასახა. სხვა კი რა შეიძლება იფიქრო, გარდა იმისა, რომ „ქართველი“ (გნებავთ „ქართუ“), ქართველთა ქვეყნის იდენტური არ იყო და არც „ეგრისი“ იყო მეგრელთა ქვეყნის იდენტური, სამთავრო და ტოპონიმი ერთმანეთს სრულად არ ფარავდა. როგორ და რატომ, მხოლოდ ჰიპოთეტურ პასუხებს გულისხმობს, სრულ ჭეშმარიტებას დღეს ველარავინ გვეტყვის.

სამშობლო თუ ჭეშმარიტება

გეგონება, ერთ მხარეს თავისუფალი სამშობლო გვედო, მეორე მხარეს ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება და რატომღაც ერთ-ერთი მათგანი უნდა ამოგვერჩია. და იყო საშიშროება, რომ დაუფიქრებლად სამშობლოს ამოვირჩევდით. ჩვენს სახელგანთქმულ თანამემამულეს იმდენად ფილოსოფიური კატეგორიებით არა, რამდენადაც მეტაფორებით აზროვნება უყვარდა. „ჭეშმარიტებაც“ ამ შემთხვევაში მითოლოგიამა, მეტაფორაა, რომლის ცნებად ქცევა და ფილოსოფიური განმარტება შეუძლებელია. დაახლოებით იგივე იქნებოდა — სამშობლო თუ თავისუფლება? — ერთადერთი, რითაც განსხვავდება, ალტერნატივის აბსურდულობა უფრო ცხადადაა გამოკვეთილი.

მაგრამ ის, რაც ითქვა, პოლემიკური გაცხარების ჟამს ითქვა, მსმენელთა მონუსხვას ისახავდა მიზნად და ჩვენთვის აქ ახლა ისეთი მნიშვნელოვანიც არ არის, რომ უფრო დაწვრილებით შევყვეთ. ვიტყვი, რისთვისაც გავისხენე, ეს ფიქრი მაშინვე, ცხელ კვალზევე, გამიჩნდა: კეთილი და პატიოსანი, ჭეშმარიტება ამ შემთხვევაში მითოლოგემაა და არ განიმარტება, მაგრამ სამშობლოს განმარტება როგორიღაა, გარკვეულნილად ისიც მითოლოგემა ხომ არ არის, ცნებად ქცევას ასე რატომ უძალიანდება?

დეფინიცია

სამშობლოს განსაზღვრას, მოგეჩვენება, ბევრი არაფერი სჭირდება:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი, სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი.

წარმომავლობაც იგულისხმება, ტერიტორიაც, ტრადიციის უწყვეტობაც, თვითიდენტიფიკაციის განცდაც. მაგრამ ყოველივე ეს საქმეს, როგორც ირკვევა, სრულებითაც არ შევლის. რამდენი ვინმეა ჩვენს გვერდით, ჩვენს საქართველოში, აქ რომ შობილა, ისარიც აქ უსროლია და წინაპრების ძვლებიც აქვე ულაგია, სამშობლოდ კი ის ქვეყანა მიაჩნია, სადაც მხოლოდ სტუმრად ყოფილა, ანდა, რაც არანაკლებ ხშირია, საერთოდ არც არის ნამყოფი.

სამშობლო, — სადაცა წამიკითხავს, ეს უკვე ტერიტორიის საკითხზეა ნათქვამი, — რუკაზე არსებული გეოგრაფიული აბსტრაქციაა. გაინელება და ეს არის ჩემი სამშობლო, შეიკუმშება და, რას იზამ, მხოლოდ ეს არის.

ხოლო თუ საერთო წარმომავლობაზე ვილაპარაკებთ, — ახალ კონტინენტებზე ვინც სახლობს, გამოდის, სამშობლო არ ჰქონია.

მშობლიური ენაც, ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ ასე რომ ველოლიავებოდით, საკითხს თურმე მიახლოებითაც ვერ წყვეტს. მაგონდება ერთი კუბელის წამოძახილი: „ენასა და სამშობლოს ერთმანეთთან რა ხელი აქვს, სად ენა და სად სამშობლო!“ ძველ კონტინენტზეც, შვეიცარიელს ოთხი ენა აქვს და ერთი სამშობლო, სერბსა და ხორვატს — ერთი ენა და ცალ-ცალკე სამშობლო.

ხშირად გამიგონია, რომ სამშობლო, პირველ ყოვლისა, შინაგანი განცდაა. შესაძლოა, სიმართლეს შორსაც არ მიუდიოდეს, ეგ არის, დეფინიციას ვერ გასწვდება. თანაც, მე, ჩემდათავად, ძნელად წარმომიდგენია, რომ თავთავიანთი მინა-წყლისა და ეთნოსის მიმართ ერთნაირი განცდა ჰქონდეს რომელიმე ძველი ქვეყნის მკვიდრსაც და იმასაც, ვისი სამშობლო ზეპირმეტყველებაშიც კი აბრევიატურით მოხსენიება ანდა გვერდით ჩამომდინარე წყლისა თუ მოხეტიალე ავანტიურისტის სახელი ჰქვია, ან კიდევ გულანთებული მეამბოხე გაუჩოსი.

ჩანს, ყველა სამშობლო სხვადასხვაგვარად არის განსამარტავი, საერთო თარგზე ვერ გამოჭრი.

ჩემთვის, როგორც ქართველისათვის — ამაყად ვაცხადებ — ჩვენი სასიქადულო მგოსნის განმარტება სავსებით საკმარისია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ამ განცდით მიცხოვრია. სხვათა შორის, ისარიც მისროლია, სვანეთში, ბავშვობაში, ტარიან-ჩახმახიანი მშვილდიდან.

„გალაკტიონოლოგიის“ ახალი კრებული

17 ნომბერი — გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გალაკტიონის კვლევის ცენტრის მიერ გამოცემული სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის „გალაკტიონოლოგია V“ პრეზენტაციით აღინიშნა.

ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა შესავალ სიტყვაში ავტორებსა და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ქართული ლიტერატურისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებით განხორციელება და იმედი გამოთქვა, რომ გამოცემათა ეს სერია, რომელიც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი აზროვნების მიღწევათა შუქზე წარმოგვიდგენს პოეტი-გენიოსის შემოქმედებას, კვლავ გაგრძელდება.

კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა თეიმურაზ დოიაშვილმა დამსწრეებს გააცნო გამოცემის კონცეპტუალური მიზანმიმართულება და ისაუბრა დარგის მომავალ საქმიანობასა და პერსპექტივებზე.

ემზარ კვიციანი ვრცელ მოხსენებაში პანორამულად მიმოიხილა მთელი კრებული და ამ ფონზე გამოკვეთა მნიშვნელობა მასში გაერთიანებული მხატვრულ-დოკუმენტური პროზის მასალებისა. კონსტანტინე ბრეგაძემ იმსჯელა კომპარატივისტული კვლევის პერსპექტივებზე გალაკტიონოლოგიის დარგში. როსტომ ჩხეიძემ შეაფასა კრებულის გამოცემა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა, ნათია სიხარულიძემ ისაუბრა სტატიებზე, რომელიც ეხება პოეტის მიმართებას რომანტიზმსა და სიმბოლიზმთან. თამარ ბარბაქაძემ წარმოადგინა როლანდ ბერიძის ლექსმცოდნეობითი გამოკვლევა, რომელიც პოეტის ლირიკაში აღმოჩენილ დასავლურ მყარ სალექსო ფორმათა ათვისებისა და ტრანსფორმაციის სურათს წარმოგვიდგენს. ნინო დარბაისელმა მიმოიხილა კრებულის ესეისტიკა და ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო სამეცნიერო-ლიტერატურული კონტაქტების გაღრმავების უკვე არსებულ გამოცდილებასა და გალაკტიონოლოგიის განვითარებისათვის ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის აუცილებლობაზე. ნანა კობალაძემ ისაუბრა კრებულში დასტაბულ მემუარისტკასა და მემორიალურ-დოკუმენტურ მასალათა დამუშავებისას ტექსტოლოგიური მიდგომის ნაყოფიერებაზე, ლევან ბრეგაძემ მაღალი შეფასება მისცა ემზარ კვიციანის გამოკვლევას, რომელშიც განხილულია ბავშვის კონცეპტის თავისებურებანი გალაკტიონის ლირიკაში, იმსჯელა კრებულის მნიშვნელოვან სიახლეზე — გალაკტიონოლოგიურ გამოცემათა რეცენზიებისა და კრიტიკულ გამოხმაურებებზე, რაც დიდად შეუწყობს ხელს დარგის წინსვლას. მან აღნიშნა, რომ თეიმურაზ დოიაშვილის კრიტიკული წერილი იწესა მერაბიშვილის წიგნზე, „ენიგმები და მიგნებები“ ობიექტური და საფუძვლიანია. ლევან ქურციკაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ კრებული „გალაკტიონოლოგია V“ სამაგიდო წიგნად იქცევა არა მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მოყვარულთათვის, არამედ ყველა მკითხველისათვის, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ლიტერატურა და კულტურა.

დასასრულ, თეიმურაზ დოიაშვილმა მაღლობა გადაუხადა პროექტში მონაწილე ავტორებს, გამოშვებულსა და დამსწრე საზოგადოებას. მან გამოთქვა იმედი, რომ მომავალ წელს, გალაკტიონის 120 წლისთავს, რომლისთვისაც ცენტრი უკვე ემზადება, ქართული საზოგადოება აღნიშნავს ერთად, ღირსეულად, ისე, როგორც შეეფერება პოეტი-გენიოსის სიოვნას.

ქეთევან დიდიშვილი

„მოძრაობა და მარტო მოძრაობა“



- თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვება?
- როდესაც ადამიანი განწირულია, შენ კი უძლური ხარ, ვერ ეხმარები.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, ვთქვათ ესპანეთში, მხოლოდ დროებით.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- დედობა.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- დედისიმედი — კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დავით აღმაშენებელი“ და მანინა — ოთარ ჭილაძის „ნათეს ნითელი წაღები“.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- საერთოდ იმპრესიონისტები და კიდევ მატისი, შაგალი და ფარჯიანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ქართველებიდან ბიძინა კვერნაძე, რეზო ლალიძე და გია ყანჩელი. ამათ გარდა, ჩაიკოვსკი და ვერდი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- ალბათ, თვისებების თაიგულს უნდა ფლობდეს ადამიანი, რომ ის სრულფასოვან მამაკაცად აღიქვას, უნდა გრძობდეს, რომ გვერდით მამაკაცი გყავს და შეგიძლია მიენდო.
- რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- მიყვარს, როდესაც თანამედროვე ქალი არის საქმიანი, დამოუკიდებელი და ამასთანავე ინარჩუნებს ქალურობას, დახვეწილ მანერებს.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?
- მიმტყვებლობა — მომხიბლავი და მისაღწევი.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ფიქრი.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- არცერთი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- ოპტიმიზმი, კეთილგანწყობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას, ინტელექტს.
- თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი?
- ძალიან რბილი და დამთმობი ვარ.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- სიმსუბუქე და ფრენის შეგრძნება.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- შიში და მუდმივი მოლოდინი უბედურების.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- თუ გარეგნობაზეა საუბარი, ზუსტად ისეთი, როგორიც ვარ. არა იმიტომ, რომ იდეალური ვარ, უბრალოდ, ისეთი ვარ, როგორიც ვარ.

- თქვენი საყვარელი ფერი?
- წითელი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვარს?
- ვარდი, იასამანი.
- თუმცა ფერადი ტიტებიც მიყვარს.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- შაშვი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- სიმბოლისტები, განსაკუთრებით ტიცინი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- როგორც ჩანს, ამ კითხვაზე უკვე გავეცი პასუხი.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, შეუძლებელია აფხაზეთის და სამაჩაბლოს გმირები არ ვახსენოთ — ეს ჩვენი თაობის ტრაგედიაა, მაგრამ არანაკლებია ყოფით ცხოვრებაში ჩადენილი გმირობები, თუნდაც ზნეობრივი, და ხშირად ამ გმირების სახელებიც კი არ ვიცით. „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი“.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქეთევან დედოფალი.
- საყვარელი სახელები?
- ჩემი შვილების სახელები — სალომე, გიორგი, ნიკოლოზი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- უსაფუძვლო თვითკმაყოფილებას, რომელიც ხშირად ამპარტავნებაში გადადის.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- ვერ ვიხსენებ.
- საომარი მოქმედება, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- დიდგორის ბრძოლა.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული რეფორმები.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- სიმღერის.
- როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- ღიმილიანი, მშვიდი.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- დაღლილი.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ყველა ის შეცოდება, რომელიც შეგნებულად არ არის ჩადენილი ადამიანის და კაცობრიობის წინააღმდეგ.
- თქვენი დევიზი?
- „მოძრაობა და მარტო მოძრაობა“.

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

საპავსვო პოეტი

დარჩა მარტო, თითქმის სულ მარტო — ავადმყოფი ბე-ბიის ანაბარა.

მგონი და-ძმაც ჰყავდა, მაგრამ უფრო პატარები და უფრო უმწეოები.

ერთხანს უპატრონო ბავშვთა სახლში მიაბარეს.

რადგან ბავშვი უპატრონოა, სახლსაც ალბათ, უფრო თავშესაფარი ჰქვია და თავშესაფარი კიდევ, როგორი კარგიც არ უნდა იყოს, მაინც დროებითი სულის მოსათქმელია. “წვიმის გადაღებამდე” რომ შევიკედლებს და, რა თქმა უნდა, იმ სითბოს და სიმშვიდეს ვერ მოგცემს, რაც ბედის ნებიერ, ოჯახურ სიმყუდროვეში გაბიზინებულ პატარებს გააჩნიათ.

მთელი მისი ავლადიდება, სულ ერთ ციციქნა ბოხჩაში, ბებიას ჯვარედინად გადანასკვულ ხილაბანდში ჩაეტია.

მიიყვანეს ბავშვთა სახლის ეზოსთან, ბოლჩასთან ერთად ჩააბარეს კარებში გამოგებულ, ხნიერ, ჩამონუნულ ხალათიან, გულგანყალბულ მომვლელ ქალს, რომელიც გაცივებული უფრო საშიში შესახედავი იყო — შავი ფულუროსავით მოუჩანდა ხოლმე უკბილო პირი.

მიაბარეს და, უნდოდა თუ არა, იქაურობას შეეგუა. აღმზრდელიც უფრო გულმისაველი და კეთილი გამოდგა, ვიდრე თავიდან ეგონა, მაგრამ სული მაინც სულ სხვა სატანჯველით ეკანრებოდა:

**ზღარბო, ზღარბო, ქაცვია,
ეგ რა ქურქი გაცვია!
დამიკანრეს ხელები
მაგ ჩხუტუნა ნემსებმა.
ნეტავ შენი დედიკო,
როგორ გეაღერებდა.**

წერდა მოგვიანებით და, ბოლო სტრიქონებს, იმდროინდელი განწყობილების ტუსის სუნი ასდის.

ბავშვთა სახლიდან ისეთი რა უნდა გამოგყვეს, რომ ხსოვნა გაგიხალისოს:

როგორც კი დაწვებოდნენ, თავებზეთ ჩაძვებოდნენ მოკლე, თხელ, ნესტის სუნდაცემულ ბამბის საბნებში, დამლაგებელი ქალი ბუზების დასკორილ, ჭერზე დაკონწიალებულ ნათურას მაშინვე ჩაუქრობდათ ხოლმე. ამხანაგები მალე ჩაიძინებდნენ, თვითონ კი, შეშინებული, არავინ და-მინახოს და არ დამცინოსო, წაიფარებდა საბანს, ხელებს ახლოს მიიტანდა სახესთან და თითებს ეთამაშებოდა.

ერთი თითი დედა იყო, მეორე — მამა, დანარჩენები და-ძმა, ბებია და სხვები, ვინც აგონდებოდა, საერთო ეზოდან, უბნიდან.

ცერა თითებს, როგორც ყველაზე უფრო დიდებს, დედამამს ეძახდა.

„გაანაწილებდა როლებს,“ წარმოიდგენდა ყველას, როგორებიც ახსოვდა და მათი ხმით ლაპარაკობდა, ჩხუბობდა, საყვედურობდა, „წვებოდა“ მშობლების შუაში და ეტი-

ტინებოდა, ეფერებოდა, უყვებოდა ათასნაირ, გამოგონილ ამბებს, ოღონდ არ ახსენებდა არც ბავშვთა სახლს და არც იმ საშინელ ძალას, ნაადრევად რომ წაართვა მშობლები... ზოგჯერ, დედას, მონატრებული ტკბილეული — „ბალიშა“ კანფეტები „მოჰქონდა,“ კენჭებივით ჩაუჩხრიჩლებდა ხოლმე შეტყუებულ ხელისგულებში და ისიც თავის და-ძმას უნაწილებდა... და-ძმა კი, ეს მსუნაგი სალოკი თითები, თავის ნილს უცებ ჩააკნატუნებდნენ და ყელგამონეულები, კიდევ სთხოვდნენ... თქვე მუცელებო, თქვენაო, ტუქსავდა, უბრაზდებოდა, მაგრამ საქმეში ხარ, ყურს ვინ უდგებდა?

როდის-როდის მოსწყდებოდა ყინწი, და-ძმაზე სერიოზულად ნაწყენს ჩაეძინებოდა, დარჩებოდა საბანქვემ, ერთმანეთში ჩახლართული, წაჩხუბებული თითები.

ეს ჩვევა ბოლომდე გამოჰყვა.

ერთხელ, შეხვედრახე, განმარტოებით მჯდომს თვალი შევასწარი, თითებს რომ „ესაუბრებოდა.“

უხერხულად გამიღიმა, შერცხვა, მოერიდა, თითქოს ბავშვთა სახლის ნესტიანი ბამბის საბანი გადავხადე, ხელე-ბი საჩქაროდ ილიებში შემალა და ვილაც, რიხიან ორატორს ყური მიუგდო.

პაის გავიყარე

არ მინდოდა ჯარში, მითუმეტეს გახურებულ ომში წასვლა და გავისულელე თავი.

რამდენი ვიხლავოროთე, რა არ ჩავიძინე, ჩემს სიგიჟეში კომისიაც რომ დამერწმუნებინა, ამის მოყოლა შორს წავიყვანას.

კომისიის თავმჯდომარემ, თვალის ქუთუთოები რომ გადამინია, ჩამაცქერდა და დაეჭვებულმა დააპირა ეთქვა, ამას შემლილისას ვერაფერს ვატყობო, დავასწარი, ლაჯებში შორის დავუნთე მუხლისთავი და, „კვერცხები“ ლამის საგოგლიმოგლედ რომ ავუთქვიფე, არაადამიანურად იღრიალა, მომამორეთ ეს გადარეულიო და, ორმა ჯანიანმა სანიტარმა, ოთახიდან ხელებგადაგრეხილი გამომამბრძანა.

თავის პირით ვათქმევინე, გადარეულიო და წინ რაღა დაუდგებოდა, მე შენ გეტყვი, შორს დასჭირდებოდათ ჩემი წაყვანა, თავი გადამხოტრეს, ჩამაცვეს სანყოფიდან გამოტანილი, ნესტის სუნად აქოთებული, ნაცრისფერი ტილოს ჯვალო და შემადგეს სულით ავადმყოფთა იზოლირებულ პალატაში.

ოთახში ხუთი საწოლი იდგა, აქედან ოთხი უკვე დაკავებული იყო. მეხუთეზე, შესასვლელის ხელმარჯვნივ, მე დამაბინავეს. მომცეს დამამშვიდებელი აბები, მაგრამ კბილები დავკრიჭე, არ დავლევ-მეთქი და სანიტარს წყლიან ჭიქაზე ხელი ავუკარი, ზედ შევაქციე.

ხელის აკვრა ეგრე არ უნდაო, ნითელბალნიანი ხვედასავით მძიმე მუშტი ცხვირზე რომ „მომეცაცუნა,“ ვიკადრე და გავაღე პირი.

ისე, რა სამართალია, იმ მუშტის პატრონს „ბრონი“ ჰქონდა, მე კიდევ სასაკლაოზე მიშვებდნენ.

პალატაში რომ შემეყვანეს, უკვე ბნელოდა. დანარჩენები იწვნენ, მაგრამ არ ეძინათ, ცხვირამდე წაფარებული ჭუჭყისფერი საბნისპირიდან, მოძრავ, გუგებში აცეკვებულ თვალებს ერთნაირად აკვარკვავლებდნენ.

გავიდნენ ექიმი და სანიტრები. წავავლე ტაბურეტს ხელი რომ ახლოს მივიწიო და ტანსაცმელი დავაგლაგო, მაგრამ რას მიინეც, დაბეტონებულია ყველაფერი, სკამიც, საწოლიც, მაგიდაც. წავიფარე საბანი და თვალმოხუჭული გავიტრუნე.

* გაგრძელება იხ. „ჩვენი მწერლობა“, №24

გადის რამდენიმე წუთი, კიდევ — რამდენიმე, კიდევ... შეწყდა დერეფანში ხმაური.

უცებ რიგ-რიგობით აჭრიალდა სანოლები, მალე, თითქოს ხიდან კატებმა ისკუპესო, იატაკზე, შიშველი ფეხების რბილად დახტომის ხმა გავიგონე.

ვაჭყიტე თვალები, რა ხდება-მეთქი და, ნეტამც არ გამეხილა — ოთხივე, კისერნაგრძელბული, მე დამჩერებია.

მიყურეს, მიყურეს და მოვხეშოთო? — ერთმანეთს გადაულაპარაკეს.

მოვხეშოთო!

ვიდრე გავიაზრებდი, რა უნდოდათ, ანდა მოხეშვა რას ნიშნავდა, დამიჭირეს, ახლადგადაპარსული, ნანვერალივით თავი ილღიაში ამოიდეს და შუათითგამონეული მუშტით, რიგრიგობით, გემოზე „მომიხეშეს.“

ისე მემწარა, მეგონა კანი გადამძვრა. მერე არც ჩემი დიდი ყურები გამორჩათ მხედველობიდან, ლამის დამაგლიჯეს. ნამაფარეს საბანი, ერთი-ორი ფერდებშიც მითავაზეს, ალბათ, ხმა არ ამოიღო და ისევ უხმაუროდ გაილაღნენ თავთავისი სანოლებისკენ.

ნამოვხტე, ავტეხო კარზე ბრაზუნი, ვაითუ უარესი მოხდეს.

რა ვქნა, გავჩუმდი.

მეორე დღეს, ვითომც არაფერი, თითქოს არც ვარსებობ, არ მაქცევენ ყურადღებას, ან წვანან, ან ოთახში წინ და უკან დადიან.

ამ ოთხიდან ერთი, შედარებით ასაკოვანი, ჯმუხი, ჯანიანი კაცი, ამოჩემებულ კუთხეში დგას და კედელზე გაკრულ „რუკაზე“, როგორც ეტყობა, ცხელ წერტილებში „ქინძისთავებს“ ამაგრებს, მერე ჩაფიქრებული კედლიდან კედლამდე ბოლთას სცემს. ამ დროს, დანარჩენები გასუსულები სხედან და გააყოლებენ თვალს, გამოაყოლებენ...

კაცი მხოლოდ მაშინ ჩერდება, როცა პირთან მარჯვენა ხელს მიიტანს, თითს მოქაჩავს და ნასიამოვნები „ბოლს“ გამოუშვებს.

გასაგები იყო, რომ ენეოდა, მაგრამ ხელი ცერანეული რატომ ეჭირა, თავიდან ვერ გავიგე, მაგრამ როცა „დაბურტყა“, ხელახლა დატენა და ასანთი „მოუკიდა“, მაშინ მივხვდი, „ჩიბუხს“ აპლაკუნებდა.

ბოლთის ცემის დროს მოხრილი მარჯვენა წელთან ჰქონდა შემოდებული.

მეგონა, მეორე დღე მშვიდად ჩაივლიდა, მაგრამ, როგორც კი დავნექით, ცოტა ხანში, იგივე განმეორდა, ისევ ცხარე ცრემლები მაყრევიწეს, ოღონდ, ამჯერად, „ტროიკამ“ შეასრულა თავისი სამუშაო — მომიხეშეს თავი, დამაგლიჯეს ყურები და გამომიტყვიფეს ფერდები.

მეოთხე, „ჩიბუხიანი“, განზე იდგა და, როცა რაღაც ანიშნა, მაშინვე მომცილდნენ, თხუნელებივით ლოგინებში შეცივიდნენ.

მესამე, მეოთხე დღესაც გემოზე დამალილავეს, თავბერი მანყველიწეს. ამაზე უარესი ჯარში რა უნდა დამმართვოდა-მეთქი და, ბედი ვცადე, იქნებ „ჩიბუხიანს“ მოვუღბო გული, რაღაც მეშველოს-მეთქი — „რუკას“ მოღუშული რომ ათვალეირებდა, იდაყვზე მოწინებით შევებე:

„უფროსო, ძალიან ბევრს ენევიტ,“

მძიმედ მოღრიჯა კისერი.

„ბევრს ენევიტ, განყენთ-მეთქი,“ — გავუმეორე.

ამოიოხრა.

„ვიცი, რომ მანყენს, მაგრამ რა ვქნა, ჯანმრთელობის გაფრთხილების დრო მაქვს? — რუკას გააყოლა „ჩიბუხის“ ტარი, — აქეთ ფელდმარშალი ლისტი და პაულიუსი, იქით — ზურგში, გუდერიანი, ვერმასტის სატანკო არმიებით... ჩემებმა ბრძოლა კი იციან, მაგრამ ჭკუა მხოლოდ იმდენი აქვთ, არაყის ჭიქის პირთან მიტანას რომ უნდა... ვისი ბიჭი ხარ, რატომ არ მეცნობი?“ — მკითხა უცებ და ისე დამაკვირდა, თითქოს მართლა პირველად მხედავდა.

კუტი-გოგიასი-მეთქი. მამაჩემს, ბავშვობაში, კუტი პური ჰყვარებია და მას მერე, მთელ ოჯახს კუტებს გვეძახიან.

„კუტი-გოგია, კუტი-გოგია,“ — მოქაჩა ღრმად ჩაფიქრებულმა „ჩიბუხი.“

„მამაჩემს იცნობთ?“ — ჩავებლაუჭე უკანასკნელ იმედს.

ჩვენ ყველას ვიცნობთ, ნარბანეულმა დამიქნია „ჩიბუხის“ ტარი, მერე ერთხანს მაკვირდებოდა, თვალმოჭუტული თითქოს რაღაცას ანგარიშობდა, ბოლოს კედლისკენ შებრუნდა, „ყურმილი“ აიღო, ყურთან მიიტანა და ჩემს მწამებლებს ანიშნა, გაჩუმდითო.

პაუზის შემდეგ, ომანხიანად ჩასძახა:

„პოსკრიბიშევე, პოსკრიბიშევე, ახალი რა ისმის ფრონტიდან, ისევ გვიტყვენ? არა, მამ ჯიგარს აცლის რაკასოვსკი! მალადეც, მადლობა ღმერთს!.. ჩვენც რა გვიშავს, ალბათ, მალე გამოგვწერენ ლაზარეთიდან... პოსკრიბიშევე, ერთი ბელადთან შემაერთე... ეხლავე, რა თქმა უნდა!.. — წელში გასწორდა, მხრებში გაიმართა, თითები ნერვიული კანკალით გადააყოლა თმებს, — გამარჯობათ, იოსებ ბესარიონის ძე... სოსო, აქ, ჩვენთან, კუტი-გოგიას ბიჭი იმყოფება... დიახ, დიახ... მეხუთე დღეა და, როგორ მოვიცქეთ, დაკითხვა გავაგრძელოთ თუ შეწყვიტოთ?.. როგორც გვიბრძანებთ, ჩვენ არ გვეზარება... კეთილი, კეთილი, ამხანაგო სტალინი!.. — ყურმილი დაკიდა, გახარებული მომიბრუნდა და ხელი ღონივრად ჩამომართვა, — გილოცავთ, ამხანაგო, შეგინყალათ ბელადმა!“

დანარჩენებში უკმაყოფილო ბუზღუნი ატყდა, მაგრამ ჩემმა „შუამავალმა“ ფეხები დააბაკუნა, როგორც ბელადმა თქვა, ისე იქნება, ამას დღეიდან ბუზი არ აუფრინდესო.

„დამაჯერებლად“ გათამაშებულმა სცენამ ისე ამაღელვება, რომ ხმანასულმა საყვედურით ამოვიღულულე, თუკი ამდენი შეგეძლოთ, რას მერჩოდით, ბელადს აქამდე რატომ არ დაუერეკეთ-მეთქი.

თქვენ, კუტი-გოგიას ბიჭო, ნუ მასწავლით ამხანაგ სტალინს როდის უნდა ველაპარაკოვო! — „თქვენობაზე“ გადავიდა და დამიქნია თითი.

გავისუსე — რა ვიცი, კაცნი ვართ, ისე იოლად „ელაპარაკა“, არ გაუჭირდება, კიდევ დაუკავშირდეს ბელადს და გადაწყვეტილება შეაცვლევიწოს-მეთქი...

ომი მალე დამთავრდა. მეც, „გამოჯანმრთელებული“ გამომწერეს და ჯარში მაინც მიკრეს თავი.

მერე რა გადამხდა, ამაზე სხვა დროს იყოს...

ისე, თუ შეგიძლია გაჭირვებულ კაცს უნდა დაეხმარო, კიდევ რომ არ გქონდეს ტელეფონი, მაინც უნდა აიღო ყურმილი და დაურეკო, ვისაც საჭიროა...

დარეკე, შენი რა მიდის... იმ ჩემი თანაპალატელივით, ასე ბევრი რომ მოქცეულიყო, ვინ იცის რამდენი გადარჩებოდა.

მეზღვაური

ეზოს მალლა, ხეივნის ქვეშ გამოკიდული, წაგრძელებული აივანი, მორწყულ ფილაქანზე ათრთოლებული ვაზის ფართო ფოთლების ჩრდილით და რკინის მოაჯირებით.

დასავლეთის ქარს ზღვის სუნი მოაქვს.

სავარძლის დაქანებულ საზურგეზე მიწოლილს, მგონია გემბანზე ვარ, სულ ახლახანს რომ მოხეხეს მეზღვაურებმა, რეზინის მილებიდან გადმოჩქეფილმა ჭავლებმა გადააკრი-
ალეს თევზის ქერცლიანი იატაკი, ჩამორეცხეს შტურმანის კაბინას მიდგმული კიბე.

წყალი ღარებში ნელ-ნელა მიინურება.

ქარში ტკაცუნებს, ბოძიდან ბოძზე გაბმულ მავთულზე აფრიალებული თეთრი ზენარი.

მეზობელ ეზოებში, გადამნიფებული ალუბ-
ლისა და თეთრი ბლის ხე-
ები ღუის, დამსკდარი ნა-
ყოფიდან ბადაგი წვეთავს და ზუზუნებს ფუტკარი.

ქალაქის ძველი უბანი დაღმართზეა შეფენილი, დამრეცხე ახორხლილი პატარა, ეზოიანი სახლე-
ბით. სახლების უმეტესობა კრამიტით არის გადა-
ხურული, დანარჩენებზე თუნუქი ან შიფერი გაუ-
ხურებია სიცხეს.

შიფერზე, შუადლით მტრედები დასხდნენ, მაგ-
რამ მაშინვე წამოფრინდ-
ნენ, ალბათ ფეხები დაენვათ.

ფრიალებს თეთრი ზენარი.

„როგორც აფრის ტკაცუნა“...

ჩემს წარმოსახვაში აივანი ირწევა, ქანაობს, წინ და უკან დალოდავს დომინოს ქვებით გადახებილი პლასტმა-
სის მაგიდა. აივანს შემოვლებულ აზბესტის ლურჯად შე-
ლებილ ფილებს, როგორც გემის ფერდებს, ქაფის ბუშტუ-
ლებიანი, აზნექილი ტალღები ეხლება.

მზე ჩადის. ვიცი, ოღრო-ჩოღრო, ვინრო ქვაფენილებზე სიცხით გალექებული ძაღლები და ბურთს ადევნებული ბავ-
შეები დარბიან. უფრო ქვემოთ, მდინარისაკენ, ხიდისყურ-
თან, ბაზარია, აყაყანებული ჯიხურებით, დახლებით, მაღა-
ზიებით, საკანცელარო ნივთებით და ოჯახიდან გამოტანი-
ლი წიგნებით, უნიკალური ლექსიკონებით, მხატვრული ლი-
ტერატურით გავსებული ფარდულებით, მაგრამ საბაზრო ჩანთებს დაქიჩმარებულ მოქალაქეებს წიგნებისათვის ნაკ-
ლებად სცხელათ... ეს ყველაფერი ვიცი, თუმცა მაინც მგო-
ნია — რომ აივანს იქით ვრცელი, უნაპირო ზღვაა, ნარბენი-
ვით დალილი, ათახთახებული წყლის ზედაპირით, უხსო-
ვარი დროიდან რომ მოდის, მოილტვის, ებლაუჭება ქვიშიან ნაპირს, დააგორებს გლუვგვერდებიან, გახეხილ ქვებსა და
ჭრელა-ჭრულა კენჭებს... ებლაუჭება, მაგრამ ბოლოს მაინც უკან იხევს, ნაპირზე სველი ზოლი და სარძევე კბილებით მოცვლილი, თეთრი, ჭიანჭამი ნიჟარები რჩება...



მეც კარგი „ნაგორავები“ ვარ, მეც დამიბლაგვდა გვერ-
დები, ბობოქარმა, ცხრაბალიანმა ტალღამ აქ ამომისრო-
ლა, ამომავდო აივანზე და მიმატოვა, გამეპარა, როგორც ჩაძინებულ ბავშვს მშობელი...

ზღვას დავავინწყდი, მაგრამ მე მახსოვს:

„... მოვარდნილი ზღვიდან!..“

ის სანაპიროზე, წყალში შეჭრილ დამბებთან ახლოს, სა-
დაც პატარა ყურეში, ათასგვარი საჭმლის ნარჩენი ტივტი-
ვებდა და გამუდმებით თოლიები ირეოდნენ, შემალგებულ
შეზლონგზე იწვა. დასავლეთისაკენ ჰორმიქცეულს გამხდა-
რი, ძარღვებამოყრილი, გრძელი, კნაჭა ფეხები აქეთ-იქით,
ხოფებივით ისე გადაეყარა, თითქოს მას არ ეკუთვნოდა.
გახუნებულ მაისურზე ძლივს ეტყობოდა ლურჯი ზოლები.

ჩიბუნის პლაკუნით გაყ-
ვითლებულ უღვაშებს
თავი ჩაექინდრათ და ბო-
ლოებით ნიკაპს ეცაცუნე-
ბოდნენ.

ყოფილი მეზღვაური მომყავო, სიცხით ადულე-
ბულ ლუდს პირდაპირ ბოთლიდან სვამდა და
გულ-გვამში დატრიალე-
ბული მთელი უსიამოვნე-
ბა სახეზე ეხატებოდა.

ზღვას ისიც აღარ სჭირდებოდა, რადგან ბო-
ლომდე, გემოზე გაცვი-
თა. ნაპირიდან ნაპირზე, ქვეყნიდან ქვეყანაში, გე-
მიდან გემზე ეთრია, ეწან-
ნალებინა და ბოლოს ნა-
რიყივით აქ ამოეგდო.

მხატვარი სოფო ელიაშვილი

ამოესროლა, როგორც პრეისტორიული, გადაშენებული უცხო მოდგმის, დაფუტუროებული, სამუხეუმე ჩონჩხი.

ზღვაზე გავლებული ჰორიზონტისკენ თვალგამტერე-
ბული კაცი ძნელი გასარკვევი იყო ახლა რაზე ფიქრობდა, ან თუ ფიქრობდა საერთოდ. ტალღების აჩქარებული დგა-
ფუნი გაკრეფილ, უკაცურ სანაპიროს სიმშვიდეს უკარგავ-
და და ყურადღებას უფანტავდა ყოფილ მეზღვაურს, მხარ-
თან საკრებელივით რომ ედო ქალთევზას დაჭმუჭნული სვირინგი. და რადგან ირგვლივ საინტერესო არაფერი ხდე-
ბოდა, ყელგადაგდებული ძველი ზღვაოსანი, ისევ სვამდა ყუაზე დაყვანილი ბოთლიდან დუბელა სითხეს. ყანყრატო, სიმს დაჯახებული კლავისის რბილი ჩაქუჩივით ადი-ჩადი-
ოდა და ყლურწვის დაგუბებულ ბეგრებს გამოსცემდა.

ჩამავალი მზე, თვალმოხუჭულს, პირდაპირ შუბლზე აჭერდა. მეგონა სწოვდა, აშრობდა ხსოვნაში ჩარჩენილ წლებს, დღეებს, წუთებს, ავიწყებდა მეზღვაურულ ფათე-
რაკებს, შემთხვევით გაცნობილ, იაფფასიანი სუნამოთი აქოთებულ, სიყვარულისაგან გამონურულ ფოლორცის ქა-
ლებს, ის და მისი მეგობრები, პორტის ბნელ ქუჩაბანდებში რომ სტოვებდნენ და ნაპირზე დაბმული, ნაცნობი გემის კი-
ვილზე, თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ ხოლმე.

მთელი ცხოვრება მართონელივით ირბინა, სიბერეს კი მაინც ვერ გაექცა.

ანდა ვინ გაჰქცევია?

ის ახლა აქ იყო. სულ. სამუდამოდ. ბოთლის კი არა, სიცოცხლის დაცლამდე. ბოლო ყლუპამდე...

ალარ უნდოდა ზღვა, ალარც თოლიების ჩხავილი, ნაპირზე რომ დახანხალბდნენ და რალაცას ძიძგნიდნენ.

ალარ უნდოდა ეს „დეკორაცია,“ მოგონებათა ჭრილობებს უღიზიანებდა მხოლოდ. ალარც — იაფფასიანი, შემყავებული ლუდი — ორივე ყელში ამოსდიოდა.

მაინც, ყოველ დილით, თითქოს ხელი ჰკრესო, უთენია წამოხტებოდა და აქეთ, ზღვის საყურებლად და ლუდის დასალევად მობრბოდა.

ზღვამ ზურგი აქცია, ახლა სხვას აგორავებდა, სხვას ცვეთავდა...

ის სხვა მე ვიყავი...

კიბა

გამოვა ჩაცმულ-დახურული, გაპინკინებული, თვალს მოგჭრის მაუდის ნაჭრით გადაპრიალებული, უმტვერო, შავი ფეხსაცმლიდან არეკლილი სხივი.

გამოვა და გადახედავს ეზოს, ქვაფენილიან დაღმართს, სოფელ-ქვეყანას, სინათლეზე კიდე ერთხელ ჩააჩრდებდა გაბზარულ ჯიბის სარკეს, მარცხნიდან მარჯვნივ გადაივარცხნის მოკლედ შეჭრილ თმას და კმაყოფილი, მძიმე ნაბიჯით დაუყვება აჭრიალებულ, კინკიბურაზე, დაკიდულ, მოაჯირჩამოვარდნილ კიბეს. მძიმედ — იმიტომ, რომ თუ მარჯვედ არ იქნება, რა იცის რომელი საფეხური უმტყუნებს, სად გაიღებს ლანანს დაფუტუროვებული ფიცარი.

ახოვანი და ფერხორციანი კაცის სიმძიმით კვნესის და კუთავს კიბე. ამ კვნესაზე გამოხედავენ მეზობლები, ზოგი ფანჯრიდან, ზოგიც — ეზოდან.

ჟორას სიცოცხლეო, — დაუფარავი ირონიით შეაგებებენ სალამს, თან — შენი კიბის ცოდვით აღარა ვართ, როდის უნდა დააყენო საშველი, მაგ სიმალლიდან რომ ვინმე გადმოიჩეხოს, სულიც არ დაჰყვებაო, დაახვედრებენ ტრადიციულ კითხვას და, ისეთ სახეს მიიღებენ, ეტყობა, იციან ჟორა რასაც უპასუხებთ:

ორი „ბალკალა“ მაკლია, ბიჭები დღეს-ხვალ მიშოვნიან, მომიტანენ და უნდა შევუბერო, გავაკეთო, დაგავენოთ ამის ჭრილისაგანო, — ხველეუბას მწვეელი კაცის ხრინწს ამოაყოლებს და თავდაც მოიკითხავს, უბანში მშვიდობა თუა, ნუხელის სროლის ხმამ გამაღვიძა და ხომ არ იცით, რა მოხდაო.

გააღვიძა კი არა და!

ჟორა რომ ჩაიძინებს, ჩვილი ბავშვის ღრმა, უგონო ძილით, სახურავიდან ჩამოყოწილმა წვიმამ ჭერიც რომ ზედ დაამსოს, ვინ გაანძრევს, გულისთქმაში ვინ ჩააგდებს. თუ მეტისმეტად დაიქცა ქვეყანა, ალარ დაადგა საშველი, დიდი-დიდი მშრალზე გადაჩრდეს სანოლიანად და ქვეყნიერებაზე გამწყრალი და ზურგმექცეული, ისევ ჩაბარდეს ძილის პატრონს. ანდა თვალის რაზე გაახილოს, ჩალანგარა, შპალერახეულ კედლებზე რას დაინახავს ციხის სათოფურებით დახვრეტილი ნალესის გარდა, შიგნით მყუდროდ რომ ჩამსხდარან თვალეზანაპნაპებული თავგები და გაცეხული უსმენენ ჟორას ხვრინვას.

რაც მართალია, მართალია, დილით ადრე დგება, საღ, სახამლამე კბილებს რომ გაიკრიალებს, დაბორილდება

სამზარეულოში, მოხდის თავსახურებს, შემორჩენილ, ჯერ კიდევ გაუყიდავ, თითო-ოროლა ქვებს და იმედგაცრუებული დაიღრუნს:

ქალო, საქმეზე მაგვიანდება, არაფერი გაგიკეთებიაო.

რას ეძებ, რა მოგიტანიაო, — უფრო ხმამალა, ძილბურანიდან გამორკვეული, „ქალო“ გამოსძახებს.

ვიდრე ცოლი ქმარს შემამკობელ სიტყვებსაც მიაყოლებს, ჟორა თავს დაახურავს ემალში და თუჯში გამომწყვდეულ სიცარიელეს და წამიერი სინანულით გაიხსენებს, ოდესღაც ამ ქვაბებს, დღედაღამ თუხთუხი რომ გაჰქონდათ, მოავგონდება ხარშვაში გატიკნული, ფეხებაპლაკული, ჩაყვითლებული კვერცხისმდებელი დედლები და ქაფქირი რომ ხაპავდა ხბოს ბეჭს მოგდებულ ქაფს...

იყო დრო, ბრმა-ყრუ ქვეყანაში, ჟორაც შოულობდა, შოულობდა ბევრს, რამდენიც უნდოდა და რამდენიც შეეძლო. კუპონივით გაუფასურებული და გათახსირებული დრო, როგორც მრავალთა — ჟორას ნისქვილზეც ოხრად აყრიდა გათეთრებულ თუ გაშავებულ ფულის ტომრებს... შინაური თუ გარეული თვალეზმა შესციცინებდნენ, ოხრად ნაშოვნს ქარს ატანდა, მაშინ არ ანუხებდათ მეზობლებს ჟორას „ანტიკვარი“ კიბის ჭრიალი... ეგონა, სულ ასე იქნებოდა, მაგრამ დაშრა უკვდავების წყარო, დაშრა და... კიბის შესაკეთებელი ორი „ბალკა“ დღემდე „მიაქვთ“ მის სიკეთედავინწყებულ ბიჭებს.

ეჰ, გულმავინცი და უმადურია ადამიანის მეხსიერება, მითუმეტეს იმათნარებისა, ჟორას რომ ეხვეოდნენ გარეშემო.

დამთავრდა ქვაბების „პარადი“ — ამოიოხრებს ჟორა, მაგრამ რა ქნას, ჯავრს დიდხანს ხომ არ გაიყოლიებს, ჯავრისთვის რომ თავი წაელუნა, აქამდე რამდენჯერ იქნებოდა გადაღებლი მისი საფლავის რკინა — მაინც იმედინად მისწვდება ერთადერთ, მყარ, მაღალზურგიან სკამზე პენენიკად გადაკიდულ გამოსასვლელ ტანსაცმელს. ჩაიცვამს და გამოვა, დაენახება ამომავალ მზეს. დაუყვება კიბეს და სინანულის უკანასკნელ ნარჩენებს, ბოლო საფეხურზე დატოვებს... ხოლო, თუ დინგით გადახსულივით მიჩეულ-მოჩეული, ლუარსაბისეული ეზოც ფათერაკის გარეშე გადაიარა, გავიდა გარეთ, ხომ აღარაფერი უჭირს.

აქაც შედგება, მოუკიდებს სიგარეტს, ჩაფიქრდება, გზაჯვარედინთან მისული „უმცროსი მასავით,“ ვითომ დიდი არჩევანი ჰქონდეს, საით წავიდეს, რითი დაინყოს „სამუშაო დღე,“ რომ არც საქმეს აწყინოს და ოჯახსაც გამოადგეს.

ბოლოს მაინც იქით მიდის, სკვერში აწონილი, ორი მტვრიანი ფიჭვის ქვეშ ჩალაგებული ძელსკამებისკენ, გაუსაქმურებული ქვეყნის უმუშევარი მოქალაქეები რომ იკრიბებიან და გახსენებებშილა მიჰლევენ წუთისოფელს.

ესეც იქ მივა, იქ ჩაემატება.

მალაზიიდან მომავალი ქალები თვალს გააყოლებენ ჟორას — უცხოში რო დაინახოს, კაცი არ ეგონება? ჩვენი მთავრობასავით არის, არც ისინი იკლებენ რამეს და არც — ეს, არც იმათ ეტყობათ გადატაკებულ-გასაცოდავებული ქვეყნის პატრონები რომ არიან და არც — ჟორას, კიბე ფეხქვეშ რომ ეცლებაო.

ადმინისტრაციულ სახლთან გავლისას, თვალს გადაავლებს შემოჯარულ, ნაირ-ნაირ მანქანებს და საჩვენებელ თითს საფეთქელთან მსუბუქად დაიკაკუნებს, უტვინო,

უტვინო, ერთ ვარდს შენ კი ვერ დაიჭერდი, ახლა ხომ კაცი იქნებოდით...

ჰაი, ჰაი, რომ იქნებოდა, თვითონ რომ უნდა, ის იქნებოდა.

აი, კაცის კი, რა მოგახსენოთ.

კაცი — არა, რა თქმა უნდა.

კაცობა მართო ვარდის დაჭერით რომ „იზომებოდეს“, ან ღმერთს რა უჭირდა, ანდა კაცობრიობას.

* * *

ერთ დღესაც მოსახდენი მოხდა:

ღამით ჩაიქცა ჟორას კიბე, სიჩუმეში დაიძახა, გადატყდა ხერხემალში, მოეკვეთა მუხლები და ნაწილ-ნაწილ დაიშალა, დაებერტყა ხმაურით მიწას, როგორც უდაბნოგამოვლილი, მშიერ-მწყურვალი აქლემი.

ხმაურზე გამოვარდნილი, ნიფხავპერანგიანი, თვალებდაჭყეტილი ჟორა, შუშაბანდის კარის ჩარჩოში დარჩა გადაიდებული სურათივით.

„ფუი, ჩემი ბედის რა ვთქვი, საითაც გავიქეცი, იქით — ნავიქეციო“ — ისევ ბედს შემოსწყრა ჟორა.

ესლა რა უნდა ვქნათ, კაცოო, — სიბნელეში მკრთალადლა გაიელვეს ჟორას უკან, წყევლა-კრულვით შეყრილმა, ღამის პერანგიანი თანამეცხედრის მკლავებმა.

დილა საღამოზე ქვიანია, გათენდება და მივხედავო.

— შენ მოგხედოს მამაზეციერმა, შენ... — მოჯახუნებულმა კარმა განწყვიტა ქალის ხმა.

მიყურადებულ მეზობლებს დაძაბულობისაგან ყურები ეტკინათ, მაგრამ ველარაფერი გაიგონეს — უშნოდ აწონილი, მაღალჭერიანი, საუკუნის სახლი ყბაჩამოვარდნილივით ჩანდა სიბნელეში.

ჟორას ოჯახი, ამიერიდან, ცას უფრო ეკუთვნოდა ვიდრე მიწას და, ორბიტას აცდენილი თანამგზავრივით, რა ხერხით დაუბრუნდებოდა დედამინას, არავინ იცოდა.

„რა იქნებოდა, ერთ ვარდს შენ კი ვერ დაიჭერდი?“ — ჟორას საფეთქელთან დასაკაკუნებლად მიტანილი ხელი ჩამოუვარდა და ისევ ძილმა წაართვა თავი.

ღუგეუვი

კარი გაიღო და საჩხრეკმა თავი შემოყო:

— აბა, მიინ-მოინით, ბიჭებო და ეს ვაჟკაცი შემოუშვით.

— სადღა უნდა მივინ-მოვინით, ჩვენც ძლივს ვეტყვით, — აბუზღუნდნენ დამხდურები.

— მაშ რა ვქნათ, ესე ხო არ ვიქნები კარებში გახიდული!

— გაბრაზდა ახალმოსული.

— რას იხილებოდი, ჯერ გაგეგო, შენი ადგილი იყო თუ არა.

— მაშა რომ მოგხვდებათ, არც მაშინ მიინევთ? — ახედა დაიმედებულმა საჩხრეკს.

— შენ რალაც დიდ გულზე ხარ, აი! — აბუზღუნდნენ, მაგრამ მაინც მიდგნენ-მოდგნენ, მიინ-მოინიეს, შეუშვეს დაუპატიჟებელი სტუმარი.

ახალმოსულმა თავი ჩამთბარი კუთხისკენ დაადო.

— ერთი უყურეთ? არჩევანშიც ხო შედის!.. იმ კაცივით მოგდის, პატარძალთან დანოლა რომ მოინდომა...

— ჯერ მოვენყო და პატარძლისა მერე მიამბეთ... უჰ, უჰ, უჰ, ძლივს არ გამითბა გვერდები! — მაინც შეიტანა თოვლიანი ტანი და მიიხედ-მოიხედა, — ესლა გამარჯობათ!.. გარეთ დიდი ყინვებია, ბიჭებო, დიდი...

— ასე უცებ?

— რალა უცებ, დალოცვილო, ჩამოილია დეკემბერი... ეტყობა, ტყიდან კაიხნის წამოსულები ხართ.

— ჰო, ნიფლიანიდან დაგვაცურეს, სულ ქვალორლიან დაღმართებში გვარბენინეს, დაგვებეგვა გვერდები.

— თბილი ნვიმები მოდიოდა, პირველი ფიფქის ჩამოყრამდე ჯერ სად იყო... — ჩაერია მეორე.

— სულ ერთმანეთსა ჰგავხართ.

— ერთი ხის განაყრები ვართ და მაშ ვის ვემგვანებით.

— ისინი გან-გან რათ იყურებიან? — ანიშნა ერთ მხარეს მინოლილებზე, ცხვირებს რომ აქსუტუნებდნენ.

— ეგენი ჩვენი ძმები არიან, მაგრამ ხმას არ გვცემენ.

— აქ მაინც რატომ არ შერიგდებით?

— ეე, დედამამიშვილმა თუ გული აიყარა, მერე... ჩვენ კი შევრიგდებოდით, მაგრამ ცოლები ჰყავთ ისეთი ხთვისცეცხლები...

— ძალიან მიკვირს.

— შენ ის გვითხარი, რა ხდება, რა ამბავია ტყეში?

— ეჰ, ძვირფასებო, ტყე სადღა არის. ეგეთი ამბავია, ცოდვის კითხვა ტრიალებს, — აიბლუვლებენ-ჩაიბლუვლებენ მორებით თავმოდგმული სამხიდიანი მანქანები. აოხრდა და მოტიტვლდა იქაურობა... შეილებილა დარჩა, შვილები, ჯერ სუსტები, წვრილები, სართაც ვერ გამოიყენებენ, მაგრამ ამათ ხომ არავის დანდობა არ იციან... დიდი დარდი გამომყვა, დიდი! — თავი ჩაჰკიდა და დამდნარი თოვლის ცრემლი ჩამოუცურდა, — დღედაღამ, ყველა კუთხე-კუნჭულში ხერხს გააქვს ხრიალი... ნადირი ღამის მინაში ჩაძვრეს, აღარ იციან სადღა წავიდნენ, ყვავების ცოდვით ხომ აღარ ვიყავი, დაფეთებულები ხან საით მიიხვეწებოდნენ და ხან — საით. კაი ადგილას ვიდექი, მზის პირველი სხივი ჩემს კენწეროს მონათებდა ხოლმე... რაც ჩემთან ფრინველი მოდიოდა... ესლა ისე მოტიტვლდა იქაურობა...

— რათა, განყდა პატრონი?

— განყდა და უფრო უარესი... გვავალებენ და რა ვქნათო, ბოდიშობენ ხისმჭრელები.

— ვინ გვავალებსო.

— თვითონ ისინი, შენ რომ პატრონებს ეძახი... ერთმა მუშამ ისეთი ლექსი თქვა, ძირზე ხერხის პირი მედო და მაინც სიცილით ვკვდებოდი.

— იქნებ გაიხსენო.

— ბოლო ასე მთავრდებოდა: „ჩვენს მეტყევეს ქოსას, მართმევენ რკოსა, თუ მიუტან რკოსა, სხვა რა უნდა ღორსა?..“ თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, ტყეში კი ვართ, მაგრამ ეშმაკს მაინც არ სძინავსო...

— შენ, ეი, ვერან, ძან დაუჯერევავემი გადახვედი, აი? — ვილაც ხმაჩახრინუნულმა მუჯუღეგუნი ნაჰკრა უკნიდან.

— რაც გავიგონე, ისა ვთქვი.

— მერე, არ იცი, კბილები რათა გაქვს? ენას უნდა დააჭირო!

— შენ რა კუდი მოგწნა, შენ ხომ არ ხარ ის ქოსა მეტყევე?

— ვინცა ვარ არ გაჩვენო!

მამა

— აჰა, შარო საიდან მოდიხარო!

— თან ყურები გამოგვიყრუე და, ეგეთ რა ადგილას იდექი, ძაან რომ მისტირი?

— რცხილნარებს ზემოთ, სულ დარჩეულ მუხიანში... აკი გითხარით, მზის სხივი პირველად მე ჩამომხედავდა ხოლმე თვალებში და დილის ნიავის გაღვიძებასაც პირველად მე ვიგებდი.

— მაშ, ყველაფერი შენა ყოფილხარ და ჩვენ მატყლი გვიჩეჩია! — ვერ ისვენებდა ხმაჩახრინნული, - აბა, მე სად ვიყავი... დათვიანი სერი გაგიგონია?

— არა, არ გამიგონია.

— ობლისწყარო?

— არც ეგა!

— არაო, გესმით, ძმებო, ეს ჩვენებური არ არის... ვაგონს ხომ არ ჩამოჰყე საიდანმე?

— რას მიედ-მოედები, წმინდა სისხლის მუხნარიდან ვარ-მეთქი...

— ჰო, ჰო, გარეგნულადაც ვილაც უჯილაგოსა ჰგავხარ! — მუჯლუგუნი ნაჰკრა იმან, უკანამ.

— უჯილაგოცა ხარ და ერთით მეტიც...

— ხომ გახსოვთ, ბიჭებო, ბებერი ყვავი, თეოფილეს რომ ეძახდნენ... სადაც ის არ ყოფილა!.. ქვეყნის დასალი-ერში, ცხრა მთას იქით, თურმე იმსიგრძე ზამთარია, ბალახი ხეირიანად თვალის გახელასაც ვერ ასწრებს... იქ თეოფილეს უჯიშო ტყეები უნახავს, რომ ჰყვებოდა, თმები ყალ-ყზე წაგივიდოდა, ნამდვილად იქიდან იქნები...

— მოისვენე-მეთქი.

— როგორც ბუნება ხეებიც ეგეთი ცივები და უკარება არიანო...

— დაყენდი, თორე...

— თორე, რა, დაუკითხავად შემოეტენე და კიდევაც იმუქრები? — გაეჭიმნენ აქეთ-იქიდან.

— რამეს გამომტყუებთ, იცოდეთ!

— გამომტყუებთ! გაიგონეთ, ბიჭებო?.. ვინ არის, საიდან მოთრეულა, ამდენს რო ბედავს?

— ისეთი წასცხეთ, თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცივდეს! — კეფაში უთავაზეს უკნიდან.

— ეე, ცოლების მონებო, თქვენ რალას გაჩუმებულხართ!..

გაინიეს ერთმანეთზე, ზოგი ახალმოსულს მიემხრო და ატყდა ერთი დავიდარაბა, ამტვერდა, ანაცარტუტდა იქაურობა.

— ინვიან და მაინც ერთმანეთსა სჭამენ, კაცო! — ამოიხხრა დანახშირებულმა მუგუზხალმა და ფერფლის ქუთუ-თოები სამუდამოდ დახუჭა.

* * *

ვარცლთან დახრილმა ქალმა, დაზვინულ ცომს ფქვილიანი ხელი დაუტყაპუნა, გაღვივდესო, საფენი წააფარა, აბორგებულ ღუმელს ყური მიუგდო და ქმარს უთხრა:

— არ გესმის, კაცო? ერთი მიხედე, რა დამართა მაგ მუდრეგს!

კაცმა ღუმელთან ჩაიმუხლა, ნაჩხუბებული შეშები და-აშველა, საჩხრეკით თავები ერთმანეთზე დაუნყო, პლასტ-მასის დანაკლულებული ბოთლიდან ნავთი შეასხა და გამოვარდნილ ალს კარი მიუკეტა.

იმ პირქუში წლებისა და ზამთრების ერთ უბედურ დამეს, ყინვა ძვლებს რომ ამტვრევდა და გულ-მუცელს ბუგავდა, შვილის უსულო სხეული მიუტანეს. სუსტი, კაფანდარა ბიჭი, ვითომ ისე ვერ მოერეოდნენ, ჯვარედინი ცეცხლით ჩაეცხრილათ და ყურისძირში საკონტროლო ტყვიაც დაეკრათ — ეს ჩვენი, ქართული წესია, თუ ვკლავთ, უნდა „კარგად“ მოვკლათ, რომ გადარჩენის პატარა იმედიც კი არ დავუტოვოთ. ბიჭიც, ასე, ბოლომდე გაენირათ, მეგობრის დაბადების დღიდან წამოსულს ასდევნებოდნენ და ეკლესიის კუთხეში ჩაეკლათ, ჩაჩოქილი, ძირს თავდამხობილი მიეტოვებინათ.

ყინვაში ნაგდები, გაფიჩხული, დალიპულ კიბეზე ბიჭებმა ბორძიკით ამოატარეს, ხვნეშით შეიტანეს და შუა ოთახში, იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე დაასვენეს.

„მკვდარი მიიმეა,“ — შეებრალა შვილის მეგობრები და უცებ დაყრუებულმა მხოლოდ წამით დალანდა შინაურების შემოილი სახეები, თმებში ჩამოსაგლეჯად ჩახვეული თითები — ღია კარიდან შემოვარდნილმა ქარმა სანთლები ჩააქრო, მაღლა ანეული, გახურებული ლამპის შუშა შუაზე გადახეთქა.

ყველაფერი სიბნელის ხაროში ჩავარდა, ჩაიკარგა.

უხმოდ ზრიალებდა, ბორგავდა, ერთმანეთს აწყდებოდა დიდ-პატარა. მას კი, ანეულ ხელში უაზროდ ეჭირა ჩამქრალი ლამპა და მტანჯველი სიჩუმე ყურის ბარანებს უხეთქავდა.

ახლა სინათლეა საჭირო... ელქსელები... ელქსელები რას იზამენ, გათიშულია მთლიანად... ჰო, ასანთი მაინც, ასანთი და გაირკვევა ყველაფერი... რალაც გაუგებრობა... სმენაც დაუბრუნდება... ახლავე, ახლავე... — ფლოსტების ფრატუნით დაბორილდა, მოჩხრიკა ჯიბეები, მოაფათურა რაფაზე ხელი. ვილაცები ძირს დალოლავენ, ფეხებში ედებიან... იქნებ პირიქით, თვითონ ედება?.. ასანთი მაინც სად გაქრა... ბიჭს სანთებელა ყოველთვის ჰქონდა ჯიბეში... ენეოდა... მამას უმაღავდა — მარტო მამის ერიდებოდა... ნეტავი არ დამალა, გაეკეთებინა რაც უნდოდა... ჰო, ასანთი — იქნებ სჯობია არც იპოვოს, იყოს ასე ბნელ ხაროში, სამუდამოდ, დაყრუებული... კარგს რალას გაიგებს...

მიავნო. გააჩხაკუნა.

დაასწრეს — ვილაცამ სანთებელას ჩამოჰკრა, ერთხელ, მეორედ... ტკაცუნზე ყურთასმენა დაუბრუნდა, აუტანელ ტკივილად ჩაესხა ყურებში ბლავილის ხმა.

იმ ღამეს გაღებული კარი მთელი კვირა აღარ დახურულა. იდგა გახვეებული:

„თქვენც გაიგეთ?“

„ქვასა სტეხავს, როგორ შენუხდით ასეთ ამინდში?“ — იმეორებდა უაზროდ და გამონვდილ ხელებს ისე ებლაუჭებოდა, როგორც ჭაობში ჩაფლული სამველად გამონვდილ ტოტებს.

თვალს არიდებდა, ხეირიანად არც დაუხედავს ავტომატებით დაცხრილულისათვის. გაუგებარი და გაურკვეველი სირცხვილის გრძნობა ტანჯავდა, ასე როგორ გამოაცალეს ხელიდან, წართვეს და, სანაცვლოდ რალაც დაუბრუნეს, უსულო, ცივი, უმოძრაო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ბიჭთან, ეზოდან გასვლის წინ, ფანჯარაში ჩამდგარ მამას ხელი რომ აუნია, გაუღიმა, მქრქალი, სანყალი ღიმი-

ლით. ღიმილმა გული შეუტოკა, წინათგრძობამ ჯიგარი დაუნვა.. ეს უბედურება რომ ეგუმანა, ხომ გამოეკიდებოდა, მუხლებში ჩაუვარდებოდა, უკან დააბრუნებდა, არ გაუშვებდა. ის ერთი წამი, ის ღიმილი კლავს, სხვა არაფერი... რამ დაუბორკა ხელ-ფეხი, გულმა რაღაც უთხრა და ამან ყური არ დაუგდო. არა.

მკვლელი გაქცეულია, მაგრამ შორს ვერ წაგვივანო, აიძვებდნენ სამართალდამცავები.

ეკითხებოდნენ. პასუხობდა. მერამდენედ, ერთი და ამავეს: „მაღე მოვალე, საღამოთი გავიდა... ზამთარია, ადრე ღამდება... ასე, დაახლოებით ექვსის ნახევრიდან ექვსამდე... ჩემმა ბიჭმა ტყუილი არ იცოდა, მაღე მოვიდოდა კიდევც, მაგრამ...“

„მკვლელს სასტიკად ვაზღვევინებთო,“ — ამჟღავნებდნენ, ვითომ ეს იყო საშველი.

„უკანონო იარაღი აქამდე რომ ამოგელოთ... რამდენი ახალგაზრდა ჩაიხოცა...“

„ეგ ჩვენი გადასაწყვეტი არ არის, ბიძაჩემო,“ — თავაუღებლად პასუხობდა ფურცელს ჩაჩერებული გამოძიებელი.

„ვისი გადასაწყვეტიც არის, იქნებ იმას უნდა, რომ ქართვლებმა ერთმანეთი გაეჭლიკოთ?“

გამწარებული მამის კითხვა უპასუხოდ დარჩა.

მთელ ქალაქს პირზე ეკერა მკვლელის ვინაობა. გარეუბანში ადგილსამყოფელსაც ასახელებდნენ, სადაც იმალებოდა. სამართალდამცავები სულ სხვაგან, „რესპუბლიკის მასშტაბით“ ეძებდნენ და, რა თქმა უნდა, ვერ პოულობდნენ. მონახავდნენ თუ არა, ოჯახის დანარჩენი წევრებისაგან განსხვავებით, მამას არც აინტერესებდა. ვერ წარმოედგინა შვილის მკვლელისათვის, როგორ უნდა შეეხებოდა, რა ეთქვა, ან რა ეპასუხა, ადამიანისათვის, რომელმაც თითის სასხლეტზე გამოკვრით, ფეხქვეშ მინა გამოაცალა.

დაკრძალვის დღეს უჩვეულოდ დათბა, მოალოო ყინული, აცრემლდა ლოლოები.

ყვავილებით, გვირგვინებით დახუნძლული კატაფალკა, სასაფლაოზე ცარიელი ავიდა — თავისკბილა ბიჭებმა, ბოლომდე ხელით ატარეს.

მწუხარე, თანამგრძობელი ხალხი თითქოს თვალდახელშეა შეიცვალა — რიტუალების სახლთან ავტობუსებით, მსუბუქი ავტომანქანებით დაბრუნებულები, ვინრო შესასვლელს მიანყდნენ, შეჯგუფდნენ, ჩქარობდნენ, ვინ ვის შეასწრებდა. უყურებდა ამ უცნაურ, ჭრელ ნიაღვარს, ერთმანეთისაგან მხოლოდ ჩაცმულობა, შეხედულება რომ ანსხვავებდათ, მთავარი კი საერთო ჰქონდათ — მტაცებლის ჟინი — დაესწროთ, სხვაზე ადრე მისჯდომოდნენ ქელების სუფრას...

უკანასკნელი წლების შიმშილა და გაჭირვებას გაელატაკებინა, გაეცამტვერებინა ადამიანების სული. თუმცა იქნებ სულ ასეთები იყვნენ და მათი ნამდვილი სახე მხოლოდ სიტუაციამ გაამჟღავნა?

წყალში ჩაიყარა ამდენი ადამიანის ყურადღება, თანაგრძობა, მიხვდა, რომ თავის უბედურებასთან, სულ მარტო დარჩა. უბედურების ლოდი კიდევ უფრო დაუმძიმდა, ველარ უძლებდა, სადაც იყო, დაიტანდა, დასრესდა.

სახლამდე ძლივს მივიდა. მაღლა არ ასულა, სარდაფის კარი გააღო. ცერად განოლილ, საღამოს სინათლეს გაჰყვა.

კედელთან, ამობრუნებულ ყუთზე მუხლებში ძალაგამოცლილი ჩაჯდა.

დიდხანს იყო თავჩაკიდული, დაბუჟებულ ხელ-ფეხნართმეული.

რატომღაც პაპა გაახსენდა, მაგიდაზე გადაჭიმულ ტყავს ალესილ დანისპირს რომ დაუსვამდა და თასმებად ჭრიდა. ახლა, ეს დანა, მის გულს სერავდა. მწარედ, ხანგრძლივად, აუტანლად. „თასმები“ ჰაერში ეკიდნენ და ქანაობდნენ...

კედელს შეცოცებულმა სინათლემ ათასგვარი ხარახურა და მათ შორის ჩაკარგული ხის ტარი გამოაჩინა. ამოსწია, ამოიღო და — ნამგალი. საოცარია, ლობისძირებში მოდებულნი ჭინჭარის გამოსათბიად, ზაფხულში რამდენი ეძება, ვერ მიაგნო და აქ არ ყოფილა? თვითონ შეეჩხვა თვალეებში.

ცერა თითით ფხა მოუსინჯა. ცოტა ჟანგი მოჰკიდებოდა, მაგრამ წვერი და პირი მაინც ბასრი ჰქონდა.

ჩაფიქრდა. რა დროს ნამგალია, ლობისძირებში ყინული დევს. ახლა მაინც თვალსაჩინო ადგილზე შემოდოს, მომავალში ძებნა რომ არ დასჭირდეს. ალესვა არ აწყენდა, თუმცა სალესავს სად ნახავს — მიიხედ-მოიხედა, ვითომ სალესავს ეძებდა, სინამდვილეში თავისთავს იტყუებდა, რაღაც მძიმე და საშინელი აქტისთვის ამზადებდა.

დაფიქრებულმა ჯემპრი აინია, მუცელთან ხალათი ამოიშალა. ხელისგული მრგვლად მოისვა, თითქოს დაამშვიდა, დაანყნარა უცებ აფორიაქებული, შემფოთებული შიგნეული — ნეტავ გამხმარ ტყავს სტკიოდა თასმებად რომ ჭრიდნენ? მაშინ ამაზე არ უფიქრია. ანდა რატომ უნდა ეფიქრა. მაშინ რა სჭირდა საამისო... მარცხნივ, ელენთის მხარეს ნამგლის წვერი იგრძნო — ნისკარტივით ჩაფრენილმა ლითონმა კანი ჩაუჩვრიტა.

ახლა მთავარია ღონე მოჰყვეს. არ შეიძლება ეს ტკივილი, გული რომ ესერება, იმაზე მწარე იყოს.

შემინდე უფალოო, ჩაილაპარაკა და შეშინებულმა, არ გადავიფიქროო, ნამგალს მარცხენა ხელით ღონივრად დაანვა, მუცელზე ნაჩვრეტმა პირი გააღო, ნამგალი ნახევრად ჩაყლაპა და მარჯვენაც მიაშველა, გამოისვა, საჩქაროდ გამოიბღღენა ნანლავები.

ტკივილმა ორად მოკეცა, გაეცხო შიგანი აქაფქაფებულნი ნალვერდალებით, გულ-მუცელში შემოენთებულმა ალმა დაბუგა, დაეცო ყელში და მოკუნტული დააკვდა თავის მუხლისთავებს.

სარდაფის კარს კატა მიადგა, თავი შემოყო, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა.

უკანა ფეხებში ჩამჯდარი, ზღურბლთან აკნავლდა...

ერთხანს თვალს მოფარებული მკვლელი მაღე გამოჩნდა, როგორც იტყვიან, „ჩაფარცხა საქმე“ და დღემდე ადგილობრივი მნიშვნელობის „პატრიოტულ“ ორგანიზაციას შეფარებული, თავისი „მყუდრო“ ბიზნესით არის დაკავებული.

დროის მკაცრმა დინებამ თითქოს წაშალა მისი ნამოქმედარი.

მშვიდად ცხოვრებაში თითქოს ხელს ველარაფერი უშლის, არც სამართალდამცავი, აღარც შურისმაძიებელი, მაგრამ... მაგრამ, ყოველთვის, მისი შვილების შემხედვარეს, უცნაური შიში და სიბრალული შემოაყრობს ხოლმე.

დასასრული შემდეგ ნომერში

გურამ ქართველიშვილის პროზის თავისებურება ბოლო დროს თვალსაჩინოდ გამოიკვეთა — მოთხრობის კომპოზიციას ხსნის მძაფრი სოციალური თემა, რომელიც თანდათან ეროვნულ პრობლემატიკაში გადაიზრდება, განივრცობა, სიმბოლურ სურათებად გარდაისახება და ფინალში ამ ორი „წყველაკრულვიანი საკითხავის“ სიმბიოზად გადაიქცევა.

აქ აღწერილი სოფელი ჩაქურიც გაჭირვებული საქართველოს სახეა. უსახსრობა, სიღატაკე, შიმშილი და ოცნება უცხოეთის ვიზებზე — ეს ხომ მეტისმეტად თანამედროვე, ნაცნობი და მშობლიური სურათია.

მოთხრობის გმირი დემეტრა ბაიაური ზოგადქართული სინდისის ტკბილი სიზმარია.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასე არ ხდება, მაგრამ გვინდა, რომ ასე ხდებოდეს. თუნდაც ერთხელ, თუნდაც შემთხვევით, ოღონდ კი ვილაცამ ამოიღოს ხმა მამაპაპური ხმალივით, ვილაცამ შესწიროს თავი სინდისს, ამ პატარა ღმერთს, რომელიც ჯერ კიდევ შემოგვრჩენია გაპარტახებულ სულში.

მოხუცებული ბაიაური კიდევ ერთხელ ასწავლის ჭკუას სოფლის მოდერნიზებულ ნურბელას, გვარად ფურცხიძეს, და მერე კვდება.

კარგი მეტაფორაა, ეფექტური, ძვირფასი, გულის მოსახებელი, მაგრამ მაინც მეტაფორა, მაინც გარდათქმა, მაინც სიზმარი ჩვენი სანყალი სინდისისა.

გურამ ქართველიშვილი

ათოვდა...

ჩაქურში გაძვალტყავებული ზამთარი დღეებს ათე-
ლევივებდა ხალხს. იმ წლის ნასეტყვარ-ნავგაღვარ მოსა-
ვალს წინა კბილებით შეექცეოდნენ გლეხები. სარჩო გა-
მოსაზოგი ჰქონდათ და სავესე ლუკმა სანატრელი. გამ-
ლოლ ხეობაში ამოზრდილ გორაზე შემომჯდარ სოფელს
ღამღამობით მშვიდი მგლები მიადგებოდნენ და ეგ იყო
იქაურობის სიცოცხლის ნიშანწყალი. მთვარიანში თუ გა-
არჩევდა კაცი რამეს, თორემ დენი მთავარი ჩამრთველი-
დან ჰქონდათ გამორთული — ემანდ ხელი არ ნაუცდეს
ვინმეს და ნათურა არ აანთოსო. რითი უნდა გადაეხადათ
მერე გადასახადი?! სოფელი რო შემოევლო კაცს, ხუთი
ლარი არ შეგროვებოდა. ერთი ეგ იყო, იმ ზამთარს მზე
წყალობდა ჩაქურს და დღისით შემას აზოგინებდა. ჯერ
კიდევ კოპნიად წამოჭიმულ კოშკთან იკრიბებოდნენ კა-
ცები, არაყს წრუპავდნენ და ზედ ბერიქალების გადანა-
ხულ დამბალ ხაჭოს აყოლებდნენ. საარყე დარდის მეტი
რა ჰქონდა ოცკომლიან სოფელს?! მოუსავლიან წელი-
ნადს ვილა ჩიოდა! ბოლმა იმისა ახრჩობდათ, რომ გაღმა-
სოფელმა გახუამ ყველას მარჩენალი საქონელი პირ-
მინდად გააყიდინა, ესაო და საბერძნეთის ვიზებს გაგიკე-
თებთ და იქ ჩასულებს ისეთ სამუშაოს გიშოვნით, რომა
საშვილიშვილოდ აშენდებითო. ენდნენ. გახუამ ფული ნა-
ილო და ხახამშრალი დატოვა სამშობლოდან გაქცევაზე
მეოცნებე სოფელი. ამიტომაც ჰგავდა დაუსრულებელ პა-
ნაშვიდს მათი მზესმიფიცხებული დღეები. აღარც კავია
ახსოვდა და არც შამლერება ათასჭირნახულ ფშავლების
ჩაქურს. ზღვად დახვრებილი არყიდან ერთი შესანდობა-
რიც აღარავის გახსენებია იმ კოშკის ამშენებელი ორი სა-
უკუნის წინათ კრწანისის ომში აჩეხილი ზახანათ მგელასი.

წყალკურთხევას გათოვდა. დემეტრა ბაიაურს ხინკლის
თადარიგი წინა დღით ჰქონდა დაჭერილი და გამოღვიძე-
ბულს ცოლმა სუფრა გაშლილი დაახვედრა. ოხშვიარადენი-
ლი ხონჩიდან ერთი ხინკალი თეფშზე გადმოათამაშა, ჯვარი
გადასახა და ოსტატურად ვაკბიჩა. მერე არაყი დაანვეთა
ზედ და ცოლს მიაშტერა ჭროლა, მაგრამ სათნო თვალები.

— ყველას შაუნდოს უფაღმა, თამარო, ვინც იმ სო-
ფელს გყავს.

— იცოცხლე. შაგენი-
ოს.

— ჩამოჯექ, დედაკა-
ცო. მარტოს რა მაჭმევს
ამ დალოცვილსა?!

— დამაცა, საბჭოში
ჩავალ, ბიულეტენს ჩა-
ვაგდებ. ხუთი წუთიც არ
მამინდება.

— ფეხსაც არ გაად-
გამ არსადა! — შეულრი-
ნა ცოლს მოხუცმა.

— არ გინდა, დემეტ-
რა! სადაც სოფელი, იქაც
ჩვენა.

— ჰმ... რომელი სოფელი?! სარჩო-საბადებელი ოხერ
გახუას რომ ჩაუთვალა და საბერძნეთში აპირებდა გაქცე-
ვასა?! სოფელი არა... მე ჩემი გზით დავალ. აკი ვაფრთხი-
ლებდი მაგ ბეჩავებს...

— ახალგაზრდები არიან, კაცო. ჩვენი სწორი ვინც
იყო, სასაფლაოზეა ჩალავებული. აღარ ეყურებათ შენი.

— მიტომაც მისდით საქმე შავად. წყალკურთხევას
რალამ დაანიშნინათ არჩვენები?! აღარც ღმერთი ახსოვთ
და... — ხელი ჩაიქნია დემეტრამ, არაყი გადახუხა და
ნასვლას დაადგა.

— სად მიხვალ, კაცო?

— საყდარში ავალ. ჩვენ მაინც დაფუნთოთ სანთელი
გამჩენს.


ზამთრის რუხ-თეთრი სოფელი ზღაზვნით იღვიძებდა.
დემეტრამ ეზოდან გასვლამდე თივა მიუტანა საქონელს,
მერე ოცდაათი წლის წინათ გათლილი განუყრელი ჯოხი
მოძებნა და საყდრისკენ აუყვა უკვალავ შარას. მუხლამდე
იდე. მახანათ მგელას კოშკს რომ გაუსწორდა, თვალში მის
კედელზე მიკრული საარჩევნო პლაკატები მოხვდა. მო-
ხუცმა შორიდან ვერ გაარჩია და ცნობისწადილით დაიძრა
კოშკისკენ. ახლო მისულმა ჯერ თვალებს არ დაუჯერა,
მაგრამ კარგა რომ დააცქერდა, პლაკატებიდან მომზირა-
ლი გედეონ ფურცხიძის სახე იცნო. „ეს ვინ ოხერია?! ის
არი?! ჰაი, დედასა!“ დემეტრა ფაციცით მიაშტერდა ამაყად
მომზირალი დეპუტატობის კანდიდატის შუბლს და დიდ-
რონი ნაიარევი უპოვნა. რა ნიშანი დავასვი! კიდევ ემჩნევა
ამ ღორს — წკიპურტი დასცხო ნაიარევე გედეონის სუ-
რათს. „აბა ესლა აკლდა ამ გატყაულ მხარეს. ფუ...“ თავის



ქნევით გააგრძელა გზა მოხუცმა. — რა დრო დადგა, კაცო! სახლიდან აღარ ღირს გამოსვლა. კარგს ვერას ნახავ. აფსუსს, ბახანთ გელას ნაფუძარო! ე ვინ მიუწეპებიათ ზედა... — იმ დღის ნათოვარს დაადნობდა, ისეთი ცეცხლი წაეკიდა გულზე ბაიაურს. უხიაგმა მოგონებამ შვილდევით სხეული დაუდუნა და ფეხები ძლივს წაათრია აღმართზე.

ოცი წლის წინათ საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა და თბილისში გამსახურდია ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გედეონ ფურცხიძე ჩაქურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად იჭირებოდა და გედეონმაც დრო იხელთა, სავსე კოლმეურნეობა სოფლის საკუთრებად რომ ითვლებოდა, ერთ კვირაში გადააკეთებინა სახელმწიფო მეურნეობად, ბარე ხუთასი მენველი ძროხა და ათასობით ცხვარი ბოინში დაკლა, ტრაქტორ-მანქანები მარნეულელებს მიჰყიდა და აღებული ფულიანად აორთქლდა. მაშინაც დემეტრამ აატალახა რაიონის ხელისუფალთა კაბინეტები, მაგრამ ყველა მოქრთამული და პირში წყალდაგუბებული დაუხვდა. ბოლოს რკინის ქალამანი მოირგო და გედეონს მაინც მიაგნო. ერთ ღამეს ცხენით გადაიარა მთები და აგარაკზე ნებიერად მოღრუტუნე ფურცხიძეს თავი გაუხეთქა თავისი განუყრელი კეჩით, ეგებ მიჩვილოს და სასამართლოზე მაინც გამოვამზეურებ მაგის კაციკობასო. სხვა შემთხვევაში გედეონა საჩივარს წიგნად დანერდა, მაგრამ გაყურება არჩია. სოფელი მაშინაც მონური გულგრილობით დამორჩილდა გაძარცვას.

ქვეყანა შენდებოდა, მექრთამეობა მოვსპეთო, სულ მაგას გაიძახიან დღესა და ვილას რად უნდა გედეონას დეპუტატობა?! ეჰ, ეგეთები ყველა დროს ერგებიან. უ, მაგის... — ბარაქიანად გააფურთხა მოხუცმა. აღმართი მოათავა. თოვლში შეფუთული საყდრის დანახვამ სიმშვიდე დაუბრუნა. პირველი შორიდანვე გამოისახა და ქუდმოშველი შვიდი კარში. ილოცა, მერე ტაძრიდან თავისივე შეჭედული კიბე გამოათრია და სალოცავს კრამიტი გადაუთოვლა. ბალობიდან უყვარდა დემეტრას ეს ბარე ათასსამასი წლის ეკლესია. ეგ იყო მთელი ცხოვრება მისთვის საფიქრალ-საოცნებო ადგილი. ჯერ კიდევ შვიდი წლისას ნაუკითხა მიტო მასწავლებელმა აღმოსავლეთის კედელზე ამოტვიფრული წარწერა, რომელზეც არაბებთან მეზრძოლი წანარ-კახთა მეფის სახელი ეწერა „გრიგოლ დონაური“. ამიტომ ამ ტვიფაროს კედლის ძირში არაფინ დაასაფლავებინა ბაიაურმა და თავის სამარხად შეინახა ეგ ადგილი.



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

ის იყო კიბე შეინახა, ტაძარს ოთხივე კუთხე დაუკოცნა, რომ სოფელში დოღგარმონი დასცხეს. ნეტაი რა ლხინი აუტყდათ ამ კუჭგამხმარებსა?! გაიხედა. ვერა გაარჩია ფანტელებში, საყდარი დაკეტა და მხნედ გაალაჯა დაღმა. შორიდანვე გამოჩნდა კოშკთან მიყენებული შავი ურჩხულივით ჯიბი, რომლის ღია სალონიდან დაკრული მქუხარე ლეკური სოფელს აყრუებდა. მანქანის ცხვირთან ოციოდე ტომარა ეგდო ფქვილით სავსე და პურმარილი პირდაპირ კაპოტზე იყო გაშლილი. სოფლის დამშეული კაცები მონდომებით ილუკმებოდნენ და იქვე მდგარ გედეონა ფურცხიძეს გადეპუტატებას წინასწარ ულოცავდნენ. მეზობლიანთ ბაღი მათრახივით სხეულს მოხდენილად აცეკვებდა ლეკურზე და დროდადრო ალტაცებისაგან დაღრეჯილ გედეონას გაუთამაშებდა. დემეტრა ჯერ გაყინულივით იდგა, მერე მხნედ მიიჭრა მოზეიმეებთან. იქ ვერავინ ველარაფერი მოასწრო. მოხუცმა კეტი ოსტატურად დააბზირალა და თვალისდახამხამებაში თავგადახეთქილი დეპუტატი მანქანის საჭისკენ მიბობლავდა. დამფრთხალი ჩაქურელები კედელს აეკვრნენ. ჯიბი დაიქოქა და თოვლის ბული დააყენა. გაქვეულმა ფურცხიძემ თოვლზე სისხლი, მიმოფანტული პურმარილი და ქრთამად მოტანილი ფქვილის ტომრები დატოვა.

— ვისა გევხართ ეგეთი უჯიშოები, თქვენი... — კეტი მიეტანა დემეტრა ფერდაკარგულ თანასოფლელებს. ფუი თქვენს კაცობას! სოფელი კი არა, ნახირი ხართ!

სახლისკენ მიმავალი დემეტრა ერთხელ კიდევ მოუბრუნდა დამფრთხალებს და ხაფი ხმით დაუღრიალა: ნ ა ხ ი რ ი !!!

ბინდი ზამთრისეულად ადრე მიეპარა სითეთრეს. იმ ღამეს დემეტრას ყველაზე ხნოვანმა ძროხამ ხბო მოიგო. მურივით შავ ბოჩოლას შუბლზე თეთრი ნიკორა დაყვა, რომელსაც სიმეტრიული ჯვრის ფორმა ჰქონდა. „რისი ნიშანი უნდა იყოს, ნეტა, ჰა?“ გაოგნებული მოხუცი იქვე ჩამოჯდა და ხბოს ნიკორზე მიშტერებულს მშვიდად ამოუვიდა სული. ჯერ სახლის თავზე იფრინა, მერე საყდარს დახედა და ბოლოს ბახანთ მგელას კომკზე შემომჯდარი მსუბუქად აყვა ცისკენ ფანტელებს.

ბაიაური მესამე დღეს დამარხეს გრიგოლ დონაურის წარწერის ძირში. კოკისპირულად ჩაისხეს ჩაქურის კაცებმა იმ დღეს არაყი და დეპუტატის ნაწყალობევი ფქვილით დაცხობილ ქაღებს ცრემლით დააძლნენ.

ათოვდა ფურცხიძის სამწყსოს და ბახანთ მგელას მივინყებულ კოშკს.

ჩეკურანთგორი

ხარს წიქარად იცნობს ჩვენი ზღაპრული ეპოსი, ლაბად — გერგეტის სამების ისტორია, მწყემს თევდორესთან ერთად ის რომ აღმართავდა ასეთ ძნელადმისასვლელ ადგილას ტაძარს, შვინდად — შიო არაგვისპირელის ნოველისტიკა. „ჩემო შვინდავ“ — ყმანვილის ეს გულისშემძვრელი შეძახილი მოსდევდა ჩვენს ბავშვობასაც, მწერლის ხელოვნებას ბიჭისა და ხარის მეგობრობა ასეთ მგზნებარე საგალობლად რომ ექცია.

წიქარას სახელი ხშირად მოგვესმის ჩვენი ლიტერატურიდან, ლაბაც გახშირდა ერთი-ორჯერ, შვინდა კი მარტოდენ იმ ნოველის ბინადრად რჩებოდა. და, აი, ზვიად კვარაცხელია სწორედ ამ სახელით შემოიყვანს ხარს თავის ნოველაში „ხარი ხანისთვის“, რომელიც წარმატებით დაწყებული ციკლის კიდევ ერთ ჩინებულ ნიმუშად წარმოგვიდგება, რაკი მწერალი ახერხებს შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა და მისთვის ასერიგად მღელვარე ამბები ისე გადმოსცეს, მკითხველზე თვითონ სურათებმა იმოქმედოს და არა პუბლიცისტურმა კომენტარებმა, რაც ერთბაშად დააკნინებდა და გააუფასურებდა დიდ ტკივილებს.

შიო არაგვისპირელის გმირის სიხარული ხარის პოვნით იცვლება ზვიად კვარაცხელიას პერსონაჟის ნუხილით, ასე საყვარელი ხარი მრბეველთა წერა რომ უნდა შეიქნას. და ეს კონტრასტი — სახელის ასოციაციით გამჭვირვალედ მინიშნებული ნოველაში — ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ მცირე თხზულების მხატვრულ მრწამსს — როგორ შეიძლება გაქრეს ის, რაც ტრადიციის გამძლეობის სიმბოლოდაც კი გვასახება, თუკი არ დაიცავ და შენვე განირავს საკუთარი ტყავის გადასარჩენად. რალაც ძარღვი ისე შეიძლება ჩაწყდეს, ველარაფრმა გაამრთელოს.

დიახ, მაინცდამაინც შვინდა — ახალგაზრდა კაცის გადაძახილი საუკუნის წინათ თავის დიდ წინამორბედთან.

ზვიად კვარაცხელია

ხარი ხანისთვის

— მამაჩემისთვის უთქვამს... მე არც გამიგია, ეზოში ვიყავი რალაც საქმეზე ჩასული... შენისთანა ბიჭებს თუ არ ვენდე და გვერდში არ დავიყენე, ქვეყანაა სამართავი, ფეხზე დასაყენებელი და მარტო რას გავხდებიო...

— ეს როდის იყო?

— აი, დიდი განწევ-გამონევა რომ შეიქნა და ტანკები დაიძრნენ დასავლეთისკენ. ყველა ამბობდა, მიწასთან გავვასწორებენ, ჩვენს დასასჯელად და გადასაბუგად მოდიან ეს ტანკები, ბეტერები, იარაღიანი ხალხი, მაგათ განადგურება უნდათ აქაურობისა, ვეზიზღებითო. მეზობელი ბიჭი შემოვიდა იმ დილით, — ჭაკადაა ჩვენი საქმე, მდინარე გადმოლახეს და ბრიყვს და ჭკვიანს ერთიანად გაგვფუჭავენო. დავფეთდი, ბავშვი ვიყავი. შიში ჩამეჭრა და ამირია გულგვამი. საღამოდრო იყო, მამაჩემი რომ დაბრუნდა ქალაქიდან და მაშინვე ავუსხენი ჩემი შიშის მიზეზი, არაფერი დამიმალავს. ჩაელიმა ბრძენი კაცის ღიმით — ნუ წერვიულობ, გზაში კი არიან, მაგრამ არც ისე გამოვშტერებულვარ, ზედ შევაკვდე იმათ ტანკებსო.

— ნეტა რას აპირებდა?

— მაგის ტვინში, ღმერთმა იცის, რა პარტიები ირჩეოდა მაშინ, მაგრამ მჯერა, რომ რაც მერე მოხდა, ერთადერთი გამოსავალი იყო ამ შიშისგან. შენ რა გგონია, შიშს თბილი ოთახით და მაძლარი კუჭით გაუმკლავდები?! ისე ჩაგიქრობს კერას და დაგიცარიელებს სტომაქს, აზრზე ვერ მოხვალ, ნავთისა და კვამლის სუნი აგივა წამის დახამხამებაში... შიშს უნდა გაეცალო, უფრო სწორად, უნდა მოატყუო შიში — შეიჩვიო, მოიშინაურო, როგორც ლეკვობისას გასხვისებული ძაღლი, პატრონს რომ დაუბრუნდება და უცხო გარემოს ვერ ჰგუობს. სალაფავი და ხორცის ნაჭერი არ უნდა მოაკლო, თორემ დაიმშვევა და გამწარდება, კბილებს დაგიღრჭიალებს უნდობლად.

— ბევრნი იყვნენ შიშები?

— არც ისე. ერთი მანქანა, სამხედრო ვილისი მოადგა ჭიშკარს და მამაჩემი შემოუძღვა. მარტო მას არ ჰქონდა იარაღი, დანარჩენები ტყვია-ნამალში ისხდნენ. ერთს მზის სათვალე ეკეთა, შავ-შავი, დაბურული, და იქიდან იყურებოდა, ეგონა, ვერ მხედავენო. დაკვირვებული მზერა ყველაფერს ამჩნევს, თუ ცნობისმოყვარე ბავშვის თვალებიდან იცქირება, უფრო მეტსაც იმახსოვრებს, ვიდრე ნებისმიერ ჟურნალისტს წარმოუდგენია.

— არ მითხრა, იმ ტიპის სახელიც მახსოვსო...

— სახელი რომელია, სახის ყველა ნაკვთი ახლაც თვალწინ მიდგას. სეტერა ერქვა, არ ხმაურობდა და ბევრს ჭამდა, თავისთვის იყო. მაშინ მიკვირდა, ასე თვალმოუშორებლად რომ მისჩერებოდა მამაჩემს, სიტყვასაც არ ტოვებდა მისი ლაპარაკიდან. საპასუხოდ არაფერი უთქვამს, მაგრამ, ალბათ, იმახსოვრებდა. ხომ არის, შეგხვდება ადამიანი, კრინტს არ დაძრავს, არადა მაშინვე ეტყობა, ისრუტავს ყველაფერს. ზოგიერთი იმისთვისაა დაბადებული, სხვაზე გაიგოს და იცოდეს, თავისი კი ჭუჭრუტანაც არ დარჩება ამოუქოლავი, დაუკითხავად არ შეიჭყიტონ ჩემს ოთახშიო.

— მამაშენი რას ამბობდა?

— დიდი სუფრა დაახვედრა მამაჩემმა. წინა ღამით ხარი ჩამოიყვანეს სოფლიდან, ვეება „პრიცეპზე“ დაებათ, თოკები, ღვედები ნაეჭირათ თურმე და ისე შემეცოდა, ისეთი ლონიერი და გაბრაზებული ჩანდა, გულში ვიფიქრე — ნეტა ვინ მოდის ეგეთი, ჩვენს შვინდას რომ სწირავენ-თქო...

— შვინდა... კაი სახელია...

— ათას რამეს ვეძახდი: შვინდა, ჯორა, ჯაკუნა... სულ პატარა იყო, ხარი რომ ჩამოვიკიდე და მთელ სოფელს ესმოდა მისი წკრიალი, ზოგჯერ განგებაც აულარუნებდა — ცხოველი ეძახე და ჭკუა კი ჰქონდა ერთი კაცის ფასი. რომ



წამოიზარდა და იერი მიეცა, მამაჩემს ვთხოვე, თუ გიყვარ-
ვარ, ამას კაცობას ნუ გამოაცლი, არ დაყვერო-მეთქი. ცო-
ტა კი იჭოჭმანა, მეზობლებიც ურჩევდნენ, გარე-გარე წან-
წალში იქნება, შენ კიდევ სოფელში მრუშა კი არა, მუშა ხარი
გჭირდებაო. მაინც ჩემი გავიტანე და იმ დღიდან ახლო არ
მინახავს შვინდა. გადაიკარგებოდა და თვეობით არ ბრუნ-
დებოდა ხოლმე. ხან რას აეკიდებოდა, ხან — რას... ერთიხა-
ნობა საერთოდ გადაიხვეწა, ისე, რომ ხელიც კი ჩავიქნიეთ
და მამაჩემმა ბრაზით თქვა მაშინ, ალბათ ჩემს გასაგონად:
რა უჭირდა პაპაცხონებულს, ყოფილიყო სოფლის ხარები-
ვით დაკოდილი, წყნარად და ბედნიერად იცხოვრებდაო.

— ბოლოს მასაც სოფლის ხარებივით მოუწია კისრის
წაგრძელება...

— ურჩობისა და ბლა-
ვილის ნებაც არ მისცეს,
შენ წარმოიდგინე. ოთხმა
კაცმა მიათრია უზარმა-
ზარ კუნძთან — კუნძს
სქლად, შინდისფრად ეტ-
ყობოდა შემუსრული ქათ-
მების, ინდაურების, გო-
ჭების გახმარი და ჩაკი-
რული სისხლი — მუხ-
ლებზე დასცეს და ერთმა
ისეთი სისწრაფით გამო-
უსვა დანა, გეგონება, მო-
სისხლე მტერს კლავსო.
შვინდამ უცნაურად დაა-
ცემინა და სისხლმა იფეთ-
ქა ნესტოებიდან, ოთხფად
გაჭრილი არტერიიდან,
ამღვრეული თვალებიდან
ნაც კი. სიკვდილიც არ
აცალეს საბრალოს, რა-


ლაცნაირი ხერხებით გამოუნასკვეს თოკი აქედან იქ, იქიდან
აქ და კაკლის უშველებელ ტოტზე გამოკიდეს ხარის უსულო
სხეული.

— ჰო, მახსოვს, ადრე მეც მინახავს, ბავშვობაში...

— მერე ჭიანჭველებით დაესია ხალხი: ერთი ატყავებ-
და, მეორე შიგნეულისგან ასუფთავებდა, მესამე — ნაჭრე-
ბად აფასობდა, მეოთხე — ხარშავდა და, ჭიშკარს რომ მო-
ადგნენ, ცოცხალი შვინდასგან ნატამალი აღარ იყო დარჩე-
ნილი... არნახული სუფრა დახვდათ სტუმრებს — კაი ღვი-
ნო, ჩვენებური საჭმელები: ელარჯი ქალაქის ნაქებ მზარე-
ულს შეუკვეთა მამაჩემმა, გებუალია — უჩვეულო, საოცარი
სურნელით, ხაჭაპურები ქორფა ყველით გამოტიკნული, რა
გინდა, სულო და გულო... კარგად გამიგე, ძმაო, ისეთი დრო
იყო, ღომის ფქვილი ენატრებოდა ხალხს, მჭადი დაეცობა და
შიმშილი გადაეიტანა. ბრაზი და სიძულვილი ბუდობდა
ყველგან. შვილი რომ დაგემშვეა და ფეხისთითები მიეყინე-
ბა, შენ კი ლუკმა ვერ გიშოვნია და ხემსი შეშა — გათბე, გა-
ბოროტდები, გამწარდები, შურს ჩაიდებ გულში! ასეთ
დროს შორი გზიდან მოსული სტუმრებისთვის მალამოსა-
ვით იყო გაღულუნებული ოთახი და დაუკლებელი სუფრა.

— მოილხენდნენ...

— ოოო, რა სვეს და რა შეუბერეს! ერთმა იმათგანმა, ყვე-



ლაზე განათლებული და სიტყვიანი რომელიც იყო, დიდი სით-
ბოთი და სიყვარულით დალოცა ჩვენი ოჯახი, მამაჩემს სტუმ-
რიანობა მოუწონა. როცა იარაღით დაგეშილები გვხვდებოდა,
თქვენ კარს გვიღებთ და გვიფარებთ, უზადო ღვინოს და გემ-
რიელ საჭმელებს გვახვედრებთო. აბა, რა გეგონათ, ლობიო-
თი ხომ არ გავისტუმრებდი ამისთანა დიდებულ ხალხსო, —
მიუგო მამაჩემმა, რაზეც იმან, — ლობიოობა დამთავრდა, აწი
წესრიგი და მშვიდობა უნდა იყვეს ქვეყანაში, გლენხმა იმუშა-
ოს, ვაჭარმა ივაჭროს, მწერალმა წეროს, მასწავლებელმა ას-
წავლოს და... ახ, იმ კაცის ბოლმა და ჯავრი არ ამომდის გული-
დან, მდინარე რომ გადმოვლახეთ და მშიერ-მწყურვალეები
სოფელს მივადექით, ვიფიქრე, სადმე შევეფარებით, ჭერს
ვიპოვნით-მეთქი. რიგიანი ადგილიც შევათვალერე,
როგორც იქ მითხრეს — სოფლის სკოლა და ეგრევე
დირექტორს მივადექით, გასაღები რომ დაეყაჭა.
იმან კიდევ, შენც არ მომიკვ-
დე, ნამეტანი შორს დაიჭი-
რა, მხედრობას სკოლაში
ვერ შევუშვებ, სასწავლო
პროცესი ჩამემლებაო. გავ-
ცოფდი, ახლა ნაღდად
ტვინს მივასხმევინებ-მეთ-
ქი, მაგრამ იქაური ბიჭი გა-
დამიდგა, მეხვეწა, მაგის
გაზრდილი ვარ, არ მოკ-
ლაო... ერთი სიტყვით, ყვე-
ლა უნდა დაისაჯოს, ჩემო
გოგი, უკლებ-ლივ, დღეს
რომ წყალს ამღვრევენ და
ტყე-ტყეს ეფარებოან! მა-
გათი დანდობა არ იქნება,

მხატვარი იანა ზაალიშვილი

ეგენი შეწყნარებას არ იმსახურებენო.

— მუქარაც ამას ჰქვია!

— ცოტა შემაშინებლად კი თქვა! მამაჩემი ამბობდა
მერე, როცა წამოიშალნენ — ეგ ჰაიპარად არაფერს იტყ-
ვის, შემსრულებელიაო!

— როგორც ჩანს, ამაშიც არ შემცდარა მამაშენი...

— არ შემცდარა, ოღონდ ნამეტანი გააბუქეს შემდეგ,
გააზვიადეს, ათასი ყური გამოაბეს, ჩვენი მტერი და და-
მაქცევარი შეიფარაო. მე თუ მკითხავ, აქაც შურის ამბავი
იყო — სხვებმა ვერ ივარგეს, ქცევაში შეეშალათ და ჩვენ
დაგვიწყეს ლანძღვა. არადა, რომ გაეგოთ, იმ კაცმა მამა-
ჩემს რა დაუბარა, ალბათ ჭკუიდან შეიშლებოდნენ. აქაუ-
რობას უნდა მიხედოთ თავიდან ბოლომდე — ჯერ სადა ხარ,
ათასი ნურბელა და ვიგინდარა გამოჩნდება კიდევ, ხელში
იარაღი უნდა გეჭიროს და სქელა მუხლებს უხვრეტდე და
წინანებლად, ჩემგან მხარდაჭერა არ მოგაკლდებაო... კი-
დევე ბევრი ბრძნული და საქმიანი რამე უთხრა, მაგრამ
ბავშვი ვიყავი და არ დაეკვირვებოდა მის სიტყვებს, ხარი
უფრო მეფიქრებოდა — ასო-ასო, ნაჭერ-ნაჭერ დაკეპილი
შვინდა, სუფრის ყველა კუთხეში, კრემისფერ თევზზე
რომ ელაგა გამომცდელად, თითქოს ცოცხალი იყო და
ნიშნს გვიგებდა: შეხეთ, ბედოვლათებო, ამოდენა ხარი ამ



გენო კალანდიას ჩვენი მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მას კარგად იცნობენ, უყვართ, აფასებენ. თუმცა, ვინ იცის, შესაძლოა ყველაზე მეტად იმას სჭირდებოდეს წარდგენა, ვისაც ვიცნობთ, გვიყვარს, ვაფასებთ. ერთი სიტყვით, ჩვენ წინაშეა ძველი სახე ახალი რაკურსით.

პოეტის მრავალხმიან, მრავალთემატურ, მრავალსახოვან გრადაციებს ჰარმონიულად აერთიანებს სევდიანი ტონალობა, რომელიც თავისი შეფერილობით მეგრული ხალხური სიმღერის კილოს ეხმიანება და პენსა და ლაზათსაც ალბათ იქიდან იღებს.

გენო კალანდია ტრადიციულად განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფაქიზეს იჩენს თემის შერჩევის საკითხში, რაც შეეხება სახეობრივ მხარეს, აქ უთუოდ აღსანიშნავია არტისტიზმი და კონოტაციური სიღრმე.

დაუვიწყარია უაღრესად პლასტიკური სახისმეტყველებითი ოქსიმორონი, ოდიშის შაშვი: „ბერის, მონაზვნის, წმინდანის საშვით, ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე“.

მთელი ციკლიც სხვა არა არის რა, თუ არა ხატი და განცდა — ერთიანი და ჰარმონიული; ტექსტი და ქვეტექსტი — აზრიანი და მონოლითური; აზრი და იდეა — მიმზიდველი და საყურადღებო.

ასე წარმოსდგება ჩვენ წინაშე გენო კალანდია — პოეტი, მოქალაქე, მამულიშვილი, რომლის სიტყვა ნიჭარასავით ცოცხლად ინახავს პონტოს ზღვის ტალღების ხმაურს.

გენო კალანდია

მეგრული რვეულიდან

* * *

*საქართველო არის ესე!
ანა კალანდაძე*

სტიქაროსნების პატარა გუნდით
წირავს... უგალობს მეუფე უფალს...
ჟღურტულებს ბავშვი, ვით მტრედის ხუნდი
და მონაზონი ჰგავს თემის მკურნალს.

ფაზისის, ჯუმის მთავარი ხიდით
ოდიშს ძვირფასი სტუმარი მოდის,
ატმის რტოსავით ირწევა ბინდი
აიასა და ლაზიკას შორის.

ფეხზე დგას მთელი სოფელი, დაბა,
მირონცხებული ანდრიას ზეთით,
ქალები დილის ვარსკვლავებს ჰგვანან
თვალეების ჭრილით და თოვლის მკერდით.

მზე და ზამბახი ანათებს ცაიშს,
კარებს, აივნებს ვარდებით რთავენ,
ამდენი დაფნა სად იყო მაინც,
ამდენი ვარდი სად ათევს ღამეს?!

.....
გუახლოვდები იმ წმინდა ეზოს,
სადაც ილიამ ხმამაღლა ბრძანა: —
საქართველოა ნამდვილად ესე,
აქ ფეთქავს მისი ნიჭი და ძალა.

შაშვი

ამოიყორა ხეობამ ფაშვი, —
მთელი ზამთარი იქნება ასე,
გადაფრინდება ყორეზე შაშვი
ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე.

უცებ ხალიჩად გექცევა ნობი,
მალლა, სულ მალლა აგიყვანს მარტო,
არც დიდი თოვლი, არც მსხვილი კობი
სულაც არ არის საშიში ამ დროს.

ოღონდ ეს შაშვი, — ეს დიდი ბავშვი,
სულ დაფრინავდეს ოდიშის ცაზე,
ბერის, მონაზვნის, წმინდანის საშვით,
ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე.

* * *

...და გავიარეთ ხობი, ხიბულა,
და მშვენიერი იდგა ამინდი...
აქ რომ იმ ზამთარს კაცი მოგვიკლეს,
ის კაცი იყო მართლა რაინდი!

და მშვიდად ძილიც აღარ აცალეს,
გამოუცვალეს ხუთჯერ საფლავი...
აქ რომ იმ ზამთარს კაცი მოგვიკლეს
ის კაცი იყო მართლა ვარსკვლავი!

ბნელთან, წყვდიადთან მარად მორკინალს
ნესტივით ჭამდა სევდა, ნალველი...
აქ რომ იმ ზამთარს კაცი მოგვიკლეს,
ის კაცი იყო ქვეყნის სახელი!

* * *

სალამი დიდი ოდიშის სახელს, —
ჭყონდიდელების მოდგმას და ნაგრამს,
სალამი ცოტნეს, — უხორცო ქართველს, —
აბელის ძეს და აბელის ფარხმალს.

სალამი ყველას!

სალამი ნაბლის კარავს და მიწურს,
სალამი თოვლში ჩანამქრულ ქარებს,
სალამი ყველას ნაწალს და მიჯნურს, —
მწყემსის ნაბადში გახვეულ მთვარეს.

სალამი ყველას!

სალამი სოფლის მკვდრებსა და ცოცხლებს,
სალამი ცისკრის ოქროსფერ ჩიტებს,
სალამი შროშნებს, იებს და მოცხარს, —
შეყვარებულთა გულებს და სიზმრებს.

სალამი ყველას!

სალამი წარბთა, წამწამთა ციმციმს,
სალამი სულით მდიდართა კოცონს,
სალამი დედას, — იმ ერთი კვიცის,
რომელიც დღემდე მიყვარს და მომნონს.

სალამი ყველას!

სალამი ზუგდიდს, — შამგონას, ხურჩას,
სალამი ოდის ღვთაებრივ ძალას,
რამეთუ ერთ დღეს, — ერთ მუჭა მინას
მომაყრის მკერდზე მშვიდად და წყნარად.

სალამი ყველას!

* * *

მზე მიილია, დაკარგა ფერი,
ნოემბრის ცივი დარები დადგა,
დგას დედაჩემი თოვლივით თეთრი
და ჩვენი ეზოს განთიადს ქარგავს.

მამა ჭიშკართან ხეხილებს ფერთხავს
და წეროსავით ისწორებს კისერს...

.....

რას არ მივცემდი, ორივე ერთად
დღეს რომ სიზმარში მეხილა ისევ.

* * *

ველარ დავკრიფე მეგრული ვარდი,
ველარ მოგართვი ცაიშის კართან,
დედაო ღვთისავ! მოისხი მაღლი,
გადამაფარე მორჩილის კალთა.

მეგონა, ცაში ვიფრენდი მაღლა,
ვით ეს მავსტრო და მისი დასი...
მაგრამ მე ისევ მინაზე ვდგავარ
და აღარც ვიცი იმათი ფასი...

* * *

ველარ დავშორდი ვახტანგის ქალაქს,
ვერ უარყავი ოჯახის აზრი,
ხავსი მოედო მუხას და მარანს
და მამასავით დაბერდა ვაზი.

ამომივარდა გულიდან ყველა,
ვით შინდისფერი ჩოხიდან ქილა,
მე სხვა სოფელში მივდივარ უკვე
და იქ ვიქნები ყველაზე თბილად.

გუბაზის ხმალი

იმ ხალხს, იმ კაცებს ვერ ნახავ ვერსად,
მაგრამ აგერ მაქვს ის მჭრელი ხმალი,
ლაზის თვალივით ლურჯია დღესაც
ნოქალაქევთან ტეხურის წყალი.

ცხოვრება მიდის, მიდის და მიდის,
ვით ეს მდინარე, — ეს ლურჯი წყალი,
კაცი ვერ ვნახე, რომელიც იტყვის:
აგერ მე, აგერ, გუბაზის ხმალი!

ომერ-ფაშას უსტარი

რუხის ციხესთან განლაგდა ჯარი,
(როგორც ამბობენ და წერენ დღესაც),
არ სძინებია ოდიშზე ფიქრით
ეკატერინეს, — დედოფალს ჩვენსას.

წუხელ დილამდე გაგრძელდა ომი, —
იყო სისხლის ღვრა, ბრძოლები ღია,
ვით შავულვაშა ასკერის თავი
წყალს ომერ-ფაშას ზარდახშა მიაქვს.

ო, იმ ზანდუკში წერილი ერთი, —
ოქროს და გიშერს ჰპირდება ოდიშს,
თუ გადაწყდება ამ მოკლე დროში
მისი და მისი რჩეულის ბედი.

თურქის ისარი დაფრინავს გზაზე,
როგორც წვიმაში ენგურის ტალღა,
ბევრი თავისით გაშავდა წყალში
და ბევრი კიდევ ალაჰის კართან.

მწვანე თხმელნარში აკაფეს ქელე*, —
ეხვავიების სისხლი და სახე,
ერთხელ გაექცა ოსმალოს მცველებს,
მაგრამ მეორედ დაუგეს მახე.

.....

ლაშქარს ნელ-ნელა ელევა ძალა,
აშკარად, ცხადად მძიმეა ფონი...
მაგრამ სიცილად არ ჰყოფნის ახლაც
ოდიშს იმ ერთი უსტარის ტონი.

* * *

ანაკლიასთან ერთი ციხეა,
ერთი დარბაზი გულდახურული,
ერთი კარია, ერთი საფიხვნო
და შემოდგომის ცა დაბურული.

ანაკლიასთან შუალამისას
ქვითინებს ქალი ძაძით მოსილი,

* ქელე ეხვავია — 1855 წლის 25 ოქტომბერს თურქეთის 30 000 კაციანი არმიის შემოსევის დროს ბერი თევდორეს გამირობა გაიმეორა.

ოდესლაც შუქი სავეს მთვარისა,
ახლა მწუხარე ქვეყნის დობილი.

ანაკლიასთან ერთი ციხეა
მუხის ხეებით შემორაგული,
ვისთვის გემია, ვისთვის კიბეა
ზღვის მკერდზე ხელით ამოქარგული.

ჩემთვის მუშტია მაგრად შეკრული
მტრის დასანახად აქ აღმართული,
ძლიერი, როგორც ფესვი მეგრული,
ამაყი, როგორც გენი ქართული.

ანაკლიასთან ერთი ციხეა!

სოფელი

ჩემი ფიქრების პატარა ცაა, —
თხმელის შოლტებით შეკრული ფაცხა,
ახლა ეზოში იმგვარად ცხელა
მომიხდებოდა ეს ერთი კათხა.

ზაფხულის იდეებს გადაჰყვავა ხალხი,
ირგვლივ უბრალო ბალახიც გახმა,
ცოდვით ალბათ, თვით ძუენა ძალღიჯი,
როცა ჩემსავით ნატრულს თავსხმას.

დგას აივანზე ჭაღარა ქალი,
კითხულობს ძველი ტფილისის ამბავს,
მე კარგად მახსოვს... აქ, მისი ქმარი
ენგურის ქვემოთ აგებდა დამბას.

მაგრამ სოფელი ფუსფუსებს ისევ
და სიცხე ახრჩობს, — და მახრჩობელი,
ოდიშის ღამეს შეჰყურებს ისე,
ვით დიდვაჭარი უცხო გობელენს.

* * *

მალე ზაფხული დაგვიქნევს ხელებს,
წყალი აქ უფრო ღრმა და ჩქარია,
ღმერთო, უმრავლე ოდიშის ტყეებს
ბუღბუღი, შაშვი და მაფშალია.

ვოცნებობ, როგორც ყველა ღატაკი,
ჯიბეში მქონდეს ერთი უნცია,
და დილიდანვე ხობით, სენაკით
მღეროდეს ჩემი ნიკო ხურცია.

ტყეში, მინდორში ისევ მესმოდეს
შავი ცხენების რბოლა, ჭიხვინი
და ასხის მთებში რქებით ეკიდოს
მწუხრის ღრუბელი — ჯოგის ჯიხვივით.

სხვა არაფერი მინდა ამქვეყნად
და თუ ეს თხოვნა მეტად მეტია,
მაშინ ეს ენა და ეს მარჯვენა
ჩემთვის უბრალოდ მოსაკვეთია.

ქაბული

ფოთიდან ხობში მიდის ქაბული, —
ვარდივით მორჩი და მკერდმაღალი,
ერთი უბრალო გლეხის ასული,
ერთი ოჯახის მზე და ფარგალი.

მამა ჰყოლია თურმე ძებნილი,
ძმა-კაი დიდი გემის ბოცმანი,
ფოთიდან ხობში მიდის ქაბული
და სახლში მიაქვს უფლის ლოცვანი.

სასაფლაოზე

ვდგავარ სასაფლაოს კართან,
წვიმს და... ამინდია უნდო,
ანვიმს დედაჩემის საფლავს,
ანვიმს მამაჩემის კუბოს.

გვერდით მეზოვეს სძინავს,
ფერში — მარმარილოს ქვაში,
თითქო მოაგელეებს ნიავს
ქარი — აფაქიას რაში.

იმან მიგვატოვა ადრე,
ამან დაგვივიწყა გვიან...
ვებრძვი გაზაფხულის ბარდებს,
ვკოცნი მარტოხელა იას.

უცებ ჩამოვივლის მარტო
თმაში ელადური ვერცხლით,
ქალი ყვავილივით სათნო,
სანთლით, სააღდგომო კვერცხით.

გული შეფრინდება მალა,
ბედით, დღევანდელი ხვედრით,
მე რომ მიხარია ახლა,
ალბათ, დედაჩემიც ხვდება.

ძეძვით, ნაძვნარების ზევით
შაშვი მილივლივებს ცაში,
უფლის, ანგელოზის ხემით
შაშვი — პაჭკორიას ბავშვი.

დედამ გამიღიმა თითქო,
მამამ შემომხედა ცივად: —
ნასვლა ღირსეული იყო,
ხსოვნაც ღირსეული გვინდა!

* * *

მე კარგად მახსოვს სოფელი ჩემი, —
წყალში შეჭრილი ცისფერი ნავი,
ტაძრის კარებთან ლოცვანით ხელში
მეზობლის გოგო, — მაცხოვრის კრავი.

მდინარის ქვემოთ ბორანი მახსოვს,
ცხვირდაჯორჯვილი ზვირთების ცემით,
გამოგდებული სახლიდან ძაღლი,
კოჭლი თხისა და ერთი ხბოს მცველი.

მეც იმ სოფელმა მრავალთა დარად
ერთი ვარსკვლავი ამომჭრა შუბლზე...
და ახლა ვუმზერ იმ სოფლის ღრუბელს,
როგორც სარქალი საკუთარ ფარას.

არ მავინყდება ის ციცქნა გოგო,
ძალიან ადრე მოუკვდა ქმარი,
სულ მარტო დარჩა ის გოგო ბოლოს,
დღემდე ქვრივი და ობოლი თვალი.

არც გათხოვდება არასდროს იგი,
არ გაიხსნება დახშული კარი...
როგორც ბეჭედში მძინარე ბივრითს, —
ასი წლის შემდეგ იპოვის ქმარი.

ქველი მნიშვნობარი

ისე გავიდა მარილზე იგი, —
არ გამიგია ცუდი ან კარგი...
სულ ავად იყო, — წარსულზე ფიქრით,
უყვარდა ვაჟას ქოხი და ჩანგი.

ზვარში, ყანაში ეძებდა სოფელს,
ხოლო ქალაქში ქალაქის მარილს,
შაბათს ან კვირას უკრავდა შოპენს,
ან აივანზე მღეროდა მთვრალი.

გამახსენდება ის ტკბილი კაცი,
როგორც ბიძა ან მშობელი მამა...
აშრილდება ეზოსპირ ცაცხვი,
მოჰყვება ძველი მწიგნობრის ამბავს.

ერთი ლამაზი ასული ჰყავდა,
ერთი თიკანი და ერთი ჩიტი,
გოგო — ოდიშის აბრეშუმს ჰგავდა,
მამა — გუბაზის უბედურ შიკრიკს.

სულ რუსთაველი დაჰქონდა უბით,
ან მეფეთმეფის ანდერძი მცირე,
ახსოვდა, როგორ მოახრჩვეს ქუჯი,
თავები როგორ წარკვეთეს შვილებს.

სულ სხვა დროების ბინადარს, მძევალს,
სხვა დინებების ეხვია მუმლი!
ვით შემოდგომის ქარვისფერ ვენახს,
ნაოჭით ჰქონდა გავსილი შუბლი.

ოქროს და ალმასს ეძებდა ჩვენში,
მოჰქონდა შვიდი წმინდანის წიგნი
და უფლის ტაძარს და იმის ბჭეებს,
აგებდა ჩვენი სულების შიგნით.

ჰყვებოდა ლაზი დედოფლის სიზმრებს,
ახსოვდა ყველა იგავი, მითი,
და მთელი ღამე ფურცლავდა წიგნებს
ვაზის ლერწვივით მთრთოლვარე თითით.

დაბერდა... დადგა კარებთან ზურგით
და მოიჩრდილა მზე ერთი ხელით,
აილო მთავრის ნაქონი თუნგი
და გაისველა ჭის წყალით ყელი.

წავიდა... გაჰყვა ქალაქის გამზირს
ჩრდილივით ოდნავ მქრქალი და მკრთალი,
მას შემდეგ მე იმ წმინდა კაცისთვის
არსად არასდროს მომიკრავს თვალი.

თოვდა, სვავრიელად თოვდა

იქ რომ მალლობია დიდი
მუმლი ეხვეოდა მუხებს,
ეს გზა მარტვილისკენ მიდის,
ის გზა კინიასთან უხვევს.

ჰგავდა ადამიას ნახატს, —
თოვლი, ჩვენებური ოდა,
მწყემსი დაეძებდა ნახირს,
მთაში სვავრიელად თოვდა.

თოვდა, სვავრიელად თოვდა.

თოფით, მონადირის ქუდით
ტყისპირ მიდიოდა კაცი,
ჟინი ანთარივით სუფთა,
ჟინი ანთარივით მკაცრი.

გზისპირ რიჩარდით იდგა
კოჭლი, ბრუციანი ვაცი,
ქალთა ბანოვანთა რისხვა, —
ძველი ხურუში და ხრონცი,

ხეებს, გაფრენილებს ცაში
თოვლით — ვარსკვლავების კოდით
ცრემლი უზინავდათ თვალში,
როგორც სარაქონელ ცოდვილთ.

სოფელს, ჩაძინებულს თოვლში
კვამლი უხდებოდა თხელი,
მეფის, მეფისწულის ქოშით
მთვარე ჩადიოდა ხევში.

თოვდა, სვავრიელად თოვდა.



რობერტ საუთი

მანჩესტერის ცოდვები

რომანტიკული ეპოქის ინგლისელი კონსერვატორები, განსაკუთრებით პოეტები, მკაცრად აკრიტიკებდნენ ახალ ინდუსტრიულ წესებს მათი არაადამიანურობის გამო. ისინი ამხელდნენ თომას მალთუსის, ჯერემი ბენტამისა და მანჩესტერელ ეკონომისტთა სოციალურ თეორიებს. სამეფო ლიტერატურული საზოგადოების ოქროს მედალის ლაურეატის, რობერტ საუთის (1774-1843) ეს ესეი XXVIII ნიმუში გახლავთ მისი კრებულიდან, “წერილები ინგლისიდან” (1807), რაც თითქოს ესპანელ მოგზაურს მიეწეროს შინ.

ჯ.-მ ალგვჭურვა წერილით, რაც ერთი მანჩესტერელი ჯენტლმენისათვის უნდა გადაგვეცა; ნასაუზმევს გადავცით და სწორედ ისეთი თავაზიანობით მიგვიღო, როგორითაც იმ უცხოელს ხვდებიან ინგლისში, შესაფერისი რეკომენდაცია რომ აქვს. მან წაგვიყვანა ბამბის ერთ-ერთ დიდ სანარმოში, გვაჩვენა იქ მომუშავე ბავშვები და ალტაცებით მოგვითხრო თუ რა უსაზღვრო სიკეთე მოჰქონდა ასეთ ნაადრევ დასაქმებას. ვუსმენდი და არ ვეკამათობოდი, რადგან ვის შეუძლია ხმა მიაწვდინოს დიანას ეფესოში! ისე ვაგებდი ჩემს შეკითხვებს, რომ არაფერი ეგულისხმა ან სულაც თავი არ ეჩინა განსხვავებას ჩვენს შეხედულებებს შორის, და დავბრუნდი იმ გრძნობით გულში, მადლობას ვწირავ უფალს, ინგლისელი რომ არა ვარ-მეთქი.

აღმოსავლეთ ინდოეთის ზოგიერთ კუნძულზე ერთი ბუჩქი ხარობს, რასაც ფრანგები veloutier-ად უხმობენ; შორ მანძილზე საკმაოდ სასიამოვნო სურნელს აფრქვევს, მიუახლოვდები და ნაკლებად მოგეწონება, და როცა ზედ მიადგები, ყარს. თვით ალციატუსიც კი ვერ წარმოიდგენდა უკეთეს სიმბოლოს ინგლისის კომერციული წინსვლისათვის.

მრ. — მ შენიშნა, არაფერია უფრო მეტი სარგებლობის მომტანი ქვეყნისათვის, ვიდრე მანუფაქტურებო. “ხედავთ ამ ბავშვებს, სერ,” მითხრა მან, “ინგლისის უმეტეს ნაწილებში ღარიბთა ბავშვები ტვირთია მშობლებისა და მრევლისათვის; აქ კი მრევლი, მათი დახმარება რომ ევალება, არავითარ ხარჯს არ გაიღებს; ბავშვები საკუთარ ლუკმას შოულობენ მაშინვე, როგორც კი სიარულს ისწავლიან, და როცა შვიდი ან რვა წლისა შესრულდებიან, ფულსაც გამოჰკრავენ ხელს. ჩვენს შორის არავინაა უქმა — დილის ხუთ საათზე მოდიან, ნახევარ საათს საუზმისათვის ვაძლევთ და ერთ საათს სადღლისათვის; ექვსზე ამთავრებენ სამუშაოს და ღამის ცვლა ენაცვლებათ, ჩარხი არ ჩერდება.” ვიდრე ლაპარაკობდა, ვუყურებდი თუ რა სწრაფად მუშაობდნენ ამ პატარა ქმნილებათა თითები დახვებზე, და თავბრუ მესხმოდა ხმაურისა და დაუსრულებელი მოძრაობის შემყურეს; და როცა მითხრა, ამ კედლებში დღე-ღამის მანძილზე არავინ ისვენებსო, ვიფიქრე, დანტეს რომ ჯოჯოხეთის ერთ-ერთ გარსში ბავშვები მოეთავსებინა, ეს სცენა გამოადგებოდა წამების საჩვენებლად-მეთქი.

“გამოდის, რომ ამ ბავშვებს”, ვუთხარი მე, “დრო აღარ რჩებათ აღზრდა-განათლების მისაღებად”. “ეგ ნაკლი ჩვენც შევნიშნეთ, სერ,” მომიგო მან. როგორც ხედავთ, გოგონები აქ გათხოვებამდე მუშაობენ და, როცა გათხოვდებიან, არაფერი იციან საოჯახო საქმისა, არც წინდის დაკემსვა ეხერხებათ და არც კარტოფილის მოხარშვა. მაგრამ ამის მოგვარება უკვე დავინწყეთ და სამუშაოს დასრულების შემდეგ ბავშვებს სკოლაში ვგზავნიო”. ვკითხე, ამდენ ხანს დახშულ სივრცეში ყოფნა ჯანმრთელობას ხომ არ შეურყევთ-მეთქი. “არა”, მიპასუხა მან, “ისეთივე ჯანმრთელი არიან, როგორც მთელი მსოფლიოს ბავშვები. ის კია, მრავალი დიდობაში ფილტვებით ავადდება, მაგრამ ეს ხომ ინგლისელთა სწეულებაა”. გავბედე და მოგვიანებით გამოვიკითხე იმ ხალხის ზნეობის შესახებ, ვისაც ასეთი ჯოჯოხეთური პირობები გამოევლო, და ვნახე, რაც მოსალოდნელიც იყო, რომ ამდენი სხვადასხვა სქესის არსების ერთად შეყრით, მაშინ როცა არავის უსწავლება მათთვის არც რელიგია და არც ზნეობა, ისეთი თავზეხელალებული და გარყვნილი გამოდიან, როგორი პირობებიც შეუქმნეს; კაცები ლოთები, ქალები მეძავნი; და რა ჯამაგირიც უნდა აეღოთ, ხელმომჭირნეობისა არაფერი გაეგებოდათ, არაფერს გადაინახავდნენ გაჭირვების დროისათვის; და ამიტომ თუმცა მრევლის ხარჯები იზოგებოდა და ამ ბავშვების შენახვა არაფერი ჯდებოდა, მერე მაინც საჭირო ხდებოდა ხარჯის გაღება, როცა ცხოვრების წესი დასწეულებდათ ნაადრევი დასუსტებისა და დაბერების გამო. ლატაკთა რიცხვი ძალიან დიდია და საავადმყოფოები და მუშათა სახლები გადატვირთული. ვიკითხე, რამდენი სული დასაქმებული მანუფაქტურაში მეთქი, და მითხრეს, ბავშვებიანად ორასამდე იქნებიანო. რამდენი მფობელია? — ორნი არიანო, მიპასუხეს. ასე! ასი ერთზე-მეთქი, გავიფიქრე.

“მანჩესტერში მუშახელი არ გვაკლია”, მითხრა მრ. — მ, “მანუფაქტურა მოსწონს მოსახლეობას, ღარიბებს აღარ აშინებთ ოჯახის შენახვის ტვირთი, მრევლში ბევრი ჩნდება ქარგლობისათვის შესაფერისი პირი, და ჩვენც ისევე სწრაფად ვითვისებთ, როგორც ისინი გვანვიან. ახალ სანარმო ქალაქებში მუშახელის ნაკლებობაა. მათი ერთადერთი მეთოლია ხალხის გაგზავნა ქვეყნის კუთხეებში და ბავშვების გამოართმევა მშობლებისათვის. ეს ძირითადად ქალებს ავალისთ; ისინი ჰპირდებიან მშობლებს, ბავშვებზე ვიზრუნებთო. ერთი ნაწილი მოხარულია, რომ ტვირთი უმსუბუქდებათ; სხვას ის უხარია, რომ ყმანვილებს საკვები, თავშესაფარი და ტანისამოსი გაუჩნდებათ და ჯამაგირიც შემოუვათ”. „მაგრამ თუ ამ ბავშვებს ბოროტად მოექცევიან?” ვკითხე მე. “სერ”, მიპასუხა მან, “რისთვის უნდა მოექცნენ ქალები ამ ბავშვებს ბოროტად, და არც მენარმეები მისცემენ ამის უფლებას.”

ამაო იქნებოდა კამათი, კიდევაც რომ მქონოდა საამისო სურვილი. მრ. — კეთილი ბუნების ადამიანი ჩანდა და რაკი თვითონ არ სურდა ბოროტების ჩადენა, სხვებზეც საკუთარი განცდების მიხედვით მსჯელობდა. გამახსენდა არაბული ზღაპრების ქალაქები, სადაც მცხოვრებნი მოვადოებულნი არიან; აქ კომერცია ჯადოქარი დედოფალია და მე არ გამაჩნია ძლიერი თილისმა, რათა ჯადო ავცნა მათ, ვინც ყოველდღე სვამს ჯადოს ოქროს ფიალიდან.

ჩვენ ვყიდულობთ ინგლისურ ქსოვილს, ინგლისურ მუსლინს, ინგლისურ ლილვებს და ა.შ. და მოგწონს თუ რაოდენ ოსტატურად არის დამზადებული და გვიკვირს, ამ-

სიმორიდან ასე იაფად როგორ გვანვდიანო, და ვფიქრობთ, რა ბედნიერი ქვეყანაა ეს ინგლისიო! ბედნიერი მართლაც არიან ძლიერნი იმა ქვეყნისათა; არსად არა აქვთ მდიდრებს ამდენი თავშესაქცევი, არსად არა აქვს ამდენი გასაქანი პატივმოყვარეობას, არსად არ აქვთ ბებნი ნიჭიერებას ასე ძლიერ და არსად აქვთ ინტელექტუალებს ამდენი უპირატესობანი; მაგრამ საუბარი ინგლისურ ბედნიერებაზე სპარტანულ თავისუფლებაზე ლაპარაკს ემსგავსება, სადაც ჰელოტებიც უნდა დავინახოთ. არცერთ ქვეყანაში არ შემოაქვს ამდენი სიმდიდრე კომერციას, მაგრამ ეს ის ქვეყანაა, რომელიც ასეულობით მშრომელის ხარჯზე მდიდრდება; ასეულობით დამიანისა, მდიდრებისაგან არაფრით განსხვავებულთა, ბუნების მიერ შექმნილ მშვენიერ არსებათა, დაჯილდოვებულთ ისეთივე უნარით და ისევე შექმნილთ უკვდავებისათვის, სულ-ხორციით რომ იწირებინან. საშინელებაა, რომ, როგორც ჩანს, ეს სავსებით მართებული განცხადებაა. ისინი ყმანვილობისას მოკლებულნი არიან ყოველნაირ აღზრდასა და სიამოვნებას; სპორტს, რასაც ყმანვილობა ინსტინქტურად მისდევს, სუფთა ჰაერს დღისით და ბუნებრივ ძილს ღამით. მათი ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობა თანაბრად და დანგრეული; ისინი იხოცებიან სწულულებისაგან, რასაც იწვევს განუწყვეტელი შრომა, უწმინდური ჰაერის სუნთქვა ხალხით გადაჭედოთაში, ლითონისა თუ ბოსტნეულის მტვრის ნაწილაკები, რასაც გამუდმებით შეისუნთქავდნენ; ანუ იზრდებიან შეგნებას, კომფორტსა და იმედს მოკლებულნი, ზნეობისა და რელიგიის გარეშე, სირცხვილი არ იციან და აჩენენ თავისსავე მსგავს მოწინავეს, რათა მათაც იგივე ბილიკი გაიარონ სიდუხჭირისა.

წარმოების მუშათა საცხოვრებლები ვინრო ქუჩებსა და მოსახვევებშია. აქ შუქი და ჰაერი არ აღწევს, მზის გულზე კი არ გაშლილან, როგორც ჩვენს ქვეყანაში, არამედ მჭიდროდ შეგროვილან, რადგან მიწის თვითიული გოჯი ისეთი ძვირია, რომ მზის ქვეშ, ჰაერზე ადგილი მათ არ ერგებათ. აქ მანჩესტერში ღარიბთა უმრავლესობა ბნელ და ნესტიან სარდაფებში ცხოვრობს, სადაც ყველანაირი სიბინძურე იყრის თავს, რადგან ვერავითარი დიასახლისობა ვერ მოანესრიგებს ამგვარ ბინებს. აქ მრავალნაირი ინფექცია ჩაბუდებულია; და იშვიათია ღარიბი კაცი დიდ ქალაქებში, ციებ-ცხელება რომ არა სჭირდეს, მათი საკუთარი სწულულება, რომელიც მდიდრების საცხოვრებელს არ ეკარება, როგორც ალტქმულ მიწას სისუფთავისა და ფუფუნებისა.

სიმდიდრე შეედინება ქვეყანაში, მაგრამ როგორ ნაწილდება იქ? თანაბრად და ჯანსაღად კი არა, არამედ მიედინება ვენებსა და სადინარებში და გროვდება ანევიზმებში, რაც ითხოვს და იწვევს უკიდურესობებს. მთავრობა ახლა მართ-

ლაც რომ იოლად აგროვებს მილიონებს ისევე, როგორც ათასები გროვდებოდა ელიზაბეთის დროს; მეტროპოლია ექვსჯერ უფრო დიდია, ვიდრე საუკუნის წინათ; ის გაორმაგდა ახლანდელი მეფის ხელში; ათასობით ეტლი მოძრაობს ლონდონის ქუჩებში, იქ, სადაც სამი თაობის წინათ ასიოდევ კი არ მოჩანდა; ათასობით ფაეტონისათვის გაიცა ლიცენზია ქალაქში, სადაც ასევე სამი თაობის წინათ ერთიც არ იყო; ისინი, ვისი პაპებიც ხის გობებიდან ჭამდნენ შუადღეზე მხოლოდ იმას, რაც საკუთარ ფერმაში მოჰყავდათ, ვერცხლით განწყობილ და სანთლებით გაკაშკაშებულ სუფრას შემოუსხდნენ, რათა მიირთვან დედამიწის ოთხივე კუთხიდან მოტანილი დელიკატესები. მაგრამ ღარიბთა რაოდენობა და მათი სიდუხჭირე იზრდება; მათი საკვების ფასები იზრდება, ხოლო შრომის ანაზღაურება, ერთადერთი შემოსავალი, რისიც ეიმედებათ, იგივე რჩება. სახელოსნოები ერთ ადგილზეა აღმართული, საავადმყოფოები — მეორეზე; ნიხრები ღარიბთათვის გადასახადების შესატყვისად იზრდება; გაჭირვების დროს მდიდრები საკვებს აგროვებენ, რათა ლატაკებს დაუნანილონ დაბალ ფასად ან სულაც უანგაროდ აწვდიან; და მაინც, ყოველწლიურად იზრდება უქონელთა რაოდენობა. სიდუხჭირე დანაშაულის მშობელია; აშენებენ ახალ ციხეებს, ახალი სასჯელები შემოაქვთ; მაგრამ ღარიბები წლითინლობით მრავლდებიან, უფრო საცოდავები და მიუსაფარნი ხდები-



რობერტ საუთი

ან; და ეს გახლავთ საქარხნო სისტემის განუყოფელი ნაწილი. ამ სისტემით მოაქვს თავი ინგლისს და კიდევ დიდხანს გაჰყვება ეს სწულულება და დიდხანს იტრაბახებს, ვიდრე ესპანეთი შეძლებდეს მეტოქეობა გაუწიოს! და სწორედ ეს სისტემაა, რაც გვშურს და გვწაღია მივბაძით. საბედნიეროდ, ჩვენი რელიგია აღმართავს დაბრკოლებას; განუწყვეტელი შრომა, რაც ამ ქარხნებშია საჭირო, ვერასოდეს განხორციელდება კათოლიკური ქვეყნებში, სადაც ეკლესიამ ბრძნულად დაადგინა მრავალი დღე დასვენების, რელიგიური დღესასწაულებისა და გართობისათვის. ამ დღესასწაულთა სიმრავლის გამო ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ღმერთმა დაგვიფარა მოფილოსოფოსო კომერციალისტთა მოთხოვნებისაგან და ესპანეთში არ შემოსულა არაადამიანური შრომა, ამერიკელი ზანგებისა და ინგლისელი ქარხნის მუშების მსგავსი! დაე ინგლისელებმა იტრაბახონ, მთელ ევროპას ნაკეთობებით ვამარაგებთო; შეინარჩუნონ გამორჩეულობა ზღვის ამ ბატონ-პატრონებმა, რასაც ასე ეპოტინებიან, დარჩნენ მსოფლიოს თეთრ მონებად და შეასრულონ ბინძური სამუშაო ყველას მაგივრად. ასეთ საბრალო ლატაკთა გარეშე ამგვარი ყოფა ვერ გაგრძელდება; საჭიროა კანონები, რომელიც მოანესრიგებს მათ ჯამაგირებს — არა შრომის, არამედ ბატონთა ნება-სურვილის მიხედვით; კანონები, რომლებიც ხელს შეუშლის მათ გადაადგილებას ქვეყნის შიგნით და სამეფოდან ემიგრაციას.

წარმოუდგენელია, რომ ისინი თავს იყრიდნენ ცხელ სამუშაო ადგილებზე მთელი დღე და ხროვად არ უნდა ეყარნონ ნესტიან სარდაფებში ღამდამობით; ოფლს არ უნდა ღვრიდნენ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მთელი დღეები და ღამეები, იმიტომ, რომ თორმეტსაათიანი სამუშაო დღე არ კმარა სავაჭრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; დღე და ღამე ოფლს არ უნდა ღვრიდნენ, რათა შეინახონ ეს *laus perennis* ეშმაკისა, ეს ლუმელი, რომელიც არასდროს არ უნდა ჩაქრეს და ახრჩოლოს სიმყრალე, რასაც აუცილებლად მოაქვს სწეულება და სიკვდილი; ღარიბი არასოდეს დათანხმდებოდა ამას, უკიდურესად ღარიბი რომ არ ყოფილიყო და უმდაბლეს სიღატაკში არ ჩავარდნილიყო, როცა დარიგება აღარ გშველის და ისპობა მომავლის ყოველგვარი იმედი, კინიღება ადამიანი, მხეცად იქცევა, აღარაფერი ადარდებს, გარდა იმწუთიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა.

როგორ უნდა უმკურნალოს ინგლისმა ამ ბოროტებას, მაშინ, როცა ინგლისში არ მოიძებნებოდა ისინი, ვინც მიხვდებიან და აღიარებენ მას ბოროტებად; ამაში წვდომა ადვილი არ გახლავთ და არცაა ჩემი საქმე ამგვარი კვლევადობა. ჩვენთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გავიგოთ, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან ეს ბოროტება სხვა ქვეყნებში და, რადგან სულ უფრო ძლიერდება ყველგან წარმოების საჭიროება, უნდა გავერკვეთ თუ როგორ მივიღოთ აქედან სიკეთე და ავირიდოთ ბოროტება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. საუკეთესო მეთოდი იქნებოდა, რიგინად დაგვეხვეწა მანქანა-იარაღები და შრომის ფასი მისი დონისათვის შეგვეხამებინა: რაც უფრო ამაღლდებოდა, მით უკეთესი. მანქანების განახლება ძველ სანარმოო ყოველთვის აურზაურს იწვევს, რადგან მუშები სამსახურს კარგავენ და იშვიათად ხორციელდება არეულობისა და წესრიგის დაუმყარებლად. იქ, სადაც ახალი ფაბრიკები უნდა აშენდეს, ცხადია, ამგვარი გართულებანი არ იქნება, და ისიც ცხადია, რომ იქ, სადაც მძიმე შრომა უნდა წარიმართოს ხითა და რკინით, სასურველია დავზოგოთ ხორცი და სისხლი. მაღალი ჯამაგირი მთავარი მონაპოვარია, რადგან ამგვარად განაწილებული ფული საყოველთაო სიკეთეს დიდად წაადგება. მუშა ერთი ნაბიჯით აიწევს მაღალ საზოგადოებაში, შეიძენს ღირსებასა და მოთხოვნილებებს, ჩვევებსა და განცდებს მასზე მაღლა მდგომი კლასისა. წინდახედულება, რასაც ლატაკი გუმანით გაურბის, იმისთვისაა, ვინც ახალი სასიამოვნო და მოსვენებული ყოფის ცოდნას შეიძენს; განათლებას აძლევს ბავშვებს იმ იმედით, რომ მასზე მაღლა ასვლას შეძლებენ და უკეთესი ცხოვრებისათვის ამზადებს. კეთილდღეობა უფრო საშიშად არის მიჩნეული ადამიანური სიქველისათვის, ვიდრე განსაცდელი; ორივე საშიშია და ხშირად დამლუპველიც, როცა გადაჭარბებულია; მაგრამ თუ კეთილდღეობა ასე საშიშია, საშიშია მხოლოდ მცირედითა; და საკმაოდ ადრე დამტკიცებული იმ უბედურთა და საცოდავთა მიერ, ვინც მონობაში ცხოვრობს, რომ რა ფორმითაც გინდა იყოს და როგორც უნდა იყოს შენიღბული, იმედი მთავარია კეთილგონიერთათვის სიქველისა და ბედნიერებისათვის.

**ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა**

გია ჯოხაძე

დროზე ხნიერი იეიტსი

□

„კელტური მიმწერის“ გამოცემის გამო

ამას წინათ, ჩემმა მეგობარმა, ჟურნალისტმა და ლიტერატორმა ქეთევან ქურდოვანიძემ ასეთი რამ მომწერა, ცხადია, სულ სხვა შემთხვევის გამო, მაგრამ იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ახლა ვლაპარაკობ:

„ევროპული პოეზიის ესოდენი მრავალფეროვნება მართლაც ეჭვქვეშ აყენებს მისი ხელოვნური გაერთიანებით გამოწვეულ საფრთხეს და თამამად გვათქმევინებს: ევროპულ პოეტებს დღეს მხოლოდ ის აერთიანებთ, რომ ისინი ერთი და იმავე ვალუტით იღებენ შონორარს. ევროპა ერთგვარად შვავს კავკასიას, სადაც საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობენ სხვადასხვა ეთნოსის, ტემპერამენტისა და ნიჭის ადამიანები, სადაც მხოლოდ კულტურული დიალოგია მისაღები და არა - შეგემონიზაცია, ერთი მცირედი განსხვავებით, ევროპელები საკუთარ ენაზე კითხულობენ იმას, რაც ჩვენ რუსულად წავიკითხეთ“.

სულ ცოტა ხანია, რაც ჩვენშიც გახდა შესაძლებელი დიდ დასავლურ ლიტერატურასთან უშუალოდ ზიარება: თანაც, მოგეხსენებათ, ყოველ ახალ ნაკითხვას ნაწარმოების ხელახლა დაბადება, და ეგებ ახალი მკითხველის დაბადებაც მოსდევდეს ხოლმე.

ამიტომ ჩავთვალეთ, რომ არც გადაიშლია ეს წიგნი, არც იეიტსის ლექსები წამიკითხავს, არც პიესები, არც პროზაული ფრაგმენტები „კელტური მიმწერიდან“, და მაინც უსაზღვროდ მადლიერი ვარ ქალბატონ მედეა ზაალიშვილის, გამომცემლობა „ინტელექტის“, ამ გამომცემლობის დამფუძნებლისა და სერიის „ნობელის პრემიის ლაურეატები“ დამაარსებლის კახმეგ კუდავასი, როსტომ ჩხეიძისა და ა.შ. მეტიც: პირველად გავაცნობიერე, რას ნიშნავს მეტაფორა: „თავი ქუდში მაქვს“, და არა მხოლოდ მე ან იმ თაობებმა, რომლებიც ღალად დააბიჯებენ... ბიბლიოთეკების გვერდით (ერთხელაც, ალბათ, იქაც შეაბიჯებენ), არამედ მათაც, ვინც **მოაბიჯებს** მარადისობის უზილავი სივრცეებიდან, რადგან არსობის პური მოპოვებული დახვედბათ.

და მაინც: ვინ არის იეიტსი, რომლის ვეება ფიგურის მთელი სისრულით გამოჩინამ ასე გავგახარა?

ოდენმა მის ხსოვნას პოეტური ტრიპტიქი მიუძღვნა, რომელიც თავის მხრივ ინსპირაციად იქცა ბროდსკისათვის, ელიოტის სახსოვარი დაენერა.

რა გვითხრა ამ ტექსტით ოდენმა?

იმაზე მეტი, ვიდრე იეიტსმა საკუთარ თავზე — კაცმა რომ თქვას, პოეტს არც ევალება საკუთარი მნიშვნელობის დეკლარირება. უფრო ადვილია და უფრო კაცურიც, ეს მეორე პოეტმა შენიშნოს და გაგვაგებინოს, რომ იეიტსის **მადლმა ყველაფერზე მეტხანს იცოცხლა, თვით მასზე მეტხანს**; რომ **გონსგადამცდარმა ირლანდიამ პოეზიით დაასახიჩრა**; რომ იეიტსის არსებობით **ენა ხნიერია დროზე**; ან პოეტები ისინი არიან, **ვისითაც ენა ცოცხლობს**. იმიტომ, რომ

**დრო არ წყალობს რჩეულთაც,
არ იბრალებს მამაცებს
და მშვენიერ სხეულსაც
გულგრილობით ამარცხებს.
ენას ეთაყვანება,
მათ, ვინც მისით რაინდობს,
მათ სულსაც ემყარება
და მხოლოდ მათ დაინდობს...**

(უ.პ. ოდენი, იეიტსის გახსენება)


თუ ენა დროს ღმერთად მიიჩნევს, მაშ ენა დროზე მეტი ან ხნიერი ყოფილა, რომელიც, თავის მხრივ ბევრად ხნიერია სივრცეზე? (ი. ბროდსკი). ამ კითხვების გაჩენამ უნდა გაგვახაროს და გაგვაძლიეროს კიდევ იმის ნიშნად, რომ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა.

* * *

ნიგნი „კელტური მიმწეხრი“ იწყება როსტომ ჩხეიძის ესეით, არა — ნოველით, რომლის სათაურსაც ჯოისისეული თუ მარინა ცვეტაევასეული კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ განსაკუთრებულ გამოცდილებას ანიჭებს, ხოლო კოლაუ ნადირაძესთან საუბარი და შოკისმომგვრელი თანხმობა ეპილოგში, რომ იეიტსი დიხაზაც მოკლეს, დროსა და ჩვენს გონებრივ შესაძლებლობებს თავდაყირა აყენებს, მაგრამ სულს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს. ამგვარად, „ჩემი იეიტსი“ არ არის მხოლოდ როსტომისეული დამოკიდებულება დიდი პოეტისადმი, ეს გახლავთ ისიც, რაც ჩვენს სულს ცხოვლად აჩნდება და შემდგომ ლიტერატურის უღრანების კაფვაში გვეხმარება ხოლმე. სხვათა შორის, ზემოთ ნახსენებ ოდენის ლექსში ისეთი სტრიქონიცაა, რომელიც ჩემს ფრაზას მონოდების პათეტიზმისაგან იცავს:

**ბინდი კაფე, პოეტო,
ჩაეძიე ფსკერამდე
და შავ-თეთრი ცხოვრება
მაგ ხმით გააფერადე!**

წინასიტყვაობაში ირიბად ისიცაა ნათქვამი, რაზეც არაერთხელ გვიჩურჩულია: ირლანდიური ეროვნული მოძრაობის ლიდერი იეიტსი დიდი პოეტია, რაც არცთუ ხშირი მოვლენაა... ხანდახან ლექსები ეროვნული მოძრა-



ობის პატრუქის ასაგზნებლად იწერება და, სამწუხაროდ, დიდ ლიტერატურასთან საერთო არაფერი აქვს. იეიტსმა ეს მითიც დაამსხვრია, რათა შეექმნა ახალი, საკუთარი მითი, რადგან არ არსებობს არცერთი დიდი შემოქმედი საკუთარი მითის გარეშე.

იეიტსი ეზოთერიკოსია, მითოლოგია და ფოლკლორის ქვაბულებს საკუთარ ბინად იყენებს და მისი ენაც იმდენად „ქართულია“, რამდენადაც — არქაული. ამიტომაც მისი გადმოტანა პირდაპირ ესალბუნება ქართული ენის საღაროებს: მოდერნული „მოდერნიზმების“ საძიებლად მთარგმნელი აღარ იხარჯება და ქართული ენაც თითქმის უდანაკ-

ლისოდ კისრულობს იეიტსის შეთვისებასა და გამოხატვას. ეს ამ ნიგნში, ჩემი აზრით, უმრავლეს შემთხვევაში მიღწეულია.

რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა აქ ყოფილიყო უფრო მეტი ცნობა მოდ გონზე, იეიტსის თითქმის ყველა შედევრის ინსპირატორსა და პროტაგონისტზე, მის ქალიშვილ იზოლდაზე, რომელსაც დედამისის უარით განზილებულმა იეიტსმა ცოლობა სთხოვა, იეიტსის ეზოთერიზმისა და ოკულტიზმის საფუძვლებზე... მაგალითად, იმაზე, რაზეც იეიტსი ერთ თავის ესეიში წერდა:

„ერთი შეშლილი ხუცესი მიმტკიცებდა, რომ მის დროში არავინ გამგზავრებულა არც სამოთხეში, არც — ჯოჯოხეთში, ყველა რათის (ბორცვზე წამომართული ძველირლანდიური კოშკი) მკვიდრი გახდა, რომ მიცვალებულები იქვე რჩებოდნენ, სადაც მანამდე ცხოვრობდნენ, და არ ეძიებდნენ ნეტარებისა თუ შურისგების რომელიღაც მიღმურ სამყაროს, არამედ მშობლიური ადგილების ფარულ სულს უერთდებოდნენ...“

ირლანდიამ შექმნა იეიტსი (მისი გარდაცვალების შემდეგ კი, „შვილმკვდარმა ენამ მისი სიკვდილი დაუშალა პოეტის ლექსებს“, ოდენი), მისი პოეტური სამყარო პირდაპირ უძველესი საგებითაა ნაქსოვი. მაშინ ჯერ ისევ ხედავდნენ შიდეებს (სიდი) — „გორაკთა მკვიდრთ“, „ფერიათა ქვეყნის ბინადართ“, აქ თუ იქ ცხენზე ამხედრებულნი რომ გამოჩნდებოდნენ.

იეიტსი ტრადიციონალისტია. მას მოდერნიზმი მხოლოდ ფორმალურად შეეხო. და მაინც: ეს ტრადიცია ქრისტიანული, ასე ვთქვათ, წმ. პატრიკისეულია თუ წინარქრისტიანული, ბარდულ-დრუიდული? ერთიც განიჭვრიტება და მეორეც. ადრეული დროიდანვე ირლანდია ხუთ ნაწილად იყოფოდა, მისი ცენტრი მითი (Meath) იყო (როგორც ჩანს, გადატანითი მნიშვნელობითაც — მითი!), მაგრამ ცნობილია მეორე ცენტრიც — „მეორე მანსტერი“ (Munster), მითის საპირისპირო პოლუსი, ქტონურ სამყაროსთან, პოეზიასა და იდუმალ ცოდნასთან დაკავშირებული. ეს თითქოსდა არარსებული ცენტრი მითის ქვეშ მოიაზრებოდა, ერთგვარი მითისქვეშეთი გახლდათ. იეიტსი „მეორე მანსტერის“ მკვიდრი იყო, „იდუმალი“, „ბნელი“, ეზოთერიკოსი პოეტი, რომელიც

მუდამ ნათელ სინამდვილეზე ოცნებობდა, სიმშვიდეს, ყოფით ნეტარებას რომანტიზმში ეძებდა. იეიტსი აღიარებდა ციკლურ თეორიას, რომლის თანახმადაც ყველაფერი ძველებურად რჩება და იმიტომ იცვლება, რომ გამეორდეს, თუმცა ამ თეორიის თავდაპირველ მნიშვნელობას მიჰკერძავდა. ეპიკური გმირი მისი თანამედროვე ხდებოდა. ყველა საგანი სანსარის ერთიანი ბორბლის შიგნით იგულისხმებოდა, სადაც არაფერი და არავინ კვდება. იეიტსს აქვს ერთი, 1921 წელს დაწერილი ლექსი, რომელსაც „ბორბალი“ ჰქვია, ჩვენ კი „ბრუნვად“ ვთარგმნეთ:

გაზაფხულს ვუხმობთ ჩვენ ზამთრობით
შვების თავდებად,
გაზაფხულობით ზაფხულს ვსახავთ ახალ მესიად,
ხოლო როდესაც ღობეები ახმიანდება,
რიხით ვაცხადებთ, რომ ზამთარი უკეთესია.

მალევე ვამჩნევთ: ვერ ვმშვიდდებით
ვერცერთი მისხლით —
ან იმას ვწუხვართ, რომ გაზაფხულს ველარ
ვჭვრეტთ ველად...
რა მიზეზია, რომ მალიმალ გვემღვრევა სისხლი?
ალბათ, ის, ბოლოს რომ სამარეს მიველტვით ყველა.

„სიკვდილის გამო დასევდიანება“ იეიტსისთვის, ალბათ, აღმოსავლური სწრაფვის — გაარღვიოს სანსარა, მიანოს ნირვანას — ირლანდიური ეკვივალენტია, რამდენადაც ნირვანა ნეტარება როდია, უსურვილობაა, სურვილთა დაშრეტა... ამიტომაცაა, ოიშინი სურვილის კაცად რომ რჩება და სამოთხეს იმ ჯოჯოხეთს არჩევს, რომელშიც მისი სწორნი იტანჯებიან.

იეიტსი იცნობდა ბლავატსკაიას და, ზოგ მკვლევარს თუ ვერწმუნებით, როზენკრეციერთა ლოჟაში „ოქროს აისი“ ერთი პირველთაგანაც იყო.

იეიტსი სიმპათიას გამოხატავდა ჰიტლერისა და მუსოლინისადმი და მის ამღერებულ ლექსებს ირლანდიელი ლურჯხალათიანებიც გაჰკიოდნენ...

როგორც ჩანს, იეიტსმა პოეზია არჩია პოლიტიკას და იმითაც დაკმაყოფილდა, რომ ამ ორ ვნებას მხოლოდ პირველი მარცვალი აერთიანებთ.

იეიტსმა 1916 წელს 35 ფუნტად შეიძინა ნორმანული კოშკი ერთ-ერთ საგრაფოში და თავი შუასაუკუნეობრივ ფეოდალად წარმოიდგინა. იქ, იზოლდა გონისაგანაც უარნაჭამი, ვიღაც 25 წლის ჯორჯია-ჰაიდ ლიზზეც ქორწინდება. შვილებიც უჩნდება.

ამის შემდეგ კოშკი მისი პოეზიის ცენტრალური სიმბოლო ხდება — ეს იყო პოეტის ძლიერებაცა და ხელმეუხეობაც, ტრადიციის უკანასკნელი ბურჯიც, გარესამყაროსაგან სულის დამცველი ერთგვარი ჯავშანიც, თუმცა, ტაროს ბანქოს თანახმად, რომელიც უცხო არ გახლდათ იეიტსისათვის — ჩანაფიქრთა ჩაფუშვაცა და იმედთა გაცამტვერებაც. ტაროს ბანქოს კოშკი ის არის, რომელიც დიდი მოძღვრის შეგირდებმა ააგეს, რათა არასოდეს დავინწყებოდათ, რომ კოშკში არ ვანობს საიდუმლო და მისი კიბით ზეცას ვერ მიწვდები. კოშკი შეხ-

სენებაა, შუქურაა, რომელიც სახიფათო ადგილას აღიმართება: იქ გემებს არ აგზავნიან, იქ ადამიანები ილუპებიან.

გვანყდება მტერი, სპამრავალი, ბილნი, ძლიერი,
ბრიყვები ხართო, მეომრები მგლებივით ყეფენ.
დაგვიწყნიათო თვით ხელმწიფე კანონიერი...
აბა, ბრძოლაში, რა აზრი აქვს, ვინ არის მეფე?!
თუ ბრიყვები ვართ, რად წკმუტუნებს
სული ფინიად,
ჩამქრალი ლველფის ასე ძლიერ რად გეშინიათ?

ეს ლექსი 1919 წელსაა დაწერილი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აპოგეისას. იეიტსს ხელი არ ახლეს, მაგრამ კოშკი კი აუფეთქეს. ეს ფაქტი პოეტმა თავი-სი მითვის საკუთრებად აქცია.

უთხარით ყველას, რომ შავ კოშკში
ეს სული ლხინობს,
საუზმის ნაცვლად აქ თეფშებზე მხოლოდ მტვერია,
ცარიელია ყველა ჯიბე, მყავუა ღვინოც,
მაგრამ იცოდეთ, აქ მხედრისთვის ყველაფერია.
აქ დგას ჩაუქი გარნიზონი, ერთგული ფიცის,
სხვისი დროშების დაბლა დახრა რომელმაც იცის.

ფიცი მისცა მთელმა ირლანდიამ, რომელიც ტრადიციას იცავს. შავი კოშკი რათია, მთელი ირლანდიის შესაკრებელი:

საფლავში მკვდრები წამოდგომას არჩევენ ნოლას.
თან ვდუმვარ, ქართა ნაპირთაგან
წამოშლას თან ვმზერ,
აღმუვლდებიან ქარიშხლები ქალაქის თავზე.
ბებერი ძვლები ბრძოლის ყინით იწყებენ ყრუოლას.

მაგრამ ერთი წიგნი ამდენს, ალბათ, ვერც დაიტევდა და ჩვენი სურვილიც ოდენ ოცნებაა: მხოლოდ ოცნებაში ვართ აგრერიგად უკომპრომისონი.

აქ არის ორი ლექსი, რომლებიც ჩვენ არ გვითარგმნია და ეგებ ამიტომაც განსაკუთრებით გავციხარდა მათთან შეხვედრა. ერთს ჰქვია *სიყვარულის სევდა* (The Sorrow of Love), მეორეს კი — *მის გულს, რომ არ შეიპყროს შიშმა* (To His Heart, Bidding It No Fear). პირველი ასეთი შინაარსისაა: სხვენქვეშ ბელურების კინკლაობა (თარგმანშია „ჟიფივი“ და ეს მისაღებია, რადგან ვერავინ იტყვის, კინკლაობენ თუ ესიყვარულებიან ერთმანეთს ბელურები, როცა ისინი ჟიფივიებენ!), მთვარის ელვა და მთელი ეს რძისფერი ზეცა, ფოთოლთა მთელი ეს ცნობილი ჰარმონია მოსპო, წაშალა ადამიანის სახებამ და გოდებამ (თარგმანშია: „ხშირი ფოთლების შრიალმა და უცნაურ ხმებმა ჩაახშო კაცთა ხსენება და მათი გოდება“).

აღდგა ასული, რომელსაც ჰქონდა წითელი ნალვლიანი ტურები (თარგმანშია: „წითელტურება და მწუხარე აღდგა ასული“, თუმცა, ვფიქრობთ, იეიტსის იეიტსობაც ისაა,

რომ ქალს ტუჩები ჰქონდა მწუხარე და ნაღვლიანი!) და მის ცრემლებში სამყაროს სიდიადე ჩანდა („წუხდა სამყარო დიდებული, ცრემლმორეული“), ოდისევსივითა და მისი გემებზეთ განწირული და პრიამოსივით ამაყი, მისმა სწორებმა რომ მოუღეს ბოლო (თარგმანშია: „ვით ოდისევსი, მღელვარ ზღვაში გემით გასული, როგორც ამაყი პრიამოსი, მოძმეთ ძლეული“). აღდგა [ასული], და ახმაურდა იმ წამსვე სხენი, ცარიელ ცაზე მცოცავმა მთვარემ და ფოთლების გოდებამ შეადგინა, შექმნა (ეგებ ხელახლა შექმნა?!) ადამიანის სახეა და გოდება მისი (თარგმანშია: „თითქოს შეერწყა ყოველივე გოდებას კაცთა“).

ეს ლექსი იეიტსმა 1891 წელს დაწერა, მოდ გონთან შეხვედრიდან ორი წლის შემდეგ, რომელშიც გამოიყენა ორი კლასიკური ალუზია. მათ იკისრეს ლექსის სტრუქტურირება: ერთი ოდისევსია, მეორე კი — პრიამოსი. ვიდრე ქალი გამოჩნდებოდა, სამყარო თითქოს კაცობრიობის, წუთისოფლის, სააქაოს გარეშე არსებობს. ამ ბაგენაღვლიანი ქალის გამოჩენა კი ადამიანს უხმობს, ლექსში დასამკვიდრებლად ეპატიჟება: პოეტს ეპიკურ შედარებებს შთააგონებს, ხოლო ბუნებას ბუნებრიობა უბრუნდება: ხელმეორედ ცოცხლდება მთვარე, ბელურები, სხენი ანუ იქაურობა ადამიანური საწუხრით ივსება. იეიტსი გვიხატავს სიყვარულის ბუნებას — კერძო შემთხვევაშიც (ეს მოდ გონს მიემართება!) და — საერთოდაც (ზოგადქალური საწყისის თვალსაზრისითაც). მშვენიერი ქალი ბუნების ელემენტებს თავის გარშემო კი არ კრებს, არამედ მისი გავლენა შეუძლებელს ხდის, რომ მათ ადამიანური, საკაცობრიო საზრისი — ანუ სევდა არ გამოხატონ. ქალი ხელმეორედ განსაზღვრავს სამყაროს ძალას: ეს ადამიანური წუხილია.

მეორე ლექსში პროტაგონისტი მიმართავს საკუთარ გულს: მშვიდი იყავი, იყავი მშვიდი, მოცახცახე გულო (თარგმანში, რატომღაც, მიმართვა არ არის: „გთხოვ, დაიმშვიდე, დაიმშვიდე გული მშფოთვარე“), გახსოვდეს სიბრძნე ძველთა დღეთა: ის, ვინც თრთის ცეცხლის, წყლის, ქარის წინაშე, რომელიც უბერავს ვარსკვლავებიან გზებზე (თარგმანშია „ვისაც აშინებს მწველი ცეცხლი, წარღვნა და ქარი“... რასაკვირველია, ეს სწორია, თუმცა, გვგონია რომ აქ სტიქიები ჩამოითვლება, სამყაროს ელემენტები და სიტყვა ლოოდ-ის თარგმნისას, რომლის უპირველესი მნიშვნელობა „წყალდიდობა, წარღვნა“, მაგრამ ჩვენ უბრალოდ „წყალს“ ვარჩევდით), დაე დაფარონ ვარსკვლავიანმა ქარებმა, ცეცხლმა და წყალმა, მას არ უდევს წილი (თარგმანშიც ასეა და ეს შესანიშნავია!) ამ ეულ დიად სიმრავლეში, მრავალრიცხოვნობაში, მრავლობითობაში (თარგმანშია: „რადგანაც უკვე აღარ უდევს წილი მათ შორის, ვისაც ადგილი დიად სულთა გვერდით ეკავა“), ჩვენ კი გვგონია, იეიტსისეულ multitude-ში სწორედ რუსთაველიური — „გვაქვს უთვალავი ფერთა“ — იგულისხმება. მორალი ასეთია: ვინც გაურბის სამყაროსეულ განსაცდელს, წილს ვერ დაიდებს ამ სამყაროში.

დასასრულ, ნიშნად ამ წიგნის დასტამბვით გამოწვეული ჩვენი დიდი სიხარულისა და მაღლიერებისა, ძღვნად — კვლავაც იეიტსი, ლექსი, რომლის თარგმანიც რომელიმე სხვა კრებულში შევა. რადგან ნაესი გატყდა, გვეიმედება, ასეთი კრებულების გამოცემაც გახშირდება.

ცირკის მხეცაბთან დამშვიდობება

I
მახსოვს, ვიხილე ცარიელი სრულიად სცენა: ყოველდღიური ლამპართ ელვა ღველფივით გაქრა, მე მელოდება ხმელი ძვლების ხაროში ცვენა, კმაყოფილებას იგრძნობს გული ბოლოჯერ, მაგრამ ზამთარ-ზაფხული ბერიკაცის

ვიდრე ნაზია, დღეს ჩემი ცირკის ყველა მხეცი არენაზეა. ოჩოფეხები, ორთვალეები შეაკრთობს ნურც ვის, ლომი, ქალწული, დანარჩენი — უფალმა უწყის.

II
რა შემძლია? ძველ ხილვათა ჩამოთვლა მარტო, ზღვათდამლაშქრავი ოიშინი გემს არ იწყალებს, მისნურ კუნძულზე კიჩოს დაფშენის სიზმართა სალტო — ფუყე ხალისი, ფუყე ბრძოლა, ფუყე სინყნარე. ჩაგრულ გულს მხოლოდ ნამღერ ჰანგთა

ძალუძს ხსენება, ნატიფი შოუს გაბრწყინება და დამშვენება. ვდარდობდი ერთზე, სეირნობას როს წყვილის ვმზერდი: მომწყურებოდა მამრის სატრფოს მფეთქავი მკერდი.

შემდეგ სიცრუით გაიჟღინთა პიესა მთელი და „გრაფის ასულ ქეთლინადაც“ მოვნათლე მაშინ, სულგაყიდულად მიიჩნიეს, უნოდეს „ხელი“, მაგრამ სამოთხემ შეაგება მშველელად რაში. რად დაიღირა ბედისწერა სულზე დანებად? ფანატიზმმა და სიავემ რად მოჰგვარა რული? მე მისახსოვრა უცაბედად ავი ზმანება, რომელშიც კვდება ჩემი ფიქრი და სიყვარული.

ბრმამ და შეშლილმა როცა იწყეს პურის ძიება, კუჭულისნ მამინ ზღვა შეება გაუხედნავი; ჩამოიმარცვლა გულის კვენსა მისტერიებად, მომაჯადოეს ამ ხილვებმა ლექსის მხედარი. გმირი გმირობამ დააკენტა, რათა ამგვარად შთანთქას ანმყო და დაიმონოს მესხიერება, მე სიყვარული მოხატულმა სცენამ წამგვარა, არა მათ, ვისაც მიჯნურებად ყოფნა ენება.

III
წმინდა გონებას ანარეკლი სახეთა რჩება. რალაც დასრულდა. რა მოჰყვება

ხვალინდელ დილას? ნაყარ-ნუყარი, აღმართული ქუჩებში მთებად, ძველი კარდალა, ძველი ბოთლი, კონსერვის ქილა, ძველი კავები, ძველი ძვლები, მეძავის ჯიბე, და მეც მხოლოდლა ძილის მოგვრა თუ დამჭირდება... იქ უნდა დაეწვე, სადაც ფლასით იწყება კიბე და გულის დახლზე ჩემი ძვლები გაიყიდება.

ნიკო ჯავახიშვილი
**ლატვიური
 დღიური — 2010**

მას შემდეგ, რაც დავინწყე ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლა, აუცილებელი გახდა ბალტიისპირეთის სიძველეთა საცავებში დაცული სათანადო მასალების მოძიება.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლატვიის რესპუბლიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა კონსტანტინე კორკელიამ ჩვენი ინიციატივის მიმართ ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოიჩინა. მისი თანადგომით, ლატვიაში ორჯერ ვიმყოფებოდი სამეცნიერო მივლინებით: 2009 წლის 12 აგვისტოდან — 10 სექტემბრამდე და 2010 წლის 2-17 სექტემბერს. ამ ხნის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს ჩემს დღიურში ყოველდღიურად ვინიშნავდი. ქვემოთ წარმოდგენილია ამ სამეცნიერო მივლინებების ამსახველი ქრონიკა, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: 1) „ლატვიური დღიური — 2009“ და 2) „ლატვიური დღიური — 2010“. აქვე დავსძენ, რომ დღიურის პირველი ნაწილი უკვე გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (2010, №3).

იმისათვის, რომ წინამდებარე დღიურები მკითხველისათვის მომაბეზრებელი არ გამხდარიყო, მასში შეგნებულად შევამოკლე ის ეპიზოდები, რომლებიც ლატვიის სიძველეთა საცავებში ჩემს ყოველდღიურ საქმიანობას შეეხება.

2. IX.

გამთენიისას ჩავფრინდი რიგაში. ირ-ალტიც-ის თვითმფრინავით ჩემთან ერთად იმგზავრა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა. რიგის აეროპორტში შევხვდი ლატვიაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს თანამშრომლებს, რომლებიც სამთავრობო დელეგაციას დახვდნენ. როგორც გამოირკვა, ქართული დელეგაცია ვილნიუსში მიემგზავრებოდა და იქ რიგის გავლით წავიდა. მიუხედავად ასეთი დაძაბული დღისა, აეროპორტში დამხვდა საელჩოს თანამშრომელი თენგიზ სტურუა, რომელმაც დამაბინავა ძველი რიგის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, განუს ქუჩა 4-ში. საგულისხმოა, რომ შარშანაც აქ ვცხოვრობდი. ამიტომ აქაურობას კარგად ვიცნობ.

გავეშურე საქართველოს საელჩოსაკენ. გზად გავიარე უკრაინის საელჩო, სადაც შარშან არაერთხელ ვიყავი. ვწუხვარ, რომ ამ შენობაში აღარ მეგულება ჩემი უფროსი მეგობარი, უკრაინის ელჩი, პროფესორი რაულ ჩილანავა, რომელიც ამა წლის ივნისში, თავისი უფლებამოსილების ამონურვის შემდეგ, კიევში დაბრუნდა. ბატონმა რაულმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ჩემს მიმართ ლატვიაში შარშანდელი ვიზიტისას, რის შესახებაც ძველ დღიურში მივუთითებდი.

მივედი საქართველოს საელჩოში, რომელიც უკრაინის საელჩოსთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს. კვლავ შემიძლია თამამად გავიმეორო, რასაც შარშანდელ დღიურში

ვწერდი: საქართველოს საელჩოს თანამშრომლების მონდომებით ჩვენი ქვეყანა ლატვიაში ფრიად ღირსეულად გამოიყურება. თანამშრომლები ტრადიციულად გულთბილად დამხვდნენ.

საქართველოს ელჩთან გასაუბრების შემდეგ ჩემს ნაცნობ-მეგობრებს ტელეფონით შევატყობინე, რომ ვარ ლატვიაში, სადაც 16 დღით დავრჩები. ერთობლივად ვსახავთ გეგმებს, თუ რა უნდა გავაკეთო უახლოეს ხანაში.

სალამოს რიგაში გავისეირნე. ქალაქი კვლავინდებურად მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. წარმატებით მიმდინარეობს ისტორიულ შენობათა რესტავრაცია.

3. IX.

დღიდან გავეშურე ლატვიის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ვენვით ჩემი მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორს, სენატის თავმჯდომარეს, აკადემიკოს იანის სტრადინსს. მაკვირვებს ამ კეთილშობილი ადამიანის ახალგაზრდული შემართება, ენერგიულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა. მან თავისი ისედაც შემოქმედებითად გადატვირთული დროის ოქროს ფონდიდან არ დაიშურა სამ საათზე მეტი, რათა დეტალურად გასცნობოდა ჩემი ერთწლიანი შრომის ძირითად შედეგებს.

შეხვედრის დასასრულს, ბატონმა იანისმა მისთვის დამახასიათებელი კეთილი ღიმილით მითხრა: „თქვენი კვლევის შედეგად მიღწეული რეზულტატი ჩემთვის არა მხოლოდ სავსებით დამაკმაყოფილებელია, არამედ სასიამოვნოდ მოულოდნელიც. მაკვირვებს, როგორ მოასწარით ამდენი ახალი მასალის მოძიება ასეთ მოკლე დროში. განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორია სათავეს იღებს არა დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეებიდან, როგორც აქამდე ითვლებოდა, არამედ X საუკუნიდან, როგორც ეს თქვენი კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა. გულწრფელად გილოცავთ ასეთ წარმატებას!“

ბატონ იანისთან დამშვიდობების შემდეგ შევიარე იმავი შენობაში განთავსებულ ისტორიის ინსტიტუტში. მოვიწახულე დირექტორი, ბატონი გუნტის ზემიტისი, რომელიც შარშან გავიცანი. მან შემომთავაზა, რომ მათ ინსტიტუტში ნამეკითხა ერთი ლექცია ჩემთვის სასურველ თემაზე. შევთანხმდით, რომ ლექციას წავიკითხავდი 14 სექტემბერს. ინსტიტუტში ვინახულე ცნობილი ლატვიელი ნუმიზმატი ტატიანა ბერგა. მან შეისწავლა და გამოაქვეყნა რიგის მახლობლად, სალასპილს-ლაუესკოლაში 1936-1937 წლებში აღმოჩენილი X საუკუნის ვერცხლის მონეტების განძები და, მათ შორის, 973-974 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი დირჰემიც.

სალამოს ვესტუმრე ცნობილი მხატვრისა და სკულპტორის გოჩა ხუსკივადის სახელოსნოს, რომელიც ძველ რიგაში, ლაიპუს ქუჩაზე მდებარეობს. მის მრავალმხრივ და ორიგინალურ შემოქმედებაზე შარშანდელ დღიურშიც ვწერდი. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელია ჩვენი გოჩა, რომელიც ღვთისაგან ბოძებულ ნიჭიერებასთან ერთად, უსაზღვროდ გულთბილი ადამიანია. თუმცა ამაში რა არის გასაკვირი. განა შეიძლება, რომ ჭეშმარიტად ნიჭიერი ადამიანი არ იყოს იმავდროულად კეთილიც?

4. IX.

დილიდან გადაუღებლად წვიმს... თითქოს ზეცა ჩამოიქცა... ვიზიარ სასტუმროს თბილ ოთახში და ვუცდი, როდის გადაიღებს ეს თავსხმა...

ნამუადღევს, როდესაც წვიმამ გადაიღო და ნანატრმა მზემ გამოანათა, შემომიარა ლატვიის მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ბესო ბერაძემ და იურმალაში, თავის აგარაკზე წამიყვანა. გზად შევიარეთ ბესოს სამედიცინო კომპანიაში, რომელიც რიგის შესასვლელში მდებარეობს. კომპანია უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და ფრიად სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს. გულწრფელად მიხარია, რომ მას ქართველი კაცი ასე უნარიანად ხელმძღვანელობს. ეზოს ფხიზლად დარაჯობს ქართული ნაგაზი „ბუთხუზა“ — უზარმაზარი, ბომბორა ძაღლი, რომელმაც ბესოს დანახვისთანავე ყეფა შეწყვიტა.

იურმალაში გავიცანი ბერაძეების სტუმართმოყვარე ოჯახი, მეუღლე — ნონა დევაძე-ბერაძისა და ორი ქალიშვილი. დიასახლისი გულთბილად შეგვეგება და გაგვიმასპინძლდა. სადილობისას შემოგვესწრო რიგიდან ისრაელში გადასახლებული ექიმი პავლე (პავლიკ) პულვერმახერი — საინტერესო ადამიანი და კარგი მოსაუბრე. სალამოს ბესომ პავლე და მე ვახშმად დაგვპატიჟა რიგაში, ახალგაზსნილ ქართულ რესტორანში „ფიროსმანი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი კმარა სვანიძე. ქართული სამზარეულოს რჩეული დელიკატესებით განყობილ სუფრას საზეიმო ელფერი შესძინა კახურმა „საფერავმა“. დიდებული დრო გავატარეთ...

5. IX.

კვირა დღეა. დილიდან ვსეირნობ რიგაში, სადაც ადამიანს კარგ ამინდში არასდროს არ მოსწყინდება გავლა. ქუჩაში აქა-იქ დგანან მუსიკოსები და ისედაც მშვენიერ ქალაქს თავიანთი ჰანგებით კოლორიტს მატებენ.

არ შემიძლია გავიარო ძველ რიგაში და გულგრილად ჩავუარო გოჩა ხუსკივადის სახელოსნოს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეს ადგილი აუცილებლად უნდა ნახოს ყველა ქართველმა, რომელიც რიგას ესტუმრება. ამიტომ ამჯერადაც ვენევი ხელოვანს, რომელიც ტრადიციულად მორიგ ნამუშევარს ქმნიდა. გოჩა მწვანე ჩაით მიმასპინძლდება. ვსაუბრობთ საქართველოზე, ლატვიაზე, ხელოვნებაზე... გოჩა გამომიტყდა: „მართლაც მშვენიერი ქვეყანაა ლატვია, ხალხიც კარგია, მაგრამ აქაურ ამინდს მაინც ვერაფრით შევეგუეო“.

მე რა თქმა უნდა არ მიკვირს, რომ თბილისში ვაზრდილ კაცს ჩრდილოეთის მკაცრი ჰავის პირობებში ცხოვრება უჭირს. გოჩას ვთავაზობ, რომ სამშობლოში დაბრუნდეს,

თუმცა ვიცი, რომ ეს მისთვის ადვილი არ იქნება. ლატვიაში ის უკვე კარგად ცნობილი ხელოვანია. მის შემოქმედებას იცნობენ და აფასებენ არა მხოლოდ მისი კოლეგები, არამედ ქვეყნის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი და სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწეები. საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში გოჩას, ალბათ, ბევრი რამის თავიდან დაწყება მოუწევს...

სალამოს თავის ოჯახში მიმინვია რიგელმა ქართველმა თენგიზ შაბურიშვილმა. მახარებს მისი კეთილმონყობილი ბინა, სადაც შაბურიშვილები ამ ცოტა ხნის წინათ დამკვიდრდნენ. თენგიზის მეუღლემ იულია სიჭინავამ ნამდვილი კოლხური მასპინძლობა გაგვინია. ვახშამზე მყოფ სტუმართა შორის იყვნენ საელჩოს თანამშრომელი გიორგი ფანიასვილი, ლიტველი გუნდარსი მეუღლით, რიგელი ქართველები და მათ შორის და-ძმა — მარიამ და გიორგი მარგიანები, რომლებიც ამჟამად რიგაში სწავლობენ. გიორგი ჯერ კიდევ შარშან გავიცანი, როდესაც იგი რიგაში გამართულ ჩემს ერთ-ერთ ლექციას დაესწრო. და-ძმა მარგიანები წარმოშობით სვანეთიდან, მულახის თემიდან არიან და დახვეწილი ქართული გარეგნობით გამოირჩევიან.



ნიკო ჯავახიშვილის ლექცია ლატვიის სამხედრო მუზეუმში

6. IX.

დილიდანვე გავეშურე მარსტა-ლუს ქუჩისაკენ, სადაც მდინარე დაუგავას პირას მდგარ შენობაში მდებარეობს ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტი. მოვინახულე ჩემი კოლეგა და მეგობარი, ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გვიდო სტრაუბე. კარგა ხანს ვისაუბრეთ. გვიდომ დიდი სიამოვნებით გაიხსენა თავისი მოგზაურობა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც მისი სპორტული კარიერისას მოხდა. შევეთანხმდით, რომ დღეიდან ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვინცე ნაკითხვას მოკლე სალექციო კურსისა თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან“, რომელიც 17 სექტემბრამდე გაგრძელდება. ამის თაობაზე დეკანი ჯერ კიდევ შარშან შემითანხმდა, როდესაც 8 სექტემბერს მის ფაკულტეტზე ნავიკითხე საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო: ისტორიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა“. მას სურს, რომ ლატვიელმა სტუდენტებმა მეტი იცოდნენ საქართველოსა და კავკასიის, ასევე ქართულ-ბალტიურ ურთიერთობათა ისტორიის შესახებ. ამ აზრს, ბუნებრივია, მეც ვიზიარებ.

7. IX.

დილით, ძველი რიგის ქუჩებში სეირნობისას, შემთხვევით „შევეჩხე“ გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს, რომელსაც თან გერმანელ გოლიათთა დაცვა ახლდა. გერ-

მანის მთავრობის მეთაური, ნელში ოდნავ მოხრილი, ნელი ნაბიჯით მიდიოდა თავისუფლების ქანდაკების („ბრიჯი“) მიმართულებით. როდესაც გერმანული სამთავრობო დელეგაცია მომიახლოვდა, მომეჩვენა, რომ კანცლერს, ცოტა არ იყოს, მონყენილი გამომეტყველება ჰქონდა...

სალამოს მე და ჩემი მეგობარი, ჟორჟოლიანების სიძე — ანდრეის (ანდრო) კრუსკოპსი — ოჯახში მიგვიპატიჟა ამაჟამად რიგაში მცხოვრებმა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ნუგზარ კახიანმა. ვინაიდან საკმაოდ კარგად ვიცნობ საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს — სვანეთს, ვიცი, რომ კახიანების გვარი მულახიდან მოდის. ასევე მულახელები არიან ჟორჟოლიანები და ზემოხსენებული მარგიანებიც. ამიტომაც ვიხუმრე: „როგორც ჩანს, მულახელები გამორჩეულად ილტვიან ბალტიის ზღვის სანაპიროსაკენ-მეთქი!“

კახიანების სტუმართმოყვარე ოჯახში ღრმა ქართული გარემოა. იქ ყოფნისას ზოგჯერ მაინც მახსოვდა, რომ საქართველოს გარეთ ვიმყოფები. ოჯახის დიასახლისის ლელა არღვლიანის მიერ საოცარი კულინარიული ოსტატობით მომზადებული ქართული კერძების დაგემოვნებისას თავის მშობლიურ გარემოში ვგრძნობ. დამშვიდობებისას ნუგზარმა მაჩუქა საკუთარი ქმნილება — „ნატურმორტი“, თავისივე ავტოგრაფით, რითაც ფრიად გამახარა. ამიერიდან ეს მშვენიერი ნახატი ჩემს ბინას დაიდებს ჩემს ოჯახში, სადაც უკვე გამოფენილია ასევე რიგელი ქართველების გოჩა ხუსკივაძისა და ნუგზარ პაქსაძის ნახატები...

8. IX.

ვენზე ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმს, რომლის ხელმძღვანელობამაც მიმინვია საჯარო ლექციის ნასაკითხად. შევთანხმდით, რომ ლექციას ნავიკითხავ 10 სექტემბერს. დირექტორის მოადგილე იურის ციგანოვის ამ ცოტა ხნის წინათ იყო საქართველოში და იქ გატარებულ დროს დიდი სიამოვნებით იხსენებს.

ტელეფონით ვესაუბრე ქალბატონ ნელია გლეიზდას. მან შემატყობინა ფრიად სამწუხარო ამბავი — მისი მეუღლე, გამოჩენილი ლატვიელი ფოტოხელოვანი, იანის გლეიზდის, რომელიც შარშან ვინახულე, ნლეულს, 17 აპრილს, 86 წლისა გარდაცვლილა...

ქ-ნმა ნელიამ მითხრა: „ალბათ, განსვენებული იანისის სული ხარობს ზეციურ ნათელში, სადაც იგი შეხვდა თავისი დიდი მოამაგის, შესანიშნავი ქართველი კაცის, პროფესორ არჩილ მაჩაბლის სულს!“...

9. IX.

დილით მიმინვიეს პოპულარულ ლატვიურ გაზეთში „ლატვიას ავიზე“, სადაც ჩემგან ინტერვიუ ჩაინერა ნაცნობმა ჟურნალისტმა ვიესტურს სპრუდემ. მე დიდად მადლობელი ვარ მისი, რადგან ჩემი შარშანდელი ვრცელი ინტერვიუ შეუმოკლებლად გამოაქვეყნა.

გოჩა ხუსკივაძის სახელოსნოში მორიგი სტუმრობისას შევხვდი რიგელ ქართველს, საზოგადოება „გეორგიკას“ თავკაცს ერიკ (ერმინე) გრიგოლიას, ასევე, პრალიდან ჩამოსულ რადიო „თავისუფლების“ თანამშრომლებს, ჟურნალისტ კობა ლიკლიკაძეს და აზერბაიჯანელ ჟურნალისტ ქენან ალიევს. კობას კარგა ხანია ვიცნობ. 1996-1998 წლებში მე ვმსახურობდი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილე-

ბაში, ხოლო მეზობლად მდებარე სამმართველოში კობა მსახურობდა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ენერგიულობითა და შემართებით. მან ჩემგან ჩაინერა ინტერვიუ, სადაც ვისაუბრე ქართულ-ბალტიურ ურთიერთობათა ისტორიის ძირითად ასპექტებზე. შემდეგ, ჩემი ინტერვიუ გადაიცა რადიო „თავისუფლების“ ეთერში. კობას მეგობარ ქენანს თავიდან ქართულად გამოველაპარაკე, რაზედაც მას სიცილი აუტყდა: „ყველა ქართველს ქართველი ვგონივარ, რაც მაფიქრებინებს, რომ ალბათ ქართული სისხლიც მირევიაო“.

სახელოსნოში შეკრებილი საზოგადოება ერიკ გრიგოლიამ დაგვპატიჟა რიგადან საკმაოდ მოშორებით, კეკავაში მდებარე ერთ-ერთ ტრადიციულ ლატვიურ რესტორანში, სადაც სასიამოვნო დრო გავატარეთ...

10. IX.

დათქმულ დროს ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმის სხდომათა დარბაზში შეგროვდა მონვეული საზოგადოება, როგორც ლატვიელები, ასევე იქაური ქართველებიც. ვინაიდან დღეს რიგას ეწვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, ჩვენი საელჩოს თანამშრომლები დაძაბულ რეჟიმში მუშაობენ და ვერ მესწრებიან. ნონა ტაურინასა და ნუგზარ პაქსაძესთან ერთად ლექციაზე დამესწრნენ მულახის სამი საგვარეულოს წარმომადგენლები: კახიანები, ჟორჟოლიანები და მარგიანები — თავიანთი ოჯახის წევრებითურთ. გიორგი მარგიანი მრავალრიცხოვანი დელეგაციით მენვია და გამაცნო თავისი მეგობრები — ქართველი და არაქართველი სტუდენტები, რომლებიც რიგაში სწავლობენ. მათ შორის იყვნენ: მარიამ ბესარიონის ასული ბერაძე, თორნიკე თენიშვილი, ზვიად გოგიტიძე და სხვები. იქვე იყო ერთი უზბეკი სტუდენტიც — აკბარი, რომელიც ქართველებთან მეგობრობს.

ლექცია გახსნა იურის ციგანოვისმა, რომლის შემდეგაც ნავიკითხე მოხსენება თემაზე: „ქართულ-ბალტიური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XV საუკუნე)“. შეკითხვებისა და ჩემი პასუხების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ანდრო კრუსკოპსი და გიორგი მარგიანი.

11. IX.

აკადემიკოს იანის სტრადინშის დავალებით, დავუკავშირდი ცნობილ რიგელ მკვლევარს ვლადიმერ ეიხენბაუმს, რომელმაც მომანოდა საგულისხმო ცნობა: „რიგის ერთ-ერთ სსსაფლაოზე, რომელსაც „პოკროვსკოეს“ უწოდებენ, დაკრძალულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საპატიო კონსული ლატვიაში — გიორგი მიხეილის ძე მაჩიტაძე“. ბატონმა ვლადიმერმა მკითხა — არსებობდა თუ არა ასეთი თავადური გვარი საქართველოში, რადგან კონსულის გვარის წინ იხსენიებოდა არისტოკრატიული წარმომავლობის დამადასტურებელი გერმანული სიტყვა „Von“. ვცადე დამეზუსტებინა, ხომ არ იყო კონსული გვარად მაჭუტაძე, რომელიც გურიის წარჩინებულ თავადურ საგვარეულოდ ითვლებოდა. საკმაო ხნის შემდეგ ბ-ნი ვლადიმერი შემეხმინა, რომ ჩემი ეჭვი საფუძვლიანი აღმოჩნდა. მანვე მომანოდა გ. მაჭუტაძეზე დაწერილი ნეკროლოგი, რომელიც გამოქვეყნდა რიგაში გამოშვებულ გაზეთში „სეგოდინა“ (13. VIII. 1922. 179). აი, ასე გახდა ცნობილი ბე-

დი სამშობლოდან გადმოხვენილი კიდევ ერთი ქართველი-სა, რომელმაც სამუდამო განსასვენებელი უცხოეთის ცის ქვეშ ჰპოვა...

სალამოს ნუგზარ კახიანი მეუღლითურთ და მე ვესტუმრეთ კრუსკოპს-ფორჟოლიანების სტუმართმოყვარე ოჯახს და დიდებულად მოვილხინეთ.

12. IX.

დღეს დაბადების დღე მაქვს. გავხდი 38 წლისა. ეს არის ჩემი პირველი დაბადების დღე, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ შემისრულდა. დამპატიჟეს მხატვარმა ნუგზარ პაქსაძემ და სახელოვანმა ჩოგბურთელმა ნუგზარ მძინარიშვილმა. მათ წამიყვანეს იურმალაში, სადაც სასტუმრო „ლიელუპეში“ მოქმედ საჩოგბურთო ცენტრს ნ. მძინარიშვილი ხელმძღვანელობს. იგი იყო პირველი სპორტსმენი სსრ კავშირიდან, რომელიც 1961 წელს, ლონდონის ღია ჩემპიონატზე, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში შევიდა. ნასადილევს გავედით ბალტიის ზღვის სანაპიროზე. მართალია, წყალი საკმაოდ ცივი იყო, მაგრამ მზე ანათებდა და ბანაობა მაინც ღირდა...

სალამოს ნუგზარ პაქსაძემ დაგვპატიჟა ტუკუმის რაიონის სოფელ ლაპმეჟციემსში, სადაც მას აგარაკი აქვს. აქედან ზღვა სულ რაღაც ასიოდ მეტრშია. ოჯახის დიასახლისი ქალბატონი თამარი გულთბილად შეგვეგება და ქართული კერძებით გავვიმასპინძლდა. ნუგზარმა ეზოში გამოგვიყვანა და ერთად აღვმართეთ საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელიც ბალტიის ზღვის პირას ამყავდა აფრილდა.

13. IX.

დილიდან გავედი საქართველოს საელჩოში, საიდანაც შევატყობინე ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხვალ, ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში ლექციაზე ვეპატიჟები. ეს საელჩო ჩემთვის საიმედო დასაყრდენია, ჩემი ამჟამინდელი სამეცნიერო კვლევა-ძიების გულწრფელი მხარდამჭერი. მისი თითოეული თანამშრომელი ყოველმხრივ ცდილობს, რომ ჩემს მიმართ თანადგომა გამოიჩინოს, რაც, რასაკვირველია, მახარებს. თუმცა, მე ვცდილობ, რომ ამჯერად, ისინი ნაკლებად შევანუხო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შარშანდელისაგან განსხვავებით, ლატვიას და მის დედაქალაქს უკვე კარგად ვიცნობ და მეორეც — ამჟამად ისინი ძალიან დაძაბულ რეჟიმში მუშაობენ და არ მინდა ხელი შევეშალო...

თენგიზ შაბურიშვილმა დამპატიჟა სამწვადეში, სადაც მოვინახულეთ რიგაში ამ საკმაოდ პოპულარული სამზარეულოს თავკაცი ვაჟა სამხარაძე. საჩუქრად გადავეცი ჟურნალის „ჩვენი მწერლობა“ ის ნომერი, სადაც გამოქვეყნდა ჩემი „ლატვიური დღიური — 2009“. აქვე დავძენ, რომ ამ მშვენიერი ჟურნალით გარკვეული სიხარული მივანიჭე რიგელ ქართველებს, რომლებსაც ხსენებული დღიურით ჩვენი შარშანდელი შეხვედრები გავახსენე...

სალამოს შევხვდი და გავესაუბრე რიგაში მოღვაწე ცნობილ ქართველ ქირურგს ზურაბ ქეცბაიას და მისგან საყურადღებო ცნობები ჩავიწერე.

14. IX.

დილით წავედი ლატვიის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ისტორიის ინსტიტუტში 10 საათზე ნავიკითხე ლექ-

ცია თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სათავეებთან (X-XI საუკუნეები)“. სხდომათა დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარმადგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ აინარს ლერჰისმა. ინსტიტუტის თანამშრომლებმა და მათ შორის დირექტორმა გუნტის ზემიტისმა ჩემს მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს და წარმატებები მისურვეს.

იმავე დღეს, 16 საათზე, ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში ნავიკითხე ლექცია თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII საუკუნეები)“. შეხვედრა გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა ვენტა კოცერემ, რომელიც ჩემი მონოგრაფიის რეცენზენტია. დამსწრეთა შორის იყვნენ საქართველოს კოსული ქეთევან ესიაშვილი, რიგელი ქართველები და ლატვიელები. ლექციის დასასრულს, ქ-ნმა ნელია გლეიზდამ საჩუქრად გადმომცა მისი მეუღლის ნამუშევრები — პროფესორ არჩილ მაჩაბლისა და აკადემიკოს ვიქტორ კალნბერზის პორტრეტები.

სალამოს ქეთევან ესიაშვილმა მე და ანდრო ნავიკიანა იურმალაში, სადაც ვესტუმრეთ ძველი ნაცნობების — რომუალდ რაჟუკისისა და ინგუნა ებელას ოჯახს. მათ სანდო ინფორმაცია გააჩნიათ ქართულ-ლატვიური არავიწოდებული პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში. ამაში ისინი პირადად მონაწილეობდნენ.

15. IX.

შევხვდი ევგენი უშმანისს — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის არქიტექტორის შთამომავალს, რომელიც დამპირდა, რომ მის წინაპარზე გარკვეულ მასალებს მომანოებდს.

გავიცანი ლატვიელი მკვლევარი ანდრის ლევანსი, რომელიც წლების განმავლობაში ჰამბურგში ცხოვრობდა. ამჟამად მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე, რომელსაც გერმანიაში დაიცავს. ბევრი ვისაუბრეთ ბალტიის ქვეყნების წარსულსა და დღევანდელობაზე. მან შენიშნა, რომ თავისი გვარის გამო ხშირად ქართველები მას ქართველად მიიჩნევენ.

18 საათზე ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში ნავიკითხე ლექცია თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის პერიოდში“. ჩემს მოხსენებას ლატვიურად თარგმნიდა რიგაში მცხოვრები ქართველი სტუდენტი ანა ქიტიაშვილი. როგორც ლატვიელებმა მითხრეს, მან ამოცანას თავი წარმატებით გაართვა. დარბაზი ხალხით იყო სავსე. დამისვეს შეკითხვებიც.

დამსწრე საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მოულოდნელი აღმოჩნდა იმის მოსმენა, რომ II მსოფლიო ომის პერიოდში ბალტიის ტერიტორიაზე ქართველები იბრძოდნენ როგორც სსრ კავშირის არმიის, ასევე გერმანული შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში. იმხანად ფრონტის ორივე მხარეს მებრძოლი ქართველობის პროგრესული ნაწილი თანაგრძნობით ეკიდებოდა ადგილობრივ, თავისუფლებისმოყვარე ბალტიელ მოსახლეობას, რომელიც, ისევე როგორც თავის დროზე ქართველი ერი, ოკუპაციის მსხვერპლი გახდა.

ლექციაზე მყოფმა ლიტვის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლატვიაში ანტანას ვალიონისმა მეორე დღისთვის, თავის საელჩოში მიმინვია.

16. IX.

შეთანხმებისამებრ დილით ვენვით ლიტვის საელჩოს, რომელიც აკადემიური ბიბლიოთეკის მახლობლად მდებარეობს. ლიტვის ელჩი კარგად იცნობს საქართველოს, სადაც არაერთხელ ყოფილა. იგი ხომ წლების განმავლობაში ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრად მსახურობდა. ბატონმა ანტანასმა გამოთქვა სურვილი, რომ ვენვით მის ქვეყანას და გავეცნო იქაურ სიძველეთა საცავებში თავმოყრილ საისტორიო მასალებს, რაც, ბუნებრივია, ჩემს ინტერესებში შედის.

11 საათზე ლატვიის საისტორიო მუზეუმში წავიკითხე ლექცია თემაზე: “როგორ აღმოჩნდა ქართული მონეტები ბალტიისპირეთში და ბალტიური მონეტები საქართველოში”. დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი X საუკუნის ერთ-ერთი უნიკალური ქართული მონეტა დაცულია მათივე მუზეუმის ფონდში. ლექციის დასასრულს მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ანიტა მეინარტემ დიდი სიურპრიზი მომიმზადა და საგანგებოდ გამომიტანა სალასპილს-ლაუკსკოლაში აღმოჩენილი ვერცხლის დირჰემი, რომელიც 973/974 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა. როდესაც მან ეს მონეტა ხელისგულზე დამიდო, ისეთი შეგრძნება დამეფულა, თითქოს ფიზიკურად შევხებო ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სათავეს. მუზეუმის მთავარმა კურატორმა ანდა ოზოლინამ ავტოგრაფით გადმომცა თავისი სოლიდური ნაშრომი ნუმიზმატიკის შესახებ, რომელიც მან გამორჩეულ ლატვიელ ნუმიზმატთან კრისტინე დუცმანესთან თანავტორობით გამოსცა.

აღსანიშნავია, რომ ამ მუზეუმში დაცულია ქართული ისტორიული მონეტების კოლექცია, რომელიც მუზეუმმა ერთი ლატვიელი კერძო კოლექციონერისაგან შეიძინა.

იმავე დღეს წავიკითხე მორიგი ლექცია უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ლატვიელი სტუდენტები, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან გავიცანი, დიდი ინტერესით მისმენდნენ. დამისვენებენ და დამეხმარებენ დეკანი გვიდო სტრაუბე და ლატვიელი ისტორიკოსი, პროფესორი ერიკს იაკობსონი, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბერში, ლუბლინის უნივერსიტეტში (პოლონეთი) გამართულ კონფერენციაზე გავიცანი.

17. IX.

დილიდან წავედი ლატვიის უნივერსიტეტში, სადაც გამოვეშვიდობე პროფესორებს, მათ შორის დეკან გვიდო სტრაუბეს და ერიკს იაკობსონს, ასევე ლატვიელ სტუდენტებს, რომლებიც დამახსოვდნენ თავიანთი ნიჭიერებით, ცოდნისაგან სწრაფით და მონერსივებულობით.

შევიარე იქვე მდებარე ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში, სადაც გოგონებთან ერთად დირექტორს, კდემამოსილ, ჭალარა ქალბატონს გუნდეგა მიჩელეს და ახალგაზრდა თანამშრომლებს: ერნოს, დანუტას, ვიქტორს და სხვებს, რომლებიც უკვე კარგად მიცნობენ.

გორა ხუსკივადის სახელოსნოში მოვიდა ერთი გრიგოლია და თავის ოჯახში დამაბატიყა. გზად მაჩვენა თავისი საზოგადოების “გეორგიკას” ოფისი და ავტოგრაფით მაჩუქა ალექსანდრს ჩაკსის პოემა “მარადისობით ცხებულნი”. ეს ცნობილი ნაწარმოები ლატვიურიდან ქართულ ენაზე თარგმნა და წელს გამოსცა თვითონ ერიკმა, რითაც სასარგებლო საქმე გააკეთა.

სალამოს ვურეკავ და ვემშვიდობები ყველა ჩემს ნაცნობ-მეგობარს, ვინც კი ლატვიაში რჩება.

საქართველოს საელჩოს თანამშრომელმა პაატა გაბიძაშვილმა გამაცილა აეროპორტში და მანამდე დამელოდა, სანამ ლატვიის სასაზღვრო რუბიკონს მიღმა გასული არ დამინახა.

23 საათსა და 55 წუთზე ჩვენი თვითმფრინავი აფრინდა აეროპორტიდან და გვიხილავდა მანამდე აილო. სამშობლოში ვბრუნდები საკმაოდ გადაღლილი, თუმცა იმავდროულად ფრიად ნასიამოვნები საქართველოს საელჩოს, იქაური ქართველებისა და ლატვიელების მიერ ჩემდამი გამორჩენილი ყურადღებითა და სითბოთი.

ცხრა მუზის დარად

„ანყვეტილი ლილები“ — ანყვეტილები, მაგრამ ერთი დილით (იდეით) შეკრულები — ასეთები არიან ისინი — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოეტი-სტუდენტები. ახალმა საბაკალავრო პროგრამამ შესაძლებლობა მისცა მათ, საკუთარი ინტერესების შესაბამისი კურსები აერჩიათ.



ერთი ასეთი კურსი მეც შევთავაზე სტუდენტებს: „რა არის პოეზია“. ბუნებრივია, ამ ჯგუფში პოეზიის მოყვარულებმა და შემოქმედმა სტუდენტებმა მოიყარეს თავი. შედეგად კი პოეზიის ჯგუფი — „ანყვეტილი ლილები“ — ჩამოვყალიბეთ.

„ანყვეტილებმა“ რამდენიმე აქციის ჩატარება უკვე მოასწრეს: პოეზიის საღამო მთანმინდაზე, კონკურსი „უნი-პოეზია“, „მზიური“ კი თითქმის დაიპყრეს და არაერთი პოეზიის (დილა, შუადღე) საღამო ექსპრომტად გამართეს. აქვე მოხდა მათი „კურთხევა“ და პოეტებისა და მუზეების ფერადი ლილებით შეკვრა...

„ანყვეტილი ლილები“ (რედაქტორები: გივი ალხაზიშვილი, ცირა ბარბაქაძე, გიორგი კეკელიძე, პაატა შამუგია, ბელა ნიფურია, ლელა ხომერიკი) რჩებიან სამყაროში ყველაზე თავისუფალ ადამიანებად... ერთადერთი, ანყვეტილი ლილი (პოეტი) რასაც შეიძლება მიემარგოს, ეს მხოლოდ მუზეების ლილ-კილოა, რომლის ყულფშიც ისინი ნებაყოფლობით ემბებიან...

დღეისთვის ისინი ცხრანი არიან... 9 მუზის დარად... და პირველად წარდგებიან მკითხველის წინაშე. ხვალ ალბათ უფრო მეტნი იქნებიან...

ცირა ბარბაქაძე

გიორგი გოგოლაშვილი

მწერლის ენობრივი თავისუფლება და სალიტერატურო ენის ნორმა

**წერილი I:
სუბიექტური მიორა და ობიექტური მისამა
პირთა გამოსატვა ზმნაში**

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ერთ-ერთ ყველაზე სადავო და მოუწესრიგებელ საკითხად ითვლება -ჰ და -ს თავსართების ხმარება ზმნაში. მე არ ვგულისხმობ მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებს ანდა „წერა-კითხვის მცირემცოდნე მწერალთა“ ნაწერებს. კლასიკოს მწერლებს ეხება საქმე.

აკაკი შანიძე შენიშნავს: „დ ლ ე ს ა ც ე რ თ ა დ-ე რ თ ი ს ა ზ ო მ ი ჰ ა ე ს ა და ს ა ნ ი ს ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა და ს ა ქ რ ე ლ ა დ ა რ ი ს თ ვ ი თ ე უ ლ ი მ წ ე რ ლ ი ს ს უ რ ვ ი ლ ი და მ ო წ ო ნ ე ბ ა: ვ ი ს ა ც რ ო გ ო რ მ ო ს წ ო ნ ს, ი მ გ ვ ა რ ა დ ხ მ ა რ ო ბ ს ს ა უ ბ ა რ შ ი ც ა და წ ე რ ა შ ი ც“.

რას ნიშნავს მწერლის „სურვილი და მოწონება“? რა განსაზღვრავს მას? ეს „მწერლის სურვილი და მოწონება“ ე. წ. „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ სფეროში შედის, თუ რაიმე ენობრივი კანონზომიერება უდევს საფუძვლად მას?

„სურვილი და მოწონება“ შემთხვევითი ხასიათისა რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ კლასიკოსი მწერლები პრინციპულად მოითხოვენ ამ თავსართების (-ჰ და -ს) დაცვას თავიანთ ნაწერებში:

ვაჟა-ფშაველა სთხოვდა თავის გამომცემლებს, **ჰ**-ს არ შეხებოდნენ: „ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჰ“ დაიცვათ ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“.

აკაკი წერეთელი იუმორს მოიშველიებს: ფრაზაში **ჰყვავის გურია** ჰ-ს თუ ამოვადებთ, ყვავების ქვეყანაზე იქნება საუბარიო.

ილია ჭავჭავაძე ხელნაწერების ვარიანტებში საგანგებოდ მუშაობდა -ჰ/-ს თავსართების ჩასწორებაზე... ალბათ, აქ არ იქნება ურიგო ერთი ფაქტის გახსენებაც: 1886 წლის 8 მარტს „ივერიის“ რედაქციაში ილიას ინიციატივით გაიმართა საგანგებო თათბირი „განსახილველად საგრამატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი აიხსნას და დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად“. ცხრა პუნქტიან საკითხთაგან მესამე და მეოთხე ასე იკითხება: „3) რა დროს და რა შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ასო „ჰ“ ზმნის ხმარებაში? რის ნიშანია იგი: მოქმედი პირისა, თვით მოქმედებისა, მოქმედების მიმართულებისა, ცალ-ცალკე, თუ ყოველისავე ამისა საერთოდ? სახეში იქონიეთ შემდეგი მაგალითები: „მიყიდე“ და „მიჰყიდე“, „შველით ვერც თქვენა ჰშველით“, „დატრიალებს“ და „დასტრიალებს“; 4) ამ შემთხვევაში ასო „ს“ და ასო „ჰ“ ერთნაირად შესაწყნარებელია, თუ არა, მაგ., „სწერ“, „სწერს“, „ჰწერ“, „ჰწერს“; შეიძლება ერთ-მა მეორის მაგიერობა გასწიოს, თუ არა? თუ შეიძლება, რა შემთხვევაში“. ფაქტი უდავოდ საინტერესოა...

ვრცლად მსჯელობს ამ თემაზე იაკობ გოგებაშვილიც. ორიოდ ამონარიდი: „ამ ასოს (საუბარია ჰ-ზე) გაუქმებით

იმისთანავე არე-დარევა ფორმებისა მოხდება, რომელიც წინად აღვნიშნეთ. მოაკელით ზმნას ჰყვავის ასო ჰ და გამოვა ნათესაობითი ბრუნვა სახელ არსებითისა — ყვავის... ავიღოთ ფრაზა: გიორგის ტვინი ჰქონია, რაც ნიშნავს გიორგის ნიჭიერებასა. გამოაკელით უკანასკნელს სიტყვას ასო ჰ და გიორგი გამოვა უტვინო, სულელი, უნიჭო... სწორედ ასეთსავე ვნებას აყენებს ჩვენი გრამატიკოსი (ს. ხუნდაძე — გ.გ.) ქართულს ენას, როცა სპობს ასოს ს ზმნის დასაწყისში...“ და სხვა.

კ. გამსახურდიასთვისაც ეს თემა ერთ-ერთი მტკივნეულია: „აკადემიკოსი თოფურია კვლავ მტრულადაა განწყობილი „ჰ“ და „ს“-ს მიმართ... ჩვენი ლინგვისტიები ამტკიცებენ „ჰ“ ყრუა და ამიტომ აღარ გვესაჭიროებაო. ეს გახლავთ სმენის ამერაციის შედეგი. სიტყვებში: „ჰქონდა“, „მიჰქრის“, სრულიად არაა ეს ასონიშანი ყრუ. მიქრის — ეს ხომ ლიმილის მომგვრელი სიტყვაა... იგივეა „ჰყვავის“ ნაცვლად „ყვავის“ რომ ითქვას... მე გოცნებული ვარ, რამ შეაძულათ ჩვენს ენათმეცნიერებს **ჰაე**... სავსებით გაუგებარია, რად შეიძულებს ასონიშანი **სანი**. „ჩანს“ — რა ქართულია; უცილოდ უნდა დაინეროს „სჩანს“, „სწერს“ და არა „წერს“.

არაერთი შენიშვნა აქვს მ. ჯავახიშვილს ამ თემაზე თავის ცნობილ „ბლოკნოტებში“; მწერალს ხშირად აღიზიანებს კიდევ „მშრალი“ გრამატიკული წესები: „მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემოქმედიც, ან თავდაპირველად შემომქმედი, რომელიც სანი-მუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის. და მეტრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებამ, უცებ მოუფლანა მედროშე“.

ცხადია, მეცნიერული კამათი აქ წარმოდგენილი აზრების შესახებ შედეგს ვერ მოგვცემს. ჩვენ შეიძლება კითხვა დავსვათ: რატომ უჩნდებათ სურვილი მწერლებს, ამ თემაზე ეკამათონ ენათმეცნიერებს? ხომ არის საკითხები, რომლებშიც ისინი ეთანხმებიან ლინგვისტებს? აქ რა ხდება? რას ხედავენ მწერლები ამ ფორმებში (ჰ-ყვავის, ს-ჩანს...) ისეთს, რასაც ვერ ვამჩნევთ ენათმეცნიერები? რატომ მიაჩნიათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორია **ჰ-ყვავის, ს-ჩანს** და მისთანანი (ე. ი. არანორმატული ფორმები) და არა, ასე ვთქვათ, ნორმატული (ყვავის, ჩანს...) ფორმები? ხომ არ დადგა დრო, **ვისაუბროთ ჰ და ს პრეფიქსების „რალაც სხვა ფუნქციებზე“** ამ ტიპის (ე. წ. არანორმატულ) ფორმებში? ი. ჭავჭავაძის ინიციატივით მომზადებულ პროექტში რატომ დაისვა ასეთი კითხვა: „რის ნიშანია იგი: მოქმედი პირისა, თვით მოქმედებისა, (...) ცალ-ცალკე, თუ ყოველისავე ამისა საერთოდ?“ ერთიც გავზახოთ: ფაქტია, სამსჯელობო ფორმებში უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილი არის სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირი და მორფოლოგიურად მათზეა მინიშნება, თუმცა შემოდის დამატებითი ნიუანსიც. და ეს დამატებითი ნიუანსი ახალი ქართულის შენაძენი ჩანს.

ერთი კონკრეტული მაგალითი: ძველ ქართულში მეორე პირს ბრძანებითის ფორმებში ნიშანი არ ჰქონდა და ეს იყო წესი:

თხრობითი: და-ს-წერე ბრძანებითი: და-წერე!
ჰ-კითხე კითხე!

ახალ ქართულში პირიქითაა: ხშირ შემთხვევაში თუ ზმნას თხრობითი ში თავსართი არა აქვს, ბრძანებითის ფორმებში გამოჩნდება:

არ გა-ს-ტყდეთ, ქართველის შვილებო! (გ. ლეონ.); ალ-ს-დექ, საქართველოვ! (გ. ლეონ.); გა-ს-ნი, გა-ჰ-კურცხლე, ჩემო მერანო! (ნ. ბარათ.); დროშა ქვეით და-ს-წიე! (მ. ჯავახ.); არ გა-ჰ-ბედო! (მ. ჯავახ.); ს-თქვით, მიამბეთ, რა მოხდა! (მ. ჯავახ.); მიდი, და-ჰ-კა! (მ. ჯავახ.); შე-ს-დექო, ბედკრულნო! (ო. ჩხეიძე), ღმერთო ჩა-ჰ-ქოლე, ჩა-ჰ-ქოლე ღმერთო! (ო. ჩხეიძე); ნუ ს-ტირი, მშვენიერო! (ვ. ბარნ.); ნუ ს-ჩქარობ, ყაფლან! (ბ. ბარნ.); ანდა: რატომ არის „ა-დექი.“, მაგრამ „შე-ს-დექი!“ და მისთანანი.

არ ჩანს შემთხვევითი ეს ფაქტები. აქ მეორე პირის ნიშანს, გარდა პირზე მინიშნების, დამატებითი ნიუანსი შემოაქვს, არა გრამატიკული, არამედ სტილისტური... უფრო მეტიც, პირის ნიშნის ქონა-არქონა პირზე მინიშნების საკითხს არ ცვლის: მეორე პირს მიემართება როგორც თავსართიანი, ისე უთავსართო ფორმები (თქვი. და ს-თქვი!, ჩა-ქოლე. და ჩა-ჰ-ქოლე!..). ის „დამატებითი ნიუანსი“ არსებითი ჩანს — თითქოსდა რაღაც ინტენსიური მოქმედება აისახება... ეს ფაქტი შესწავლას საჭიროებს... რაც შეეხება ერთპირიან ზმნებს (ს-ჩანს, ს-დგას, ს-ტირის, ჰ-ყვავის, ჰ-კვირობს და მისთანანი) აქ თავსართის მორფოლოგიურ ფუნქციაზე საუბარი არ შეიძლება (არც საუბრობენ, ზედმეტი პირის ნიშანიაო, ამბობენ); ალბათ იგივე უნდა ითქვას ორპირიან გარდამავალ ზმნებზეც (ს-თქვა, და-ს-წერა, მო-ჰ-კლა, ჩა-ჰ-ქოლა...): აქაც არ უნდა ჰქონდეს ამ თავსართებს მორფოლოგიური დატვირთვა, პირდაპირ ობიექტზე არ უნდა მიანიშნებდეს... ამიტომაც, იმავე კ. გამსახურდიასთან, მ. ჯავახიშვილთან, ვ. ბარნოვთან, ო. ჩხეიძესთან ამ კუთხით აუცილებელიცაა საკითხის შესწავლა-განხილვა (საკითხი ასეც შეიძლება დაისვას: ერთგვარია თუ არა ამ თავსართთა გააზრება სხვადასხვა მწერალთან?)... ჰ- და ს- პრეფიქსთა ფუნქციების რეინტერპრეტაცია ხდება, უნდა დადგინდეს ამ თავსართების რეალური ფუნქცია. ეს პროცესი არ ჩანს ახალი დანაწყო. ამ თვალსაზრისით უნდა გადაიხედოს ახალი ქართული ენის ძეგლები, დიალექტები. ამიტომ საუბარი იმის თაობაზე, რომ მწერალი არღვევს ენობრივ ნორმებს და უშვებს შეცდომებს, საფრთხილოა... ალბათ ამ შემთხვევაში სილოვან ხუნდაძეც უნდა გავიხსენოთ: ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას მას „კეთილზმონების პრინციპი“ შემოჰქონდა: „ჰ არ არის ორგანული ქართული ბგერა და მიუღებელია კეთილზმონების თვალსაზრისითაც“. კეთილზმონება ძალიან სუბიექტური ფაქტორი ჩანს: ის, რაც კეთილზმონიანი შეიძლება იყოს ერთისთვის, არაკეთილზმონიანი შეიძლება აღმოჩნდეს მეორისათვის და პირიქით; თუმცა არ გამოვრიცხავთ, ამ შემთხვევაში ს. ხუნდაძეც ვერ ამბობს იმას, რასაც გრძობს... ამ თვალსაზრისით უდავოდ ღირსსაცნობია ი. გოგებაშვილის ერთი შენიშვნა: „ასო ს მოშორებით ბევრი ზმნა სრულიად ჰკარგავს თავის განსაზღვრულ მნიშვნელობას, ჰკარგავს თავის ჯეროვანს სახეს და სრულიად სხვა რამედ იქცევა. ასეთი გარდაქმნა სიტყვისა კი წმინდა რეგრესულია და ენის გაღატაკებას უწყობს ხელს“.

ჰ- და ს- თავსართებზე მსჯელობისას საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დიალექტური მონაცემების შესწავლა; ერთი საინტერესო დეტალი: დღევანდელ ქართულ დიალექტებში სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნად თვრამეტი (ჩვენი ანგარიშით) ვარიანტია დადასტურებული. სალიტერატურო ენის ნორმათა შეგნებულ თუ შეუგნებელ დარღვევაზე საუბარი აქ არ შეიძლება: პერიფერიული ქართველი საუბრობს ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ (სწორად) იმ ენობრივი რეალობისათვის. ვფიქრობთ, როგორც კლასიკოს მწერალთა შემთხვევაში, ისე დიალექტურ მეტყველებაში ეს პრობლემა მეტ ყურადღებას იმსახურებს; საკითხის ასეთი გადაწყვეტა მარტივი და არასწორი შეფასება მგონია მოვლენისა: „ამ საქმეში დიდი არე-დარევაა: სადაც ნიშანი საჭიროა, ბევრგან არ წერენ, ხოლო სადაც საჭირო არაა, ასევე ბევრგან წერენ“ (ი. იმნაიშვილი).

ვიმედოვნებ, საკითხის ასე დასმას გამოეხმაურებიან...

როსტომ ჩხეიძე

მეკავშირედ – დიდ ეპოქასთან

თუ ვინმეზე ვიტყვით დანაწებით: მოგონებანი არ დარჩენია და ნეტა მოესწროო, — ერთ უპირველესთაგანზე უთუოდ სარგის ცაიშვილზეც.

მისი მრავალფეროვანი და ენაწყლიანი ნაამბობები უთუოდ უნდა გადასულიყო ფურცლებზეც.

ეს არ იქნებოდა მარტოდენ მემუარული ჩანაწერები, თუმცა თავისთავად არც ესაა უბრალო, ხელნაწილსაკრავი რამ... მაგრამ სარგის ცაიშვილს შეეძლო შეექმნა ავტობიოგრაფიული რომანი, ისევე, როგორც დანერა ბიოგრაფიული რომანი ბესიკ გაბაშვილზე.

იქნებ ეს არ იყოს ამ უანრის კლასიკური ნიმუში, მაგრამ ამკარად დატყობია ბიოგრაფიული რომანის ნიშნები, და თუ ოდესმე ცალკე სერიად გამოიცემა ქართული ბიოგრაფიული რომანი იმთავიდან ამთავამდე, პროსპექტში ეს ნიგნიც დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს — მისი გამოტოვება უსათუოდ გააღარიბებს ამ სერიას.

დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ ბატონი სარგისი არაფერს შეაღამაზებდა თუ გადაასხვაფერებდა, არც საზოგადოებრივ მოვლენებს და არც საკუთარი ცხოვრების ეპიზოდებს, და თხრობა თვალნათლივ აირეკლავდა ყოველივეს ისე, როგორც რეალურად იყო. და მის თანამედროვეთა თუ წინამორბედთა პორტრეტებიც ბელეტრისტული ოსტატობით წარმოსახებოდა, დახვეწილი სტილით, რაკილა საამისო გამოცდილება უკვე ჰქონდა, სილუეტებად თუ ჩანახატებად რომ აღედგინა გარემომყოფთა კოლორიტული ნაკვთები. ეგაა, რასაც ესეები ერქვა, ახლა ვრცელი, გაშლილი თხრობის ნაწილი უნდა გამხდარიყო და შესაფერისადაც დამუშავებულიყო.

სტილური დახვეწილობა ნიშანდობლივია მისი სამეცნიერო ნარკვევებისთვისაც, ყველაზე კანთიელად კი დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გამჟღავნდა. და გულს გაკლდება, ნეტა მასზეც მოენდომებინა ბიოგრაფიული რომანის შექმნაო.

სარგის ცაიშვილი ხშირად ახსენებდა თედო სახოკიას სახელს. მშვენიერი ესეიც მიძღვნა, მაგრამ ვერ კმარობდა და ხელიდან არ გაუშვებდა საბაბს, რალაც გაეხსენებინა მასზე —

* ჩანაწერს საფუძვლად დაედო ავტორის გამოვლას სარგის ცაიშვილის ხსოვნის საღამოზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 2010 წლის 22 ივნისს

უშუალო შთაბეჭდილება, მამის მონაყოლი თუ თვითონ თე-
დოსა ან სხვათა ნაწერებში ამოკითხული.

მისთვის თედო სახოკია გახლდათ დიდ ეპოქასთან და-
მაკავშირებელი ხიდი, ორ ნაპირს რომ აერთებდა და რაღაც
ღრმა საიდუმლოც მოჰქონდა, რომელიც ალოთი უნდა
გეგრძნო, იმ ეპოქის განსაკუთრებულობას თუ მრავალმხ-
რივ საგულისხმო დანაშრეებს რომ მიწვდომოდი.

თურმე თვითონაც იგივე მოვალეობა დაჰკისრებოდა —
შემაკავშირებლად ქცეულიყო თაობებს შორის და იმ დიდი
და განსაკუთრებული ეპოქის, ახალი დროის საქართველოს
საძირკვლის — XIX საუკუნედ სახელდებულის — სუნთქვა
ხელშესახებად მოეტანა ახლა უკვე ჩვენამდე.

ოფიციალური, ყალბი ისტორიის გვერდით ინერებოდა ნამ-
დვილი, თუმც ჯერჯერობით უხილა-
ვი ისტორიაც საქართველოს საზოგა-
დოებრივ-პოლიტიკური და კულტურ-
ული ცხოვრებისა და ამ გარეგნუ-
ლად უხილავი ისტორიის შექმნაში
სარგის ცაიშვილი ერთი თავგამოდე-
ბული მონაწილე გახლდათ.

დაკარგვით არაფერი დაკარგუ-
ლა და არც შეიძლება დაკარგულიყო
მისი ნაამბობებიდან, ჩინებულ ზე-
პირ ნოველებად რომ აღვიქვამდით.
ის ყველაფერი ძალდაუტანებლად
გადმოდის თუ გაკრება ჩვენს ნაწე-
რებში — ეპიზოდებიც, სურათებიც,
შტრიხებიც, ფარული ნიუანსებიც.

კიდევ იმიტომაცაა ნათელი, თუ
როგორი სულისკვეთებისა იქნებოდა
სარგის ცაიშვილის მეშუარები, რომ
მისთვის ნიშანდობლივი გახლდათ
თვითირონიის განცდა — ღირსებად
მიაჩნდა მისი გამჟღავნება ადამიან-
თათვის, და თვითონაც იმთავითვე
დაჰყოლოდა ეს გრძნობაც, იუმორი-
სა და მახვილგონიერების ნიჭისა არ იყოს, სახალისოს რომ
ხდიდა არამარტო მასთან პირად ურთიერთობას, არამედ მისი
ხელმძღვანელობით გამართულ სხვადასხვა თავყრილობასაც
— სამეცნიერო კონფერენციას იქნებოდა, დისერტაციის დაც-
ვა თუ სალიტერატურო თავყრილობა.

სამივეს განსხვავებული ნიუანსებით უძღვებოდა, ოღონდ
უცვლელი იყო მისი მონუმენტური ფიგურა, დარბაზი რომ
ხელთ ეპყრა და მსჯელობასა თუ დისკუსიას ყოველთვის
ცოცხლად და მიმზიდველ პროცესად გადააქცევდა ხოლმე,
შეზავებულს დახვეწილი იუმორისტული რეპლიკებით.

მისთვის დაუფინყარი გახლდათ სიმონ ჩიქოვანიც და
მისი ის უჩვეულო უნარიც — ყველაფერი მოექცია ლიტერ-
ატურულ გარსში, სადაც უნდა ყოფილიყო — მწერალთა
სასახლეში, გამომცემლობაში, რედაქციაში თუ, უკვე
თვალდაშრეტილი, საკუთარ ბინაში გამოკეტილი.

სარგის ცაიშვილი ყოველთვის ესწრაფოდა ლიტერატურუ-
ლი გარემოს შექმნას და იმ მხრივაც დამგვანებოდა სიმონ ჩი-
ქოვანს, რომ მასაც ძალიან აინტერესებდა ახალგაზრდების
აზრი და თამამად ჩაერთვებოდა ხოლმე მათთან შეხლა-შემოხ-
ლაში, ოღონდაც ეს ყოველივე სამეცნიერო და სამწერლო პრო-
ცესის უკეთესი მომავლის სურვილით ყოფილიყო ნაკარნახევი.

ხშირად ამონებდა საკუთარ შეხედულებებს — თით-
ქოს რა ახალგაზრდების დადასტურება სჭირდებოდა მის
ორიგინალურ დაკვირვებებსა თუ მიგნებებს, მაგრამ ერ-
ჩინა განსასჯელად შემოეტანა მათ წრეშიც.

და არც საკუთარ მოსაზრებათა გადასინჯვა, ხან
მკვეთრი შეცვლაც არ ეთაკილებოდა, რადგანაც ნამდვილი
მეცნიერული ცხოვრება უამისოდ ვერ წარმოედგინა.

მეც მომსვლია ცხარე კამათი ბატონ სარგისთან. განებივ-
რებული ვყავდი და ამიტომაც სრულიად არ გამძვლებია, რომ
მისი ყოველი არგუმენტისათვის საპასუხო საბუთი შემეგებე-
ბინა. ეს მაშინ, პავლე ინგოროყვას სამეცნიერო შემკვიდრეო-
ბის შეფასებაზე რომ ვერ მოვრიგდებოდით. თვითონ პიროვ-
ნებაზე ორივეს ერთი შეხედულება გვექონდა და ბატონი სარ-
გისი ჩემზე ნაკლებ არ აფასებდა მის
ზნეობრიობას, კეთილშობილებასა
თუ ქვეყნისათვის თავდადებას, მაგ-
რამ უძნელდებოდა გაეზიარებინა მი-
სი ცალკეული თვალსაზრისები თუნ-
დაც რუსთაველის ბიოგრაფიასა და
„ფეხისტყაოსნის“ ირგვლივ. მაშინ-
დელი კამათი კი იმით დასრულდა,
რომ ჩემთვის ამ ძვირფასმა კაცმა მი-
სებური იუმორით მითხრა: აღარაფე-
რი გეშველება, მონამლული პავლიკი-
ანელი ხარო.

მისი გულის უხილავობა, მისი ბუნე-
ბის უშურველობა მალე ერთხელ კი-
დეე გახდებოდა საცნაური, როდესაც
პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ
აპოლოგეტურ სტრიქონებს გამოაქ-
ვეყნებდა. ამ პუბლიკაციას განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა
მაშინდელ სამეცნიერო და საზოგა-
დოებრივ სინამდვილეში, რაკილა სარ-
გის ცაიშვილი მანამდე პავლე ინგო-
როყვას ოპოზიციაში იგულისხმებო-

და.

არ მაზინყდება თუნდაც არჩილ სულაკაურის გაცეხული
და აღტაცებული სახე, გამონეული ამ პუბლიკაციით: მე და
სარგისი ყველაფერში ვეთანხმებოდით ერთმანეთს ამის გარ-
და, და ახლა პავლე ინგოროყვას სახელიც გვაერთიანებსო.

კიდევ დამირეკავდა ბატონი სარგისი:

— ვიცი ნახავდი.

— ვნახე და ძალიან, ძალიან მიხარია.

— მინდოდა, რომ გამეხარებინე!..

...ჩვენი ამ დღევანდელი თავყრილობის დასაწყისში ფილმს
ვუყურეთ ბატონ სარგისზე. ფილმის ფინალში გაისმა საგუ-
ლისხმო სტრიქონები შვილისადმი მიძღვნილი მისი ლექსიდან,
რომელშიც იგი თითქოს უსაზღვროებიდან, მარადისობიდან
გამოიციურება, რაკილა უკვე გრძნობს სიკვდილის სუნთქვას,
და იქიდან უზიარებს თავის ფიქრსა და ტკივილს ძეს თვისას.

მაგრამ ეს ლექსი მხოლოდ ჩვენს ძვირფას სოლიკოს კი
არ ეძღვნება, არამედ თვითულ ჩვენგანსაც, მის უმცროს
თანამოკალმეთ, და ახალ და ახალ თაობებსაც, ყველა იმ
ადამიანს, ვინც საკუთარ მოვალეობად შეიგრძნობს —
იყოს შემაერთებული ორი ნაპირისა, რათა დაუსრულე-
ლად იდინოს XIX საუკუნის დვრიტამ და სუნთქვამ, კულ-



სარგის ცაიშვილი რუსთაველის ფრესკასთან

ეკა ბუჯიაშვილი

ნოველები მხატვრის მატიანელან

ნლების წინათ თენგიზ მირზაშვილს რამდენიმე ახალ-გაზრდისთვის — როსტომ ჩხეიძე, უჩა შერაზადიშვილი, ივანე ამირხანაშვილი — უთქვამს: თქვენ არ აფასებთ კარლო ფაჩულიას, იცოდეთ, ის დიდი მხატვარიაო, — რატომ-ღაც ჩათვალა, რომ რაკი მეგობრობდნენ, რაკი ეს დიდი მხატვარი ასე ათამამებდა ახალგაზრდებს, მათ მისი ფასი სათანადოდ არ იცოდნენ.

თენგიზ მირზაშვილს, თავადაც სახელოვან და ნიჭიერ მხატვარს, ისედაც დაეჯერებოდა შეფასებისას, მითუმეტეს, რომ იგი ის პიროვნება გახლდათ, რომელიც ადვილად არ ფანტავდა ეპითეტებს, თუმცა გავიდა დრო და კარლო ფაჩულიამ არაერთხელ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ის მართლაც გამორჩეული მხატვარია, რომელსაც აქვს თავისი ხაზი და სიღრმე. ამის კიდევ ერთი დასტურია დუშეთის კულტურის სახლში ქალაქის გამგეობისა და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით გამართული გამოფენა, რომელზეც მხატვარმა წარმოადგინა ნამუშევრები სხვადასხვა სერიიდან და ექსპოზიციაც გამორჩეული იყო მრავალფეროვნებით, მხატვრული ოსტატობის მაღალი დონითა და იმ ინდივიდუალიზმით, ასეთი ძნელი მისაღწევი რომ არის ხელოვნების ყველა დარგში, მათ შორის მხატვრობაშიც.

დიდი მხატვარიაო, — ნლების წინათ უკვე შეეფასებინა თავადაც დიდ მხატვარს და ნლების შემდეგ დუშეთში გახსნილ გამოფენაზე რომ გაიხსენებს ამ ამბავს **როსტომ ჩხეიძე**, ამასაც აღნიშნავს:

— კარლო ფაჩულია იმ მხატვრებს მიეკუთვნება, წიგნს რომ კითხულობენ და იციან მისი ფასი — ნამდვილი ილუსტრატორები არიან. განსაკუთრებულად მინდა გამოვარჩიო შემოქმედებითი თანამეგობრობა თამაზ ბიბილურთან. მისი ყველა წიგნი კარლოს გაფორმებულია. საერთოდაც, ყველა ავტორი ცდილობს, თავისი წიგნი კარლო ფაჩულიას გააფორმებინოს, რადგან იციან, იგი ისეთ ნიუანსებს იპოვის, თვითონ მწერალსაც რომ დაეხმარება საკუთარ შემოქმედებაში ჩასაღრმავებლად.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოფენა დუშეთში გაიხსნა. ნებისმიერი კულტურული ღონისძიება მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა გაიშალოს და ასეთი დონის უნდა იყოს, რათა მხოლოდ ერთი კაცის ბიოგრაფიას კი არა, საერთოდ, მთელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას დააჩნოს კვალი.

სწორედ ასეთი დღის მომსწრენი ვავხდით ამ გამოფენაზეც, რომელიც, **ავთანდილ პოპიაშვილის** თქმით, ნებისმიერი ქალაქის, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის დარბაზებს დაამშვენებდა და ერთნაირად სჭირდება დიდსაც და პატარასაც, მომავალ თაობას — განსაკუთრებით, რადგან ეს ისეთი ექსპოზიციანია, რომელსაც ძალუძს, სწორად განსაზღვროს ბავშვის გემოვნებაცა და ცნობიერებაც. **შოთა ბოსტანაშვილი** კი ყურადღებას ხაზზე ამახვილებს:

— გრაფიკა, ხაზი ერთადერთია, როგორც შუამავალი, მედიუმი საგანთა სამყაროსა და მწერლობას შორის. თავისი სემანტიკით ის მართლაც საზღვარია. ამ ყველაფერმა 20-30 წლის წინათ ნანახი გამოფენა გამახსენა სალვადორ დალის გრაფიკისა. თუ სალვადორ დალი იქითურთან გვაკავშირებდა და ამ საზღვარს გადაგვაღახინებდა, კარლო ფაჩულიას გრაფიკის ნახვით მრჩება განცდა, რომ აქეთურთანაც გვჭირდება თურმე კავშირი, რადგან ის ამ სამყაროსაც სულ სხვა რაკურსით ხსნის. თითოეულ სემანტიკაში იმდენი რამ არის, რომ პირადად მე ახალი იმპულსები აღმიძრა და სრულიად ახალი შემოქმედებისკენ განმანყობ.

აქ თითოეულ ნახატს, თითოეულ პერსონაჟს თავისი ისტორია აქვს, ამიტომაც კარლო ფაჩულიას გამოფენაზე ხშირად ნახავთ რომელიმე ნახატთან შეჩერებულ სტუმარს, რაღაცნაირი აღფრთოვანებით რომ გეტყვიან: ამას მეც ვიცნობდი, მეც მინახავსო...

ეს კოლორიტული პერსონაჟები რეალურად არსებობდნენ, ახლა კი იმ მატიანეში დაუმკვიდრებიათ სამარადისო ადგილი, ტკივილითა თუ სიხარულით, სევდითა თუ იუმორით რომ ჩაუხატავს მხატვარს. შესაძლოა ქუჩაში შეგხვედრიათ კიდევ ლუბა, რომელიც თავის ძალს ფრანცისკას დაასეირნებს, ან ეს მოხუცები გინახავთ — იოსელიანის 37-ში, სახელდახელოდ აშენებულ ფარდულში შეხიზნულნი, ასე მტკივნეულ რეალობას რომ ასახავენ, ან იქნებ ხავაკოპიოს და რიკრიკას იცნობდით, ასეთ სახასიათო პერსონაჟებს „ჩემი ებრაელი მეზობლების“ ციკლიდან; ასეთი, სწორედ ასეთი აივნებიანი ქალაქი თუ გახსოვთ... ან ეს სახლი შაუმიანის ქუჩაზე, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს. იქნებ ისიც იცით, რატომ იმზირებიან ეს ადამიანები ასე — ზოგჯერ სევდიანად, ზოგჯერ ღიმილიანად, ხანაც რაღაცნაირი ნოსტალგიური მზერით, ძალიან ნაცნობი რომ გეჩვენება.

აქ თითოეული პერსონაჟი თავის ისტორიას ინახავს, თითოეული ნახატი ნოველაა, ამიტომაც იტყვიან **როსტომ ჩხეიძე**:

— ჩვენ ვსაუბრობთ კარლო ფაჩულიაზე, როგორც შესანიშნავ ილუსტრატორზე, მისი ნახატები კი თვითონვე იწვევს მწერალს, რათა გამოეხმაუროს და შექმნას ნოველები.

ქართველი თუ უცხოელი მწერლების ნაწარმოებების ილუსტრაციები კი გიბიძგებს, კიდევ ერთხელ მიუბრუნდევ ნაცნობ თხზულებებს და ახლა მხატვრის თვალთ ჩაუღრმავდე მათ, იმ თვალთ, ძალიან საინტერესო შრეებში რომ ჩაგახედებს.

— მხატვრის ყოველი ხაზი მისი კუნთი და ნერვია, მისი სიხარული და ტკივილია... აქაც, თითოეულ ნახატში კარლო ფაჩულიაა. ამიტომაც არის მისი ნამუშევრები ასეთი ცოცხალი, — აღნიშნავს **გოგი ჩაგელიშვილი** და აღარც ვიკირს, რატომ გიჩნდება განცდა, რომ ახლა, შენ თვალწინ შეირხვიან ეს პერსონაჟები, შეჩერებული კადრებით ამოძრავდებიან და გაცოცხლდება სამყარო — ზოგი რეალური, ზოგიც გამოგონილი გმირებით დასახლებული, მაგრამ თითოეული ძალიან ნაცნობი და ახლობელი, ძალიან შენთანაც კი — ისეთი, როგორც თვითონ მხატვარია. და მერე ცოტათი გშურს კიდევ **პაატა ჩხეიძის**, ვინც დაგასწრო და საყვარელ მხატვრად კარლო ფაჩულია დაასახელა და კიდევ ახსნა თავისი დამოკიდებულება მის მიმართ:

— მას აქვს თავისი განსაკუთრებული ხელწერა, რისი მიღწევაც რჩეულთა ხვედრია. კარლო ფაჩულიას ხაზზე და ტექნიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, მე გამოვარჩევდი მის სიღრმეს, სულიერებასა და მხატვრულ ფილოსოფიას. ნახეთ, როგორ არის გამჯდარი მის შემოქმედებაში ტრადიციისადმი სიყვარული, მონატრება იმ ყველაფრისა, რაც მის გარშემო ყოფილა.

სწორედ ამ ტრადიციისადმი სიყვარულის გამო გადაუხდის მადლობას მხატვარსაც და ამ გამოფენის ორგანიზატორებსაც დუშეთელი პედაგოგი **მანანა შუკაკიძე** და იტყვის, რომ ასეთ გამოფენებზე უნდა იზრდებოდეს თაობა, ასე უნდა სწავლობდეს და ითვისებდეს ქართულ მხატვრობას.

ზურაბ მარშანია კი პირად საუბარში რომ გამიზიარებს შთაბეჭდილებებს, იმასაც გამანდობს, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა და თავის განწყობას ძალიან მოკლედ ასე აყალიბებს: „ეს არის დღე, როცა დიდი ოსტატის დიდი ხელოვნების თანაზიარი ხდები და ამიტომაც (...და კიდევ ბევრი რამის გამოც) არასოდეს წაიშლება შენი მეხსიერებიდან.“

წლების წინათ ერთი სახელოვანი გრაფიკოსის მეუღლეს ქმრის შემოქმედების შესახებ წიგნი დაუწერია და ამას საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოუწვევია — განა შეიძლება ცოლმა ქმარზე დანეროსო.

— ჩემზე უკეთ მას ვინ იცნობსო?! — მხრებს იჩეჩდა თურმე წიგნის ავტორი და ცდილობდა, მათთვის აეხსნა, რომ უცნაური ამამი არაფერი იყო.

წლები გავიდა მას შემდეგ და ერთ თანამედროვე, სახელოვანი გრაფიკოსის მეუღლემ ქართულ გრაფიკის შესახებ ვრცელი და საინტერესო ნაშრომი რომ გამოსცა, ქმარზე სიტყვაც არ უთქვამს მასში.

— შენ არ ხარ პროფესიონალი, არც ხელოვნებათმცოდნე ხარ, რადგან ფურცელი ამოგადე ქართული გრაფიკის ისტორიიდანო, — უსაყვედურია მისთვის პროფესორს.

ის გრაფიკოსი თქვენთვის კარგად ნაცნობი **კარლო ფაჩულია** გახლავთ. ნაშრომის ავტორი კი მისი მეუღლე, **ნინო ზაალიშვილი**, თავადაც შესანიშნავი მხატვარი და არაერთი კარგი საქმის თაოსანი. ამ ამბავს შეკრებაზე გაიხსენებს ქალბატონი ნინო და იტყვის:

„ყოველთვის ვცდილობდი, უკან დამეხია მისი შეფასებისას, მაგრამ როცა ჟურნალ „ომეგას“ (ასეთი დონის ჟურნალი დღევანდელ რეალობაში არ არსებობს) სალონში გამართულ გამოფენაზე გავბედე სიტყვით გამოსვლა, აღმოჩნდა, რომ არც ისე ძნელია მეუღლეზე ილაპარაკო, თუკი სიმართლეს ამბობ. ქართულ გრაფიკაში ცოტაა ისეთი მხატვარი, რომელსაც ასეთი ხაზი, პლასტიკა და სიღრმე აქვს. გამორჩეულია

მისი დამოკიდებულება ლიტერატურული ნაწარმოებისადმი. მუშაობისას ის ძალიან ბევრ ნახატს ყრის. ერთმა ახლობელმა ისიც მითხრა, რატომ არ ვარ მაგ დროს იქ, რომ ავკრიფო და შევინახო, რადგან ეს ესკიზებიც კი ძალიან ფასეულიაო.

ის მართლაც ძალიან საინტერესო მხატვარია და მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ როსტომს, რადგან მან სხვებზე გაცილებით ადრე დაინახა და გამოხატა თავისი აზრი.

მადლობა ასევე **ნატო ჩხეიძეს**, რადგან ბევრი რამ კარლომ სწორედ მისი იდეებით განახორციელა“.

— არადა, ამ ნახატებს რომ უყურებ, გგონია, ხელის ერთი მოსმით, ლაღად არის შექმნილი, — იტყვის **ნინო ვახანია**, პერსონაჟთა ხასიათებითა და დინამიკურად გადმოცემული სათქმელით მოხიბლული, თამაზ ჯოლოგუას საინტერესო გამოხმაურებას რომ გაიხსენებს, მის აღტაცებულ სტრიქონებს ელიზბარ ერისთავის შესახებ გამოცემული კრებულის გარეკანის გამო და აღნიშნავს, რომ ასეთი რამ კარლო ფაჩულიას ყოველ ნახატზე შეიძლება დაინეროს, რადგან თითოეული მათგანი დაგაფიქრებს და გინვეცს მსჯელობისაკენ.

და კიდევ მიგყვება ეს ფიქრიანი განცდა. მიგყვება ქილაშვილების სასახლეშიც, იმ კარმიდამოზე, რომელსაც XIX საუკუნის არაერთი ცნობილი მოღვაწე სტუმრობდა, თავად იაგორ ჭილაშვილი კი, დიმიტრი ყიფიანის სიმამრი, განათლების მინისტრად ეგულებოდათ 1832 წლის შეთქმულებს. აჰ, ამ სასახლეში იზრდებოდა თურმე ერეკლე მეფის ერთ-ერთი ვაჟი, ვახტანგ ბატონიშვილი. ვინ იცის, რამდენჯერ გადმოუხედია სასახლის კედელზე ჩიტის ბუდესავით გადმოკიდებული აივნიდან, საიდანაც ხელისგულზე ჩანს შენი სამშობლო.

ის ფიქრიანი განცდა მიგყვება სასამართლოს შენობასთანაც, სადაც წლების მანძილზე მოსამართლედ მუშაობდა ილია ჭავჭავაძე, დღესდღეობით კი ეს ისტორიული შენობა გაპარტახებულია.

...და ვინ იცის, უკვე მერამდენედ გახსენდება ტრადიციისადმი სიყვარულის გრძნობა, ასე გამჯდარი კარლო ფაჩულიას შემოქმედებაში და ასეთი მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენგანისთვის. და სულაც აღარ მიკვირს ამ ვოიაჟის ახალგაზრდა მონაწილე, კანადის ერთ-ერთი უნივერსიტეტის ქართველი მაგისტრანტი, **ნინო მარშანია**, მთელი დღის შთაბეჭდილებებით დატვირთული, ყველაფერი ქართულის განსაკუთრებულ გაცნაზე რომ გაამახვილებს ყურადღებას და მეტყვის:

— ხუთი წელია კანადაში ვსწავლობ და მხოლოდ ზაფხულობით ვსტუმრობ საქართველოს, ამიტომ ვცდილობ, რაც შეიძლება ბევრი შთაბეჭდილება შევკრიბო, რომ თან წავიღო, რადგან იქ ყველაფერი ახალია, ის ცივილიზაცია ახლა იქმნება და იქ არასოდეს გიჩნდება ტრადიციულის განცდა, აი, ისეთი, როგორც ამ დღეს აქვსო.



კარლო ფაჩულია

მაია ჯალიაშვილი

„შენ არ მომწყინდი, კალაო“

□

ქეთევან შენგელიას ახალი პოეტური კრებული

ქეთევან შენგელიას ლექსებს მშვენიერების სამყაროში შევყავართ. სხვა რა ევალება პოეტს, თუ არა იმგვარი ნამების მოხელთება, რომელთა შეჩერებაც გვეოცნებებება, სულერთია, ტკივილისა იქნება ეს ნამი თუ სიხარულისა, მთავარია მისი სისავსე და გულისშემძვრელობა, სიუცხოვე და სინატიფე, როგორც აკაკი ამბობდა: „ერთი ნამიც კი სიცოცხლის თუ სხივების მომფენია, უსინათლოს და უგრძნობელს საუკუნეს მირჩევნიაო“. ქეთევან შენგელიასთვისაც ეს არის მთავარი — მშვენიერი, სხივოსილი ნამების პოეტურ ხატებად გარდაქმნა და მკითხველის ზიარება მოელვარე, სიყვარულით გამთბარ განცდებთან.



„მზე და ღრუბელი“ დაურქმევია ახალი კრებულისთვის პოეტს და მკითხველისთვის თავიდანვე მიუნიშნებია სინათლისა და სიბნელის, სიყვარულისა და სიძულვილის, სიკეთისა და ბოროტების განუყოფლობაზე. ნებისმიერ მკითხველს ენუგეშება პოეტის მოკრძალებული მიძღვნაც: „ვუძღვნი ყველას, ვისაც ბევრი ტკივილი და ცოტა სიხარული შეხვედრია“. განა მოიძებნება კაცი დედამინის ზურგზე, ვისაც სიხარული ებევრებოდეს, ან ტკივილი ეცოტავებოდეს?! ამიტომაც თავიდანვე იბემა რაღაც მშობლიური და თბილი ძაფები პოეტსა და იქნებ პოეზიის ძალაში დაეჭვებულ მკითხველს შორის, რომელსაც პოეტი დავინყებულ ნუგეშს ჰპირდება. არის თუ არა ეს გულუბრყვილობა, მიაბიტური სურვილი სიტყვით დაუამო ტკივილები და ამალღებულს, წარუვაღს აზიარო ყოველდღიურობით დაქანცული და გაცვეთილ, უგრძნობელ სიტყვათა ანაბარა დარჩენილი თანამედროვე მკითხველი? სხვა შემთხვევაში, იქნებ ყოფილიყო კიდეც, მაგრამ ამჯერად მართლაც ერთგვარად იშვებს მკითხველი, რადგან თვალის სილამაზით რწყულდება, გულში კი სინათლე და სითბო იღვრება. ამ თვალსაზრისით, ეს პოეზია იმ პოეტურ ტრადიციას აგრძელებს, რომლის მიხედვითაც, პოეტს ევალება, როგორც ილია იტყოდა, სასონარკვეთილ მკითხველს სულის ჭრილობები დაუამოს, ცრემლი მოსწმინდოს.

კრებულის ოთხ ციკლში („ნანვიმარ ტყეში“, „მოგზაურობა“, „გზაჯვარედინთან“, „ცოტა რამ წარსულიდან“)

როგორც ბუნების ოთხ სხვადასხვა დროში ამოგზაურებს პოეტი მკითხველს და ერთიანობაში შეაგრძნობინებს სამყაროს სისავსესა და ჰარმონიულობას. სამწუხაროდ, დღევანდელი პოეზია ხშირად ერთგვარი ახლომხედველობითაც გამოირჩევა, მხოლოდ დეტალებზე ჩერდება მზერა და მათ მიღმა იკარგება მთლიანობის განცდა. დეტალი შეიძლება თავისთავად საინტერესო და არსებითიცაა, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილია ღვთის მიერ შექმნილი მრავალფეროვანი სამყაროსი, ქეთევან შენგელია კი თავისი პოეზიით არა მხოლოდ რომელიმე ფერის, არამედ ფერთა ნაირგვარი თამაშის მაყურებლად და მონაწილედ აქცევს მკითხველს. ამ ერთიანი სურათის ხატვისას კი ცალკეულ დეტალს რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მის ლექსებში სამყარო მთლიანობაშია აღქმული და აღბეჭდილი. პოეტი საოცარი სისავსით განიცდის სიცოცხლის მომაჯადოებელ ძალას. აქ ბევრი ტკივილია და ბევრი სიხარული, ტკივილს ინვესტირებს სიმარტოვე, რომელიც თანვე მნიშვნელოვანი წყაროა შთაგონებისა, ფიქრისა, ჩადენილი შეცდომების გაანალიზებისა:

**ჩემი ცხოვრების გზაჯვარედინთან
შემომაყარა ბედმა ნაცარი,
მადარდებს ის, რაც ვერ გავარკვიე,
და რაზეც ფიქრი ვერ მოვასწარი.**

ქეთევან შენგელიას ლექსებში ჰარმონიულად არის შერწყმული აზრი და ემოცია, სადა მხატვრული სახეები იოლად აღწევენ მკითხველის გულამდე და ბადებენ სითბოს, სიკეთის, სიყვარულის წყურვილს. პოეტი რითმიანი ლექსის ტრადიციის გამგრძელებელია. რითმა მისთვისაც მელოდიურობის წყაროა. აქ ხშირად შეხვედებით მოულოდნელ, საინტერესო რითმებს, რომლებიც სათქმელს გამოკვეთენ და სტრიქონებს დასამახსოვრებელს ხდიან.

კრებულის პირველ ციკლში „ნანვიმარ ტყეში“ ყურადღებას იქცევს სახეთა ფერწერულობა, აქ მართლაც ისეთი ხასხასა ფერები გვხვდება, როგორც ნანვიმარზე. წვიმა კი როგორც სიმბოლო, განწმენდასა და ხელახლა დაბადებას უკავშირდება. ტყე კი გაუფალობის, გაურკვეველობის, ამქვეყნიური ამაოების ხლართებში გაბმული ადამიანის თავგზააბნეულობას ამხელს. ნანვიმარი ტყე სიმბოლოა სულისა, რომელმაც გაუძლო ხიფათებს და დაინახა გზა ხსნისა. ქეთევან შენგელიას პოეზიაში გზა ხსნისა გულისხმობს ქართველი ერის წარსულის, მისი კულტურის გააზრებას და საზრდობას იმ ღირებულებებით, რომლებიც ქართველ ერს შეუქმნია. ამ ლექსებში გვხვდება არა მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო, არამედ ქართული კულტურის იმგვარი პოეტური კოდები, რომელთანაც მკითხველს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. ესენია: პური, თავთავი, მიწა, ვაზი.

სამშობლო, ღმერთი, ბუნება, ხელოვნება — ესენი ქეთევან შენგელიას პოეზიის ერთგვარი საყრდენებია. ოთხივე ციკლში ვარაიაციულად არის დამუშავებული ეს თემატიკა. მისი პატრიოტიზმი ძალიან ჩუმად და სადად მჟღავნდება:

**პურის სურნელი,
სავსე თავთავი,
ყანა და კალო, წისქვილი
ვარცლი...
ქართველზე უთქვამს უფალთან იღბალს—
სიკვდილის წინო — სიმღერას ვაცლი**
(„პურის სურნელი“)

ქეთევან შენგელიას ლექსებში დრო არასოდეს წარმოჩნდება როგორც აწმყოდან მომავლისკენ მიმდინარე, არამედ — როგორც მარადისობა, რომელიც თავის არსებაში შემოიკრებს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. პოეტს მუდმივად ახსოვს ეს ერთიანობა, ამიტომაც მისი პოეტური მე არის შემკრები და განმცდელი იმ ყოველივესი — რაც სამყაროში (როგორც უდროო და უსივრცო ფენომენში) ხდება. შეიძლება ამიტომაც მისი ერთ-ერთი გამორჩეული სახე-სიმბოლო მინდიაა, ზედადამიანურ სიბრძნეს ნაზიარები ტრაგიკული პერსონაჟი, რომელიც მის ლექსში „ხელში იებით“ გამოჩნდება:

**მოდის მინდია გულახელილი,
ქაჯთა სიბრძნის და ბევრის მნახველი.**

პოეტი ცხოვრებას გაიაზრებს როგორც უსაშველო მოლოდინს, რომელიც აფერმკრთალებს ნებისმიერ მიზანს. იგი იმის წარმოსაჩენად, რომ ყოველგვარი მიზანი ფუჭია, ქმნის მეტაფორას: „ცდუნების ნაყოფი“, და შედარებას: „მარგალიტივით პატარა“, თუმცა აქ მარგალიტის მოხმობა მაინც გარკვეულ ღირებულებას სძენს მიზანს, რომელიც ამხელს ადამიანის სწრაფვას, თავი დააღწიოს ცხოვრების უდაბნოს.

პოეტის აზრით, ყოველივე ამქვეყნიური მოჩვენებითია, რა თქმა უნდა ამ თვალსაზრისით ეხმიანება ეკლესიასტეს სიბრძნეს. სამწუხაროდ, მისი აზრითაც:

**ნამდვილად მხოლოდ სიკვდილი მოდის,
ის არაფრით არ დაიგვიანებს.**

ის, რაც ამ გარდაუვალობას წინ აღუდგება, ხელოვნებაა, ამიტომაც ეძლევა ქმნის ვნებას პოეტი ასეთი გატაცებით:

**ო, რა სანდოა,
ღვთისმშობელივით,
ლექსის ბნკარი და პურის თავთავი.**

ლექსის ბნკარი პოეზიის, ხელოვნების სიმბოლოა, ღვთისმშობელი — რელიგიისა, პურის თავთავი კი ეროვნული ფესვებისა, ასე რომ, ტრიადა: ხელოვნება, რწმენა, პატრიოტიზმი — პოეტისთვის განუყოფელია.

**ხელში ყვითელი ვარდის ფურცლის
ფერივით ძველი,
მიჭირავს ჩვენი ისტორიის
წიგნის ფურცლები,
და მოდის მტკვარი
მეტეხის წინ, დინჯი და ურჩი,
ისევ ვარსებობთ,
ტკივილია რადგან უცვლელი.**

ამგვარი განცდა ნიშნულია ქართული პოეზიისთვის. „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“, — ნერდა გალაკტიონი („ეფემერა“). ეს სტრიქონები ნებისმიერი ქართველი პოეტის გულისცემას გამოხატავს, პოეტისა, მუდმივად რომ განიცდის სამშობლოს „ჯვარცმას“ და არ შეუძლია ლექსის სტრიქონებად არ აქციოს ტკივილი.

ქეთევან შენგელიასთვის პოეზია უპირველესად წარმოჩნდება როგორც თვითშემეცნების გზა, რათა შემდგომ ეს გახდეს საფუძველი სამყაროს შემეცნებისაც: „ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წაფა სადაო“ (დავით გურამიშვილი), ამიტომაც ამ კრებულში გვხვდება ქართველი გმირების, მონამეების, ქართული კულტურის ერთგვარი სიმბოლოების მიმართ მიძღვნილი ლექსები, მათ შორის აღსანიშნავია: „ქეთევან დედოფალს“, რომელიც ეხმიანება ანა კალანდაძის ცნობილ ლექსს.

ქეთევან შენგელიასთვისაც პოეზია გაიაზრება როგორც მიმთავსებელი ზეციურთან, ამაღლებულთან, ღმერთთან, ამიტომაც არის სტრიქონი „ღვთისმშობელივით“ სანდო. ამ „სტრიქონმა“, ე.ი. ზოგადად პოეზიამ, მას თავისი არსებობის აზრი უნდა აპოვინოს.

ამ პოეზიის წარმმართველი სიყვარულია, ამიტომაც პოეტის მზერაში თანაბრად ექცევა ყოველივე — ხედავს „გაზუნულ, ფერმკრთალ პეპელას“ რომელიც გულისმომკვლელად ჩივის:

**ისედაც სამი დღე ვცოცხლობ,
აქედან ერთი დღე განვიმდა.**

აქ არის მოულოდნელი მხატვრული სახეები, მაგალითად, „თოვლი მიყურებს უცხო თვალებით“, „ეს სიმარტოვე — თეთრი ურჩხული“, „დამნიფებული მოცხარი აფახულებდა წამწამებს“, „საქსოვი ძაფის ორი გორგალი, კატის კნუტივით უხდება ფარდავს“ — ეს შედარება იმპრესიონისტ ოგიუსტ რენუარის ნახატს „დები“ მოგვაგონებს, რომელზეც მშვენიერ გოგონებთან ერთად გამოსახულია კალათა — ფერადი გორგლებით, რომლებიც კატის კნუტებს ჰგვანან.

წიგნის მეორე ციკლია „მოგზაურობა“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანია პოეტურად გადმოცემული. პოეტს ხიბლავს ლურჯი მაისის სამოსელიანი „უცნაურად მშვენიერი“ ვენეცია, რომელიც „წყალთან ერთად სუნთქავს და ფიქრობს“. პოეტი უბრალოდ კი არ აღწერს ნანახს, არამედ მკითხველს აცნობს როგორც ახალშეძენილ მეგობრებს, რომელთაც მონატრებული ეხმიანება და სიყვარულით მოიკითხავს. ყურადღებას იქცევს მიქელანჯელოსადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც ფილოსოფიური დაფიქრებაა ცხოვრების პარადოქსულობაზე:

**ო, რა უცნაურ ფანდს იგონებ
ზოგჯერ, გამჩენო...
სხვამ მორთო შენი
სამუდამო სასუფეველი
და ქანდაკებაც სხვამ დაგიდგა,
მიქელანჯელო!**

(„სანტა კროჩეს ტაძარში“)

„მარადიული ქალაქის“ მოედნები, შადრევნები, ძველი ქანდაკებები პოეტის წარმოსახვას ახალი შთაბეჭდილებებით მუხტავენ. ამ ციკლში არის ლექსი „კაფკას საფლავთან“, რომელშიც შოთოიანი მწერლის საფლავთან გამეფებულ უშფოთველი სიმშვიდის განცდაა გადმოცემული. ბარსელონაში გაუდის დაუმთავრებელი შედეგით „საგრადა ფამილია“ ხილვით აღტაცებას შეერევა სევდა, რომელიც ხელოვანის მარტოსულობას ამხელს: „როგორ გიჭირდა, როგორ ნუხდი, ალბათ, ღმერთ-კაცი“.

ამავე ციკლში ყურადღებას იქცევს ლექსები, შთაგონებული ესპანეთისა თუ საფრანგეთის ისტორიული და კულტურული ძეგლებით.

„პალმების ჩრდილში ამაოდ არავის უსიერნია“ — გოეთეს ამ სიტყვებს მოიხმობს ანდრე ჟიდი, როდესაც ზოგადად გავლენის კეთილისმყოფლობაზე საუბრობს. ქეთევან შენგელიას პოეზიასაც ეტყობა, რომ იგი ნასაზრდოებია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის შედეგებით.

ლამაზი სტრიქონი: „ნისლმა ჩემზე რა მოგწერა“ — გვაგონებს ვაჟა-ფშაველას: „მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი გულმკერდზე დაიწეროდი“ ან „საბაროდ გარდამავალთა ამბავს ვეტყოდი წეროთა“.

ციკლში „გზაჯვარედინი“ წარმოჩენილია პოეტის მდიდარი შინაგანი სამყაროს ვნებათაღელვანი. მისი „მე“ აქ წარმოგვიდგება როგორც ათასგვარ ნაწილად დაშლილი, რომელთაგან თითოეული ცდილობს რაღაც განსაკუთრებულს შესწვდეს. ეს, ერთი მხრივ, ერთგვარ ქაოსს იწვევს პოეტის სულში, როდესაც გაძნელებულია არჩევნის, მეორე მხრივ კი ეხმარება სამყარო შეიმეცნოს, როგორც მუდმივად ცვალებადი და მოძრავი. ადამიანურ საზოგადოებას, რომელიც გამუდმებულად გრძნობს მეთვალყურეს, შემფასებელს, ამიტომაც ყალბსა და ხელოვნურს, უპირისპირდება ბუნება, რომელიც ყოველთვის სიცოცხლის, სილამაზის, ჰარმონიულობის გადასარჩენად იღებს ინტუიციურ გადაწყვეტილებას: „ჭიკჭიკებს ჩიტი, არადა ავდებს საკრავს და ნოტებს“.

როდესაც პოეტი ხედავს, რომ ადამიანები თავიანთი ცოდვების მონებად ქცეულან, გულს უღრღნის ეჭვი და უნებურად გაიფიქრებს: „უფალო, ხომ არ დაგვემდურე, უფალო, ბრძანე!“

ამგვარი სასონარკვეთილება, რომ ადამიანებმა უფალს თავი მოაბეზრეს, სხვაგანაც გაკრთება.

ქართული პოეზიის ნაცნობი ინტონაციები გაისმის, როდესაც პოეტი „ცრუ სოფლის“ დაუნდობლობაზე მოთქვამს:

ცრუ ხარ, სოფელო!
შენმა მსტოვრებმა მაინც ვერ დასცეს ჩემი ქალაქი,
და უფლის ნებით, ტაძრის კუთხეში
ყოველთვის მიცდის მცირე ალაგი.
(„წუთისოფელი“)

აქ იგივე „იმედია“, რაც რუსთველის სტრიქონში „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განანირსა“.

სიკეთით, შებრალებით, შენდობით, რწმენით, სიყვა-

რულით უპირისპირდება პოეტი სიძულვილს, ბოროტებას, სისასტიკეს:

ალარ გახსოვარ და მაინც, თუკი,
არაფრად გიღირს ჩემი სახელი;
მაინც მიყვარხარ, სამყაროვ, მუქი
ფერების გავხდი შენგან მნახველი.

შვილის, დავით კანდელაკისადმი, მიძღვნილი ლექსი წარმოგვიჩენს პოეტის გაშიშვლებულ სულს, მარტოხელა მგელივით აფორიაქებულს, გამუდმებული საფრთხის მომლოდინეს. აქაც მგელი სიმბოლოა ხელოვანისა, ჰესეს „ტრამაღლის მგელში“ რომ წარმოჩნდება, როგორც პარადიგმა. ამ ლექსში კარგად ჩანს, რას განიცდის ცხოვრებისაგან დევნილი მარტოსული, კონკრეტული ეპოქის, სამშობლოს ბედ-იღბლის თუ ზოგადსაკაცობრიო ტკივილებით შეძრული პოეტი, რომელსაც მიმინოს გული უფეთქავს. ამ ლექსში საოცარი დრამატიზმით წარმოჩნდება პოეტის ფაქიზი სული, ბალახვით ნაზი, „შიშით მოკანკალები“, მაგრამ მაინც ძალამოკრებილი და შემართული შვილის გადასარჩენად. აქ შვილი სიმბოლოა მომავლისა, სიკეთისა, სიცოცხლისა, ზნეობისა, პოეზიისა და ყოველივე იმისა, რასაც დაცვა და გაფრთხილება სჭირდება:

ჩემო მზეო და ჩემო ზღაპარო,
ჩემო ვაჟკაცო, წერგო და ხარო,
ფეხზე ვიდგები მაინც იქამდე,
სანამ შენ ჩემი ალერსით ხარობ.

ამიტომაც ამ ლექსის დედა წარმოგვიდგება, როგორც სიმბოლო სამყაროს შემოქმედებითი, ნაყოფის გამომცემი ძალისა. ოთარ ჭილაძის სიტყვები გვახსენდება: „ვიდრე ქალი მშობიარობს, სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ქალის წინაშე წყალბადის ბომბიც უძლურია“ („გოდორი“).

ამ ლექსების მიხედვით, ჩანს, რომ პოეტი მუდმივად გრძნობს ღვთის მონყალე და მოდარაჯე თვალს, ამიტომაც არ გამოორჩება არცერთი „ცოდვა“. ის უპირველესად საკუთარი „უფსკრულის“ მხრეკელია და ხშირად შესძრავს ხოლმე იქ ხილული სიბნელე, ეჭვი, მაგრამ მაინც ცდილობს ცხოვრების ჯურღმულში არ ჩაუქრეს რწმენის სანთელი: „მე წყარო მინდა მაღლივით შევსვა, შენი კურთხევით, შენი პეშვებით...“

რწმენა პოეტისთვის სანდო „თავშესაფარია“, რათა „ნიაღვარივით წამოსულ წყალს“ გადაურჩეს. ამ ლექსში „სად არ დაქროდა სული ქარივით“ გაისმის 23-ე ფსალმუნის ინტონაციები „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა?“:

სად არ დაქროდა სული ქარივით,
შენს „ლანდს“ ვკოცნიდი მაინც, უფალო,
ო, დამიფარე, რომ არ ამჩეხოს,
ვინმე ხმლიანმა სადმე უფარო.

პოეტისთვის რწმენა თავისუფლების წყაროა. უფალზე ფიქრი მას ათავისუფლებს წარმავალ, მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობისაგან. რა თქმა უნდა, მას

აღლევებს ცხოვრებისეული პრობლემები, ადამიანური სისუსტეები: მლიქვნელობა, ტყუილი, ლალატი... მაგრამ იცის, სიყვარულით ყოველივეს დამარცხება შეიძლება და გაძლება, რათა უმთავრესი — „ღვთის ხატება და მსგავსება“ შეინარჩუნოს და გაუფრთხილდეს:

**ფარავნის ტბასთან ფოკაში
სალოცავია ერთი
მოდის, ახლავე ნავიდეთ,
„მოვინახულოთ“ ღმერთი...
მერე ხიხანში შევიდეთ,
მერე მაჩვენე სხალთა,
წითელი ყაყაჩოებით
ამავსებინე კალთა.**

საინტერესოა პოეტის დამოკიდებულება სიკვდილთან, რომელიც მას ვერ აშინებს, რადგან ის მხოლოდ სხეულს ემუქრება, „ნაძრახი სიცოცხლე“ კი სულს კლავს. ამიტომაც ირონიულად შესცქერის, არ ერიდება და მოიპატიჟებს კიდევ. ქართულ მწერლობაში ამგვარი დამოკიდებულების არაერთი მაგალითია, დავით გურამიშვილის „კაცისა და სიკვდილის გაბაასება“, გიორგი ლეონიძის „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“, გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა“ და სხვა. აქ კი ვკითხულობთ:

**მოდის, სიკვდილო, ვინ არ გეძახდა,
შიშით, კრძალვით და თამაშ-თამაშით,
მოდის, დაჯექი, ღვინოს დაგისხამ,
ერთად გავტეხოთ ცხელი ლავაში.
(„როიალთან“)**

ყველაზე მთავარი ხელოვნებაა, რომელიც თავისუფლებას ანიჭებს, სიყვარულით ავსებს, ამიტომაც ასეთი სიტბოთი მიმართავს ულაღატო მეგობარს:

**სუყველაფერი მომწყინდა,
შენ არ მომწყინდი, კალამო.**

ამ ლამაზმა სტრიქონმა გაგვახსენა: „და მღერის, მღერის კალამის წვერი, კალამის წვერი — ბულბულის ნისკარტი“ (პაოლო იაშვილი, „მაგიდა—ჩემი პარნასი“) და ადამიანთა აუტანელ ყოფას მშვენიერ სევდიან ზღაპრად აქცევს.

ნიგნის მეოთხე თავში „ცოტა რამ წარსულიდან“ თავმოყრილია შედარებით ძველი ლექსები, თუმცა დროს რა ხელი აქვს პოეზიასთან. კარგი ლექსი ხომ არასოდეს ძველდება, რადგან ის სულიერი ფასეულობაა, მარადისობასთან წილნაყარი. პოეტს კი ბევრი რამ აქვს გასამხელი სამყაროსთვის, ფიქრები და გრძნობები, რომლებიც გულსა, გონებასა და სულს უფორიაქებენ და უზიძგებენ მოძებნოს, აღმოაჩინოს, ერთი შეხედვით, ძალიან დაშორებულ საგნებსა და მოვლენებს შორის იდუმალი კავშირები და მერე მკითხველსაც გაუზიაროს, რათა მასაც შეაგრძნობინოს მშვენიერების სიტკბო და სურნელი.

ქეთევან შენგელია ამ კრებულით თანამედროვე ქართული პოეზიის „ჭრელ ხალიჩაზე“ ერთ მომხიბლავ ფერად წარმოგვიდგება.

„გადავინვინე მკლავზე შვილივით...“



ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა სხვა მშვენიერ ნიგნებთან ერთად ელისო ქაროსანიძის ლექსების კრებულებაც დასტამბა. ნიგნის რედაქტორია ელგუჯა თავბერიძე, რომელიც მკითხველისთვის მეგზურად დაწერილ პატარა წინასიტყვაობაში ამბობს: „ელისო ქაროსანიძის ლექსებში ქალური სისათუთე და სინაზე ილანდება, თითქმის ყოველი სტრიქონის მიღმა ჩანს ადამიანი – ქალი, სხვათაგან განსხვავებული ხედვა რომ უბოძებია გამჩენს.“

ნიგნში ავტორის ასზე მეტი ლექსია შესული და მისი წარდგინება თბილისში, პარლამენტთან არსებული ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში შედგა.

შეხვედრას მაკა ღამბაშიძე უძღვებოდა. მან თქვა, რომ ელისო ქაროსანიძე სამი ნიგნის ავტორია, გამოცემული აქვს ნოველების კრებული „შემოდგომის ცა“, ლექსებისა და ნოველების კრებული „ბილიკი მთებში“, ხოლო ბოლო ნიგნში ახალი ლექსები გააერთიანა. ამ ლექსებს პოეტის სულის ნაწილი უწოდა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა მას.

შემდეგ თავად ავტორმა ნაიკითხა საკუთარი ლექსები იშვიათი სინაზითა და სისათუთით.

ნაზი არონიამ ჭეშმარიტი პოეზია უწოდა ელისოს ლექსებს. მისი აზრით, ისინი გულწრფელობითა და სიღამაზით ხასიათდება და სიხარულისა თუ ტკივილის, ბედნიერებისა თუ უბედურების ნატიფად, მუსიკასავით გადმოცემა შეუძლიათ.

ჯუმბერ ლომინაძისთვის ქუთაისელი ქალბატონის ლექსები აღმოჩენა გახლდათ. „გადავინვინე მკლავზე შვილივით ჩემი ქალაქის ყველა ტკივილი“ — უშუალოდ ქუთაისის ამ გამორჩეული ქალაქის შესახებ არის ნათქვამი, მაგრამ მასში ყველა ქალაქისა თუ სოფლის მოაზრებაც შეიძლება, — თქვა ბატონმა ჯუმბერმა.

მაკა ხეცურიანს ამ ლექსების საოცარი ფერები, სიტბო, გულწრფელობა იზიდავს. მათი მოსმენა ემოციის გარეშე არ შეუძლია და სჯერა ავტორის მომავალი წარმატებების.

ნანული ჭავჭავაძის ეამაყება, რომ მისი თანამედროვე ქალბატონი ასეთ დასამახსოვრებელ, ღამაზე, მყდერ ლექსებს ქმნის. ხოლო ქალბატონმა **ზაირა დავარაშვილმა** ყველას ელისოს ლექსით მიმართა: „თქვენ გაგივლიათ ოქტომბერში თეთრ ხიდზე ფეხით?“

და ყველას ვისაც გაუვლია ან არ გაუვლია, არ შეიძლება სურვილი არ აღედრას ოქტომბერში თეთრ ხიდზე ფეხით გავლისა და ამით იქნებ ფეხშიშველა ცვირან ბალახზე გავლით აღძრულ გრძნობასაც გაიხსენებს.

მიმოზა ცანავამ ლექსი მიუძღვნა პოეტ ქალბატონს, „ქუთათურთა მშვენიება“ უწოდა, მომავალი წარმატებები და ძნელი ბილიკებით სვლა უსურვა.

თეკლე ჯანელიძე

ანა გელაშვილი

ხევის ორი ბაზილიკა — სიონი და ახალციხე

„ბევრი რამ მიყვარს წარსულ-გარდასულისა“ და მაინც რას ვესათუთებთ წარსულში, რას დავეძებთ ხავსმოკიდებულ კედლებზე, ტაძრებისა თუ ციხე-დარბაზთა ნანგრევებში, ხანაც მხოლოდ ჩამოშლილ ქვებში, რომელნიც ოდესღაც ტაძრებს ამკობდნენ, დღეს კი მათზე ოდნავა თუ შერჩენილა ჩუქურთმის კვალი. მოლუშულ, ნესტიან, კედლებზე ფრესკის აჩრდილებს დავეძებთ.

ხშირად წარსულისკენ მზირალნი, უკიდევანოდ დავხეტილობთ მის ლაბირინთებში, ანმყოდან სხვადასხვაგვარად ვმოგზაურობთ, ხშირად კი ეს კონკრეტული სივრცეცაა, ის, რაც ხელშესახებად დარჩენილა მისგან და უთქმელად მოგვითხრობს გარდასულზე. მის კედლებზე დალექილა ჟამი – ფენებად, სხვადასხვაგვარ ქვათა რიგებად, წარწერებად – იშვიათად მშენებელთა ვინაობისა, ხანაც კი განმარტებულთა. გვიჩნდება სურვილი, ნანახსა თუ გაგონილზე სხვათაც ვუამბოთ, მოვუთხროთ რამდენადაც შევძლებთ, და ამა თუ იმ სივრცესა ან მიდამოში ვამოგზაუროთ.

მე განმიზრახავს, რომ მკითხველი საქართველოს უღამაზეს კუთხეში, ქვეყნის ჩრდილოთ საზღვართან, ისტორიულ ხევიში (ყაზბეგი) ვამოგზაურო და მისი ორი მშვენიერი — სიონისა და ახალციხის — ბაზილიკები ვახილვინო, ორივე ღვთისმშობლის სახელზედ აგებული და ერთი ეპოქის ნიშნებით გაერთიანებული. იმ დროის ქართული ტაძართმშენებლობაში დამკვიდრებული ფორმებისა და მიდგომების ნათელი ნიმუშები.

ეს ის ეპოქაა, ქართული ხუროთმოძღვრების ეტაპთაგან, გარდამავალ ეპოქად რომ იხსენიება (VIII-X ს), ძიების პერიოდსაც რომ უწოდებენ, როდესაც ხუროთმოძღვარნი ახალი ფორმებით ინტერესდებიან, და ხდება ძველი ფორმების უკუგდება. ამგვარი მშენებლობა კი მთელს იმდროინდელ საქართველოშია გაშლილი, ქართლსა თუ კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ძალზე აქტიურად სამხრეთ საქართველოში, და ბუნებრივია ამ რიტმს არც ხევი ჩამორჩებოდა. ეს ის დროა, როდესაც ქართულ სახელმწიფოებრივ ერთიანობას წინ უსწრებდა კულტურული ერთიანობა, რაც ყველაზე კარგად ხუროთმოძღვრებაში გამოვლინდა.

საქართველოში, ბაზილიკური ტიპის ნაგებობა ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოვიდა (სირია, პალესტინა).

თვითონ ბაზილიკა სამ ნავად დაყოფილი, სარიტუალო ტიპის ნაგებობაა, ამაღლებული შუა მონაკვეთით.



სიონის კომპლექსი

ჩვეულებრივ ბაზილიკურ ნაგებობას ახასიათებს სიგრძივად განვითარებული ღერძი, საქართველოში კი ბაზილიკამ უფრო დამოკლებული ფორმის სახე მიიღო და ზოგ შემთხვევაში კვადრატს მიუახლოვდა. თუმცა ადრეული ხანის ქართული ბაზილიკები (VI-VII სს) ბაზილიკურ ტიპს მისდევენ. საინტერესოა რომ, პირვანდელი ქართული ბაზილიკები IV-V საუკუნის კვადრატს

უახლოვდება. მერე კვლავ გრძივი ნაგებობები იგება, ზემოთ ნახსენებნი. შემდეგი ეპოქა კი VIII-X ს-ისა, კვლავ კვადრატს უახლოვდება.

სწორედ ამ ხანის ბაზილიკებს განეკუთვნებიან ხევის ბაზილიკები — სიონი და ახალციხე.

ხევისკენ მიმავალმა უნდა გაიარო არაგვის ხეობა, სადაც გონებაში უთუოდ მრავალი ლექსის თუ პოემის სტრიქონი გაიელვებს, და ჯვრის უღელტეხილს გადასული, აღმოჩნდები ხევში, ჩივილი რამდენიმე სოფელს და გზის პირას შორიდანვე კარგად მოჩანს მაღალკლდოვან ბორცვზე,

ქაბარჯინას მთის ფერდობის გაგრძელებაზე, შემართული ხევის სიონის კომპლექსი — ბაზილიკა და კოშკი. ტაძრის ადგილიდან თერგის ხეობის მშვენიერი ხედი იშლება და მოჩანს სოფლები მთელს ჩაყოლებაზე. ამ ადგილებს საგულდაგულოდ აღწერს ალექსანდრე ყაზბეგი, რომანში „ხევისბერი გოჩა“ — „ზედ კლდის თავზედ ამაყად ამართულა მაღალი კოშკი, რომელიც მედიდურად და მტრის გულის გასახეთქად სდარაჯობს იმ ხეობას, ეს ადგილი, ხევის წარსულის ცხოვრებაში ერთსა და უპირველეს სანუგემო ადგილად ითვლებოდა“.

ხევის სიონის ღვთისმშობლის ბაზილიკა სამნავიან ნაგებობას წარმოადგენს, იგი ბუნებრივად ხელოვნურ კვარცხლბეკზე აღუმართავთ, გალავანი კი მუქი ფერის რიყის ქვის მშრალი ნყოფით ამოუყვანიათ, თვით ტაძარი კი ადგილობრივი უხეშად დამუშავებული, ღია ფერის ანდეზიტის ქვითაა ნაშენი. იგი ოდნავ ნაგრძელებული ნაგებობაა. მისი შიდა მოცულობა საკმაოდ დიდ სივრცეს წარმოადგენს. ორ წყვილ ბურჯს ნავთა კამარები ეყრდნობა. აზიდული შუა ნავი ტაძარს მედიდურ იერს ანიჭებს, უხვი განათება კი საზეიმო განწყობას ბადებს. აღმოსავლეთით შემალლებულ საკურთხეველს ქვის სვეტნარიანი კანკელი გამოყოფს, კანკელის სვეტის თავები და ბაზისები შემკულია ორნამენტით. კანკელი ტაძრის თანადროულია, ეპოქის ნიშნებთან ერთად სრულიად განსხვავებულ და თვითმყოფად ფორმებსაც შეიცავს. იგი პირვანდელი სახით მოსულა დღევანდლამდე. საკურთხევის ორივე მხარეს სამლოცველოებია. ეკლესიის დასავლეთ კედელზე შემორჩენილია მხატვრობის

კვალი, რომელიც ადრე ტაძრის კედელ-კამერებს ფარავდა. დღეს კედლები, გარდა დასავლეთის მხრისა, შელესილია.

ტაძრის შესასვლელი ჩრდილოეთით გაუჭრიათ, რაც ბაზილიკის დამოკლებულ გეგმასთან, ძალზედ აზიდულ შუა ნავთან ერთად ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ. ეკლესიის ფასადები სადაა, მხოლოდ აღმოსავლეთის სარკმელია აქცენტირებული – ნახევარწრიული, ამოკვეთილი ლილევი შემოუყვება. ძუნწი, მამკობი ელემენტები, მხოლოდ აღმოსავლეთით გაცოცხლებული, კვლავ თავის ერთი ეპოქისაკენ მიგვითითებენ.

ეკლესიის ფასადებს ჯერ კიდევ შერჩენიათ აქა-იქ თეთრ ლაქებად რუსული კირის ფენები. სხვა უამრავ ქართულ ძეგლთან ერთად არც სიონის ეკლესია გადარჩენილა მათ „მზრუნველ“ ხელს.

დაზიანების გამო ეკლესია ახალი ქვის ლორფინებით გადაუხურავთ.

ეზოში ძველი სასაფლაოა. აქვე დგას მემორიალური სტელა, ჯვრით დასრულებული და წარწერით — „წმინდა გიორგი მონაი შენი შეინყაღე“. ეს სტილის ამშენებლის სავედრებელია. სტილის ერთ-ერთ წინაპირზე კი ადრე ღვთისმშობლის გამოსახულება ყოფილა.

ეზოში, ტაძრის ჩრდილოეთით დგას მოგვიანებით აგებული სამრეკლო. მის მარჯვნივ კი საბჭოთა, ქვის მოგრძო მაგიდა. ხუთი ქვისავე სკამით (ესაა მეორე საბჭო, რაც დღეისთვის შემორჩენილია ხევში, ერთიც გერგეტის სამებაზეა). „ჩვეულებრივ ბჭობა იმართებოდა საბჭოში და წინათგანვე ყოველი საქმე თემის ყრილობით გადაწყდებოდა ხოლმე, ხევისბერის მეთაურობით და დეკანოზების თუ თემის ბჭეთა მონაწილეობით“ — წერს ალექსანდრე ყაზბეგი.

სიონის ეკლესიაში დაცულ სინმინდეთა შესახებ დღეს მხოლოდ გადმოცემით შეგვიძლია საუბარი. უღმერთობის ეპოქაში აქაურობა გაიძარცვა, ზოგი ძეგლი დაიკარგა, ზოგიც უდიერი მოპყრობით სრულად განადგურდა. თუმცაღა ერთი მათგანი 1936 წელს სერგი მაკალათიას უნახავს და აღუწერია კიდევაც. ესაა „მღვთების ჯვარი“, დიდი ზომის ხის ჯვარი, მოჭედილი ვერცხლით, ჯვარცმის კომპოზიციით და ოთხივე მკლავზე მოციქულთა სიმბოლური გამოსახულებებით. ჯვრის ქვედა მკლავზე მხედრული წარწერით: „ჩვენ მინდობილმან და საფარველთა თქუენთა შევედრებულმან მონამან და სასოებელმან არაგვის-ერისთავმან ბაიდურ და თანამეცხედრემ ჩვენმა ფანასკერტელსა. ციციშვილს ქაიხოსროს ასულმან თამარ მოვაჭედინეთ ხატი ესე ხეთაებისა, შევამკვეით, ვითარცა შეენოდა, შევწირეთ ხევს, სუდარსა სიონისასა, სულისა ჩვენისა საოხად“.

ბაიდურ არაგვის ერისთავს ტაძრისთვის ეს ჯვარი შეუწირავს 1693 წელს. იგი უშვილო ყოფილა, და ამით შვილიერება უთხოვია სიონისათვის.

მეორე — ახალციხის ბაზილიკა — სოფელ ახალციხეში სნოს ხეობაში მდებარეობს, თითქოს თითო ხეობას, აქ თითო მარგალიტი ამშვენებს. იგი სოფლის განაპირას მაღალი კლდოვანი მთის ძირში დგას, მთის წვერზე კი ციხის ნანგრევები

რევებილა შემორჩენილა. აქედან მთელი ხეობა კარგად იხილვება. ტაძრის ეზოში სასაფლაოა, ძველი ჩაქცეული აკლდამებით და ახალი საფლავებით. თვით ტაძარი, როგორც ვთქვით, სამნავიანი ბაზილიკაა, ნაშენი უხეშად გათლილი ანდეზიტის ქვით, ალაგ-ალაგ კი ფიქალის ქვა ჩატანებით, კუთხეები და კარი შირმის ქვით გამოუყვანიათ, ტაძრის შესასვლელი კარი დასავლეთითაა გაჭრილი.

ტაძრის სივრცეს სამ ნაწილად ჰყოფს ორი წყვილი ბურჯი და მათზე გარდამავალი თალები, ბურჯების კაპიტლები ორნამენტით შეუმკიათ, დღეს კი მცირე შეხებაც კი აზიანებს ქვას. ნახევარწრიული საკურთხეველი ტაძრისგან დღეს გამოიყოფა ახლადაგებული კანკელით, წინათ კი, როგორც დარჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, სვეტებიანი, სიონის მსგავსი კანკელი უნდა ჰქონოდა. უხვი ორნამენტით შემკული რამდენიმე ფრაგმენტი იქვე ინახება.

საკურთხეველის ორივე მხარეს ცალკე სამლოცველოებია, რომელნიც გუმბათებითაა დასრულებული, რაც ტაძარს გამოარჩევს, მხატვრული თვალსაზრისით მსგავსებას კი ხირსის ეკლესიასთან ავლენს. შიდა სივრცე დღეს შელესილია მთლიანად. ტაძრის მთავარი ნავის სიდაბლე აშკარად ემჩნევა, ზედა მხარე მორღვეულია და გვიან გადაუხურავთ თუნუქის სახურავით.

გარედან ეკლესია მთლიანად სადაა, შეეთერებას და შელესვას ვერც ახალციხე გადაურჩა. მხოლოდ აღმოსავლეთით საკურთხეველის სარკმელს, შემოუყვება გრეხილი — ლილევი სწორკუთხა საპირეში მოქცეული, ასეთი ძუნწი მორთვა, აქცენტირება მხოლოდ აღმოსავლეთის სარკმელისა, ახასიათებთ სწორედ IX ს-ის ძეგლებს.

არა მხოლოდ ფასადებით, არამედ გეგმით, შიდა ფორმებით ახალციხის ეკლესია გარდამავალი ხანის ძეგლის ნიშნებს ატარებს და IX ს-ის დასასრულისკენ იხრება. მასში მეტია არქაული ნიშნები, ვიდრე სიონში. ეს ეკლესია სიონზე ცოტა ადრე აგებულად უნდა მივიჩნიოთ.

ტაძარში დაცული ყოფილა უამრავი საღვთისმსახურო ნივთი, ხატები, ოქრომკედით ნაქარგი სამღვდლო სამოსელი, რომლებიც ძირითადად XIX—XX ს-ში განადგურდა.

უამრავ სინმინდეთაგან აქ შემორჩენილა ერთი ჯვარი. ხის ტოლმკლავა ჯვარს, მოსავს ძვირფასი ლითონი, წარწერითა და ორნამენტული მოჭედლობით. მას აქაურნი თამარის ჯვარად მოიხსენიებენ.

ხევის ეს ორი ბაზილიკა, მთელი რიგი ნიშნებით, გამოკვეთილად შეიცავენ გარდამავალი ხანის ტაძარმშენებლობის მახასიათებელ ელემენტებს. თუნდაც იმ მწირ სამშენებლო მასალის პირობებში, მათი ხუროთმოძღვრანი მისდევენ იმ დროისთვის დამკვიდრებულ ფორმებს. ზოგჯერ ავლენენ დამოუკიდებელ მიდგომასაც, ვინ იცის, იქნებ ეს ერთი ადამიანიც იყოს.

სიონი და ახალციხე — ბაზილიკათა იმ ჯგუფს მიეკუთვნებიან, როგორებიც არიან: იოანე ზედაზნელის, ალვანის ნათლისმცემლის, ჟალეთისა და აკურისა, რომლებიც ქართული ხუროთმოძღვრების ერთ მშვენიერ ეტაპს წარმოადგენენ.



ახალციხის ბაზილიკა

მარინე ტურავა

სიბრალოლი და სიყვარული ერთია

□

ოლესია თავაძის
მინიატურები

რაინერ მარია რილკე წერდა თავის ფრანგულ დღიურებში — „ლექსების წერისას გარეგანი საგნების რიტმი გეხმარება და ჩაგითრევს ხოლმე, რადგან ლირიკული საზომი ბუნებიდან მოდის. ეს არის წყლების, ქარის, ღამის რიტმი“.

ოლესია თავაძე პროფესიონალი მხატვარია: ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, თეატრის მხატვარი — არაერთი საავტორო თოჯინისა და კოსტუმის შემქმნელი. წიგნი „სევდიანი ჩანაწერები“ მისი მწერლური დებიუტია, ის 2010 წელს გამოიცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ. „სევდიანი ჩანაწერები“ 2009-2010 წლებში იწერებოდა და პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალებში „ჩვენი მწერლობა“, „ქართული მწერლობა“ და „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურულ დამატებაში. როგორც ჩანს, მხატვრები ისედაც განსხვავებულად აღიქვამენ გარეგანი საგნების რიტმს, წყლების, ქარისა და ღამის ენას. სწორედ ამ რიტმით, ამ განსხვავებული აღქმით არის შთაგონებული ეს პატარა, საოცრად ლამაზი, ადამიანური და თბილი წიგნი. მისი ავტორიც მარტო მხატვარი კი არ არის, თუნდაც ძალიან გამორჩეული და ფაქიზი, არამედ პოეტიცაა, რადგან პოეზიად აქცევს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, რითაც ცხოვრობს და სულდგმულობს. პოეტურია მისი ცხოვრების წესიცა და აზროვნებაც...

ქალაქის ხმაურს განრიდებული ოლესია თავაძე სოფლის სიმყუდროვესა და იდილიას აფარებს თავს, ეს მისი სამყაროა, მისი ყოველდღიურობაც და გამორჩეულობაც. როგორც თვითონვე გვარწმუნებს, მარტო არასოდესაა, თავის ორ ძალღან ერთად სხვენზე მორახუნე თავგები, ეზოში მოყაყანე ბაყაყები, გომბეშოები და ზღარბები, სინდოფალების ოჯახი, თხუნელები და მახრები, ლოკოკინები და მუხლუხოები არიან მისი საზოგადოების წევრები, მეგობრები, მეზობლები... მისი მარტოობის მტრები ეზოში, ეზოს გარეთ კი — მთელი ქვეყანა.

„სევდიანი ჩანაწერების“ ავტორი გახსნილი და ღია მთელი სამყაროსათვის, ამიტომაც არასოდეს არ არის მარტო. ამ სისავსეს, სამყაროს მრავალფეროვნებას ჩვენც გვაზიარებს, თითქოს ადამიანსა და ბუნებას შორის საუკუნეების წინათ დარღვეული ერთიანობისა და ჰარმონიის აღდგენას ცდილობდეს, თითქოს იმ საერთო ენის გახსენება უნდოდეს, უსულოსა და სულიერს, ყველასა და ყველაფერს რომ აერთიანებს და ამთლიანებს...

„თითქოს ადვილია... არ უყურო ხოჭოს, ზღარბს, მათხოვარს, აარიდო თვალი ინდოელ თუ ჩვენს გაჭირვებულს, არ გააკარო გულს სხვისი სიბრმავე თუ არასრულყოფილება — გახისტდე, გაჯანმრთელდე, მაგრამ არ გინდა ეს უმძაფრესი მოიკლო — სიბრალოლი. სიბრალოლი და სიყვარული ხომ ერთია“ („ხოჭო“). ოლესია თავაძე ვერასოდეს ვერ იქნება გულგრილი ვერც ადამიანთა და ვერც ხოჭოთა, ზღარბთა, ძაღლთა, კვიცთა და კრავთა, ბუთა და შველთა... მიმართ, ვერასოდეს შეუერთდება „ხელდაბანილთა“ მრავალრიცხოვან კასტას, ვერ იქნება არხინი, გულმშვიდი. ეს მისი პოზიციაა, მისი ცხოვრებაა.

ავტორის უბედურება არ ჰგავს ჩვენს ყოველდღიურ უბედურებასა და დარდს, ის სხვაგვარად განიცდის, სხვაგვარად დარდობს — „ყველას გვაქვს ცხოვრებაში ბედნიერი დღეები, მერე რომ იხსენებ კი არა, იმ წუთას რომ იცი, ბედნიერი ხარ. ასეთი დღე იყო.“ თითქოს არაფერი არ ემუქრებოდა ამ შეგრძნებას, არც დიდები, არც პატარები, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ... ჩიტი მოკლეს, მერცხალი მოკლეს და „იმწუთიერი ბედნიერების შეგრძნება გაქრა“ („მერცხალი“) და დარჩა ტკივილი, სევდა ადამიანის დაუნდობლობის გამო. ესეც მისი ცხოვრებაა და არა მყისიერი, სპონტანური განცდა.

წყლის გუბეში, კლდოვანზე დანარცხებული, იერშეცვლილი და უკვე უზიფათო მგლის დანახვაზე ათასი ვერსია უტრიალებს თავში, ვერაფრით ივიწყებს ამ სურათს და ვერც იმას გამოიციხავს, რომ ეს „ის მგელია, მონადირეებმა ბუნაგში ლეკვები რომ ჩაუხოცეს და აღარ ეცხოვრებოდა“ („მგელი“). ამგვარი ფიქრიც მისი ჩვეულებრივი, ნორმალური ფიქრია. ქვედა ეზოს გათიბვისას იქ ჩაბუდებულ ბარტყებიან შაშვს გადაეფეთება, შეშინებულს, მუდარით აღსავსე თვალეზიანს („შაშვი“). სასაცილო საბავშვო ლექსი: „ბაყაყს ამშვიდებს ფლამინგო, — შეგჭამ და უნდა გამიგო“ სულაც არ ეჩვენება სასაცილოდ, როცა გულზე ქათამჩახუტებულ, კარგად ჩაცმულ თბილისელ ქალს ხედავს („ზამთარი“).

ოლესია თავაძის საჩინო და უჩინო ყურსა და თვალს არ გამოეპარება ჩიტების, ობობას, ცხენის, შინაბერა წუნის ძაღლის, მტრედის, ჩოჩრის, დედა-ღორის, პუდელის დარდი თუ სიხარული, მაგრამ მას არც ადამიანები ავიწყდება, მათ მიმართაც დიდ სიბრალოლსა და სიყვარულს გრძნობს... თბილისშიც და პარიზშიც, სოფელშიც და ქალაქშიც.

ბავშვთა სახლის მწარე მოგონებები არაერთხელ გაკრთება, დაგალონებს, ჩაგაფიქრებს — „ბავშვთა სახლში ან არასოდეს არ უნდა შეხვიდე, ან თუ შეხვალ, რაღაცა უნდა მოიმოქმედო, ან ისე უნდა დაიმდუღო, რომ სტიგმატები დაგემართოს, სხვისთვის უხილავი, შენთვის მოუცილებელი, უმაქნისობის საზღაურად“ („ბავშვთა სახლი“). „რაული“ ბავშვთა სახლის ერთ-ერთ ბინადარზე მოგვითხრობს — უხილავ სტიგმატზე, მუდამ რომ აწუხებს, რომ აწვალებს. მერე უცებ უცხოური მოხუცებულთა სახლის კომფორტი და სიმდიდრე, სიმყუდროვე, კრემ-ბრიულე და რახათ-ლუხუმი („მოხუცთა თავშესაფარი“) რაულის ცარიელი ტუმბოსა და დამსხვრეული ინსტრუმენტების საპირწონედ. ცხოვრება მთელი თავისი სიჭრელითა და ცოდვა-მადლით...

სხვადასხვა სჯულის, ასაკის, ყაიდის, ეროვნების მანან-ნალებითა და მათხოვრებით არის ეს კეთილი წიგნი დასახ-

ლებული, რადგან ავტორის მზერა ვერ ნვდება ჩვეულებრივ, გალალეზულ, „ჯანმრთელ და ლამაზ ადამიანებს“. დაჩაგრული, უბედური, ბეჩავი და მსხემია მისი ყურადღების, სითბოს, კალმის ღირსი... ბაზრის რიარიაში ერთი ბენო, მოხუცი ქალი გაჭირვებით მიიწევს თავისი ადგილისაკენ, ცას დიდი ხანია ვერ ხედავს, ისეთი მოხრილი და მოლუნულია, ვერც მის სახეს ხედავს ვერავინ. „ცა რომ დაგენახებინა, ზურგზე უნდა გადმოგებრუნებინა, ზემოდან მარტო ზურგს ხედავდი, სახეში ჩასახედად უნდა ჩაჯდომოდი და — თუ ჩაუჯდებოდი და ქვემოდან სახეს ახედავდი — არასოდეს დაგავინწყებოდა... გაუჭირდი, დავიხარე, ჩავხედე... ხურდა არ მქონდა, ოცი ლარი მეტვერა. ალბათ, მე უფრო მიჭირდა“ („მოხუცი“). კალმის ერთი მოსმით და ნოველის სიმძაფრით ავტორი ისეთ ტკივილს გვაზიარებს, ლამის ჩვენს ყოველდღიურობად რომ ქცეულა და გულგრილობის, სულერთიას, „ხელდაბანილობის“ მორევში ჩაძირულა.

პირველ ნაწილს „თანამდევნი“ ეწოდება, მეორეს „გადამცდარნი“. პირობითად იმიტომ, რომ ეს უფრო ქრონოლოგიურ მიჯნას ჰგავს, ვიდრე შინაარსობრივს ან მენტალურს. ორივე ნაწილი ერთიან, მთლიან თხრობად აღიქმება, დამოუკიდებელ ამბებად დანაწევრების მიუხედავად, წიგნი მონოჟანრულობის ნიშანს არ კარგავს.

მეორე თავის ეპიგრაფად ავტორს რობერტ ფროსტის სიტყვები გამოუყენებია: „ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველაზე უარეს საუკუნეში მოუწიათ ცხოვრება. ვერ ვიტან ასეთ ლაპარაკს. არ ვიცი, რა არის პროგრესი, მაგრამ ის ნამდვილად ვერ გავგვიადვილებს უმთავრესს — ამქვეყნად ჩვენი სულის გადარჩენას.“ მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში გამოთქმული ბევრი ტკივილი დროსა და სივრცეს აღემატება და ზოგადადამიანურია, მაინც გვხვდება ჩვენი დროისა და ჩვენი ერის ტკივილი, ლოკალურ ჩარჩოებს რომ ვერ გასცდება და მხოლოდ ჩვენ მიერ აღიქმება ასე და არა სხვაგვარად. პლენხანოვის პროსპექტს სახელი შეუცვლია და დავით აღმაშენებლის პროსპექტად ქცეულა. ამ ქუჩაზე არა შეჩვეული მათხოვრობითა და ბილნსიტყვაობით, არამედ დაცემის აპოთეოზით შეცბუნებული ავტორი („ქართველს ნამდვილად არ ჰქონდა ხასიათში ქვენა შრეების საჯაროობა“) რიტორიკულად კითხულობს — „ნაადრევედ ხომ არ გადაეჩრქვა სახელი პლენხანოვის პროსპექტსო?!“ („პლენხანოვის პროსპექტი“).

ასეთივე ლოკალური ტკივილით არის გაჯერებული „კაი ბიჭები“. სოფლისთვის თავი შეუფარებიათ, მერე მოშივებითა, შეცივებითა და ხეები ღიმონკებით ფესვებიანად უყირავები-



ათ. „ამის გაგონებაზე სხვას ვერ იტყვი — შთამბეჭდავია! დაჟე პოზიტიური ელფერით, ობრაზშია“. ამ შემთხვევაში ირონია თუ გადაგარჩენს, თუმცა ავტორი ისევ რიტორიკულად ასრულებს — „ისე კი გეგონება, ვაჟა-ფშაველა ჩვენკენ არ გაჭაჭანებულა.“

ამის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ ლიტერატურა აკეთილშობილებს, რომ ცოტათი მაინც ცვლის ადამიანებს, მაგრამ ამ წიგნის ნაკითხვის შემდეგ ნამდვილად ვერ ჩავუვლი მხოლოდ შიშის გრძნობით ქუჩაში მონანაღლე უპატრონო ძაღლებსა და უპოვრებს, აუცილებლად ჩავხედავ თვალებში მოხუცი მათხოვრებს, ცოტათი გულმონყალე და კეთილშობილი გავხდები.

„ჩვენ წინაშეა ორიგინალური თხრობა, რომლის მსგავსი შესაძლოა არცთუ ხშირი იყოს ქართულ ლიტერატურაში. პროფესი-

ონალი მხატვარი გვესაუბრება პროზის პალიტრით და ეს არის მშვენიერი ბელეტრისტული ნარატივი, რომელშიც მხატვრობა და ლიტერატურა შერწყმულია იმ მთლიანობად, რასაც საზოგადოდ ცხოვრებას ვწოდებთ“ (რედაქტორის მინაწერიდან). ერთი შეხედვით, უბრალო, ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ყოფითი ამბები ასევე უბრალოდ და ჩვეულებრივად არის მოყოლილი, მაგრამ ეს არის საინტერესო, გამორჩეული ცხოვრების, პოზიციის, სათქმელის დეტალები, ფრაგმენტები, მოზაიკები.

ადრე, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ხევსური ქალები მამაკაცის პერანგებს ქსოვდნენ დახვეწილი, განუმეორებელი სრულყოფით, ნართაულად, შეფარულად თავის გრძნობებს დებდნენ ნაქსოვში. „რა ნივთიერი მტკიცებულება დარჩება ჩვენგან ჩვენი სიყვარულისა?“ („პერანგი“) — კითხულობს „სევედიანი ჩანანერების“ ავტორი. იმ ჩანანერების ავტორი, რომლის თითოეული ამბავი ადამიანების, „უენპირო ბუნების“ (ვაჟა-ფშაველა), მთელი სამყაროს დიდი სიყვარულის ნივთიერი მტკიცებულებაა, ოღონდ დაუფარავად, აშკარად, არა ნართაულად, არამედ ბელეტრისტული ნარატივის მეშვეობით.

წიგნს თვით ავტორის მხატვრობა ამშვენებს ცხოვრებისფერი ილუსტრაციებით, ერთგვარი ავტოპორტრეტით თუ ყოფის პორტრეტით, სოფლის იდილით და ოლესია თავადის „არაჯანმრთელი“, არახისტი, უჩვეულო, მაგრამ დიდი სიბრალულით, ღრმა სულიერებით...

„სიყვარულის სული დაიკარგა სამყაროში, გაპროზაულდით. სულიერი ინტონაციის სამყარო, რისთვისაც შექმნილია ადამიანი, გაყურდა. ჩვენ დაყურსულები უკვე ვართ, გვაკლია დაბრმავება“ (ნოდარ ანდლულაძის ინტერვიუდან). ეს წიგნი ოლესია თავადის გაუყურებელი სულიერი ინტონაციის ანარეკლია...

სამშაბათს, 14 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა
ოლესია თავაძის
წიგნისა
„სკვდინანი ჩანანერები“
მომხსენებელი
ნანა კუცია
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

რაც ჩვენზე მალლა დგას

თეიმურაზ დოიაშვილი გვი გეგეჭკორის პოეზიას ეროვნულ გან-
დად მოიხსენიებს და დასძენს:

— იგი სინათლის წრეს ქმნის, რომელიც ვით წმინდანს, შარავან-
დად ადგას მიწიყი ჩრდილში განმარტოების მოსურნე დიდ პოეტს.

ეს ის ლიტერატურული ფორმულაა, რითაც ყველაფერია ნათქვამი,
და ზუსტადაა განსაზღვრული ამ შემოქმედის ადგილი არამარტო ქართუ-
ლი ლიტერატურის ისტორიაში, არამედ მკითხველის ცოცხალ განცდაში.

განათლებული საქართველო ყოველთვის დაისაჭიროებს გვი გე-
გეჭკორის ლექსსაც, ესეისაც და იმ მხატვრულ და ზნეობრივ ორიენ-
ტირებსაც, ეროვნულ ტრადიციათა წიაღიდან რომ ამოზრდილიყო და
კიდევ ერთი მომხიბლავი სხივი შეეძინა ამ პოეტის მოვლინებითაც.

გვი გეგეჭკორის სახელი დაშვენდა „100 ლექსის“ სერიასაც, გა-
მომცემლობა „ინტელექტის“ თაოსნის კახმეგ კუდავას კიდევ ერთ
ინტელექტუალურ მონაპოვარს.

კრებული ემზარ კვიტაიშვილმა შეადგინა იმ დახვეწილი გემოვ-
ნებითა და რუდუნებით, რაც ნიშანდობლივია მისი მნიშვნობრული
საქმიანობისათვის, და წლების წინათ გვი გეგეჭკორსა და ტარიელ
ჭანტურიასთან ერთადაც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ლიტერა-
ტურული პროექტებიც განუხორციელებია.

სამწერლო ცხოვრებაში ეს გახლდათ განუყრელი სამეული, თა-
ვისებურად სანიმუშო ახალგაზრდა ლიტერატორებისათვის.

გვი გეგეჭკორი გავიდოდა ამა სოფლიდან.

რაც იყო თუ როგორც იყო, დაცილდებოდა ემზარ კვიტაიშვილისა
და ტარიელ ჭანტურიას გზები. და ეს ცნობილი გახდებოდა არამარტო
ლიტერატურულ კულუარებში, არამედ მკითხველთა წრეებისთვისაც,
რადგანაც მათ აღარაფერი დააკავშირებდათ ერთმანეთთან.

თავის დროზე გვი გეგეჭკორმა ორივეს მიუძღვნა ლექსი.

და „100 ლექსის“ კრებულში ემზარ კვიტაიშვილმა საგანგებოდ
გამოტოვა მისადმი მიძღვნილი პოეტური ნიმუში, სამაგიეროდ, შეი-
ტანა „მოზო დიკი ანუ თეთრი ვეშაპი“, რომელიც ტარიელ ჭანტურიას
ეძღვნება — ჰერმან მელვილის ამ საკაცობრიო რომანის — „მოზო
დიკი“ — ერთობლივად თარგმნის სახსოვრად.

ეს ის „წერილმანია“, ის წვეთია, რომელიც ხელშესახებად აირეკ-
ლავს შემდგენლის მორალურ სახეს.

არის რაღაც, რაც ჩვენზე მალლა დგას!..

ემზარ კვიტაიშვილისათვის ესაა არა ზოგადი და განყენებული
სენტენცია, არამედ ზნეობრივი კატეგორია, რომლის მოთხოვნასაც
ვერ გადაუხვალ.

ეს მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ნიმუშია გვი გე-
გეჭკორის შემოქმედებაში და ყოველთვისაც მოხვდება მის ლირი-
კულ კრებულებში, გარდა ერთი შემთხვევისა — ეს მაშინ, თუ შემდ-
გენელი ტარიელ ჭანტურია იქნება.

იგი აუცილებლად შეეღევა ამ ნიმუშს, სამაგიეროდ, არაფრისდი-
დებით არ გამოტოვებს ემზარ კვიტაიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს
იმავე ზნეობრივი კატეგორიის მოთხოვნით, რომლის მარტოდენ გან-
ყენებული არსებობაც მხოლოდ არღვევს საზოგადოებრივ ყოფას,
არამცთუ კერძო ადამიანთა შეგნებას.

მართლაც არის, არის რაღაც, რაც ჩვენზე მალლა დგას!..

და რა კარგია, როდესაც აწყდები ზნეობრივ გაკვეთილებს და
გწყურია, უსაშველოდ გწყურია, ეს ზნეობრივი გაკვეთილები უწყვე-
ტი იყოს და ადრე თუ გვიან ჩვეულებრივ მოვლენადაც გადაიქცეს,
ილია ჭავჭავაძის თაობას როგორც სჩვეოდა.

საბა სულხანიშვილი

რეზო ემელიანე ადამია

მზის სავსეობა მოდლიანში

ნუხანდელი ავდრიანი გაუთენებელი ღამე,
დადლილი და რევმატიული სხეულის მოუსვენ-
რობა გამეტებით მტანჯავდა, განწირულივით
ვბორგავდი ლოგინში და ფიქრებაყრილი უძი-
ლობა ნერვებს მინგრევდა; თან ამ უზარმაზარ
ატელიეში ერთადერთი სისხლისფერი ბუზი
მტრულად თავს დამტრიალებდა.

უკვე რამდენიმე ღამეა ოცნებით, ნატვრაშე-
რეული ფიქრებით სულიერად არეული და უსამ-
ველოდ ახირებული გრძნობებით დადევ უდი-
დესი მხატვრების მოუსვენარ ლანდისფერ ხილ-
ვებს: რაულ დიუფის, მარის ვლამინკს, მარკ შა-
გალს, ალბერ მარკეს, ანრი მატისს და ვასილ
კანდინსკის. ერთ-ერთ მსგავს დაძაბულ ღამეს
ქვეყნიერების მოვლენა ვინსენტ ვან გოგსაც გა-
მოვეკიდე და გახელებული სურვილით შეპყრო-
ბილი სულით ავედევნე, მაგრამ ვერა და ვერ მი-
ვუახლოვდი ფერწერის ჯადოქარს და ჩვენი
მცირედი დიალოგიც არ შედგა. მათი მარად თა-
ვისუფალი და განსხვავებული ზეციურობანი
ისე სწრაფად დანავარდობენ კოსმიური სივრ-
ცის უსასრულობაში, რომ მხოლოდ სხეულისა-
გან გათავისუფლებული სულნი თუ მიენევიან,
მაგრამ ბუნებაში არსებობს თავისებური ხილვა-
თა მოხმობის მხსნელი კეთილი ძალა სურვილი-
სა და ოცნების სახით, რომელიც გარკვეულსა
და აუცილებელ წარმოსახვამდე მიგვიყვანს.
მეც ჯიუტად თუ ბეჯითად ვიოცნებე და ვისურ-
ვე ლეგენდარულ მოდლიანთან სრული მიახ-
ლოება, ოღონდ სად და როგორ?! ვფიქრობ ჩემ-
თვის, გავიდე პერ-ლამეზის სასაფლაოზე? თუ
ცის სივრცეში? რა თქმა უნდა, არა! უმჯობესია
მუზეუმებში მივაკითხო ამედეო მოდლიანს,
მის უნაკლო და ღვთივეკურთხეულ დანატოვარს,
მიწიერ და ღვთიურ, მარადიულ ფერწერის შე-
დევრებს. წარმოიდგინეთ, ამ სურათებსაც უწყ-
ვეტი კავშირი ჰქონიათ კოსმიურ დასახლებას-
თან. ნახევრად სიზმარულ ურთულეს ყოფაში
ვარ და ვნატრულობ ხვალინდელი დღის გათე-
ნებას, რათა საჩქაროდ სამეფო ბაღის ბოლოს
არსებული ორანჟერეის ანუ ტროკადიეროსთან
ახლოს მდებარე თანამედროვე მოდერნისტული
ხელოვნების მუზეუმის დარბაზებს ვენვიო, სა-
დაც მოდლიანის რამდენიმე უნიკალური ფერ-
წერული პორტრეტია გამოფენილი, და მათ წი-
ნაშე მთელი არსებით ჩაძირულმა სულიერად და
გონებრივად ვიმკურნალო...

გათენდა როგორც იქნა. მარად ფხიზელი პარიზი თავისი გიგანტური ფილტვებით სენის სუფთა ჰაერით სუნთქავს, აღმოსავლეთისკენ მორბენალი შავი ღრუბლები ხშირად წვიმას გვთავაზობენ და ნოემბრის ყველგანმავალი ცივი ქარი ზამთრის განწყობილებას ამკვიდრებს... გარეთ გადაუღებელი წვიმს და პარიზს შეჰპარვია მისტიკური სევდა...

რა უცნაურია პარიზული ცუდი ამინდი; წელიწადის ყოველ დროს აქვს თავისი კოსმიური სურათი და ხიბლი, მაგრამ გვიანი შემოდგომის წვიმა რაგინდ ქარიანი და ცივი იყოს, ქალაქი მაინც ულამაზესი ბიბლიური ჩიტივით ბანაობს მის ქვეშ და თითქოს მრავალ ხატულა ბუმბულს ირეცხავს და თავის ადგილას მოხდენილად ილაგებს. წვიმის შემდგომ პარიზი, როგორც ყოველთვის, ახალნაბუნავები ყრმასავით გამოიყურება და ლალად შესცივინებს თავის მფარველ ცას და უშუალოდ მინდობია მზის მაცოცხლებელ ძალას, მთვარის შუქის ვერცხლისფერ დუმილს და მის ღამეულ მონურჩულე წარსულის ლეგენდებს: სამყაროს უთვალავი ვარსკვლავი? რატომღაც მათი უმრავლესობა მოკრძალებით ცაშივე ემალება პარიზულ მშვენიერებას.

კეთილი დღე თავისი გზით, სახვე მთვარესავით მიგორავს. რივოლის გამზირიდან ავტობუსით თანხმობის მოედნამდე გავედი და ახალგაზრდა ბიჭივით ოპტიმისტურად გახარებული შევეუერთდი ორანჟერეის ხელოვნების მუზეუმის ხალხმრავალ ჯგუფს. იქ, დაცვიდან დაწყებული, თითქმის ყველა თანამშრომელი მიცნობს და კეთილი ღიმილით მხვდება; მეც ახლობელივით მიხარია მათი ნახვა. ჩქარი ნაბიჯებით ჩავდივარ საგამოფენო დარბაზების ქვედა სართულზე. ზეზეული გავლით თვალი ხარბად გადავაკვლე ხაიმ სუტინის ფერწერულ შედეგებს, საიდანაც ფერი ნიაღვარივით იღვრება და მორჩილი სივრცე მისგან ივსება.

მერმე ღამეულივით ჩაფუარე ჩემს დერენს, მარად მომღიმარ და ბრძენ რენუარს, ხელოვნებაში ფერწერის მოვლენა სეზანს, გულლია და თბილ ვანდონგენს, ბავშვივით უშუალო რუსოს, ბობოქარსა და მოუსვენარ პაბლო პიკასოს და ბოლოს მთლიანად გავუერთიანდი მზესავით უახლოეს ამედეო მოდილიანს. ამ დარბაზში გასულ წლებში მხატვრის მხოლოდ ერთი პორტრეტი იყო ექსპონირებული და მისი ხილვა გონებას ემოციათა და გრძნობათა ჭექა-ქუხილად მიქცევდა, მხოლოდ მასთან ყოფნის სურვილით შეპყრობილი ტყვე კაცი ვიყავი. და რას ვხედავ! ამჟამად ექსპოზიციაში მოდილიანის სამი საოცრება პორტრეტი დამხვდა, ორი — უმშვენიერესი ქალისა და ერთიც — ახალგაზრდა მამაკაცის. მათგან აფორიაქებული, ზედამხედველი გოგონას თავისუფალი სკამისკენ დაუკითხავად გავექანე და შვებით ჩამოვჯექი. ოქროსთმიანმა ფრანგმა კეთილმა ასულმა, რომელიც დარბაზის კუთხეში

მშვიდად იდგა, ქალური ღიმილით პიკასოს დარბაზში გადინაცვლა და თავის კოლეგა მამაკაცთან საუბარი გააბა იმის იმედით, ეს მხატვარი თითქმის თანამშრომლის დონეზეა ჩვენში მიღებული თავისი ავტორიტეტით. ამგვარი გულნათელი ფიქრები ჩემ მიმართ სრულებითაც არ იყო დამამცირებელი, პირიქით, მისი ნდობითსავესეობა მსიამოვნებდა.

ვიმარჯვებ ალბომს, სანერ-კალამთან ერთად, და, დიადი ხელოვნებით ავზნებულს, ქალაქზე გადამაქვს ის ჯანსაღი აზრები და სრულყოფილი განცდები, ნეტარგემოვნებიანი მოდილიანისგან რომ ვლებულობ და ყოველმხრივ ვცდილობ, ჭეშმარიტი ნააზრევი და განცდილი არ გაიფანტოს, ისე აღებეჭდო ქალაქზე სრულყოფილად. მტკიცედ მჯერა, მოდილიანის სურათების სიდიადეთა შესაფერისი აზრები ჩემში რომ იბადება და ვინცეხ წერას მალალი გრძნობითა და ენთუზიზმით.

ნარმოუდგენელია თანამედროვე მხატვრობაში აგრე მტკიცედ, ურყევად და ბუნებრივად ჩადულაბებული მსუყე ფერი, ქანდაკებული მკვრივი და ჰარმონიული ფორმა; უნატიფესი, მუსიკად გარდასახული ნარნარად მოცურავე ხაზი, სრულიად ახალი ზეციური შემადგენლობისა და ენერჯის მქონე ფერწერული კოლორიტი; გამოაცხებელი შემადგენლობის, მაგნიტივით მიმზიდველი და მზესავით მხურვალე სტილის მთლიანობა, სიბრძნის გამოხატვის მალალმხატვრული და პირველყოფილი არქაული უშუალობა, შემოქმედებითად ფერწერული ყველა რესურსის გამოყენების თამაში პირდაპირობა, გამოკვეთილი, მოციქულებრივი ემოცა და შეუდარებელ მხატვრულ სახეობათა თავისთავადი ინდივიდუალიზმი. აინშტაინის დონეზე, შემოქმედებითი რაობის ზუსტი კოსმიური ფორმულა, რაც ყოველმხრივ იშვიათობაა მსოფლიო ფერწერაში. ადამიანის პირველყოფილ გრძნობათა და მკვეთრი სულიერების მხატვრული უკვდავება ატეხილი, რომელიც, მილიონობით წლების სიღრმიდან მოყოლებული, უწყვეტ კოსმიურ ძაფს ჩვენს ეპოქამდე სტიქიურად რომ მოჰყვება.

საკვირველია მოდილიანისეული სულის, გონების, გულის, აზროვნების და მხატვრული სახის, ენით ამოუხსნელი და ადამიანის ორგანიზმის ყოველ უჯრედში საამოდ გამავალი, ნანარმოების მთლიანობის მხატვრული გემოვნება. ამდაგვარი სასწაულებრივი ფერწერის მონოლითურობა ჩვენში ღრმა ოცნებით და ნარმოადგენითაც ჭირს. ამედეო მოდილიანთან ყოველივე მხატვრული სიახლე ღვთის ქადაგებასავითაა დამაჯერებელი. შუალამისას ანგელოზთა ხილვები დაგვენება ადამიანს და, სასწაულებრივ ციურ სიამოვნებას რომ განიცდი, ამ სახისაა მოდილიანის მალალმხატვრული და უსაზღვროდ მიმზიდველი ხაზთა დამატარებელი გემოვნებით გაჟღერებული სურათების



ამედეო მოდილიანი

ნახვა და მისგან სულიერი სიამოვნების მიღება, განურჩევლად მისი ფერწერის, ქანდაკების თუ გრაფიკისა. თუმცა მაღალმხატვრული გემოვნება ის ფენომენია, რომლის ახსნა ძალიან ძნელია, დაბინდული სიყვარულისა არ იყოს...

ვდგავარ ახალგაზრდა მამაკაცის პორტრეტის წინაშე და ერთი წამით ძალიან მოვინდომე მისთვის კრიტიკულად შემეხედა, მაგრამ სურათზე ზედმეტი წერტილიც არ აღმოჩნდა, როგორც ღამის მოწმენდილ ცაზე ვერ აღმოაჩენ შემთხვევით ლაქას, ფერსა და ხაზს, რითაც შექმნილია განმაცვიფრებელი ციური უნაკლოობა და კოსმიური ჰარმონია. აი, ასეთია მოდილიანის ყოველი ფერწერული ნაწარმოები.

წვეთწვეთობით მიჟონავდა სამყაროს უხილავი აუზიდან მოდილიანის მხატვრული გემოვნების სასწაულებრივი სითხე და მისტიკურად ივსებოდა ფერწერის წმიდანის შემოქმედების ჯადოსნური თასი. ყველასგან განსხვავებული გენიის ღვთიური სიყვარულის კაშკაშა ალი მოსდებია ყველაფერს და ყოველი ჩვენგანი მძაფრი მოდილიანისეული დასხვივების ქვეშ ვიმყოფებით.

ასევე სრულყოფილი, ჭეშმარიტი, აზრშეუხებელი, გრანიტივით შეუვალი და უფალივით გულღია საუბარია მხატვრის ალალი ფერწერა. მოდილიანი ფერით, ხაზით და ფორმით მოციქულივით გემოდღვრავს და ზეციურად ბრძნულად მსჯელობს. ადამიანის უძლეველსა და დაუმორჩილებელ სულს თავის გემოზე მართავს და დემონურად იმორჩილებს. რომელი ძალებისააგან? ჩემთვის გაურკვეველია და ფერწერული ტილოს ზედაპირზე ყოველივე დიადურს მარადიულ ფერსულებად ასახლებს. პირველყოფილ ადამიანთა ხედვის პირდაპირობა წმიდა სულიერი გრძობისა, სურათზე გადმოტანილი თანამედროვეობის უმტიციკესი და დამაჯერებელი მხატვრული ენით, რომლის იდუმალმა ენამაც კოსმიური ურთულესი სვლით კაცობრიობის მრავალი ცივილიზაცია გამოიარა. ამ შემთხვევაში შორეულიდან მოვლენილი შემოქმედის გენიის გარდა, რაღაც სხვაა გალაქტიკების მაგნიტური ველით, უცხოვად გადმონერგილი, რომელმაც ყოველ ჩვენგანს აგრე უცნაურად მორთმეული ხელოვნებით სიამოვნების გარდა, მარადიული თავსამტვრევი და ძძიძე ფიქრთა ფორიაქი გაგვიჩინა. ასეთი საოცრება მხოლოდ მოდილიანის შემოქმედებითი ქმედებაც არაა. აქ უთუოდ ძლიერი კოსმიური მოძრაობაა, რომელიც თავისებურ ფერსა და ყველასგან განსხვავებულ მხატვრულ ფორმაში მონარნარედ ამღერებულ გემოვნებიან ხაზსა და განუმეორებელ, მრავალფერად კოლორიტშია ჩასახული, ანუ ზეციურადაა მხატვრის გენია დახატული. სრულიად ახალსა და თვითნაბად ფერწერაში უხილავი კოსმიური გარემო და უჩვეულო არომატია მარადიულ სულად გარდასახული, მოდილიანთან ფორმათა, ფერთა და ხაზთა ზენარმოსახვის ღვთიური გემოვნებისა და სრულიად ახლად შობილი ინდივიდის ნათელი მოვლენაა, რომლის წინაშე ადამიანური აზროვნება რატომღაც უძლური ხდება. მაშინ რაღა ქნას სიტყვამ? საიდან მოუხმოს მაგიურად დამხმარე ძალებს? სიტყვა ხომ ორგანულად აზროვნებიდან გამოდის. წარმოიდგინეთ, რომ ეს ფორმაც უძლურდება ამდაგვარი ზემხატვრული საოცრების წინაშე... აქ, დედამიწაზე შენირულად გზავნილ მოდილიანთან თითქოსდა ბუნებრივია ფერი, ხაზი, ფორმა და სულის საამოდ მკურნალი კოლორიტი, მაგრამ ნებისმიერი

სურათის დიდი ხნით ხილვისას თანდათანობით შედიხარ მის შინაგან სივრცეში და სალად აღიქვამ ღვთიური უსასრულობის კოსმიურ ნაზავს, რომლის წინაშეც, როგორც მოგახსენეთ, ადამიანური გონების უძლურება სუფევს. სურათს გაღმა ღმერთი დგას უთუოდ. ანუ ნაწარმოების სიღრმეში სამყაროს უსასრულო სისტემა და მისი მძლავრი უზენაესობაა. ადამიანთა მხსნელი სახარებაა ფერით, ფორმითა და ხაზით მოყოლილი, მაგრამ ვისგან და წიგნის რომელი მუხლია, ველარ ჩავენვლომიღვარ.

თითქოსდა უძველესი ჟამის მხატვარია უხილაობიდან მოსული, რომელმაც მილიონობით წლის წინათ გრანიტივით მკვერი გამოქვაბულის ქვის კედლები მოხატა, უეჭველად ისაა, ის გახლავთ ამედოს სახით მეორედ მობრძანებული დიდი ხნის მერე, მაგრამ უცხო ცივილიზაცია, სრულიად სხვა საზოგადოება, აზროვნება და ხედვა დახვდა... შორეული სიღრმეებიდან ბუნებრივად მოდის და მოაქვს უხსოვარი დროის ჟრუანტელისმომგვრელი შემოქმედებითი უშუალოება და სულის პირველყოფილი ეგზოტიკა. ჩვენ გვიკვირს ეს ყოველივე და ადამიანურად გვაღელვებს, სამყაროს გონებისა და მეხსიერებისათვის კი ჩვეულებრივი მოვლენაა. ჭეშმარიტად საფიქრალია, რომ მათი რომელიღაც შორეული თაობიდან მართლაც კვლავ მხატვრად მოვიდა და უახლოეს საუკუნეთა უზარმაზარი ხელოვნების ენით გვესაუბრება. ამ სიტუაციის გამო ხომ არ გაუჭირდა ამოდენა ტვირთის ათასწლეულებიდან გადმოტანა? ნამდვილად ხელოვანი ვერ ჩაეტია თანამედროვეობის ნაზ ჭურჭელსა და სიცოცხლის ხანმოკლეობაში, საკვირველ კოსმიურ მოვლენას ფიზიკურად შეენირა. ამედო მოდილიანის ღრმად მისტიკურ ფერწერას, ეჭვგარეშეა, ფერწერის ქურუმის, ვან გოგისა არ იყოს, სამყაროს რომელიღაც უმძლავრესი ფენომენი მართავს.

რატომღაც მოდილიანის ორანჟერეისეული სამივე პორტრეტი ცალკე პლანეტებივით ძალიან განმარტოებულია. უსასრულო კოსმიური ფიქრი და ურვა მოსდებია მათ უკვდავ სახეებს და სევდის უხილავი სისხლსავსე კაპილარები აერთებს ურთიერთთან. წარმოუდგენელია უზომოდ დიდი კოსმიურ სურათსახეთა ამდაგვარი მიწიერი სიძარტოვე და შანოვანი განყენებულობა. თითქოსდა ყველაფრისაგან განსე მდგომი განცალკევებული ფორმებია, რომელთაც თითქმის ყველაფერი აქვთ, მაგრამ მაინც საშინელ ინდივიდუალურ მარტოობაში უსაშველოდ ჩაკეტილი არიან და მდუმარებაში ჩანისლულ უამრავ წელს გადაჰყურებენ.

ჩემთვის უძვირფასესი დღევანდელი შემოქმედებითი დღე მიიწურა, უმზეო შემოღამებამ საგამოფენო დარბაზებშიც შეაღწია, მუზეუმის დაცვის ხუთკაციანმა ჯგუფმა დინჯად დაინყო შემოვლა, მე კი სრულყოფილად ახლა ვინცებ მოდილიანზე აზრთა შეკრებას და გულღია საუბარს. ამ დროს პირმშვენიერი ზედამხედველი გოგო ღიმილით მაფრთხილებს, სამუშაო დღე ამოიწურა, ბატონო, გთხოვთ გამოფენა დატოვოთო. უკვე ძალიან დაღამდა. მუზეუმის წესი წესია, მკაცრი კანონი კანონია და საგამოფენო დარბაზებიდან უკმარისობის გრძნობით გავდივარ. მოდილიანის საოცრად ცოცხალ პორტრეტებს გულნატკენმა საბოლოოდ ისევ შევხედე და ძალიან შემეცოდა ისინი, რადგან წარმოუდგენელი მარტოობის ბურუსში იყვნენ გახვეული.

ოდნავი კოჭლობით მივაბიჯებ შედევრთა შუა სივრცეში და ლეგენდის ცისფერ სამოსში გახვეულ მოდილიან-

ზე ფიქრს, ოცნებას, შინაგან განცდასა და მსჯელობას ვერ ვწყვეტ. უკვე ვგრძნობ, რომ ჩემი დაღლილი სხეულის სული და გონება სრულიად სხვაგვარ, უცხო გენიით სავსე სიმძიმეს ატარებს, მაგრამ უძველესი დოქიდან ნელ-ნელა გადმოღვრილი ღვინოსავით ნუთი-ნუთზე იცლება მისგან ჩემი სულის ხარბი ჭურჭელი.

ორანჟერეიდან მდუმარედ გავდივარ და რას ვხედავ? სამეფო ბაღის შედევერებსაცავის შერჩეულ ადგილას მდგარ როდენის ქანდაკების — „ამბორი“ — წინაშე ჩამოქნილი თაფლის სანთელივით დგას უმშვენიერესი იაპონე-

ლი გოგო, უსასრულო ენერგიით და წმინდანური სიყვარულით შერწყმია მარადიულ შედევერს. ამომავალი მზის ქვეყნის ასულის ეშხმა გამათავისუფლა მოდილიანის ნაწარმოებთაგან მოგვრილი კოსმიური ტვირთისაგან და მიწიერსა და რეალურ სრულიად განსხვავებულ სამყაროში დამაბრუნა. სამეფო ბაღს გაღმა, თანხმობის მოედნის მჩქეფარე ცხოვრების რიტმი თავისი სისხლსავსე არტერიული სვლით მიემართება კოსმიური უსასრულობისაკენ.

პარიზი

ღლიურის ფურცლებიდან

თათია ჯგუშია

ლოდევემ მოყოლილი ყვავილივით

□

ვაჟა ხორნაულის ღირსივლი ნამცვრეკები

არც სქელი ყდა, თავისი სიმძიმით რომ გაგრძნობინებს, რომ ატარებ. არც ისეთი ფურცლები, კიდევები რომ აქვს მოქარგული და შიგ ასოები კი არ წერია, ალაგია, ყალიბიდან ამოყრილი ბრჭყვიალა ასოებივით. ისე, უბრალოდ, პერანგის სულ პირველ ღილს რომ შეიხსნი და უცებ მთის ჰაერი მოგენატრება, ყოველღლიური პოზიირობით დაღლილი, სოფლის მინდორზე გულაღმა წოლას რომ მოინატრებ... ვფურცლავ და ბრაილის შრიფტით შეხებით ვგრძნობ განწყობებს, ამინდებს, ისტორიებს...

* გგონია მთელი სამყაროს დარდი და ვარამი შენ გბურავს ნისლივით, ყველა ქალაქის ხმაური და მტვერი შიგ შენს სულში წვება ფენა-ფენა და მძიმდები, ვინ უნდა მოგეშველოს, ყველა თავის ფულუროს იტკბილებს და: “ლოდევემ მოყოლილი ყვავილივით გაუძლო უნდა.”

* ბასრი სუსხი და თოში რომ ჩადგება სულში და ვერ ძრავ, ვერ უკვალავ გზას შენგან გარეთ, აღარაფერი დაგრჩენია, უნდა თვითონ მზე მოიყვანო შენამდე, როგორც მუჰამედი მთასთან. და ფანჯრის სახელურს წაყინული

თითებით აწვალე: “მზეო, ამოდი, ამოდი, მე და ზამთარი ერთად გელოდებით”.

* აუნყოფ ნაბიჯებს მაგანთ, შავს წაანერ, რომ შავია და ყვითელს – რომ მზეს წააგავს შუბლით, იტყვი, რომ არასდროს დაგკანვრია ტერფები დაუკრეფავში გადასულს, რომ ზებრა თეთრია და შავი ზოლები აქვს და არა პირიქით! მაგრამ: “ისევე ისა ხარ – დეკემბრის სივრცის ნაპირებზე მაისის ყვავილების მკრეფელი”.

* დილით მეგობარმა მითხრა, რომ არსებობს სხვადასხვა მნიშვნელობის ორი სიტყვა, რომელიც ერთმანეთთან ისეა კავშირში, როგორც არცერთი სხვა. სალამოს, უარავინო სახლში, თაროდან გამომაქვს წიგნი, ხ... ხორნაული. ვშლი სხვათაშორის და ვკითხულობ: “უსიყვარულო ფრინველები ცას მალე სწყდებიან.”


* ვამბობ, რომ მცივა, რომ მთელ დროს ნანგრევებიდან დამტვრეული თოჯინების ამოთრევას ვანდომებ, რომ გაქედილი და თითებდაჭყლეტილი ჩემი ბავშვობა ფონია ჩემი ცხოვრების, ფონი – რალაც თავგანწირული ფერის, ალბათ წითელი. აი, ალბათ მგულისხმობდა: “გეცოდებოდეს: მზე კი არა საათი აღვიძებს”.

* და დედის თმებში თითების შეცურებასავით, კისერთან დაგულეებული სურნელივით მომენატრება ხოლმე ვილაც მშობლიური, ძალიან ჩემი, ახლა რომ სახე დაჰკარგვია და ველარავის ვამსგავსებ და ვჩურჩულებ: საბავშვო ბაღის ხეებივით მშვენიერი და ხალისიანი დღეები ერთ ბუდეში ყოფნისა”.

* რა უნდა ექნა? უსიამო შალად გაჩნდა და ყველა გაურბის, უნდა გაგულისებულყო და ეპოვნა სადმე შესაფარი, მყუდრო და ხანგრძლივი ბინა, და: “დარდს გული ისე მოენონა ველარ შეეღევა სულ მასთან იქნება”.

* და გაიტკბილა ადამიანმა სევდა, შემოიხვია დედის ნაქონი თავშალივით და ჩანვა სველ საბნებში. “მართო არ ყოფილა – ცრემლთან ერთად წავიდა”.

ამოვქოლე დახვრეტილი ფილტვები ფურცელ-ფურცელ ნაკენკი სტრიქონებით და მაინც მღრღნის ერთდროულად მანუგუმებელი და ბოროტი ფიქრი: მასაც სტკიებია ჩემსავით!



გვანცა შუბითიძე

ბედნიერია, ვისაც სამშობლოსათვის უკბერს გული

□

მონობრაფია გიორგი დეკანოზიშვილზე

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წიგნის “გიორგი დეკანოზიშვილი — მამულიშვილის დაბრუნება” პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნის ავტორები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი შველიძე და მაგისტრი გიორგი გაფრინდაშვილი არიან, ხოლო რედაქტორია ლაშა ბაქრაძე.

დიმიტრი შველიძემ გიორგი დეკანოზიშვილის შესახებ ილაპარაკა. მისი თქმით, დეკანოზიშვილი დიდი მამულიშვილი იყო, რომელსაც, სამწუხაროდ, რუსეთში და იაპონიაში უკეთ იცნობენ, ვიდრე საქართველოში. მის შესახებ ემიგრანტულ პრესაში (“კავკასიონი” 1965 წლის 10 ნომბერი) დაწერა **მარკოზ ტულუშმა**.

გიორგი დეკანოზიშვილი დაიბადა ქალაქ პეტროვსკში (მახაჩკალა). მან ჯერ თბილისის რეალური სასწავლებელი, 1892 წელს კი პეტერბურგის სამთო ინსტიტუტი დაამთავრა.

1895 წლამდე მუშაობდა მარგანეცის მრეწველის ნიკოლოლობერიძის საბადოების გამგედ, ხოლო 1895-97 წლებში — ბაქოში, ნობელის ნავთის სარეზერვუარში. 1901 წელს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ დეკანოზიშვილი მიავლინა ბრაზილიაში მარგანეცის მრეწველობისა და მარგანეცის ბაზრის საქმის შესასწავლად.

XIX საუკუნის 90-იან და ცხრაასიან წლებში თანამშრომლობდა გაზეთ “ივერიასა” და “ცნობის ფურცელში”. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, მანამდე კი “საქართველოს თავისუფლების ლიგის” აქტიური წევრი.

XX საუკუნის დასაწყისში საზღვარგარეთ **არჩილ ჯორჯაძესთან** ერთად გამოსცემდა გაზეთს „საქართველო“.

გიორგი დეკანოზიშვილი იყო ჟენევის 1904 წლის ქართველთა ინტერპარტიული კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე. რუსეთში პირველი რევოლუციის დროს, 1905 წელს მან გემ “სირიუსით” სამშობლოში გამოგზავნა საზღვარგარეთ შექმნილი იარაღი. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ის ემიგრაციაში წავიდა.

1910 წლის 18 ნოემბერს გიორგი დეკანოზიშვილი ქ. კანში გარდაიცვალა. მან თავის მეუღლეს ორი ანდერძი დაუბარა: ერთი იმ საიდუმლო გემმას ეხებოდა, რომლის



მიხედვითაც გიორგის გვამი საქართველოში უნდა მოხვედრილიყო, ხოლო მეორე — გულისხმობდა შვილებისთვის ტექნიკური განათლების მიღებას. ეს ორივე პირობა **ჰანრიეტა ფრენუამ** შეასრულა.

1913 წელს გიორგის ფრანგი მეუღლე საქართველოსაც ეწვია პატარა ტარიელსა და თინათინთან ერთად. საფრანგეთში დაბრუნებისას მან პრესაში გამოაქვეყნა საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ანრიეტა ფრენუა 1945 წელს გარდაიცვალა. რაც შეეხებათ გიორგის შვილებს: ტარიელ დეკანოზიშვილი 1927 წელს ახალგაზრდა გარდაიცვალა, თინათინი კი მისთხოვდა ინჟინერ ჟაგოლენს და მასთან ერთად ცხოვრობდა ქ. კანში,

გიორგის სახლში, რომელსაც “ლა ფეორჟი” ანუ “საქართველო” ერქვა. ამ ვილაში ახლაც დეკანოზიშვილის შთამომავლები სახლობენ. რაკილა გიორგი დეკანოზიშვილი გარდაიცვალა 100 წლის წინათ, 18 ნოემბერს, წიგნის პრეზენტაციაც სიმბოლურ ხასიათს და დატვირთვას ატარებდა.

პრეზენტაციას მრავალი ცნობილი ადამიანი, ისტორიკოსები, მეცნიერები, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები და გიორგი დეკანოზიშვილის შთამომავლებიც დაესწრნენ. ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ მას დართული აქვს გიორგი დეკანოზიშვილის დღიური, რომელშიც გემ “სირიუსით” საქართველოში წყალქვეშა ნავით იარაღის შემოტანის ეპოპეა აღწერილი.

სიტყვით გამოვიდნენ: **დავით აბაშიძე**, მონოგრაფიის რეცენზენტი, პროფესორი **გელა საითიძე**, **ოთარ ჯანელიძე** (რომელმაც იდეა წამოაყენა გიორგი დეკანოზიშვილზე ფილმის გადაღებისა), ასევე **თედო სახოკიას** შვილიშვილი, პროფესორი **შუქია აფრიდონიძე**, (რომელმაც დიმიტრი შველიძეს საჩუქრად გადასცა თავისი მოგონება თედო სახოკიაზე), პროფესორი **ვაჟა შუბითიძე** (რომელმაც დააყენა საკითხი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის გიორგი დეკანოზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ).

ავტორები იმედოვნებენ, რომ წიგნი ხელს შეუწყობს ქართველთა მეხსიერებაში გიორგი დეკანოზიშვილის დაბრუნებას, რომელმაც საქართველოს შესწირა თავისი ნიჭი, ქონება და სიცოცხლეც კი — მან მხოლოდ 42 წელი იცოცხლა და ღირსეულად წავიდა ამქვეყნიდან.

ვახტანგ ბახტაძე

პიესა ამოუნურავ თემაზე

□

როსტომ ჩხეიძის პიესის „ლეგენდა ისკანდერისა“ გამო

ამას წინათ XX საუკუნის 60-იანი წლების ერთ ლიტერატურულ ჟურნალში ცნობილი პოეტის, პროზაიკოსისა და მეცნიერის, იმ დროს უკვე ხანშიშესული გიორგი ლეონიძის მეგობრული შარუი ვნახე. გოგლა ლეონიძეს მხარზე ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული, რომელშიაც ეწყო მისი პირველი მოთხრობების კრებული — „ნატვრის ხე“. ნახატს მიწერილი ჰქონდა: „ნორჩი პროზაიკოსი — გიორგი ლეონიძე“.

როგორც ერთი მისი თანამედროვე ერთგან იხსენებს, ამ შარუზე პოეტს გულიანად უცინია.

მართალია, როსტომ ჩხეიძე გაცილებით ახალგაზრდაა (51 წლის კაცია და 51-ზე მეტი წიგნის ავტორია! მათ შორის სერიოზული მონოგრაფიებიც), მაგრამ მისმა პირველმა დრამატურგიულმა ნაწარმოებმა ის მეგობრული შარუი გამახსენა.

დიახ, ჩვენ ხელთა გვაქვს მხატვრულ-დოკუმენტური პროზის მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოების ცნობილი ავტორის როსტომ ჩხეიძის პირველი პიესა, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ-დოკუმენტური პიესა, რომელიც დაწერილია პოსტ-მოდერნისტულ სტილში. ალბათ, არ მიწყენს ამ ხუმრობას ჩემი ძველი მეგობარი როსტომი, — ესაა, მისი როგორც „ნორჩი დრამატურგის“, დებიუტი, მისი პირველი ნაბიჯი მხატვრული ლიტერატურის (მისთვის) ახალ ჟანრში.

ამგვარი შეხუმრებით მინდა გადავიდე მთავარ სათქმელზე.

როსტომ ჩხეიძის მომცრო ნიგნაკი „ლეგენდა ისკანდერისა“ (მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად დაუნერვლი პიესის ტრაგედიაზე. თბილისი, 1992, რედაქტორი მაკა ჯოხაძე) წლეულს, ზაფხულის ცხელ დღეებში გამოვიდა. როგორც ანოტაციაში ვკითხულობთ — „მისი შექმნის მიზანი კვლავაც ის განცდაა, ის სწრაფვა, რაც ტიცციან ტაბიძის მიერ ამ პოეტურ ფორმულაში ჩაინერა: „რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი ბატონიშვილის ალექსანდრესი“.

პოლიტიკურ-დოკუმენტური პიესა წარმოსდგება ჩვენი სამშობლოს გადარჩენისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტების მოხმობით, რათა არაფერი არ ჩაიკარგოს — მოყოლილი ან დაწერილი, ზოგჯერ მონათხრობი რამდენადმე განსხვავდება სხვათა ნაამბობისგან... და ეს ყველაფერი შეზავებულია პოსტ-მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ციტაციის სტილისტიკით. ამგვარად იკვეთება პოლიტიკურ-დოკუმენტური პიესის ქარგა.

კომუნისტური ტერორი საქართველოს XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ეწვია. თავიდან რეპრესიები

შეეხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ) მთავრობის მომხრეებს, სამხედრო პირებს, სხვადასხვა, ბოლშევიკებთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს (სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები და სხვა) წინააღმდეგობის ნებისმიერ მცდელობას ბოლშევიკები ისე უსწორდებოდნენ, რომ მის განმეორების მცირე სურვილიც დაკარგვოდა ნებისმიერ პოტენციურ „რევანშისტს“.

პიესა საქართველოსათვის ერთ-ერთ ყველაზე შავბნელი ხანის — გასული საუკუნის 30-იანი წლების პოლიტიკურ რეპრესიებს ეხება.

გარკვეულ პარალელებს გავავლებ გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხესა“ და როსტომ ჩხეიძის „ლეგენდა ისკანდერისას“ შორის.

30-იანი წლების საშინელი პერიოდი გიორგი ლეონიძემაც იწვინა და გადაიტანა და, ალბათ უამრავი სათქმელი დარჩა ქალაქზე გადაუტანელი იმ ადამიანური ტრაგედიების შესახებ, მაგრამ რადგან იმ დროს ამის საშუალება არ იყო, ამიტომაც თავისი სათქმელი მან პროზაული დებიუტით — ბავშვობის მოგონებებით, მისი მშობლიური სოფლის, პატარძელის ტკბილ-მწარე ცხოვრების მაღალმხატვრული აღწერით გამოხატა. თუნდაც ის გავიხსენოთ, როგორ ემსხვერპლა უმშვენიერესი მარიტა სასტიკ ადამიანებს.


როსტომ ჩხეიძემ კი თავის პირველ პიესაში ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულისტკივილი ასახა — ერის ინტელექტუალური ელიტის საუკეთესო წარმომადგენელთა განადგურება 30-იან წლებში ბოლშევიკური რეჟიმის მიერ, როდესაც უღამაზესი, თავისუფალი სულის ადამიანები უმანინჯესი სისტემისა და მის მსახურთა მსხვერპლნი გახდნენ.

მოქმედი პირები რეალური, ცნობილი პიროვნებანი არიან. ისინი პიესაში მკვეთრი, დამახასიათებელი შტრიხებით არიან წარმოდგენილნი.

მაგალითისათვის თუნდაც ცნობილი საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე ლავრენტი ბერიას სახე გავიხსენოთ. საჭიროდ მიმაჩნია შეგახსენოთ რამდენიმე ფრაგმენტი პოლიტიკური დოსიედან იმ უსასტიკეს ჯალათზე, რომელიც პენსნეს ატარებდა და არაერთ დიქტატორთა მსგავსად პოეზიისა და მწერლობის დიდი დამფასებელი, ასევე კლასიკური მუსიკის ტრფიალი გახლდათ.

ბერია ბოლშევიკურ პარტიაში განევრიანდა 1919 წელს. 1921-31 წლებში მუშაობდა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოებში. იყო საქართველოს და ამიერკავკასიის პოლიტიკური სამმართველოს (რუ) უფროსი, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ოგრუ) წარმომადგენელი ამიერკავკასიაში. 1931-38 წწ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. სახელი გაითქვა ნიგნით „ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიისათვის“, რომლის ნამდვილი ავტორი მისი დაკომპლექტებული ჯგუფი იყო. ნიგნმა ისტორიული ფაქტების ფიკციის გზით, გააზვიანდა ჯულაშვილ-სტალინის როლი კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. მისი ინიციატივით დააპატიმრეს და დახვრიტეს ქართული ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები. ბერია თავად მონაწილეობდა დაკითხვებში და წამებებში. 1938 წელს სტალინმა

ბერია მოსკოვში გადაიყვანა ეჟოვის მოადგილედ. ბერიამ შეძლო ამ უკანასკნელის მოცილება, შეაგროვა კომპრომატები, რის შედეგადაც იგი დახვრიტეს და მისი უწყება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (НКВД) ჩაიბარა. მისი ინიციატივა იყო „არასანდო ერების“ გადასახლება. სტალინის სიკვდილის შემდეგ მან უშედეგოდ სცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. 1953 წელს, ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით დააპატიმრეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და დახვრიტეს.



ბერიას ზნეობრივ რაობას ალბათ ყველაზე ზუსტად წარმოაჩენს მისი მსჯელობა ადამიანის მოსპობის შესახებ. მისი თქმით, გილიოტინა სიკვდილით დასჯის არც ისე კარგი საშუალებაა, რადგან იგი ადამიანს ჰეროიკული სიკვდილის საშუალებას უტოვებს. სიკვდილის წინ დასასჯელმა რალაც ფრაზა შეიძლება წამოიძახოს და ამით ხალხში გმირად დარჩეს. ბერიას თქმით კი, დასასჯელს ჰეროიკული სიკვდილის საშუალება არ უნდა მიეცეთ და ხალხს გმირის ნაცვლად სახელგატეხილი დამნაშავე უნდა ვაჩვენოთ.

ლავერენტი ბერია, ანუ იმდროინდელი ბოლშევიკური ხელისუფლება, ამ საზარელ „თეორიას“ პრაქტიკულად ახორციელებდა. ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს ხალხის მტრის, სამშობლოს მოღალატის იარაღის „აკერებდნენ“ და დაშინებულ და საბჭოთა პროპაგანდით გათანგულ, საქმეში ჩაუხედავ მოსახლეობას ასე წარუდგენდნენ მათ.

ამავე მიზანს — რეპრესირებულთა ხალხის თვალში „გაშაგების“, ყოვლად უღირს ადამიანებად მათი წარმოჩენის მიზანს — ემსახურებოდა ისიც, რომ ბოლშევიკი ჯალათები თავიანთ მსხვერპლთა სიკვდილით დასჯისათვის ცივილიზებულ სამყაროში სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ დამკვიდრებულ სადამსჯელო მეთოდოლოგიებს კი არ იყენებდნენ, არამედ ჩვენი ერის ინტელექტუალური ელიტის უმაღლეს, უკეთესობათა წარმომადგენლებს უპატრონო, ცოფიანი ძაღლებივით ხოცავდნენ და ასევე დახოცილი ძაღლებივით ერთად ჰყრიდნენ ბულდოზერებით ამოთხრილ ორმოებში და ამით ხალხს მათს ვითომდაც უღირსობას აჩვენებდნენ.

საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის განსაკუთრებულობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის მიმართული იყო არა იმდენად გამოკვეთილი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ (ასეთები უმცირეს ნაწილს შეადგენდნენ მილიონობით მსხვერპლთა შორის), არამედ უფრო გამოგონილი მტრების წინააღმდეგ. რეპრესიას განიცდიდნენ არა მხოლოდ რაიმე სიტყვებისათვის ან ქმედებისათვის, არამედ ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილებისათვის, რომელსაც ხელისუფლება მოცემულ მომენტში მტრულად აცხადებდა. მსხვერპლი შეიძლება ქვეულიყო ნებისმიერი, მიუხედავად წარმომავლობისა და სოციალური კუთვნილებისა, ასაკისა და სქესისა.

რაც შეეხება 1936-38 წლების „დიდ რეპრესიებს“, საქართველოს მოსახლეობამ მათი მთელი სისასტიკე

განიცადა. ჯერ კიდევ 1936 წელს, ბერიამ ოფიციალურად განაცხადა საქართველოში ანტისაბჭოთა ელემენტების განსაკუთრებულ სიჭარბეზე (ბერია საუბრობდა 100 ათასზე!), რაც მომავალ წლებში გამართული მასობრივი დახვრეტების წინასწარი, საპროგრამო გამართლება იყო. მაშინ როცა ამ სიტყვებს წარმოთქვამდა ბერია, დახვრეტილთა რაოდენობა დაახლოებით 10 000 იყო. რეპრესიების სამიზნედ ინტელიგენცია და პარტიული ელიტა იქცა. ეთნიკური შემადგენლობით რეპრესირებულები, აბსოლუტური უმრავლესობით, ქართველები იყვნენ. ერთგულების მტკიცების თუ სხვა მიზეზით, საბჭოთა საქართველოს შინსაკომელები რეპრესიების მასშტაბების გაზრდას ითხოვდნენ.

ამგვარი იყო „ბოროტების იმპერიაში“ ეშმაკის კერძთა მსახურება, რაც ბოლშევიკური ბუნებისათვის სავსებით ნიშანდობლივია.

ახლა ისევ დრამატურგიულ ნაწარმოებს დავუბრუნდეთ.

მაგრამ პიესის მთავარი გმირი ალბათ მაინც, რუსთაველის თეატრის სულისჩამდგმელი, რეჟისორი ალექსანდრე ახმეტელია, რომელიც ბერიას მიმართ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას თვით ბერიას წინაშეც კი ვერაფრით ფარავს და ამით ამაყობს კიდევც.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, 1924 წელს ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად შექმნა კორპორაცია „დურუჯი“. რომლის წევრებსაც ხელი უნდა მოეწერათ ფიციზე, რომ სიცოცხლეს შესწირავდნენ და არ უღალატებდნენ ქართულ თეატრს.

როსტომ ჩხეიძე სანდრო ახმეტელს ამ სიტყვებს ათქმევინებს, რომლის გარეშე მას სიცოცხლე ვერ წარმოედგინა: „თეატრში ერთადერთი ხელისუფალია — რეჟისორი. სხვა ხელისუფალს თეატრი არ სცნობს და არც შეეგუება“-ო.

მას სურს დადგას რალაც გრანდიოზული სპექტაკლი, რომელიც ქართველი ხალხის დაუმორჩილებელი სულისკვეთების გამოხატველი იქნება, რომლის სიმბოლური სახეები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგანწირული მებრძოლები ალექსანდრე ბატონიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი იქნებიან.

იგი ამ საოცნებო სპექტაკლს ახასიათებს, როგორც მერანისებურ ტრაგედიას.

ამ იდეის ნათლად წარმოსახვაში მას დაეხმარება ქართული ცივილიზაციის მარად დაუცხრომელი მკვლევარი პავლე ინგოროყვა, რომელიც სანდრო ახმეტელს უსაბუთებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი „მერანი“ არა თავისი ბიძის ილიკო ორბელიანის დატყვევების გამო დაწერა, არამედ ეს ლექსი შთაგონებულია საქართველოს გათავისუფლებისათვის თავდაუზოგავი მებრძოლის ალექსანდრე ბატონიშვილის ლეგენდით, კერძოდ, ერთი ლექსური თქმულებით, რომლის მიხედვითაც, ალექსანდრე ბატონიშვილს, ანუ მაჰმადიანურად — ისკანდერს, მფრინავი ცხენი ჰყავდა. „იმ ცხენით დაჰქროდა, უცებ გაჩნდებოდა,

სადაც საჭირო იყო, უცბადვე გაჰქრებოდა, ღრუბლებს და-
ეკვროდა, გადაიელვებდა“.

პავლე ინგოროყვას ეს მიგნება სანდრო ახმეტელის
დიდ აღფრთოვანებას იწვევს.

მაგრამ მასობრივი სცენების დადგმის ჯადოქარ
რეჟისორს თავისი გრანდიოზული სპექტაკლის დადგმა რა
თქმა უნდა არ დასცალდა. მის მწვერვალად დარჩა
შილერის „ყაჩაღები“, რომელიც 1933 წელს დადგა... და
ცხადია, მისთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული
სპექტაკლი გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, რომელიც
გერმანიაში ემიგრაციის შემდეგაც (1930 წ.), ამ სპექტაკ-
ლის წარმოდგენა გრძელდებოდა (რუსთაველის თეატრის
სცენაზე ავტორის დაუსახელებლად), როგორც
თეატრალური სიმალღე საბჭოთა სცენის მიღწევისა.

1937 წელს ახმეტელი დააპატიმრეს „შპიონაჟის“,
აგრეთვე ბერიას და სტალინის „მკვლელობის“ მომზადების
ბრალდებით, დაკითხეს და აწამეს პირადად „პენსენანი
კაცის“ თანდასწრებით, შემდეგ დახვრიტეს.

ვინ იცის, რამდენი ასეთი განუხორციელებელი ჩანა-
ფიქრი და იდეა დაასამარა უღმობელმა საბჭოთა ჯალა-
თურმა სისტემამ.

პიესაში ასევე მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი
თეატრის რეჟისორის, მისი სულისჩამდგმელის, კოტე მარ-
ჯანიშვილის, ცნობილი ქართველი მწერლების — მიხეილ
ჯავახიშვილის, გიორგი შატერაშვილის, ოთარ ჩხეიძის და
სხვათა სახეები.

ბოლშევიკური რეპრესიების შესახებ უამრავი მხატვ-
რული და დოკუმენტური ლიტერატურა, უამრავი მეცნიე-
რული კვლევა და ანალიზი არსებობს, მაგრამ იმდენად მას-
შტაბურია იმდროინდელი არააადამიანური ტრაგედიები,
რომ ვფიქრობ, ეს თემა არასოდეს ამოიწურება და არც უნ-
და ამოიწუროს, რადგან ყველგან და ყოველთვის მოსა-
ლოდნელია მსგავსი მოვლენების განმეორება მით უფრო
ისეთ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ღირებულებანი
და მისი საერთაშორისო სტანდარტები ფეხქვეშ არის გა-
თელილი.

სამშობლოს წინააღმდეგ მზაკვრული საერთაშორისო
მასშტაბის შეთქმულება დღესაც ძალაშია.

სიყრუე და სიბრმავე წარსულის მიმართ კვლავაც

უცვლელია. არსებული რეა-
ლობა კი, საკუთარი ისტო-
რიის შემეცნებას უშლის
ხელს. სტალინური ტერო-
რის ფენომენი მისი მოტი-
ვაციით, აღსრულების მე-
თოდებით, სოციალური და
ფსიქოლოგიური შედეგე-
ბით მრავალთავიანი კვლავ
შეუცნობ სიგრძედ რჩება.

როსტომ ჩხეიძე თავის
„მინაწერში“ ერთგან საუბ-
რობს ახალგაზრდობისდ-
როინდელ ლიტერატურულ-
დრამატურგიულ ერთ
განუხორციელებელ ჩანა-
ფიქრზე: დოკუმენტურ-ბი-
ოგრაფიული რომანის, ესე-

ის, მოთხრობისა და მოგონებებისგან შემდგარი ერთობლი-
ობის — „დაუნერელი პიესის“ შესახებ.

იგი დასძენს: — „ეს ყოველივე კიდევ მალევე გავამზა-
დე, ოღონდ ძალიან კი ამეკვიატა იმ დაუნერელი პიესის
ტიკვილი, პოლიტიკურმა რეჟიმმა რომ შეინირა. ეს განც-
და იმთავითვე გამიჩნდა, როდესაც სკოლის მოსწავლემ
პირველად მოვისმინე მამაჩემისგან მთელი ეს ამბები,
მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად გამიარა გულსა და გონე-
ბაში და ძალდაუტანებლად წამომიტივტივდა მოდერნის-
ტული ხანის და სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი მიდ-
რეკილება — პიესა პიესაში: ხან ხორცშესხმული, ხანაც
ამაო სწრაფვა“.

პიესის ავტორი რიტორიკულად კითხულობს: „ხომ შეიძ-
ლება დაუნერელი პიესის ტრაგედია ყოფილიყო მერანისე-
ბური სპექტაკლის სულისკვეთებაც და ზოგადი ქარგაც?“

ამ თვალსაზრისითაც, როსტომ ჩხეიძის ეს პიესა
რასაკვირველია აქტუალურია და დღევანდელ თავზარ-
დამცემ გლობალისტურ ეპოქაში — სიფხიზლისკენ, ბორო-
ტებისადმი შეუგუებლობისაკენ მოგვინოდებს.

მწერლის გადანაცვლება ერთი მხატვრული ჟანრიდან
მეორეში არცთუ იშვიათი მოვლენა გახლავთ ლიტერატუ-
რული ცხოვრებისათვის.

ეს პიესა როსტომ ჩხეიძის შემოქმედების გენერალური
ხაზის გაგრძელებაა.

ბოლოს ისევ გიორგი ლეონიძის პროზაულ დებიუტს
დავუბრუნდები. მისმა „ნატვრის ხემ“ იმთავითვე დიდი პო-
პულარობა მოიპოვა, რომელსაც კინორეჟისორმა თენგიზ
აბულაძემ მხატვრულ ფილმად აქცია.

დასასრულ, მინდა შეგახსენოთ პავლე ინგოროყვას
შეგონებისდარი სიტყვებით როსტომ ჩხეიძის პიესიდან
„ლეგენდა ისკანდერისადა“ — „იმედი არასოდეს არ უნდა
გადიწურო ადამიანმა. საქართველო უარეს დღეებსაც
მოსწრებია, არანაკლებ უბედურებებსაც, მაგრამ თავიც
გადავირჩინეთ და ეროვნული ძარღვიც ძველებურად
გვიფეთქავს“-ო.

მოდით, წარმატება ვუსურვოთ როსტომ ჩხეიძის დრა-
მატურგიულ დებიუტს.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი შემოსვლა დრამატურ-
გიულ ასპარეზზე.

3 დეკემბერს მსახიობი **თინათინ ელბაქიძე**
უკვე მეოთხედ წარსდგა მაყურებლის წინაშე
ლიტერატურული კომპოზიციით **„სამშობლო,
როგორც უფალი“**, რომელიც აგებულია ცალ-
კეულ ამონარიდებზე ოთხი მწერლის (**მაკა ჯო-
ხაძე, ლევან ბრეგაძე, როსტომ ჩხეიძე, იოსებ
ჭუმბურიძე**) პუბლიცისტური სტატიებიდან.
**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახე-
ლობის უნივერსიტეტის** დარბაზში გამართულ
შეხვედრას უძღვებოდა ამავე უნივერსიტეტის
პროფესორი, დრამატურგიული სცენარის ავ-
ტორი **იოსებ ჭუმბურიძე**. შეხვედრის დასას-
რულს კომპოზიციის პერსონაჟთაგან სიტყვით
გამოვიდა **როსტომ ჩხეიძე**, ვინც ამ მშვენიერ,
ყოველმხრივ ჩინებულ გარემოში გამართული
ეს თავყრილობა შეაფასა როგორც ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი რგოლი სრულფასოვანი კულ-
ტურული ცხოვრების დამკვიდრების გზაზე.





თომას ტრანსტრომერი, მსოფლიოში ცნობილი შვედი პოეტი, თავის სამშობლოში უკვე კლასიკოსადაა აღიარებული. დაიბადა 1931 წელს. პირველი კრებული, 17 ლექსი, გამოსცა 1954 წელს და მაშინვე მოიპოვა აღიარება. კრიტიკოსები მას ახალგაზრდა გენიოსად მოიხსენიებდნენ. დღეისათვის მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს დაახლოებით 50 ენაზე. სხვადასხვა დროს მიენიჭა სკანდინავიაში არსებული თითქმის ყველა ლიტერატურული პრემია, მათ შორის, ბელმანის სახელობის, შვედური აკადემიის, სკანდინავიური საბჭოს პრიზი და სხვა პრესტიჟული პრემიები. 1990-იანი წლების დამდეგს გადატანილი ინსულტის შემდეგ პოეტმა დაკარგა მარჯვენა ხელით წერის უნარი. ეს მით უფრო მძიმე იყო, რომ ტრანსტრომერი ნიჭიერი პიანისტიც გახლდათ. ავადმყოფობის შემდეგ კი მარცხენა ხელითა შეუძლია დაკვრა.

ტრანსტრომერს მისტიკოს პოეტად მიიჩნევენ. მისთვის მისტიკურობა ყოველდღიურ ყოფაში იპოვება და ყოველდღიურობითვე გამოითქმის.

შევეცადე ორიგინალის გარეგნული სისადავე და შინაგანი სიღრმე შემენარჩუნებინა. აქ რამდენიმე ჰაიკუს თარგმანსაც წარმოგიდგენთ. ჰაიკუ, სამსტრიქონიანი ლექსია, რომელიც სულ 19 მარცვალს უნდა მოიცავდეს (7+7+5). ასეთი სიზუსტე არც შვედურ ორიგინალშია მთლიანად დაცული. ვერც ქართულ თარგმანში შექმელი ჰაიკუს მარცვალთა კანონიკური რაოდენობის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მისი ამ ყაიდის ლექსების თარგმანიც საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისთვის.

თომას ტრანსტრომერი

პრელუდია

გამოლვიძება — პარაშუტით ვარდნა სიზმრიდან, სულისშემხუთველ ქარბორბალას გადარჩენილი ეშვება მგზავრი გათენების მწვანე ზონაში. ქვემოთ ნივთები ენთებიან. მოგზაური მოცახცახე

ტოროლას პოზით გრძნობს ხის ფესვების მძლავრ სისტემას — მინსქვეშეთში ჩაკიდულ ლამპებს.

მაგრამ მინაზე — ტროპიკულ ღვარში — სიმწვანე მკლავებს მალლა იწვდის, ყურს უგდებს რიტმებს, რომელიც მოდის თვალით უხილავ გულის ფეთქვიდან.

მგზავრი ზაფხულში იძირება, ზაფხულის თვალისმომჭრელ კრატერში. მწვანე ნესტიან ეპოქების შახტების გავლით კანკალებს მზეთა ტურბინების ქვეშ.

ასე მყისიერ წყდება მისი ვერტიკალური მყისიერი მოგზაურობა.

ფრინველის ფრთები წყლის დინებას გადაფარება. ბრინჯაოსხანის ბუკის მშფოთვარე ხმა ჰკიდია უფსკრულთა თავზე.

თენების პირველ საათებში ცნობიერებას შეუძლია სრულად მოიცვას მთელი სამყარო, ვით ხელი იპყრობს ქვას, მზეში გამთბარს. მოგზაური ხის ქვეშა დგას. ვარდნის შემდეგ, სასიკვდილო გრიგალგამოვლილს, ამოეზრდება თავის ირგვლივ დიდი სინათლე?

ქარიშხალი

უცებ აწყდება მოგზაური უზარმაზარ მუხას, რომელიც გაქვავებული ირემივით დგას გაშლილი რქების გვირგვინით სექტემბრის ზღვაში, შავმწვანე ციხე-სიმაგრის წინ გარინდებული.

ჩრდილოეთის ქარიშხალია. ის დროა, როცა დამნიფებას იწყებს ცირცელი. სიბნელეში გაღვიძებულს ჩაგესმის როგორ დააბიჯებენ ვარსკვლავედები თავის სადგომში, სადღაც ზემოთ, ხეების თავზე.

ღია ფანჯარა

ერთ დილით ღია ფანჯარასთან პირს ვიპარსავდი. ზედა სართულზე. პირსაპარსი ჩავრთე თუ არა, აკრუტუნდა და აზუზუნდა, აგუგუნდა უფრო და უფრო, გრიალად იქცა. ვერტმფრენის ხმად ამოიზარდა. ხმა მფრინავისა ამოისმა იმ გრიალიდან. მიყვიროდა: "თვალი გეჭიროს, რასაც ხედავ, ბოლოჯერ ხედავ!" აჰა, ავფრინდით. ზაფხულის თავზე მიფრინავდით, საკმაოდ დაბლა. როგორ მომწონდა! ნუთუ ჰქონდა წონა რაიმეს? აჰა, ათობით დიალექტი მწვანე ფერისა! განსაკუთრებით ხის სახლების წითელი ფერი. ნაკელსა და მზეში ბრჭყვიალა ხოჭოები. სარდაფები, ფესვებიანად ამოგლეჯილი, ჰაერში ფრენდნენ.

საქმიანობა. საბჭედ დაზგებს გააქეთ გრიალი. ამ წუთას მხოლოდ კაცთა მოდგმა იყო უძრავად. ნუთიერი დუმილი ჰქონდათ. განსაკუთრებით მშვიდად იყვნენ გარდაცვლილები ჩვენი სოფლის სასაფლაოზე — ისე უძრავად, როგორც ხალხი სხდებოდა ხოლმე აპარატის წინ

ფოტოგრაფიის ბავშვობაში. დაბლა იფრინე! არ ვიცი თავი საით მივაბრუნო, როგორც ცხენმა, გაყოფილი მზერის არეთი.

დეკემბრის საღამო – 72

აი, მოვდივარ მე, უხილავი ადამიანი. იქნებ დიდმა
მეხსიერებამ
ამიყვანა სამსახურში, რომ აქ ვიცოცხლო, სწორედ ახლა.
გვერდზე მანქანით ჩავუარე

თეთრ ეკლესიას – კარებდაგმანულს. იქ, შიგნითა დგას
ხის წმინდანი
მომღიმარი ისე უმნეოდ, თითქოს სათვალე
წაერთმიოს მისთვის ვილაცას.

მარტოდმარტოა. სხვა ყველაფერი არის ახლა, ახლა და ახლა.
სიმძიმის ძალა მიგვერეკება დღე სამსახურში,
ღამე სანოლში. ომი.

გაბნეული მრავლი

I
მოვინდომეთ და მოვატარეთ ჩვენი სახლები.
სტუმარი ფიქრობდა: თქვენ კარგად ცხოვრობთ.
სიდუხჭირე თქვენშია. შიგნით.

II
შიგნით, ეკლესიაში – თაღები და სვეტები,
თაბაშირივით თეთრი, თაბაშირის სახვევი,
რწმენის მოტეხილ მკლავზე დახვეული.

III
შიგნით, ეკლესიაში მონყალების მოსაკრებელი თასი,
რომელიც თვითონ აინევა იატაკიდან,
სათითაოდ ჩამოუვლის სკამების რიგებს.

IV
მაგრამ ეკლესიის ზარებმა მიწის ქვეშაც უნდა დარეკონ.
დაკიდულან სიბნელეში.
გუგუნებენ ჩვენს ნაბიჯებქვეშ.

V
მთვარეული ნიკოდემოსი გზას მიჰყვება
მისამართისკენ. ვის აქვს მისამართი?
არ ვიცი. მაგრამ ჩვენც იქითკენ მივემართებით.

გვიანი მაისი

აყვავებული ვაშლები და ალუბლები ეხმარებიან მიდამოს,
რომ ამოტივტივდეს ამ ტკბილმღვრიე მაისის ღამით.
უსაფრთხოების თეთრი ყილეტი. ფიქრები დიან.
ბალახები და სარეველა ჩუმად, ჯიუტად ფრთებს იქნევენ.
საფოსტო ყუთი ციმციმებს წყნარად, დანერიოს
ველარ დაიბრუნებ!

ცივი ნიავი პერანგში ატანს, ჩემს გულს ეძებს ხელისცეცებით.
ვაშლები და ალუბლები. დგანან და ჩუმად იცინიან
სოლომონ ბრძენზე.

ყვავილობენ ჩემს გვირაბში. და მჭირდებიან
არა იმისთვის, რომ დავივიწყო, არამედ —
რომ დავიმახსოვრო.

ელეგია

ვალბე პირველ კარს.
დიდი ოთახი კაშკაშებს მზეში.
სადღაც ქუჩაში გაიარა მძიმე მანქანამ.
ფაიფურმა გაიზრიალა.

აი, მეორე კარი გავალე.
მეგობრებო! სიბნელეს სვამდით,
გახდით ხილვადნი.

კარი მესამე. სასტუმროს ვინრო ოთახის ბინდი
გადაჰყურებს უკანა ქუჩას.
ასფალტს დაჰნათის ღამპიონი.
გამოცდილების წარმტაცი წიდა.

აპრილი და სიჩუმე

გაზაფხული წევს უდაბური.
ხავერდით შავი წყალი
ჩემს გვერდით თხრილში მოიკლაკნება
უანარეკლო.

მხოლოდ ყვითელი
ყვავილების შუქი ანათებს.

ჩემივე ჩრდილი მიმეზიდება,
როგორც ვიოლინოს
თავისი შავი ყუთი.

ერთადერთი, რის თქმაც მნადია,
ციმციმებს ისევე მიუწვდომლად,
როგორც ვერცხლი
მევახშის ხელში.

ჰაიკუ ლექსები

I
სადენები გადაჭიმულან
სიცივის სამეფოში,
მუსიკის იქით, ჩრდილოეთისკენ.

თეთრი მზე
მარტოდმარტო ვარჯიშობს
სიკვდილის ლურჯი მთისკენ ცურვაში.

უნდა ვიცოცხლოთ
სქოლიოს ბალახში,
სარდაფსიცილში.

ჰოჯიის მარილიანება

*
მზე დაეშვა.
ჩვენი ჩრდილები დევებსა ჰგვანან.
სადაც არის ყველაფერი ჩრდილად იქცევა.

II
ორქიდეები.
ტანკერები გაცურდნენ შორით.
სავსე მთვარეა.

III
ძველისძველი ციხესიმაგრე.
უცხო ქალაქი. ცივი სფინქსი.
ცარიელი არენები.

*
ფოთლები ჩურჩულებდნენ:
გარეული ტახი ორლანს უკრავს და
ზარმა ჩამოჰკრა.

*
ლამე მოღვლევეს
აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ
მთვარის სიჩქარით.

IV
ორმა ერთურთზე ჯვრად მიბმულმა
ნემსიყლაპიამ
გაიფარფატა.

*
ღვთის სიახლოვე.
ჩიტის გალობის გვირაბებში
ჩარაზული კარი იღება.

*
მთვარე. მუხები.
შუქი. ჩუმი ვარსკვლავედები.
ზღვა არის ცივი.

სიჩუმე
გასცდი, ისინი დამარხულნი არიან...
მზის დისკოზე ღრუბელი გადაცურდა.

შემშლილი მაღალი შენობაა,
რომელიც ღამით გადაადგილდება.
საძინებელში იხსნება ლიფტის ბნელი საყრდენი
სიღრმეთა მიმართ.

ყვავილები თხრილში. ზარზეიმი და სიჩუმე.
გზა აუქციე, ისინი დამარხულნი არიან...

ვერცხლის ჭურჭელი გადარჩება თევზის ქარავნებში,
სიღრმეებში, სადაც შავია ატლანტის ფერი.

შუა ზამთარი
ლურჯი სინათლე
ამოდის ჩემი ტანსაცმლიდან.
შუა ზამთარი.
წკრიალებენ ყინულების ტამბურინები.
თვალებს ვხუჭავ.
არის სადღაც უხმო სამყარო.
არის სადღაც ერთი ბზარი, რომლის გავლითაც
გარდაცვლილები გაჰყავთ საზღვარზე.

**შვედურიდან თარგმნა
მანანა კოზანიძე**

ლიტერატურული ცხოვრება

**ლიტერატურული
პრემიები
შოთაოგაზე**

ოქტომბრის ბოლო შაბათს მესხეთის რუსთავი უამრავ სტუ-
მარს მასპინძლობდა. ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „შო-
თაოგაზე“ წარმომადგენლები არა მხოლოდ საქართველოს ყოვე-
ლი კუთხიდან შეიკრიბნენ, მოძმე სომხეთიდანაც იყვნენ მიპატი-
უებული.

ერთი სიტყვით, გრანდიოზული ზეიმი შედგა. ღონისძიება სა-
ნიმუშოდ გახლდათ ორგანიზებული ასპინძის მუნიციპალიტეტის
მიერ, აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საქართველოს
პრეზიდენტის რწმუნებულის **ლაშა ჭკადუას** მხარდაჭერით.

სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღამის მივიწყებული
სახალხო დღესასწაული, ამ სამიოდე წლის წინათ, საქართველოს
პირველი ლედის, **სანდრა ელისაბედ რულოვის** ხელდასმით გა-
მოცოცხლდა და თანდათანობით მიმზიდველობას იკრებს. შესა-
ბამისად, ყველაზე გამორჩეული პირველი ლედის მიერ დაწესე-

ბული პრემიებია. წლეულს ამ ხარისხში აღიარეს **თამარ ფარჩუ-
კიძე** და **სევერიონ ნადირაძე**.

გამოვლინდნენ სხვადასხვა ჯილდოს მფლობელები: **მარინა
თექეთმანიძე, კატო ჯავახიშვილი, ავთანდილ ივანიძე, ბელა ქე-
ბურია, თამარ ლომიძე**. განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოიხატა
ახალგაზრდა პოეტების **ლექსო დორეულისა** და **ნათია ჯანაშიას** მი-
სამართით. საპატიო სიგელები და მედლები გადაეცათ ქართული
კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, შესაბამისად მოამაგე-
ებს: „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს **ჯემალ ჭკუასელს**, დე-
დაქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამ-
სახურის უფროსს **მამუკა ქაცარავას**, განათლების სამსახურის უფ-
როსს **შოთა მაღლაკელიძეს**, ლიტერატურული მესხეთის რედაქ-
ტორს, **ავთანდილ ბერიძეს**, მწერალ **ბეჟან ნამიჭიშვილს**.

საპატიო სიგელები და მედლები სტუმრებსაც უსახსოვრეს: სომ-
ხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს **ივონ ანანიანს**, ერევნის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს **პრაჩია ბაირამიანს**.

ღონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწე-
რალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი** და მწერა-
ლი **რევაზ მიშველაძე**. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტრო-
პოლიტმა **მეუფე თეოდორემ** დალოცა ის დღე და შესაბამისად
იმდღევანდელი სტუმრები მესხეთის რუსთავისა.

ცნობილი ფრანგი მწერლის პიერ გამარას ამ პატარა ლიტერატურულმა ზღაპარმა ჩვენი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ მისი ერთი პერსონაჟი ქართველია და იგი მთელს პლანეტაზე სახელგანთქმული ექიმი. იმ დროს, როდესაც ჩვენვე გვიპყრობს პესი-მიზმი და ჩვენს მომავალს მხოლოდ მომსახურების სფეროში ვხედავთ, განსაკუთრებით სასიამოვნოა აღმოაჩინო, რომ უცხოელ მწერალს ქართველი კაცი მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის პერსონაჟად აურჩევია.

პიერ გამარა

ოქროს მისაკისათვის

ბავშვები აღარ კვდებოდნენ. ამიერიდან მათ დასაცავად კაცობრიობის მთელი მეცნიერება და ადამიანთა მონერხებულობის წყალობით შექმნილი საუცხოო მანქანები იღვწოდნენ. ბავშვები აღარ კვდებოდნენ, ბავშვებს სიკვდილი აღარ შეეძლოთ.

წარსული ეპოქების პოეტთა და რომანისტთა ნაოცნებარი ახლა მეტ-ნაკლებად ახდა, ქალაქის მოძრავი ტროტუარები იქნება ეს თუ თავბრუდამხვევი სისწრაფის რაკეტები. პურის მოსავალს პოლუსებზეც იმკიდნენ და საპარის უდაბნოშიც. შაქარი ცარციდან გამოჰყავდათ. აღარავინ შიმშილობდა. გახლეჩილი ნახშირის ერთი მარცვალი კმაროდა ქალაქების გასაჩახჩახებლად. მთვარეზე დაიარებოდნენ და არც სხვა პლანეტები რჩებოდა მიწიონთა უკიდევანო ცნობისმოყვარეობის მიღმა.

ცისქვეშეთში ყველგან ადამიანი ქმნიდა ამინდს. ომი მომკვდარიყო. უწინდელმა სისხლიანმა ქიშპობებმა ადგილი მშენებელთა, პოეტთა და სპორტსმენტთა პაექრობებს დაუთმო. ყველა ერის მოწეული და ნამუშავევი ხვდებოდა ერთმანეთს სივრცეში. რაკეტებს მუცლები გამოჰბერვოდათ სიმინდით, ბრინჯით, ფორთოხლით, ქსოვილებითა და ინსტრუმენტებით, ამერიკული ხორციით, ციმბირული მარცვლეულითა და ფრანგული ღვინით. ყოველგვარი ნაყოფი დაფრენდა საზღვრების თავზე, ჩილიდან გრენლანდამდე და ბორდოდან ვანკუვერამდე. მანგო თუ მარწყვი, შროშანი თუ ვარდი წელიწადის დროებს აღარ დაგიდევდათ; სანელებლები, ლითონები, მანქანები მერიდიანებს კვეთდნენ ხვავრიელ უთავბოლობაში. მაგრამ ყველაზე მშვენიერი ის იყო, რომ ბავშვები აღარ კვდებოდნენ. წარსული ეპოქების ვერცერთი პოეტი თუ რომანისტი ვერ მოისაზრებდა, ასეთ გამოგონებაზე ეოცნება: ბავშვებს სიკვდილი აღარ შეეძლოთ: არც მშობელი დედის ნიაღში, არც აკვანში და არც გაფურჩქვნის ჟამს...

რასაკვირველია, მერე და მერე, ასაკი რომ დაუდგებოდათ, სიკვდილი სულიერთ აკითხავდა. მედიცინისა და ქირურგიის უზარმაზარი წინსვლის წყალობით ზღვარმა კი გადაინია, მაგრამ ნასვლა მაინც უწევდათ.

ოღონდ ბავშვებისათვის, რომელთაც ქორფა სხეულეები ჰქონდათ და რომელთა სისხლიც ინარჩუნებდა სიცოცხლის პირველად სინორჩეს, პრობლემა აღარ არსებობდა, თითქმის აღარ არსებობდა.

ამ დროის ადამიანების საამაყო სათქმელიც ეს იყო: ჩვენი ბავშვები ცოცხლები არიან, ჩვენი ბავშვები ცოცხ-

ლობენ, ჩვენ მათ სიცოცხლეს ვჩუქნით და ვუნარჩუნებთ, რაც ვაჩუქეთ, საღ თვალებს, უზადო გულებს, მრთელ სხეულს, და ამ სიმდიდრეთა გამოყენების გარანტიას.

უეჭველია, გამოწკიცებულა მოითვლიდნენ. რაიმე იშვიათი დაავადების ავთვისებიანი ფორმა, შემთხვევა, რომელიც ვერ აირიდა ვერც რადარმა, ვერც ელექტრონულმა თვალმა... ზოგჯერ ასეც ხდებოდა...

იმ წელს, ივლისის მინურულს, ხმა გავრცელდა, ერთი პარიზელი ახალგაზრდა უცნობი ცხელებით დაავადდა. ახალი ამბავი გაზეთებშიც დაინერა და ტელევიზიამაც გადასცა, მაგრამ დიდი ემოციები არ გამოუწვევია. პუბლიკა დანდობილიყო. ვნებათაღელვას არავინ მოუცავს. იცოდნენ, რომ თუ უახლესი სამედიცინო ცენტრი თვითონ ვერას უწამლებდა, ეროვნულ ცენტრს მოუხმობდა, ის კი ფეხზე წამოშლიდა თავის მკვლევარებსა და ლაბორატორიებს. ავტომატურად გააფრთხილებდნენ უცხოურ ლაბორატორიებს, აკადემიებსა და დაინტერესებულ მედიცინის მოღვაწეებსაც. ისიც უნდა ითქვას, რომ არდადეგებისა და საფეხბურთო ტურნირის დასასრულის დრო იდგა. რამდენიმე დღემ გაიარა. ახალმა ამბავმა, რომელიც გაზეთების შიდა გვერდებზე დაიბეჭდა, პირველ გვერდზე გადაინაცვლა, რომელიც ჩვეულებისამებრ უპირველესი მნიშვნელობის მქონე კულტურულ და სამეცნიერო ინფორმაციას ეთმობოდა. ამბავი ჯერ ორ სვეტად გამოქვეყნდა, მერე სამადაც.

ახალგაზრდა პარიზელი მოწაფე კვლავ ავადა ჩვენი მეცნიერები მალე მიაღწევენ მიზანს გვამცნობს პროფესორი რობინსონი

წერილი გვიამბობდა, რომ ახალგაზრდა ლეოპოლდ ...-ს დიდხანს აკვირდებოდა ცნობილი პროფესორი რობინსონი და მისი გუნდი საფრანგეთის ეროვნული ცენტრიდან. ბავშვი ძალზე ცოტას ჭამდა, ცნობიერება სრულად ჰქონდა და თითქოს ძალიან არ იტანჯებოდა. არცერთი, ნამდვილად არცერთი ორგანო დაზიანებული არ ყოფილა. მაგრამ სიცხე ნელ-ნელა წინ მიიწეოდა და ჯერ-ჯერობით ვერაფერმა შეძლო მისი აღკვეთა. მიუხედავად ამისა, პროფესორი რობინსონი ოპტიმიზს არ კარგავდა. ტელევიზიამ გააფრცელა რამდენიმე ალიარებული მეცნიერის ინტერვიუ და აჩვენა ...-ს ოჯახი. მშრომელთა ოჯახი, უსამედიცინოისტორიო. ყოველთვის საუცხოო ჯანმრთელობის მქონე მამა, დედა და უფროსი ძმა.

მეორე დღეს სიცხემ იმატა, თან მსუბუქი ბოდევა ახლდა. ტიფლისის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ჟინეაძე, რომელიც შვეტულეებს ბერმუდებზე ატარებდა, პირველივე რაკეტით გამოემგზავრა, რათა თავით დადგომოდა ახალგაზრდა ლეოპოლდს. დიდმა ამერიკელმა ბიოლოგმა უილიამსმა დატოვა ჩრდილო ჩინეთი, სადაც კვლევა-ძიებას წარმართავდა, და სასწრაფოდ პარიზში ჩამოვიდა.

ავვისტოს პირველმა დღეებმა იმედიან მოლოდინში ჩაიარა. ცხელეზა გრძელდებოდა. ჟიენაძესა და უილიამსს ჯერ თავისი სიტყვა არ ეთქვათ. მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ძალზე დანვრილებითი მოხსენებები დაეგზავნათ განსაკუთრებით კომპეტენტურ სპეციალისტთა გუნდებს, სახელდობრ რომსა და სანტიაგო დე ჩილეში. სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა სპეციალისტმა არტურო ბენედეტიმ, რომელიც დედამინა-მთვარის მესამე ტურისტულ მოგზაურობაში აპირებდა მონაწილეობას, უარი თქვა ამ საქმეზე და შეუერთდა კონსულტაციებს, რომლებიც რობინსონს, ჟიენაძესა და უილიამსს ჰქონდათ გამართული.

პარიზს მთელი მსოფლიოს კორესპონდენტები მოაწყვდნენ. მილანსა თუ ნიუ-იორკში უკვე ექვსსვეტიან სტატიებს ასათაურებდნენ ამგვარად:

ცხელეზის ახალი შემოტევა დიაგნოზი ჯერ დადგენილი არ არის

18 ავვისტოს პირველად ალაპარაკდნენ ოქროს მიხაკზე. იმ ხნის განმავლობაში, რაც სამედიცინო გამოკვლევები ერთმანეთს ცვლიდა, საგულდაგულო გამოძიება ჩაატარეს. დეტალურად აღადგინეს ახალგაზრდა ლეოპოლდის დღის განრიგი იმ კვირაში, რომელიც წინ უსწრებდა მის ავად გახდომას. არაფერი არანორმალური არ აღმოუჩინათ. ლეოპოლდი ჩვეულ დროს მიდიოდა სკოლაში (საშუალო ციკლის პირველ კლასში, სადაც თხუთმეტი მონაფე სწავლობდა), სპორტულ მოედანზე, აუზსა და ჟანგბადით გამდიდრების ცენტრში. სკოლის ექიმმა, სოციალურმა ასისტენტმა, ექთანმა და თვითონ მასწავლებელმა თავდაპირველად განაცხადეს, ბიჭის მეცადინეობისა თუ თამაშის დროს არაფერი შემამოფოთებელი არ შეგვიძინებია.

დაფიქრების შემდეგ მასწავლებელმა თავი მოვალედ მიიჩნია ეცნობებინა, რომ მონაფე ცოტა აღზნებული იყო გეოგრაფიის ბოლო გაკვეთილზე, უფრო ზუსტად კი გაკვეთილის შემდეგ ფილმის ჩვენებისას. ეს იყო ძველი ფილმი გობის უდაბნოზე. ფილმი აღადგენდა უდაბნოს იმდროინდელ სურათებს, ვიდრე იქ სამშუაოებს ჩაატარებდნენ და დღევანდელ ნაყოფიერებას მიაღწევდნენ. ერთ მომენტში ფილმის გმირმა მოგზაურმა აღმოაჩინა (მხოლოდ ერთი კადრი იყო, გაკვრით) უცნობი ყვავილი, ქვის მისხაკის სახეობა, რომელიც მბრწყინავი სიყვითლისა იყო და უჩვეულო გადამდები სუნი ჰქონდა. ყვავილი ოქროს მიხაკად მონათლა. სამწუხაროდ, შესასწავლად და გასამრავლებლად არცერთი ნიმუში არ შეუნახავთ და არ ჩამოუტანიათ.

მასწავლებელმა დააზუსტა, რომ ახალგაზრდა ლეოპოლდმა უამრავი კითხვა დასვა ამ ოქროს მიხაკთან დაკავშირებით. იპოვეს თუ არა სხვა ეგზემპლარები? შეიძლება თუ არა მათი ნახვა ბოტანიკურ ბაღში, პარიზში ან სხვაგან? მასწავლებელი გათვითცნობიერებული არ გახლდათ და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. მონაფე იმედგაცრუებული ჩანდა. აქედან ის ეფიქრათ, ავადმყოფობა ამ დაუქმყოფილებელმა ცნობისწადილმა გამოიწვიაო, საკმარისად საფუძვლიანი დასკვნა ვერ იქნებოდა.

პრესამ ეს განცხადებები მოიყვანა, ოღონდ ყურადღება მეტისმეტად არ გაუმახვილებია ოქროს მიხაკის შემთხვევაზე.

ბავშვის მდგომარეობა სტაციონარული ჩანდა. მიაღწიეს იმას, რომ სათანადოდ გამოეკვებათ. მიუხედავად ცხელეზის მატყუარა ბრწყინვისა, მისი თვალები ერთგვარმა ინდიფერენტულობამ დაბურა. იგი ცდილობდა გაეღიმა თავისიანებისათვის, ექიმებისათვის, მაგრამ უსიცოცხლო თვლემ ერეოდა. მერე, ბოდვისას, ოქროს მიხაკზე დაიწყო ლაპარაკი. სხვას არაფერს ამბობდა: ოქროს მიხაკი... ოქროს მიხაკი... ოქროს მიხაკი...

ახალი ამბავი ჯერ ერთმა ჟურნალისტმა გამოაცხადა, მერე მეორე უყოყმანო მტკიცებას მოჰყვა, რომ ამიერიდან ერთადერთი ნამალი ამ პატარა საიდუმლოებით მოცულ ყვავილში მდგომარეობდა.

ექიმები კვლავ კონსულტაციებს მართავდნენ. მიმართეს მცენარეული ანატომიის ლაბორატორიებსა და მთელი მსოფლიოს მუზეუმებსაც. შემთხვევა გამოიკვლიეს ფსიქოპათოლოგიის სპეციალისტებმაც.

მერე კი საშინელმა ამბავმა მოიარა მსოფლიოს დედაქალაქები: მეცნიერება თავს უძღურად ცნობდა. ექიმები აღიარებდნენ, რომ არ შეეძლოთ არც ამ ცხელეზის დასახელება, არც მისი მიზეზებისა და იმ გზების ახსნა, რითიც ცხელეზას ბავშვი სიკვდილის რისკამდე შეიძლებოდა მიეყვანა. დარწმუნებულობის გარეშე სინჯავდნენ ყველა შესაძლო ნამალს. ყველაფერი ამაო იყო, ბავშვი სუსტდებოდა. ბოდვისას კი კვლავ მეორდებოდა სიტყვები, რომლებიც მის სურვილს ან იმას გამოხატავდნენ, რაც მის სურვილად იყო მიჩნეული: ოქროს მიხაკი...

საბოლოო გამოსავალიც ეს იქნებოდა: ეპოვათ ეს ყვავილი და მისთვის ხელეში ჩადეთ.

რჩევისათვის მიმართეს ფილმის ავტორსა და მის ასისტენტებს. დაუყოვნებლივ იქირავეს სამი რაკეტა, რომლებმაც გობის უდაბნოში წაიყვანეს გამოცდილ ბოტანიკოსთა გუნდები. ფილმის ასლები ყველა ქვეყანაში დააგზავნეს.

არავის შეეძლო ეთქვა ამ მიხაკის სახელი. მეცნიერთაგან არავის დაუხასიათებია, არავის მოუნათლავს ლათინურად და არ მიუჩენია მისთვის ადგილი რაიმე სახეობაში. მხოლოდ ერთი სურათი იყო ფირზე შემორჩენილი, გაურკვეველი და ნამიერი. ნამდვილად მიხაკი იყო? იქნებ...

აღმოჩენის ადგილზე ახლა სახლები და ენერგოცენტრალი იდგა, ხეხილისა და ყვავილების ბაღები გაეშენებინათ. არავითარი ყვითელი ატლასის, გადამდებსუნიანი მიხაკი...

მთის ყვავილი იყო თუ მინდვრის? ზღვის ნაპირებიდან მოტანილი თესლიდან ხომ არ აღმოცენებულიყო?

გეოგრაფიისა და გეოლოგიის აკადემიებმა კონფერენციები მოიწვიეს. მკვლევართა ასოციაციებმა ახალი ექსპედიციები მოამზადეს. მათი მიმართებები და შეტყობინებანი ერთმანეთს ეხლებოდა ჰაერში. ელექტრონულმა ტვინებმა მილიონობით ჩანანერი გააანალიზეს. მიხაკთა ყველა ოჯახი საგულდაგულოდ შეისწავლეს.

ავადმყოფ ბავშვს ხმა ძაფივით დაუსუსტდა. მისი თეთრი, თითქმის გამჭვირვალე ხელი ლოგინიდან ამოიწეოდა თითქოს იმისათვის, რომ მრუდე და ბუნდოვანი ხაზე-

ბით ბუტკო და გვირგვინი დაეხატა. სცადეს მისთვის ყვა-
ვილები ერგებინათ, სხვადასხვა სახეობის მიხაკები,
ზაფრანისებრი პატარა ვარდები, მოელვარე ტიტები. ბავ-
შვი არა ცდებოდა. საჩვენებელი თითით ანიშნებდა: არა,
არაო... მას სურდა მხოლოდ შორეული უდაბნოს მიხაკი,
ატლასის ყვავილი, უცნაურად ნაზი სურნელი, უცნობი
საოცრება.

მებაღეებმა ძიება გააჩაღეს. ორანჟერეებში, სადაც
ნელინადის დროები გამალებით ცვლიდა ერთმანეთს, ოქ-
როს მიხაკის შექმნა სცადეს. ბავშვი უძალოდ სწევდა
ხელს, მისი საჩვენებელი თითი
მარცხნიდან მარჯვნივ ირნეოდა:
არა, არა, ეს ის არ არის, ეს ის
ყვავილი არ არის...

ბავშვი კვებოდა. მთელი დე-
დამინა ცახცახებდა. რაკეტები,
ვერტმფრენები და დირიჟაბლე-
ბი მთებსა და ველებზე დაგუგუ-
ნებდნენ. ღრმა ქვაბულებში ეშ-
ვებოდნენ, მიტოვებულ მაღარო-
ებს ხსნიდნენ. ყველაზე გაბედუ-
ლებათა გონებაში უკვე გიჟური
მოგზაურობები ისახებოდა: ოქ-
როს მიხაკის თესლმა, ამბობდ-
ნენ ისინი, დედამინა დატოვა.
იგი შორეულმა პლანეტამ მიი-
ღო. იდუმალი ყვავილი კოსმოსის
უსასრულო სივრცეებში უნდა
ვეძებოთ.

აგვისტოს ბოლოს ბავშვი
ძალზე დასუსტდა. ერთ დილას,
როდესაც თვლემისაგან ერკვეო-
და, მისკენ დედა დაიხარა. ქალის გული დარდისაგან იხ-
ლიჩებოდა. მან აღარ იცოდა, რა ელონა. დედებისათვის
ნიშნული გიჟური და მარტივი რწმენით შვილს ჩასჩურ-
ჩულა:

— გიხაროდეს! შენ გექნება ეს ოქროს მიხაკი. ის მო-
ვა...

— ის მოვა? — ხმადაბლა ჰკითხა ლეოპოლდმა.

— ჰო, დამშვიდდი, ის მოვა, — გაიმეორა დედამ.

თავისთვის კი ფიქრობდა: “რა ცხელებაა ეს? საიდან
მოუვიდა ეს გაუგონარი სურვილი, რომელმაც სხეულის
სიმრთელე დაუნგრია?”

ისევ ჩურჩულით დაუნყო მოყოლა ძიების თაობაზე,
უამბობდა მათზე, ვინც დარბოდა, დაფრენდა, ყვინთავდა
ყვავილის მოსანახად...

— შენ ის გექნება, ეჭვი არ მეპარება!

გულის სიღრმეში ის სიკვდილს გამოწვევას უგზავნი-
და. ერთდროულად შიშსაც განიცდიდა და სიმამაცესაც
მსგავსად ყველა დროის დედებისა, რომელთაც ღამე
უთევიათ, უნანავებიათ, მოუვლიათ, მსგავსად ათასობით
ქალისა, რომელთაც თავიანთი სისხლხორცის ჭკნობა
უნახავთ.

მდუმარე ოთახში არაფერი ირხეოდა. ქალაქის ხმაური
და ზაფხულის მცხუნვარება ოთახის კედლებთან ჩერდე-
ბოდა. ბავშვი სივრცესა და იმ ადამიანებზე ოცნებობდა,

მისი გულისთვის რომ დაქროდნენ დედამინაზე და ნიავზე
უმსუბუქეს სურნელს დაეძებდნენ.

ბიჭს ქუთუთოები დაეხუჭა. სუნთქვა შეუნელდა.

“დასრულდა, გაიფიქრა დედამ. მაშ მე ვიქნები ერთი იმ
უკანასკნელ ქალთაგან, ვინც თავისი შვილის სიკვდილს
იხილავს...”

უეცრად კარი გაიღო. ოთახში ვიღაც შემოვიდა. ოქ-
როსფერი სინათლე დაეფინა ლოგინსა და ბავშვს, მის ხე-
ლებსა და შუბლს. ბიჭმა თვალები გაახილა, რათა სანახა-
ობით დამტკბარიყო.



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

ლოგინზე მიხაკები დახვავებულიყო. მისი მიხაკები
იყო, ისინი, რომლებზეც ოცნებობდა, რომლებიც სურ-
და. მხოლოდ ერთს ნატრობდა და მთელი გროვა მოუტა-
ნეს. ყვავილები მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში დაეკ-
რიფათ მკვლევარებს, მოგზაურებს, მეზღვაურებსა და
მფრინავებს, ზოგი კი მებაღეთა მოთმინებას შეექმნა...
ასე გატეხა ადამიანთა ძალაუფლება ბავშვის სურვილ-
მა, მაგრამ ადამიანთა ძალაუფლებას აღმოაჩნდა უნარი,
უფრო შორს წასულიყო და უკანასკნელი ბავშვი გადა-
ერჩინა.

ლეოპოლდმა ერთი მიხაკი აიღო, ტურნეტან მიიტანა
და გაიღიმა. თვალები სიცხის ბრწყინვისაგან განსხვავე-
ბულმა შუქმა აუნთო.

— ეს სწორედ ისაა, თქვა მან, ვიცანი.

სიამოვნებით ამოისუნთქა. დედა შუბლზე მიეალერსა.
ავი ცხელება მალე გაქრებოდა, დედამ ეს იცოდა, დარწ-
მუნებული იყო.

მოსალამოვდა. ბავშვმა ნამდვილ ძილში, მშვიდ სიზმ-
რებში შესცურა. დახურულ ოთახში მხოლოდ ბავშვი, დე-
და და ყვავილის შუქზე დახრილი რამდენიმე მიყურადე-
ბული ჩრდილი დარჩენილიყვნენ.

ფრანგულიდან თარგმნა
ნინო ციმაკურიძე

პაატა ჩიქოვანი

ჩუბინიშვილის №41

იქვე ბაზარია, იქვე “ვაგზალია”, იქვე ბოზებია და ხანდახან ზეიმია და ძალზედ ხმაურია.

ვილაცა ურიკით ტვირთს ეზიდება,
ვილაცა იმ ტვირთის გაყიდვას ცდილობს,
ვილაცა ყიდვას...

ვილაცამ ბავშვი მიიყვანა ან გამოიყვანა იქვე მდებარე სკოლიდან. ნერვიულობს, აგვიანებს ან მატერიალური პრობლემებით დახუნძლულ სახლში ან სამსახურში, სადაც მის უფროსს ჰგონია, რომ თუ თანამდებობა ჩაიგდო ხელში, ყველაზე ჭკვიანია და უნდა ყველას შენიშვნა მისცეს, დაემუქროს და, თუ გაუვა, უყვიროს, დაჩაგროს, დაამციროს, 5 წუთით დაგვიანებისთვის ხელფასი დაუქვითოს...

იმავე ქუჩის ბოლოში მორფინისტი ბიჭები “ნამალზე ჩალიჩობენ”, ლოთები სასმელს აწერენ (მაღლე გადაგხდითო) “მარკეტში” გამყიდველ ლამაზ გოგოს. იქვე სასტუმროებიდან (ნახევარსარდაფები ანუ ბორდელები) ვილაცები პუტანკას ფულს არ აძლევენ დასცემენ, ვილაცას ართმევენ და რა ჰქვია ყველაფერ ამას ერთი უბნის ერთ ქუჩაზე... ვია! კალამი გამიჩერდა, ჩემო მკითხველო, ეს რა დაგნერე? ერთი უბნის ერთ ქუჩაზე?! ეს ხომ მინდოდა ერთი მოთხრობისთვის დამერქმია? მოთხრობისათვის, რომელიც იქვე ახლოს, სხვა ქუჩაზე მცხოვრები ადამიანების დრამატული, კრიმინალური, მაგრამ საოცრად საინტერესო და არაჩვეულებრივი სიყვარულის, ერთგული მეგობრობისა და მეზობლობის მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების ისტორია უნდა ყოფილიყო.

როდის იყო ეს? როგორ ვცხოვრობდით მაშინ მე, ჩვენ, ისინი? ვცხოვრობდით თუ მარტო ვცოცხლობდით? და დღეს, დღეს რას ვაკეთებთ? რომელს ვირჩევთ? არსებობას თუ ცხოვრებას?

ისევ ჩუბინიშვილის ქუჩას დავუბრუნდეთ — 41-ს. ვილაცამ სამსახური იშოვნა და შინ გაბრწყინებული მიდის. გაბრწყინებული იმიტომ, რომ დროებით მყუდროება მოიპოვა და ხვალ ვალი და ულუკმაპურობა არ შეაწუხებს. ზეგ? აღარ გავაგრძელებ...

ამ გარემოში, ყაყანაში, ჩხუბში, ხარხარში და “ტუშის” ხმაურში დგას სახლი, სადაც ერთ დარბაზში სხედან და ისმენენ პოეტის ლექსებს, მწერლის მოთხრობებს, თავისი ქვეყნის ისტორიულ, ჰეროიკულ ამბებს. მსჯელობს შემოქმედი, თუ როგორ წერს, რა განცდები აქვს, როდესაც გონებაში იპოვნის იმ სიტყვას, რომელიც ყველაზე მეტად გაახშიანებს და გააღამაზებს მის აზრს (რა მაგიური ძალა აქვს სიტყვას?!). რამდენიმე გავიხსენოთ: სამ-მო-ბლო, მამუ-ლი, ხოლო გარდა-ცვალებას რაც შეეხება (იმედია, მკითხველო, დეფისს დამარცვლაში არ ჩამითვალთ), ეს სიტყვა ხომ მსოფლიო რელიგიათა ფილოსოფიურ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ სიტყვიდან არ გამომდინარეობს წინა ორი სიტყვის შინაარსის ახსნა? განა ქართველმა თავისი მშობლის, წინაპრის ხორციით, სისხლით, რომელიც ჩვენზე უფრო დიდი ხნისაა — არ მახსოვს, ვისთან ამოვიკითხე — გაჟღერებულ ტერიტორიას არ უწოდა სამშობლო,

ე.ი. მისი ცოცხალი სხეულის ნაწილს, რომელიც მინდაა ქცეული (მინა იყავ და მინად იქცეო!), ხოლო ამ მინისთვის, სამშობლოსათვის სიკვდილი უკვდავებაა. რალაც უფრო მეტი მინდა ვთქვა და უფრო ლამაზადაც მაგრამ... ვჩქარობ, ვნერვიულობ, ერთი ამოსუნთქვით მინდა გითხრა, რომ არსებობს დღეს სივრცე, სადაც მსმენელი არამარტო სულიერად ისვენებს და გონებრივად ნათლდება, არამედ კიდევ სხვა, სხვა რალაც ხდება?!

მახსოვს, სტუდენტობისას, როგორ ველოდით უნივერსიტეტის ჟურნალ “პირველი სხივის” გამოსვლას ან ჟურნალებს „ციკარს“, „მნათობს“, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“... ახლა ამ დარბაზში ხელახლა ცოცხლდება მე-20 საუკუნის გმირი შემოქმედნი. რეპრესირებული და მივიწყებული... რაო, გრიგოლ რობაქიძეო, პავლე ინგოროვო, ტერენტი გრანელიო, ლევან გოთუაო და სხვები და სხვები? ჩვენი სულიერების კალმით გადმოცემის დიდოსტატები, ან კომუნისტთა მიერ ყაჩაღებად მოხსენიებული რაინდი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიული რომანიო და, საბედნიეროდ, უამრავი ასეთი თემა განიხილება. დარბაზი სავსეა ახალგაზრდებით. ნუთუ ეს დღეს, დღეს, ჩინ-მედლებისა “ტუშის” გარეშე. გამომსვლელებს, მომხსენებლებს: არც წყნეთის აგარაკები, არც უცხოეთში საგზურები, არც ვაზ-24-ის ურიგოდ გამოყვანა... მხოლოდ გრძნობა ქვეყნის მოვლისა, მხოლოდ ნიჭი და სხვისი ნიჭისა და გმირობის დაფასება? ახალგაზრდობისთვის, მომავლისთვის, ქართველობისთვის...

რა ხდება ჩუბინიშვილის ქუჩაზე? ვზივარ და ვფიქრობ, ვუსმენ თვალცრემლიანი, აღფრთოვანებული და დაბნეული.

გუშინ, გუშინდინ არ იყო, ძმა ძმას, ქართველი ქართველს დაუნდობლად რომ სპობდა? პოეტი, დიას პოეტი, ზვიადისტთა სიით რომ დარბოდა ვაკის მილიციაში და დაჭერას და დახვრეტას მოითხოვდა თავისი გუშინდელი კოლეგებისა და მეგობრებისა? არ გახსოვთ, როგორ ჩატარდა მწერალთა კავშირში გამსახურდიას გარიცხვის შესახებ კრება? ამასწინათ ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ პირველად დაინერა “იმელი”-ს შენობაში გამართული გრიგოლ აბაშიძის წიგნის “ლაშარელა” განხილვის შესახებ ჩინებული ანალიზი. რამდენი დაფარული, გასაიდუმლოებული მასალა იხილავს დღის სინათლეს. გახსოვთ — “არ არის დაფარული, რომ არ გაცხადდეს”!.. სამწუხაროდ, ეს ყველას არ ახსოვს, განსაკუთრებით მათ, ვინც ერთი დღით ცოცხლობს (და არ ცხოვრობს, ცხოვრება მე რალაც უფრო შინაარსიანი და მარადიული მგონია). ღმერთმა შეუნდოს ყველას, უმეტესი ნაწილი თითქმის აღარ არის ცოცხალი. ნეტა მათ შემოახედათ ამ დარბაზში!

აღარ ვაგრძელებ — არ მინდა პოლიტიკაში გადავიდე, თუმცა ამ სფეროში უფრო მიადვილდება წერა, მაგრამ არ ვაკადრებ ჩუბინიშვილის 41-ს და მათ მესვეურებს.

რა ვთქვა, რით დავამთავრო? არ მინდა სადღეგრძელო (ესეც ძალიან შინაარსიანი სიტყვაა) გამომივიდეს.

სწორედ ეს — წერილის დამთავრების სირთულე — მისახავს იმედს იმ სხვა, სხვა უფრო დიდისკენ, რასაც ზემოთ მოგახსენებდით, უფრო საერთოსკენ, უფრო ფესვების სიმყარისკენ და ალბათ ტაძრისკენ. არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, და რადგან ვგრძნობ, შეიძლება ოდესმე ავხსნა კიდევ.

გმადლობთ, ჩუბინიშვილის 41.

* * *

ლევან ბრეგაძეს ვილაც ურეკავს, რჩევის გაზიარებას სთხოვს, მერე კი ამცნობს, საპატრიარქოს ტელევიზიის დილის გადაცემაში თქვენზე ისაუბრეს, დავით გურამიშვილზე რომ გაქვთ ნარკვევი, მისი ღირსებები წარმოაჩინესო.

ამას უკვირს „დავითიანის“ ავტორის ხსენება და დაზუსტებას ცდილობს: ეტყობა რალაც აგერიათ, მასზე ცალკე გამოკვლევა არ დამინერია, სულხან-საბა ორბელიანზე კი რამდენიმე ნარკვევი მაქვს და ალბათ მათ შესახებ თუ ისაუბრეს, ხომ არ გახსოვთ, ვინ იყოო?..

ვილაც სასულიერო პირი, სახელი არ მაგონდება, — ის პასუხობს და ცოტა წყინს, მის მეხსიერებაში ეჭვი რომ შეიტანეს, — ნამდვილად დავით გურამიშვილს ახსენებდა, არ მეშლება.

ლევანი იძიებს, იძიებს გამომსვლელის ვინაობას და...

* * *

ტიტე მოსიას ლექციებს სიხარულით ესწრებიან სტუდენტები.

ყველა კი ვერ მოგიყვება ასე ცოცხლად და ამდენ საგულისხმო ამბავს, ყველა კი ვერ დაგაინტერესებს ანალიტიკური განსჯით, ყველას კი არ მომადლება ცოდნის გადაცემის ასეთი პედაგოგიური უნარი.

ამიტომაც მისი სტუდენტები კონსპექტებს მხოლოდ გამოცდის ჩაბარების მიზნით კი არ ადგენენ, არამედ გულდასმით ინახავენ კოლორიტული ლექციების სახსოვრად.

თან საუბრობს, თან მერხებს შორისაც დაიარება ხოლმე, კონსპექტებს ალაგალაგ თვალსაც ჩაჰკრავს. პერიპათეტიკოსებს კი არ ბაძავს მაინცდამაინც, მისი ორატორული სტილის თავისებურებაა, თუმც უხარია, არისტოტელეს მოწაფეებით რომ იქცევა.

იმ დღესაც ჩვეულებისამებრ გაივლ-გამოივლის აუდიტორიაში.

ხან იმ კონსპექტს გადაავლებს თვალს, ხან ამას. და უეცრად თითქოს ურო დაჰკრეს თავშიო, ისეთი გაოგნებული დააცქერდება. ერთ სტუდენტს წერისას ასე ჩაუნიშნავს: „საქ.“

რაო?



რა მღვდელი, რომელი მღვდელი... მე აღმოვჩნდები.

და იმას რომ აინტერესებს, დავით გურამიშვილთან საიდან დამაკავშირო, ვაუწყებ, რომ გერმანული გროტესკის მცირე ანთოლოგია წარვუდგინე მსმენელს, მისი და მისი შვილების მიერ თარგმნილი, როგორც საოჯახო სახელოსნოს ჩინებული ნიმუში, სათითაოდ მოვისხენიე თვითელი ავტორი — ჰერმან ჰესე, ერის კესტენერი, ზიგფრიდ ლენცი, ჰაინრიხ ბიოლი, პეტერ ბიქსელი და ვალტერ ქაუერი, და საგანგებოდ აღვნიშნე, რომ გარეკანის გაფორმებისათვის ფრანც კაფკას ნახატი გამოიყენა დიზაინერმა.

ამ სახელთაგან რომელი მიაგვანა იმ მსმენელმა დავით გურამიშვილს, ეს უკვე მე აღარ ვიცოდი.

...ასე უნებურად შეიძლება აღმოჩნდე კაცი რეზო ჭეიშვილის პერსონაჟთა ყოფაში.

გადაიროდა ეს დინჯი, ბუნჩულა კაცი, ვისი ხმამალალი სიტყვაც არავის ახსოვდა:

— საქართველოს კიდევ შემოკლება უნდა? შენლა აკლიხარ... ჩემთან ნიშანს ვერ ეღირსებო.

თითქოს ის მწარე, ტრაგიკული დღეები გაცოცხლებო-

დეს, უღვთოდ განწირული სოხუმიდან რომ გამოვბოდნენ. მანამდე კი არანაკლებ განეცადა ცხინვალისა და იმ მხარის დაკარგვა. შიდაქართლის დამახინჯებულ სურათს ახლა აფხაზეთის მხარეც მიმატებოდა და, სიყმანვილისას თუ ვერა და ვერ მოენელებინა ტაო-კლარჯეთის ამოკვეთა საქართველოს მინა-წყლიდან, თორემ საინგილოს და სოჭს ხომ თვალწინ გამქრალივით მისტიროდა პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეზე“ თავდამხობილი, ახლა უკვე



სიზმარში გრძნობდა თავს და... გრიგოლ ორბელიანივით შელადადებდა არსთაგამრიგესაც და თამარ მეფის ფრესკასაც: არ გამოვფხიზლდე, რომ არა ვჰგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულით დაცემასო!..

და როგორ გინდა აიტანო ფურცელზეც ასე გულგრილად შეკვეცილი.

...მართლა ხომ არ ჩაჭრიდა სტუდენტს, და ამიტომაც დაავალბდა, დანაშაულის გამოსასწორებლად იმდენჯერ ჩამოენერა „საქართველო“, ვიდრე ხელი დაეღლებოდა.

* * *

სალომე კაპანაძე იმხანად აფხაზეთის დევნილი მთავრობის კულტურის მინისტრია. მართლაც მისწრებაა ასეთი ერუდიციის მინისტრი, ასეთი მრავალმხრივი ინტერესებისა და ასეთი ენთუზიაზმით აღსავსე.

2008 წლის ზაფხულია და მოცეკვავეთა ანსამბლი ჰყავს ნაყვანილი საგასტროლოდ — ერთი თვე პარიზში, ერთი თვეც რომში.

და კიდევ მოგვადგება ორი მხრიდან რუსეთის ჯარი, საბედისწერო რომ გაგვიხდება ის დღეები და კინაღამ მთელი საქართველოს ოკუპაციაც მოჰყავს ამ სამხედრო ექსპანსიას, თბილისის დამხობას გარდაუვლად რომ მოეხმოდა.

ალარ განხორციელდება და დედაქალაქზე იერიში.

მაგრამ ჯერ კიდევ ბუნებ ეკიდა მისი ბედი.

არის ერთი მღელვარება და ფორიაქი, უცხოეთში გასახიზნადაც ბევრი დაიძრებოდა.

სალომე კაპანაძე და ანსამბლის წევრები რეკავენ და რეკავენ გაუთავებლად, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს იგებენ, სატელეფონო ხაზები მოშლილია და დაკავშირებაც ძალიან ჭირს, ამასთან, ურთიერთსაწინააღმდე-



გო ცნობებისაგანაც თავგზა ერევათ — ვინ აიძვებოდა, ვინ აშინებოდა... ჯერ ისედაც რა ყოფაში ჩავარდნილიყო ქვეყანა და შორიდან ისედაც თავზარდამცემი ვითარება კიდევ უფრო სასონარმკვეთად გამოიყურებოდა.

— რა დღეები გამოვიარე, რა დღეები, — მღელვარებას შინდაბრუნებულიც ველარ იკავებს. კოდორსაც დაუბჯინა თეთრი დათვის ტორი, ახალგორიც გადაყლაპა და... ისედაც წართმეულ ტერიტორიას კიდევ შეემატებოდა მიწები ჩვენდა სავალალოდ. როგორი გადასატანია ეს ყოველივე, მაგრამ ის დრო მაინც განსაკუთრებით დამთრგუნველად აგონდება, სრულ გაურკვეველობაში რომ იმყოფებოდა.

— ჩვენც რა დღეები გამოვიარეთ, — თავისას იხსენებენ მისი მეგობრები, გულშეძრულ-

ნი რომ მისჩერებოდნენ რუსეთის ჯარის წინსვლას თბილისისაკენ და გაქცევა აღარც უფიქრიათ სოხუმის ტრაგედიის გადამტანთ, როდემდე ვირბინოთ, აღარსად გვაყენებენო.

— თქვენ რა გიჭირდათ, აქ მაინც იყავით, — უკვირს სალომეს, — მე მეკითხა, მე, სადღაც რომში ჩარჩენილს...

ასეა, ვის როგორ, — იტყოდა გურამ დოჩანაშვილი, ამ საუბარს რომ შესწრებოდა.

* * *

რა წარმატებებსაც უნდა მიაღწიოს სამეცნიერო თუ სალიტერატურო ასპარეზზე, ნანა კუცია ყოველთვის დარჩება მორიდებულ ადამიანად, მორიდებულადაც და... გარიდებულადაც, საკუთარ თავთან დარჩენა ყველაფერს რომ ერჩივნება და გარესამყაროსთან დასაკავშირებლად ერთ სარკმელსაც სავსებით იმყოფინებს.

ახლაც ჩაიძირება ხოლმე წიგნების გარემოცვაში, როგორც რომანტიკული ჟამის ნაშიერი, და ცხოვრების ამგვარი სტილით შეგვახსენებს რალაც დამაფიქვრელსა და აუხსნელს, ოღონდ აუცილებელს სულიერების უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

ლოცვაც თავის ადგილს იკავებს მისი დღე-ღამის ბრუნვაში, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილს.

ერთხელ, ერთადერთხელ მოხდებოდა, რომ უზომოდ დაქანცულს დილის ექვს საათზე ვერ გაეღვიძებოდა და ლოცვის გამოტოვება მოუხდებოდა.

ჰოი, რას იჯავრებდა და ინუხებდა, ეს როგორ დამემართაო.

მამამისი შეეცდებოდა მისი განცდების შემსუბუქებას.



მხატვარი ნინო ხუცილავა

— ხომ გაგიგონია, ერთი ალილუია მღვდელსაც შეცდებოა.

— ეგ კი, მაგრამ მე მაინც არ უნდა დამმართნოდა.

გრძელდება ჯავრი, გრძელდება წუხილი.

მამა კიდევ გამოძებნის შეგონებას:

— ხომ გაგიგონია, ერთხელ ჰომეროსიც ჩათვლემსო.

— ეგ კი, მაგრამ მე მაინც არ უნდა დამმართნოდა.

არაფერი ეშველა ჯავრს, არაფერი ეშველა წუხილს.

მამამ ალარ იცის, რა იღონოს, და... კიდევ ერთი ანდაზა წამოეშველება.

— ხომ გაგიგონია, ერთი პირი ძილი წყალსაც სძინავსო.

— ეგ კი, ეგ კი...

— აბა, რალა გინდა?!

— მე მაინც...

— ახლა მართლადამართლა!..

დიახ, მართლადამართლა... და ნანა კუცია გულშიღა ფიქრობს, მე მაინც არ უნდა მომსვლოდაო, თორემ ხმას ველარ იღებს და აღარც სახეზე ანერია გაუნელებელი წუხილი იმ ერთი ჩაძინებისათვის.

რომს რომ მოვიღე

ქართველ მწერლებსა თუ მეცნიერებს მრავალგზის შემკითა ქებით სულხან-საბა

ორბელიანის სახელი, გულდასმით აღუნუსხავთ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყოველი ფაქტი, დანვრილებით შეუსწავლიათ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. რაოდენ მომხიბლავია დაუფინყარი სახე ბრძენკაცისა, ვისაც უდიდესი ამაგი მიუძღვის თანამედროვეთა თუ შთამომავალთა წინაშე. ერთი ადამიანის უკვდავსაყოფად „სიტყვის კონაც“ იკმარებდა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ცის მანანასავით რომ მოველინა საქართველოს.

დიდებული მწერალი, ლექსიკოგრაფი, დიპლომატი და ერის სულიერი მოძღვარი ნახევარი საუკუნის მანძილზე ბეჯითად იღვწოდა სამშობლოს საკეთილდღეოდ. დიხ, მტრის სისხლი არასოდეს დაუღვრია ბრძოლის ველზე, მაგრამ ხშირად ათასჯერ გაძლიერდა არაფრით ჩამოუვარდება მისი დაუღალავი გარჯა სიტყვისა და წიგნის სამსახურში.

სულხან-საბა თავის ავტობიოგრაფიაში გვაუწყებს, რომ 1710 წლის 1 დეკემბერს ქართლიდან ხორასანს წასულა, ქართლის მეფესა და ირანის სპასალარს ქაიხოსროს ეხმო. მომდევნო წლის 20 თებერვალს უკან გამობრუნებულა და 11 მაისს ქართლში ჩამოსულა.

ამ მოულოდნელი მოგზაურობის მიზანი და შინაარსი ჯერჯერობით არაა დადგენილი. წერენ ხოლმე, რაღაც დიპლომატიური დავალება შეასრულაო.

უცხოური წყაროების მიხედვით, სეფიანთა ირანის მრავალრიცხოვანი ლაშქრის სათავეში მყოფი ქაიხოსრო, ამბოხებული ყანდაარისკენ მიმავალ გზაზე ერთხანს ხორასანის პროვინციაში, ქალაქ ფარას მიდამოებში, დაბანაკდა და მუამბოხე ლილზაების წინამძღოლ მირ-ვეისთან ხანმოკლე ზავი ჩამოაგდო.

ქაიხოსრო მეფის მთავარ ქირურგს, იტალიელ ჯუზეპე ფრესკურატის, სწორედ დასახელებული ქალაქიდან კონსტანტინოპოლს, საფრანგეთის საელჩოსათვის, გაუგზავნია ორი წერილი, დათარიღებული 1710 წლის 29 ნოემბრითა და 1711 წლის 1 იანვრით. სულხან-საბა, ალბათ, იანვარში ჩავიდოდა ქაიხოსროსთან და მის სამხედრო ბანაკში გაიცნობდა იტალიელ ექიმს, რომელსაც სამიოდე წლის შემდეგ ვახტანგ VI თავის წერილში სულხან-საბასადმი „თქვენი ძველი მეგობრის“ სახელით მოიხსენიებს.

მაგრამ რას უნდა გამოენვია სულხან-საბას ხანმოკლე ვიზიტი ქართლის მეფესთან, ყანდაარზე გადამწყვეტი შეტევისათვის რომ ემზადებოდა? ასეთი რა დავალება უნდა მიეცა — თითქმის სამი ათას კილომეტრიანი გზის გავლის შესაფერი? ამ საკითხის გასარკვევად რაიმე ხელშეხახები საბუთი არ მოგვეპოვება და მხოლოდ ვარაუდით უნდა დავკმაყოფილდეთ.

არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ ევროპაში საქართველოსათვის პოლიტიკურ-ეკონომიკური დახმარების სათხოვნელად სულხან-საბას წარგზავნის იდეა სწორედ ქაიხოსრო მეფეს ეკუთვნოდა და თავისი ბიძაც (სულხან-საბა და ქაიხოსროს მამა ლევანი მკვიდრი ბიძაშვილ-მამიდაშვილნი იყვნენ) ამ ხვაშიადის გასანდობად იხმო ქართლიდან ხორასანს.

ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იმდროინდელ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის კათოლიკე მისიონერებთან ახლო ურთიერთობით სწორედ ქაიხოსრო გამოირჩეოდა. ერთი უცხოური წყარო მას მოიხსენიებს როგორც თბილისის, გორის, განჯისა და თავრიზის კათოლიკური მი-

სიონების მფარველსა და კეთილისმყოფელს. ყანდაარის ლაშქრობაში ქაიხოსროს თან

ახლდა სამი მისიონერი, რომელთაგან ერთი, სახელდობრ ფრანგი კარმელიტი პატრი ზასილი მასთან ერთად დაიღუპა 1711 წლის 26 ოქტომბერს.

არანაკლებ საინტერესოა ის ცნობა, თავის დროზე მიქელ თამარაშვილმა ვატიკანის არქივებში რომ აღმოაჩინა. თურმე 1708 წელს ქაიხოსრო ისპაანიდან რომის პაპს წერილობით ეკითხებოდა: „რომს რომ მოვიდე, თქვენთან თავშესაფარს ვიშოვნი თუ არაო?“ იმხანად სეფიანთა ირანის სატახტო ქალაქ ისპაანის გამგებლად მყოფი ქართველი ბატონიშვილი რომში გადახვეწას აპირებდა! ანუ, დღევანდელი გამოთქმით, პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდა. მაგრამ, რაც მთავარია, თავისი უმცროსი ძმის, ვახტანგის, მსგავსად მოსკოვისკენ როდი მიუწევდა გული („მოსკოვ-ქალაქს მზეს ველოდით“), არამედ — დასავლეთ ევროპისაკენ.

1711 წლის იანვარში ვატიკანიდან მოსწერეს: რომის პაპი მზად არის, რომ ამ ქალაქში მიგიღოთ და თავისთან სამუდამოდ შეგინახოთ, თუკი აქ შემოხიზვნა დაგჭირდათო.

ევროპული წყაროები ამტკიცებენ, რომ ქართლის მეფე, ბედის უკუღმართობით ირანის სპასალარად რომ იყო გამწესებული, მაჰმადიანური სარწმუნოების უარყოფას აპირებდა, როგორც კი ყანდაარის ლაშქრობა დამთავრდებოდა. მაგრამ, ვაგლახ, ყანდაარის ლაშქრობასთან ერთად ქაიხოსროს სიცოცხლეც დამთავრდა.

ქართული ფეოდალური საზოგადოების წრეებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებამ მაშინ გაიდგა ფესვი, როდესაც XVIII საუკუნის 80-იან წლებში გიორგი XI-მ პირველი ნაბიჯები გადადგა ქვეყნის დამოუკიდებლობის მისაღწევად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონტაქტები რომის ეკლესიასთან მარტოოდენ პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. მოყვრისა და ქომავის ძიების დაბინდულ გზაზე გამომკრთალი სინათლის ხელჩაჭიდებას ნიშნავდა, თუმცა იმ შორეული სინათლისგან არც ისე იოლი გახლდათ საგრძნობი სიბზოს მოწვევნა აგრესორებით გარშემორტყმულ ქვეყანაზე.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი მკაფიოდ და დამაჯერებლად ახასიათებდა იმხანად შექმნილ ვითარებას: „ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა, აღდგენისა და განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“. ქართველობისათვის მებრძოლი ეს დასი მზად იყო პაპის უზენაესობა ეღიარებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინა და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაეგრძელებინა, ოღონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღო ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

სულხან-საბას დიპლომატიურ მისიას პარიზსა და რომში, ქართულ-ევროპული ურთიერთობის კულმინაციურ მომენტს, სათანადო ნაყოფი არ გამოუღია. ალბათ ამიტომაც, დაუოკებელ მისწრაფებას დასავლეთ ევროპიდან დახმარების მისაღებად ხან ეფემერულს ვუნოდებთ, ხანაც ამაო ილუზიებად ვნათლავთ ხოლმე. ძალზე მკაცრი განსჯა ხომ არ გამოგვდის?

როგორც ცნობილია, „მთელი საქართველოს მამად“ შერაცხულ კაცს ძვირად დაუჯდა გაზიარება ქართველი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე შეილებს აღტკინებული ლტოლვისა დასავლეთისკენ, მაჰმადიანური კირთებისგან თავის დახსნას რომ ისახავდა მიზნად.

ნაკვალევი

ვინ მოთვლის, რამდენ დამპყრობელს უთარეშია საქართველოს მინა-წყალზე მშფოთვარე საუკუნეთა განმავლობაში. მათი შთამბეჭდავი და მჭევრმეტყველი კვალი მინის ზედაპირზე თუ ჩვენს ცნობიერებაში ასე იოლად ვერ ნაიშლება: ოდესღაც არსებული და ან მინასთან გასწორებული სასახლეები, გაუდაბურებული ტყეები, ნასოფლარები, დანგრეული ეკლესიები და ციხე-კოშკები, შებღალული ფრესკები, ძველ ავტორთა მინიშნებანი ჩვენთვის სამარადისოდ დაკარგულ ხელნაწერებზე, დაუპატიჟებლად მოსული მათი ადათ-წესები თუ ზნე-ჩვეულებანი, ზოგჯერ მკრთალი და ზოგჯერაც თვალში საცემი.

დამპყრობელს თავისი ძალადობის ნაკვალევი ჩვენს ნუმიზმატიკაშიც დაუტოვებია. რომც არაფერი ვიცოდეთ იმის თაობაზე, თუ როდენ საზარელი უბედურება ეწია საქართველოს XIII საუკუნის ოციან წლებში, როდესაც შემოსული ხვარაზმელები ხუთი წლის მანძილზე აოხრებდნენ ჩვენს ქვეყანას, ნუმიზმატიკური მასალა, ჩვეული სიტყვაძუნწობით, ნაწილობრივ მაინც მიგვანვედრებდა მომხდარ ტრაგედიას.

შემონახულა მონეტა, მოჭრილი ხვარაზმმაჰ ჯალაღედინის მიერ 1226 წელს თბილისის ზარაფხანაში. როგორც ირკვევა, ქართულ მონეტებს ახალი სიქა დაარტყეს და „უზენაესი სულტნის“ მონეტებად გადააქციეს. მაგრამ სახეშერყვნილი და ხმამილეული მაინც ახერხებენ გვამცნონ თავიანთი ჭეშმარიტი ვინაობა. საქმე ის გახლავთ, რომ ხვარაზმელთაგან მითვისებულ მონეტებზე ჯალაღედინის სიქის ქვეშ, ძალზე ხშირად, შემორჩენილა ლაშა-გიორგის ან თამარ მეფის მონეტების დაუზიანებელ წარწერათა ნაწყვეტები.

როდესაც ვსაუბრობთ XII საუკუნის ქართულ მონეტებზე, შეუძლებელია, ერთგვარი განცვიფრების გრძნობამ არ შეგვიპყროს. ისინი ხომ მიეკუთვნებიან საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“, როდესაც დავით აღმაშენებლის გარჯით აღზევებული ქვეყანა მისი მემკვიდრეების დროსაც აგრძელებდა ქრისტიანთა ქომავობას ახლო აღმოსავლეთში, შემწეობის ხელს უწვდიდა მაჰმადიანთა უღელქვეშ მოქცეულ სომხეთსა თუ დროდადრო გასაჭირში ჩავარდნილ ჯვაროსანთა სამეფო-სამთავროებს, სირია-პალესტინის მინა-წყალზე სამუდამოდ დამკვიდრებას რომ ლამობდნენ. და ქართული მონეტებიც ადასტურებდნენ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ გეზს. მათზე მოთავსებული არაბული ზედწერილი ამაყად აუწყებდა მტერსაც და მოყვარესაც: „მეფეთა მეფე... მახვილი მესიისა“.

განცვიფრებას კი ის ინვეს, რომ თუკი მონეტის შუბლზე ზემოაღნიშნული სიტყვებია, მონეტის ზურგი დაუმშვენებია არაბთა ხალიფა აღმუკტაფისა ანდა თურქ-სელჩუკთა სულტან მაჰმუდ იბნ მუჰამედის სახელს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს, შემდგომში ცნობილ ნუმიზმატს ევგენი პახომოვს დემეტრე I-ის მონეტებზე ხალიფასა და სულტნის სახელთა მოხსენიებამ აფიქრებინა, რომ საქართველოს მეფე, მემკვიდრე დავით აღმაშენებლისა, იძულებული გამხდარა ეცნო თავისი ვასალური დამოკიდებულება მაჰმადიან მფლობელთა წინაშე.

ამგვარი მოსაზრება უპასუხოდ არ დარჩენილა. ივანე ჯავახიშვილმა საფუძვლიანად გააკრიტიკა პახომოვის მტკიცება და მიუთითა, რომ ქართულ მონეტებზე მაჰმადიან მფლობელთა მოხსენიება და არაბული ზედწერილები პოლიტიკური დამოკიდებულების შედეგი კი არა, არამედ გარკვეული საფინანსო ღონისძიება ყოფილა, რათა ქართული მონეტა თავისუფალ მიმოქცევაში გასულიყო საქართველოს საზღვრებს გარეთაც, განსაკუთრებით — მაჰმადიანურ სამყაროში. დიდი ქართველი ისტორიკოსის მოსაზრებას იზიარებდნენ რუსი ნუმიზმატი ა. ბიკოვი და ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლენგი.

გამორჩენილი ქართველი ნუმიზმატი დავით კაპანაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ ქართულ მონეტაზე არაბულ წარწერათა სიუხვეს როდი ჰქონდა გადაჭრელი როლი, არამედ იმას, რომ ქართველი მეფეები სიამაყითა და ერთგვარი გამოწვევით ამცნობდნენ მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების მბრძანებლებს სწორედ არაბულ ენაზე: ჩვენა ვართ მეფეთა მეფენი და მესიის მახვილი ანუ ქრისტიანული სარწმუნოების დამცველნიო.

ქართველმა მკვლევარებმა ისიც გაარკვიეს, რომ მსგავსი არაბულწარწერიანი და მაჰმადიანური ტიპის მონეტები იჭრებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ შორეულ ევროპულ ქვეყნებშიც. აბა თავად განსაჯეთ, რანაირი ვასალური დამოკიდებულება შეიძლება ჰქონოდათ მაჰმადიან მბრძანებელთა წინაშე ინგლისსა თუ ამერიკას?

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სკეპტიკოსი მაინც ამტკიცებს თავგამოდებით, ქართულ მონეტაზე ხალიფებისა თუ სულტნების სახელთა არსებობის თავისებური განმარტება ქართველ მეცნიერთა პატრიოტული პათოსით არის ნაკარნახევო.

დახეთ, პატრიოტიზმსაც კი გვიკიჟინებენ, თითქოსდა ეს წმიდათაწმიდა გრძნობა სამარცხვინო და საქილიკო იყოს.

რა გაეწყობა, ამქვეყნად სკეპტიკოსებსა და ცინიკოსებს რა გამოლევს... ლეგიონია მათი სახელი!

ქრონიკა

26 ნოემბერს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მაია ნიკლაურის წიგნის — „გოდერძი ჩოხელი — შემოქმედება საზღვრების გარეშე“ პრეზენტაცია.

ეს მაია ნიკლაურის უკვე მეორე წიგნია, რომელიც გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას ეძღვნება. პირველი, „გოდერძი ჩოხელი — ერისა და მთის შვილი“ გამოვიდა 2006 წელს, მწერლის სიცოცხლეშივე.

წიგნი ერთგვარ გაცნობით ხასიათს ატარებდა და გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული შემოქმედების ზოგად მიმოხილვას წარმოადგენდა.

წიგნი „გოდერძი ჩოხელი — შემოქმედება საზღვრების გარეშე“ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაა გაანალიზებული, წარმოჩენილია რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, კერძოდ: გოდერძი ჩოხელის სატირა, ყოფნა-არყოფნისა და რწმენის საკითხი, მეელი და ზოგადად მგლობის ფენომენი და ცალკე რომანი „მღვდლის ცოდვა“. წარმოდგენილია გოდერძი ჩოხელის ესთეტიკა და მსოფლმხედველობაც.

წიგნის შესახებ ისაუბრეს მწერლებმა და მეცნიერებმა: ტარიელ ხარხელაურმა, ვაჟა ოთარაშვილმა, ერეკლე საღლიანმა, ნანა კუციამ, თამარ შაიშველაშვილმა, ეკა მიხელიძემ, მარია ნიკლაურმა, ნინო ზედელაშვილმა. აგრეთვე მღვდელმა გიორგი ნეროძემ და დეკანოზმა მამა თავმას ჩოხელმა.